საქართველოში მცხოვრები ლტოლვილი მოსწავლეებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების კუნიკულუმი



- ქართული
- ხელოვნება
- ბუნებისმეტყველება
- მათემატიკა

საქართველოში მცხოვრები ლტოლვილი მოსწავლეებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების კურიკულუმი

2024

საქართველოში მცხოვრები ლტოლვილი მოსწავლეებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების კურიკულუმი

კურიკულუმი შექმნილია პროექტის „საქართველოში მცხოვრები ლტოლვილი მოსწავლეებისთვის სახელმწიფო ენის სწავლებაზე ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა“ ფარგლებში.

პროექტის მხარდამჭერები: The UN Refugee Agency
World Vision
გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდი

პროექტის მენეჯერი: ბერიკა შუკაკიძე

პროექტის კოორდინატორი: ანი კუდუხაშვილი

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი: ნინო შარაშენიძე

სამუშაო ჯგუფის წევრები: მანანა ჯინჭარაძე, ნატალია ინგოროყვა, მანანა ბოჭორიშვილი, ირმა კინწურაშვილი

კორექტორი: მაია წიკლაური

დიზაინერი: მარიამ ელიზბარაშვილი

ISBN 978-9941-8-7269-3

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

UNHCR The UN Refugee Agency

World Vision GEORGIA

გპფ გუდავაძე-პატარაციშვილის ფონდი

კურიკულუმის წიგნის შინაარსი

თავი 1 - სამოქმედო გეგმა, კურიკულუმი

- კურიკულუმი - დონე 1 5
- კურიკულუმი - დონე 2 15
- კურიკულუმი - დონე 3 24
- კურიკულუმი - დონე 4 34

თავი 2- გაკვეთილის დეტალური გეგმები

- გაკვეთილის გეგმა - დონე 1 44
- გაკვეთილის გეგმა - დონე 2 50
- გაკვეთილის გეგმა - დონე 3 56
- გაკვეთილის გეგმა - დონე 4 64

თავი 3.1. - ინტერკულტურული განათლება 72

თავი 3.2. - ქართული ენის ინტერდისციპლინური სწავლების მეთოდებისა და აქტივობების ბანკი; სავარჯიშოთა ნიმუშები. ტიპური შეცდომები და ინტერვეციული აქტივობები 86

თავი 3.3. - ინტერკულტურული განათლების ქეისები

ლექსიკური მარაგის უკიდურესი სიმწირე (მარიას ქეისი) 128

წინადადებების და ფრაზების კონსტრუქციის სწორად აგება (ორჰანის ქეისი) 129

ნაცვალსახელების სწორად გამოყენება (აბოს ქეისი) 130

საპირისპირო სიტყვებს არაადეკვატურად გამოყენება (ფერიდეს ქეისი) 131

ზეპირმეტყველების პრობლემები (ალის ქეისი) 131

სიტყვების გამოთქმის პრობლემები (ისლამის ქეისი) 132

ზმნის შესაბამის დროში გამოყენება (ფატმანის ქეისი) 133

განსხვავებული კულტურული და ენობრივი ფონი. სწორი გამოთქმები (მეხუთე კლასის ქეისი) 134

ენობრივი კომპეტენციის პრობლემა (მეექვსე კლასის ქეისი) 135

ლტოლვილი მოსწავლეები და ეპითეტების სწავლის პროცესი (მეშვიდე კლასის ქეისი) 136

სხვადასხვა პირში თხრობა (ანას ქეისი) 137

დიალოგური მეტყველების პრობლემა (დარინას ქეისი) 139

კომუნიკაციური დაბნეულობა (მარკის ქეისი) 140

ნაცვალსახელების არასწორი გამოყენება (ტედის ქეისი) 141

სინტაქსურ-ორთოგრაფიული შეცდომები (მეკოს ქეისი) 142

ქვემდებარის და შემასმენლის რიცხვში შეთანხმება (სანდრას ქეისი) 143

პირის ფორმების სწორად გამოყენება (ლის ქეისი) 144
პირის ფორმების სწორად გამოყენება (სოფიას ქეისი) 146
კითხვითი წინადადების სწორად ფორმირება (კირილეს ქეისი) 147
სინტაქსური შეცდომები (მეკოს ქეისი) 148
ქვემდებარის და შემასმენლის რიცხვში შეთანხმება
(ვალერიას ქეისი) 149
ინსტრუქციების გაგების პრობლემა (ტიმურის ქეისი) 151
მშობლის ზედმეტი ჩართულობა (ალინას ქეისი) 152
კითხვის დაუფლების სირთულეები (მილას ქეისი) 153
კითხვისას ინტონაციის პრობლემები (ანასის ქეისი) 154
მშობლიური ენიდან პირდაპირ თარგმნის სიტყვებს და უშვებს
გრამატიკულ და სინტაქსურ შეცდომებს (ობენის ქეისი) 155
სინტაქსის პრობლემა (ასლანის ქეისი) 156
ბულინგის გამო ქცევითი, ემოციური და სასწავლო პრობლემები
(აბდულას ქეისი) 157
ნათესაობითი ბრუნვის ფორმის სწორად გამოყენების პრობლემა
(მუსტაფას ქეისი) 159
ყურადღების კონცენტრირების და ჰიპერაქტიულობის პრობლემა
(ალისას ქეისი) 160
თანდებულების სწორად გამოყენების პრობლემა
(სადონის ქეისი) 161
ენის არათანაბარი ცოდნა (მერვე კლასის ქეისი) 162
სასწავლო მოტივაციის ნაკლებობა (დანიელის ქეისი) 163

თავი 1, დონე 1

საგნობრივი მასალა - ქართული ენა

(საგნობრივი და ენობრივი მიზანი)

1 გარემო ჩვენ ირგვლივ

თემა: გ.ტოგონიძე - „მზისფერი ფუტკარი“.

მოსწავლე შეძლებს:

სათაურსა და ილუსტრაციაზე დაყრდნობით ვარაუდის გამოთქმას;

კითხვების დახმარებით მსჯელობას, როგორია მზისფერი ფუტკარი;

მწერების სახელების შესაბამის ილუსტრაციებთან დაკავშირებას; ტექსტიდან პატარა ამონარიდის მიხედვით კითხვებზე პასუხების გაცემას;

ილუსტრაციების დახმარებით მინდვრის ყვავილების დასახელებას;

სიტყვებისა და ფრაზების განმარტებას;

წინადადებებში გამოტოვებული სიტყვების ჩასმას;

ტექსტის მოსმენას / წაკითხვას; სააზროვნო კითხვებზე პასუხების გაცემას.

არსებითი სახელის ზმნასთან და ზედსართავ სახელთან სწორად დაკავშირებას;

მოცემული სიტყვებით წინადადებების შედგენას; „სწორია თუ არასწორი“ თამაშით ტექსტის სიღრმისეულად გააზრებას; როლურ თამაშში მონაწილეობას;

ნიმუშებზე დაყრდნობით კომიქსის შექმნას ან ფუტკრის სახელით მეგობრებთან წერილის მიწერას.

2 დღესასწაულები

თემა: საშობაო ზღაპარი.

მოსწავლე შეძლებს:

ილუსტრაციების მიხედვით საშობაო დღესასწაულის ამოცნობას;

„სა“ და „ო“ პრეფიქს-სუფიქსების სწორად გამოყენებას და ცხრილში ჩასმას (სა-შობა-ო);

შობის თემატიკის ამსახველი ილუსტრაციების სიტყვებთან დაკავშირებას;

სიტყვების განმარტების დასწავლას;

სიტყვების სწორი ფორმით წინადადებებში ჩასმას;

ჰორიზონტის მხარეების გახსენებას;

ტექსტის მოსმენას / წაკითხვას;

სააზროვნო კითხვებზე პასუხების გაცემით ტექსტის გაგება / გააზრებას;

მხატვრული ხერხების გამოყენებით (შედარება, ეპითეტი) სავარჯიშოების შესრულებას;

ტექსტში ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის პოვნას, არარსებული წინადადების ამოცნობას;

თანდებულების (-კენ, -იდან) მსგავსი და საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვების, სიტყვაწარმოების (თმ-იანი, უ-თმ-ო) ნიმუშების მიხედვით სავარჯიშოების შესრულებას;

ტექსტის ამსახველი ილუსტრაციების აღწერას და მონაკვეთებად დაყოფილი ამბის გადმოცემას;

დამატებით მიცემული მასალის გაცნობას (როგორ აღნიშნავენ ქართველები შობას) - ვიდეობმულების მოსმენას:

სიმღერა „ალილო“

საშობაო იგავი

ნიმუშის მიხედვით დღიურის ჩანაწერის შექმნას - როგორ აღნიშნა შობის დღესასწაული ამ წელს.

3 მოგზაურობა

თემა: სანდრო ასათიანი - დიდი მოგზაური.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს, მოგზაურობაზე საუბრისას, მარტივი თემატური ლექსიკის გამოყენებას;

მოსწავლე შეძლებს მცირე ზომის ტექსტის მოსმენას და / ან წაკითხვას და წაკითხული / მოსმენილი ტექსტის ძირითადი შინაარსის გაგებას;

საყრდენების დახმარებით შექმნის მცირე ზომის ზეპირ და წერილობით ტექსტს საკუთარი მოგზაურობის შესახებ;

გააცნობიერებს სხვაობას არ და ვერ ნაწილაკებს შორის და ეცდება მათ ფუნქციურად გამოყენებას;

შეძლებს ზედსართავი სახელისგან ვითარებითი ზმნიზედის წარმოებას (საინტერესო - საინტერესოდ); ტექსტში გამოტოვებული ლექსიკური ერთეულების ჩასმას; საყრდენი სიტყვებით წინადადებების შედგენას.

4 ბუნება და ადამიანი

თემა: ლელა მანგოშვილი - პიკნიკი ბუნებაში.

მოსწავლე შეძლებს:

სიტყვების განმარტებას, წინადადებების შედგენას;

სხვადასხვა დონის სააზროვნო კითხვებზე პასუხების გაცემას; ტექსტის მოსმენა / წაკითხვას; ექსპლიციტურად მოცემულ ინფორმაციასა და მინიშნებებზე დაყრდნობით ტექსტის შინაარსის გააზრებას; მახასიათებლის დაკავშირებას არგუმენტთან (როგორი? იმიტომ, რომ...);

„ში“ და „ზე“ თანდებულიანი ფორმების სწორად გამოყენებას; სიტყვების დაბოლოების ცვლაზე დაკვირვებას და წინადადებაში სწორი ფორმით ჩასმას; ილუსტრაციების აღწერას; მსჯელობას, რა მოხდება თუ ადამიანები ბუნებას არ გაუფრთხილდებიან;

ტექსტის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებას;

დასკვნის გამოტანას;

დამხმარე კითხვებზე დაყრდნობით მცირე მოცულობის ტექსტის შექმნას - „პიკნიკი, რომელიც ყველაზე მეტად მომეწონა“.

5 სურვილები და ოცნებები

თემა: ლელა მანგოშვილი - ვარსკვლავებთან გაგზავნილი სურვილები.

მოსწავლე შეძლებს:

ჰოლანდიელი მხატვრის, ვან გოგის ნახატის - „ვარსკვლავებიანი ღამე“ - მიხედვით საკუთარი ემოციის გადმოცემას;

საუბარს, რომელი სურვილის შესრულებას ნატრობს;

ნახატების დაკავშირებას ერთმანეთთან - ვინ რა ინატრა;

სიტყვებისა და ფრაზების განმარტებების დამახსოვრებას;

ტექსტის მოსმენას / წაკითხვას;

სააზროვნო კითხვებზე პასუხების გაცემას;

ნახატების დაკავშირებას ფრაზებთან;

ქონა-ყოლის მაწარმოებელი „-იანის“ გამოყენებით ცხრილის შევსებას და წინადადებებში სიტყვების სწორად ჩასმას;

ვინ რას აკეთებს - სავარჯიშოს შესრულებას;

ნიმუშების მიხედვით, წინადადებებში მიცემით ბრუნვაში სახელების სწორად ჩასმას (მარიამს უყვარს ცეკვა);

ნიმუშებისა და ილუსტრაციების დახმარებით წინადადებების შედგენას (მე მინდა...; გოგონას / ბიჭუნას უნდა...);

ნიმუშის მიხედვით მცირე მოცულობის წერილობთი ტექსტის შექმნას - „ვინ მინდა, გავხდე, როცა გავიზრდები“.

6 ფასეულობები და ღირებულებები

თემა: იაკობ გოგებაშვილი - ფარშავანგი.

მოსწავლე შეძლებს:

იაკობ გოგებაშვილისა და მის მიერ შედგენილი წიგნების შესახებ ინფორმაციის გაცნობას;

როლური თამაშით დიალოგის წარმართვას;

ფრინველების სახელების გახსენებას;

სიტყვათა განმარტებების დამახსოვრებას;

სიტყვების ილუსტრაციებთან დაკავშირებას;

ტექსტის მოსმენას / წაკითხვას;

სააზროვნო კითხვების დახმარებით ტექსტის გაგება-გააზრებას;

ტექსტის მიხედვით სავარჯიშოებში გამოტოვებული სიტყვების სწორად ჩასმას;

„სწორია თუ არასწორი“ - თამაშით ტექსტის სიღრმისეულად გააზრებას;

ზედმეტი სიტყვის პოვნას;

სქემის - რა? როგორი? როგორ? - შევსებას;

არეული სიტყვების სწორად დალაგებას და წინადადებების შედგენას;

ნიმუშის მიხედვით ილუსტრაციებზე დაკვირვებას და მსჯელობას - რომელია კარგი საქციელი და რომელი - ცუდი;

დასკვნის გაკეთებას - რომელია სწორი მოსაზრება;

ნიმუშის მიხედვით, ტექსტზე დაყრდნობით დიალოგის ჩაწერას.

საგნობრივი მასალა - ხელოვნება

(საგნობრივი და ენობრივი მიზანი)

1 გარემო ჩვენ ირგვლივ

თემა: თბილი და ცივი ფერები.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს:

ისაუბროს თბილი და ცივი ფერების შესახებ, დაახასიათოს ისინი და აღწეროს ნამუშევარში ფერებით შექმნილი განწყობა;

შეადაროს თბილი და ცივი ფერებით შექმნილი ნამუშევრები ერთმანეთს და თავად შექმნას სასურველი დავალება. ნამუშევრის წარდგენისას მოსწავლე შეძლებს საგნობრივი ტერმინების მიზნობრივ გამოყენებას.

2 დღესასწაულები

თემა: შობის დღესასწაული.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ეცოდინება შობის დღესასწაულის აღნიშვნისა და ჩიჩილაკთან დაკავშირებული ტრადიციის შესახებ. შეძლებს ორიგამისა და ძერწვის მეშვეობით საკუთარი ნამუშევრის შექმნას. პრეზენტაციის დროს საგნობრივი ტერმინების სწორად გამოყენებას.

3 მოგზაურობა

თემა: თავგადასავალი წყალზე.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ეცოდინება მარინისტული ჟანრი. თემის ფარგლებში შეძლებს აღწეროს და დაახასიათოს სხვადასხვა ნამუშევარი. ისაუბრებს და იმსჯელებს ნამუშევარზე, როგორც შთაბეჭდილების გადმოცემის საშუალებაზე. საუბრისას შეძლებს საგნობრივი ტერმინების სწორად გამოყენებას.

4 ბუნება და ადამიანი

თემა: ბუნება და ადამიანი.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ეცოდინება ხელოვნებისა და ბუნების მჭიდრო კავშირის შესახებ. მოსწავლე შეძლებს დაახასიათოს ბუნების ასახვის სხვადასხვა თავისებურება მხატვართა შემოქმედებაში. მოსწავლეს ეცოდინება ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი ფერების მიღების წესი. ის თავად შექმნის ნამუშევრებს აღნიშნულ თემაზე;

ისაუბრებს ფერების შესახებ და შეძლებს სწორად გამოიყენოს საგნობრივი ტერმინები.

5 სურვილები და ოცნებები

თემა: პროფესია - მოქანდაკე.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს:

ამოიცნოს და დაახასიათოს სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები;

იმსჯელოს მოქანდაკის საქმიანობის შესახებ; ისაუბროს ბერძნული და რომაული ცნობილი ქანდაკებების შესახებ;

იმსჯელოს სხვადასხვა მასალისა და მახასიათებლების შესახებ ქანდაკებაში. ნამუშევრის წარდგენისას შეძლებს სწორად გამოიყენოს საგნობრივი ტერმინოლოგია.

6 ფასეულობები და ღირებულებები

თემა: ფარშავანგი.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ეცოდინება ფარშავანგის სიმბოლიკის მნიშვნელობა და სხვადასხვა მხატვრის შემოქმედებაში მისი გამოსახვის შესახებ. მოსწავლეს ეცოდინება კონტრასტული ფერების ამოცნობა და ნამუშევარში გამოყენება. საუბრისას შეძლებს საგნობრივი ტერმინების გამოყენებას.

საგნობრივი მასალა - ბუნებისმეტყველება

(საგნობრივი და ენობრივი მიზანი)

1 გარემო ჩვენ ირგვლივ

თემა: ცოტა რამ მწერების შესახებ.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ეცოდინება მწერების ზოგადი მახასიათებლები; შეძლებს დაასახელოს მწერის სხეულის ნაწილები;

შეძლებს განასხვაოს ცოცხალი და არაცოცხალი;

შეძლებს აღწეროს ფუტკრის ოჯახი და იმსჯელოს თითოეული წევრის ფუნქციაზე;

შეძლებს სწორად გამოიყენოს საგნობრივი ტერმინები.

2 დღესასწაულები

თემა: დედამიწის რელიეფი.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს აღწეროს დედამიწის რელიეფის ფორმები;

იმსჯელოს რა სხვაობაა რელიეფის ფორმებს შორის;

შეძლებს სწორად გამოიყენოს საგნობრივი ტერმინები.

3 მოგზაურობა

თემა: რა არის კოღო?

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს დაახასიათოს მწერების აგებულება; შეძლებს იმსჯელოს სასარგებლო და მავნე მწერების მნიშვნელობაზე;

აღწეროს მწერების სასიცოცხლო ციკლი, იმსჯელოს კოღოს მავნებლობაზე ადამიანის ჯანმრთელობისათვის და პრევენციის გზებზე.

შეძლებს გამოიყენოს საგნობრივი ტერმინები.

4 ბუნება და ადამიანი

თემა: ბუნების მნიშვნელობა და მისი დაცვის აუცილებლობა.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს აღწეროს, რა მნიშვნელობა აქვს ბუნების დაცვას;

დაასახელოს გარემოსათვის მავნე ნარჩენები. იმსჯელოს, რა განსხვავებაა ბიოდეგრადირებად და არაბიოდეგრადირებად ნარჩენებს შორის;

რა ტიპის ნარჩენები შეიძლება კომპოსტირდეს;

რატომ არის მნიშვნელოვანი მავნე ნარჩენების სპეციალური უტილიზაცია.

შეძლებს სწორად გამოიყენოს საგნობრივი ტერმინები და სიტყვები.

5 სურვილები და ოცნებები

თემა: პროფესიები.

თემის დასრულების შემდგომ მოსწავლე შეძლებს ამოიცნოს და აღწეროს სხვადასხვა პროფესიისათვის დამახასიათებელი ატრიბუტიკა და ამ პროფესიების წარმომადგენელთა ფუნქციები;

იმსჯელოს სხვადასხვა პროფესიის მნიშვნელობაზე ადამიანის საქმიანობაში.

შეძლებს სწორად გამოიყენოს საგნობრივი ტერმინოლოგია.

6 ფასეულობები და ღირებულებები

თემა: დეკორატიული ფრინველები.

თემის დასრულების შემდგომ მოსწავლე შეძლებს აღწეროს დეკორატიული ფრინველების მნიშვნელობა ბუნებისა და ადამიანისათვის. შეეძლება რამდენიმე დეკორატიული ფრინველის დასახელება და მათი ამოცნობა გარეგნული მახასიათებლების მიხედვით.

ასევე, შეძლებს სწორად გამოიყენოს სიტყვები და საგნობრივი ტერმინები.

საგნობრივი მასალა - მათემატიკა

(საგნობრივი და ენობრივი მიზანი)

1 გარემო ჩვენ ირგვლივ

თემა: სივრცული ფიგურები.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე აღწერს სივრცულ ფიგურებს და დააკავშირებს მათ ყოფით საგნებთან;

დააჯგუფებს ფიგურებს გეომეტრიული ატრიბუტიკის მიხედვით;

ამოიცნობს სივრცული გეომეტრიული ფიგურების შლილს;

იმსჯელებს თემატური ტერმინოლოგიის გამოყენებით.

2 დღესასწაულები

თემა: ნატურალური რიცხვების გამრავლება.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ეცოდინება ნატურალური ერთნიშნა რიცხვების გამრავლება;

შეძლებს საგნების რაოდენობების პოვნას ჯგუფებად დაყოფით;

აღწერს გამრავლების თვისებებს;

იმსჯელებს თემატური ტერმინოლოგიის გამოყენებით.

3 მოგზაურობა

თემა: ნატურალური რიცხვების გაყოფა.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს, საგნების გროვის ტოლი რაოდენობების ჯგუფებად დაყოფის საშუალებით, გაყოფის მოქმედების დემონსტრირებას;

ეცოდინება გამრავლებისა და გაყოფის ურთიერთდაკავშირება;

გააზრებულად გამოიყენებს სხვადასხვა ამოცანაში გამრავლება-გაყოფის თვისებებს; ისაუბრებს ნაშთიან გაყოფაზე;

იმსჯელებს ამოცანების ამოხსნის დროს თემატური ტერმინოლოგიის გამოყენებაზე.

4 ბუნება და ადამიანი

თემა: სიგრძის ერთეულები.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შესძლებს სიგრძის სხვადასხვა ერთეულის გამოყენებას და ერთმანეთთან დაკავშირებას;

ეცოდინება საგანთა და ფიგურათა გაზომვა და ობიექტებს შორის მანძილის პოვნა;

იმსჯელებს სიგრძის საზომი ერთეულების შესახებ შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.

5 სურვილები და ოცნებები

თემა: 1000-მდე რიცხვების გამოსახვა.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე ისაუბრებს რიცხვების გამოსახვის სხვადასხვა მოდელზე;

ეცოდინება რიცხვის გაშლა სათანრიგო შესაკრებების მიხედვით;

გაიაზრებს 1000-მდე რიცხვების წარმოდგენის პოზიციურ სისტემას;

იმსჯელებს თემატური ტერმინოლოგიის გამოყენებით.

6 ფასეულობები და ღირებულებები

თემა: პერიმეტრი.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს გეომეტრიულ ფიგურათა იდენტიფიცირებას, მათ კლასიფიცირებას;

ეცოდინება მრავალკუთხედების პერიმეტრის გამოთვლა;

იმსჯელებს თემატური ტერმინოლოგიის გამოყენებით.

თავი 1, დონე: 2

საგნობრივი მასალა - ქართული ენა

(საგნობრივი და ენობრივი მიზანი)

1 გარემო ჩვენ ირგვლივ

თემა: ლია შალვაშვილი - შოშიას სიმღერა (წიგნიდან: „მინდა ყველაფერი ვიცოდე“).

მოსწავლე შეძლებს მცირე ზომის ტექსტის მოსმენას და / ან წაკითხვას და წაკითხული / მოსმენილი ტექსტის ძირითადი შინაარსის გაგებას;

ილუსტრაციისა და შეკითხვების დახმარებით შეძლებს ვარაუდების გამოთქმას ტექსტის სავარაუდო შინაარსთან დაკავშირებით;

გრამატიკულ კონსტრუქციებზე დაკვირვებით შეძლებს მიზეზ-შედეგობრივი ლექსიკის (რატომ? იმიტომ, რომ...) შესწავლას და ფუნქციურ გამოყენებას;

შეძლებს დააკავშიროს ემოციის გამომხატველი სიტყვები მის სიმბოლურ გამოსახულებასთან;

ნიმუშის მიხედვით შექმნის „-ულ“ დაბოლოებიან სიტყვებს (გაოცებული...);

შეძლებს სიტყვის ძირზე დაკვირვებას (ფრინველი, აფრენილი, იფრინა...);

შეძლებს მიმართვის ფორმების გამოყენებას (ჩემო კარგო, შოშიავ...);

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს ტექსტის თემისა და საკუთარი გამოცდილების დაკავშირებას;

სიკეთეზე საუბრისას შეძლებს მარტივი თემატური ლექსიკის გამოყენებას.

2 დღესასწაულები

თემა: ასტრიდ ლინდგრენი - პეპის დაბადების დღე (ნაწყვეტი).

მოსწავლე შეძლებს მცირე ზომის ტექსტის მოსმენას და / ან წაკითხვას და წაკითხული / მოსმენილი ტექსტის ძირითადი შინაარსის გაგებას;

შეძლებს თემატური საყრდენი სიტყვების გამოყენებით სურათის აღწერას;

შეძლებს საუბარს საკუთარ დაბადების დღეზე;

გრამატიკულ კონსტრუქციებზე დაკვირვებით შეძლებს სუბიექტის ბრუნვის ფუნქციურად გამოყენებას;

დააკვირდება ფუძის კუმშვას და შეძლებს კუმშვადი სიტყვების ამოცნობას;

შეძლებს „-ში“ და „-ზე“ თანდებულების მიზნობრივად გამოყენებას.

თხრობის სქემის მეშვეობით შეძლებს ტექსტის შინაარსის ზეპირად გადმოცემას.

საყრდენი ფრაზებისა და თემატური ლექსიკის დახმარებით შექმნის მცირე ზომის წერილობით ტექსტს (მოსაწვევ ბარათს).

3 მოგზაურობა

თემა: ლელა მანგოშვილი - მოგზაურობა დროის მანქანით.

მოსწავლე შეძლებს:

თემის მიხედვით სიტყვების ილუსტრაციებთან სწორად დაკავშირებას;

მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვების დახმარებით მოგზაურობის შესახებ საუბარს; თემის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებას;

ცნობილი მოგზაურების ილუსტრაციებისა და მათ შესახებ მოცემული ინფორმაციის (ფრაზების) ერთმანეთთან დაკავშირებას;

ტექსტის მოსმენას / წაკითხვას;

სიტყვების განმარტების დასწავლას და ახალი სიტყვების გამოყენებით წინადადებების შედგენას;

სააზროვნო კითხვებზე პასუხების გაცემას;

ილუსტრაციების აღწერას და ტექსტის მიხედვით თანმიმდევრობით დალაგებას;

მოთხრობის მთავარი აზრის გადმოცემას;

ზმნის დროსთან დაკავშირებული სავარჯიშოების შესრულებას (ზმნის უღლება, პირის ნიშნების გამოკვეთა, ზმნასთან სუბიექტის წარსულ დროში მოთხრობითი ბრუნვის ფორმით შეწყობა);

წინადადებებში სიტყვების სწორი ფორმით ჩასმას;

ცხრილისა და ნიმუშის მიხედვით წინადადებების შედგენას;

დამატებითი ინფორმაციის გაცნობას (ლეონარდო და ვინჩის პირველი ავტომობილის იდეა) და ვიდეობმულის ნახვას, როგორ დაამზადეს პირველი სამბორბლიანი ავტომობილი;

ნიმუშის, ილუსტრაციებისა და კითხვების დახმარებით მცირე მოცულობის წერილობითი ტექსტის შექმნას -,,მოგზაურობა დროის მანქანით''.

4 ბუნება და ადამიანი

თემა: ფოტოამბები (მოსწავლეთა ტექსტები).

მოსწავლეები შეძლებენ თანატოლების მიერ შექმნილი მცირე ტექსტების გაგება-გააზრებას.

ილუსტრაციების შესაბამის სიტყვებთან დაკავშირების სავარჯიშოებისა და ონლაინ ლექსიკონების დახმარებით, აითვისებენ ახალი ლექსიკურ ერთეულებს;

ისწავლიან „-ზე“, „-ში“ თანდებულების სწორად გამოყენებას წინადადებაში.

მოსწავლეები შეძლებენ სიხშირის გამომხატველი ზმნიზედების მნიშვნელობის გაგება-გააზრებასა და წინადადებაში სწორად გამოყენებას;

ნასწავლი ტერმინოლოგიის გამოყენებით თავად შექმნიან წაკითხული ფოტოამბების მსგავს მცირე ზომის ტექსტებს.

3 მოგზაურობა

თემა: დონალდ ბისეტი - „გინდა... გინდა... გინდა...“.

მოსწავლეები ილუსტრაციების შესაბამის სიტყვებთან დაკავშირებისა და ტესტური სავარჯიშოების დახმარებით აითვისებენ ახალი ლექსიკურ ერთეულებს;

განიმტკიცებენ ცოდნას, თუ როგორ გამოიყენონ წინადადებებში სწორად სიტყვა “მინდა” პირის ნაცვალსახელებთან ერთად;

შეძლებენ წაიკითხონ და შესაბამისი სავარჯიშოების დახმარებით გაიაზრონ ტექსტი;

შეისწავლიან კავშირების ტიპებს (მაერთებელი და მაკავშირებელი) და შეძლებენ სწორად გამოიყენონ ახალი წინადადების წარმოებისას;

ნასწავლი ლექსიკისა და გრამატიკული ერთეულების გამოყენებით შეძლებენ თავად შექმნან მცირე ზომის ტექსტი იმის შესახებ, თუ როგორ დაგეგმავდნენ მოგზაურობას ჯადოსნური ხის დახმარებით.

4 ბუნება და ადამიანი

თემა: ქართული ხალხური ზღაპარი - ხელმწიფის შვილისა და ხელმწიფის ამბავი.

მოსწავლე ილუსტრაციების შესაბამის სიტყვებთან დაკავშირებისა და ტესტური სავარჯიშოების დახმარებით აითვისებს ახალ ლექსიკურ ერთეულებს;

შეძლებს წაიკითხოს და გაიაზროს ქართული ხალხური ზღაპარი “ხელმწიფის შვილისა და ხელმწიფის ამბავი”;

შეძლებს წინადადებაში სწორად გამოიყენოს სახელობითი და წოდებითი ბრუნვის ფორმები;

გაიმეორებს და განიმტკიცებს ცოდნას კავშირების სწორად გამოყენების საკითხში (ადგილი: სადაც, საიდანაც, საითკენაც, საითაც, რომ... დრო: რომ, სანამ, თუ არა, როგორც კი);

ეცოდინება ბრძანებითი წინადადების გარჩევა;

შეძლებს ბრძანებითი წინადადების გაგებას შინაარსის მიხედვით;

ასევე, შეძლებს თავად შექმნას ბრძანებითი წინადადებები;

დააკავშირებს ახალ ნასწავლ მასალას პირად გამოცდილებასთან და შეძლებს მცირე ზომის დიალოგური ტიპის ტექსტების შექმნას;

საბაზისო ლექსიკური ერთეულების საფუძველზე შეძლებს დაახასიათოს ხელმწიფე და შვილი; შეაფასოს მათი ქცევა.

საგნობრივი მასალა - ხელოვნება

(საგნობრივი და ენობრივი მიზანი)

1 გარემო ჩვენ ირგვლივ

თემა: ანიმალისტური ჟანრი.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს ისაუბროს ანიმალისტური ჟანრის შესახებ;

შეძლებს შეადაროს ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები ერთმანეთს;

გამოიყენოს საგნობრივი ტერმინები და თავად შექმნას ნამუშევარი მოცემულ თემაზე.

2 დღესასწაულები

თემა: წიგნის ილუსტრაცია.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს ისაუბროს წიგნის მხატვრული გაფორმების მნიშვნელობაზე;

ამოიცნობს და იმსჯელებს სხვადასხვა საბავშვო ილუსტრაციის თავისებურებებსა და ხასიათზე;

თემატური ტერმინოლოგიის გამოყენებით შეძლებს დაახასიათოს და იმსჯელოს სხვადასხვა ილუსტრაციაზე.

3 მოგზაურობა

თემა: მუზეუმი - დროში მოგზაურობის ადგილი.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ეცოდინება მუზეუმის ფუნქციისა და მნიშვნელობის შესახებ;

იმსჯელებს სხვადასხვა ტიპის მუზეუმების თაობაზე;

ისაუბრებს სხვადასხვა ექსპონატის - როგორც ისტორიულის, ასევე მხატვრულის - მნიშვნელობის შესახებ;

საუბრის დროს შეძლებს სწორად გამოიყენოს თემატური ტერმინოლოგია.

4 ბუნება და ადამიანი

თემა: ფოტოგრაფია - წამის გაჩერება.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს ისაუბროს ფოტოგრაფიის ისტორიის შესახებ;

ეცოდინება პირველი ფერადი და შავ-თეთრი ფოტოების გადაღების ამბავი;

იმსჯელებს ფოტოს, როგორც ისტორიის მთხრობელის მნიშვნელობაზე.

5 სურვილები და ოცნებები

თემა: სიცოცხლის ხე.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ეცოდინება სიცოცხლის ხის სიმბოლიკა;

სხვადასხვა ნამუშევარში სიცოცხლის ხის გამოსახვის თავისებურება;

შეძლებს საგნობრივი თემატური ტერმინოლოგიის სწორად გამოყენებას.

6 ფასეულობები და ღირებულებები

თემა: კულტურული მემკვიდრეობა.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ეცოდინება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის - ტრადიციული ოდა სახლების შესახებ;

ისაუბრებს / იმსჯელებს მისი გეგმარებისა და სხვადასხვა დეტალის თაობაზე;

ეცოდინება ორნამენტის მნიშვნელობა და სხვადასხვა მასალაზე მისი გამოსახვის ნაირგვარობა;

შეძლებს საგნობრივი ტერმინოლოგიის სწორად გამოყენებას.

საგნობრივი მასალა - ბუნებისმეტყველება

(საგნობრივი და ენობრივი მიზანი)

1 გარემო ჩვენ ირგვლივ

თემა: ფრინველების მახასიათებლები.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს დაასახელოს ფრინველების ზოგადი მახასიათებლები;

მოახდინოს კლასიფიკაცია და შეადაროს ერთმანეთს შინაური და გარეული ფრინველები;

შეძლებს სწორად გამოიყენოს საგნობრივი ტერმინები.

2 დღესასწაულები

თემა: ჯანსაღი კვების მნიშვნელობა.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ეცოდინება ჯანსაღი კვების მნიშვნელობა;

შეძლებს სწორად ჩამოთვალოს საკვების ძირითადი ჯგუფები და განალაგოს კვებით პირამიდაზე;

ეცოდინება, რას აღნიშნავს საკვების ეტიკეტი და შეძლებს მის წაკითხვას;

იმსჯელებს ადამიანის ჯანმრთელობისათვის სწორი კვების მნიშვნელობაზე. შეძლებს სწორად გამოიყენოს საგნობრივი ტერმინები.

3 მოგზაურობა

თემა: კლიმატის ცვლილება.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს აღწეროს ტყის სხვადასხვა ტიპი;

ეცოდინება კლიმატის ცვლილების ძირადი მიზეზები;

შეძლებს იმსჯელოს, რა შედეგი შეიძლება მოიტანოს ტყეების განადგურებამ;

მარტივი მოდელის გამოყენებით აღწერს გამყინვარების პროცესს;

შეძლებს სწორად გამოიყენოს თემატური ტერმინები.

4 ბუნება და ადამიანი

თემა - ფოტოხაფანგები და ფოტონადირობა.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ეცოდინება, რა არის ფოტოხაფანგი და როგორია მისი მუშაობის პრინციპი;

შეძლებს შეადაროს ფოტოხაფანგისა და ფოტოგრაფის მუშაობა;

იმსჯელებს ფოტონადირობისა და ფოტოხაფანგის გამოყენების მნიშვნელობაზე მეცნიერებაში;

შეძლებს სწორად გამოიყენოს თემატური ტერმინები.

5 სურვილები და ოცნებები

თემა: მოგზაურობა მთვარეზე.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს აღწეროს მთვარის ზედაპირი;

იმსჯელოს, რა იწვევს მთვარის ზედაპირზე უწონო მდგომარეობას;

როგორ წარმოიქმნება კრატერები მთვარის ზედაპირზე;

შეადაროს დედამიწა და მთვარე სხვადასხვა მახასიათებლით;

შეძლებს მსჯელობის დროს სწორად გამოიყენოს თემატური ტერმინები.

6 ფასეულობები და ღირებულებები

თემა: საცხოვრებელი სახლები.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს დაახასიათოს საცხოვრებელი სახლის ტიპები;

იმსჯელებს სახლის დიზაინსა და სამშენებლო მასალის არჩევის ფაქტორებზე;

შეძლებს განასხვაოს საცხოვრებელი სახლების ტიპები რეგიონების მიხედვით;

შეძლებს სწორად გამოიყენოს თემატური ტერმინები.

საგნობრივი მასალა - მათემატიკა

(საგნობრივი და ენობრივი მიზანი)

1 გარემო ჩვენ ირგვლივ

თემა: წილადები.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს ნახევარი / მესამედი / მეოთხედი / მერვედი ნაწილების ამოცნობას და დასახელებას სხვადასხვა მოდელზე;

შეძლებს გამოიყენოს გაორმაგება და ერთმანეთთან დააკავშიროს მთელის მეოთხედი და ნახევარი;

შეადაროს მთელის ნაწილი მთელის ნახევარს მოდელზე;

იმსჯელოს თემატური ტერმინოლოგიის გამოყენებაზე.

2 დღესასწაულები

თემა: პროპორცია.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ეცოდინება რა არის პროპორცია და ფარდობა;

შეძლებს შეამოწმოს, რომელი ტოლობებია პროპორციული;

გამოიყენებს პროპორციის ძირითად თვისებას და ამოხსნის მარტივ ამოცანებს;

იმსჯელებს თემატური ტერმინოლოგიის გამოყენებით.

3 მოგზაურობა

თემა: პირდაპირპროპორციული და უკუპროპორციული დამოკიდებულება.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს სიდიდეებს შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულების ამოცნობას და გამოსახვას;

ისაუბრებს სიდიდეებს შორის უკუპროპორციულ დამოკიდებულებაზე;

ამოხსნის მარტივ პროპორციულ დამოკიდებულებასთან დაკავშირებულ ამოცანებს;

მოსწავლეს ეცოდინება ის ტერმინები, რომლებიც დაკავშირებულია პირდაპირპროპორციულ და უკუპროპორციულ სიდიდეებზე.

4 ბუნება და ადამიანი

თემა: მასშტაბი.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ეცოდინება რა არის მასშტაბი;

იმსჯელებს თუ როგორ გამოითვლება ორ გეოგრაფიულ ობიექტს შორის მანძილი მასშტაბის დახმარებით;

აღწერს, რუკაზე ასახვის მიხედვით, მასშტაბის სახეებს;

იმსჯელებს მასშტაბთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის გამოყენებაზე.

5 სურვილები და ოცნებები

თემა: ფართობი.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე დაფარავს ბრტყელ ფიგურას კვადრატული ბადით და შეაფასებს მის ფართობს;

რეალურ ვითარებაში იპოვის მართკუთხა ობიექტის ფართობს და შედეგს წარმოადგენს შესაბამის ერთეულებში;

გამოიყენებს ფართობის გამოსათვლელ ფორმულას პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად;

იმსჯელებს ფართობზე შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით.

6 ფასეულობები და ღირებულებები

თემა: წრეწირის სიგრძე.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე აღწერს წრის / წრეწირის ელემენტებს;

ეცოდინება წრის სექტორებად დაყოფა;

შეძლებს წრეწირის სიგრძის გამოთვლას როგორც ფორმულის გამოყენებით, ასევე ფორმულის გამოყენების გარეშე;

მსჯელობისას გამოიყენებს წრესთან / წრეწირთან დაკავშირებულ ტერმინებს (ცენტრი, დიამეტრი, რადიუსი, ქორდა).

თავი 1, დონე: 3

საგნობრივი მასალა - ქართული ენა

(საგნობრივი და ენობრივი მიზანი)

1 გარემო ჩვენ ირგვლივ

თემა: რ.ინანიშვილი - სად ცხოვრობს მეზღაპრე.

მოსწავლე, ილუსტრაციებისა და სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირების სავარჯიშოს დახმარებით, შეძლებს ახალი ლექსიკის ათვისებას;

გაიმეორებს სურათის აღწერისთვის საჭირო ლექსიკას, მდებარეობის აღმნიშვნელ სიტყვებს (ზევით, ქვევით, მარჯვნივ, მარცხნივ, ქვეშ, წინ, უკან, გვერდით). სურათის აღწერის შემდეგ თავად წარმოიდგენს და ისაუბრებს თუ როგორ გარემოში შეიძლება ცხოვრობდეს მეზღაპრე. შეძლებს წაიკითხოს და გაიაზროს ტექსტის შინაარსი. შეადარებს წარმოსახულ და წაკითხულ ინფორმაციას და იმსჯელებს მათ შორის მსგავსებაზე / განსხვავებაზე. შეძლებს, უკვე დამუშავებული ლექსიკის დახმარებით, შექმნას მცირე ზომის ტექსტი - თავად რომ იყოს მეზღაპრე, როგორ გარემოს შეარჩევდა საცხოვრებლად. ნიმუშის მიხედვით შეძლებს გაიაზროს სიტყვათწარმოების წესი და დაშალოს კომპოზიტები: ტანჭრელი, ფეხებაკეცილი. ასევე შეძლებს არსებული ცოდნის გააქტიურებას და გაიხსენებს მისთვის ნაცნობ კომპოზიტებს.

2 დღესასწაულები

თემა: არამ ლარიანი - ბებიის მადლიერების სიურპრიზი.

მოსწავლე ილუსტრაციების, ონლაინ ლექსიკონისა და სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირების სავარჯიშოს დახმარებით, შეძლებს ახალი ლექსიკის ათვისებას;

შეძლებს მადლიერების დღის შესახებ მცირე საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრებას, ასევე, მხატვარ ჟან ლეონ ჯერომ ფერისის დამუშევრის - „პირველი მადლიერების დღე" აღწერას;

საყრდენი ლექსიკის მიწოდების შედეგად შეძლებს ისაუბროს თუ რომელია მისი საყვარელი ტრადიცია და რატომ;

შეძლებს წაიკითხოს და შესაბამისი სავარჯიშოების დახმარებით გაიაზროს ტექსტი „ბებიის მადლიერების სიურპრიზი". მოსწავლეები ისწავლიან მაკავშირებელი სიტყვების (რადგან, რის გამო) სწორად გამოყენებას წინადადებაში;

შეძლებენ დღესასწაულთან დაკავშირებული საკუთარი თავგადასავლის შესახებ შეადგინონ მცირე ტექსტი მაკავშირებელი სიტყვების გამოყენებით.

3 მოგზაურობა

თემა: დავით ჯავახიშვილი - თომას საოცარი მოგზაურობა წყალქვეშა სამყაროში.

წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, მოსწავლე ისაუბრებს წყალქვეშა სამყაროზე;

ისაუბრებს წყალქვეშა სამყაროს შესახებ წაკითხულ წიგნზე ან ნანახ ანიმაციაზე;

დაასახელებს, ყველაზე მეტად რომელი წყლის ბინადარი მოსწონს და ჩამოთვლის მოწონების მიზეზებს. მოსწავლე, ილუსტრაციების, ონლაინ ლექსიკონისა და სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირების სავარჯიშოს დახმარებით, შეძლებს ახალი ლექსიკის ათვისებას, ეცოდინება წინადადებაში ვით თანდებულის გამოყენების წესი, შეძლებს თავად აწარმოოს სიტყვები „-ვით“ თანდებულის გამოყენებით;

ეცოდინება, რას გამოხატავს კრებითი სახელი და დაისწავლის რამდენიმე მათგანს: ჯოგი, ფარა, რემა, ნახირი, გუნდი, ხროვა; შეძლებს ცხოველთა ხმიანობის გარჩევას. წაკითხულის უკეთ გააზრებისა და მოვლენათა ლოგიკური თანმიმდევრობის დაცვის მიზნით, მოსწავლე შეადგენს თომას მოგზაურობის რუკას. მოსწავლე შეძლებს, თავად დაწეროს მცირე ტექსტი წყალქვეშა მოგზაურობის შესახებ: როგორ წარმოუდგენია საკუთარი მოგზაურობა წყლის ქვეშ, რომელ ცხოველებს შეხვდებოდა და რა თავგადასავალი ექნებოდა.

4 ბუნება და ადამიანი

თემა: რევაზ ინანიშვილი - მელია და მე.

მოსწავლე, ილუსტრაციისა და შეკითხვების დახმარებით, შეძლებს საყრდენი სიტყვების (ჩემი ვარაუდით, მგონია, ვფიქრობ, ჩემი აზრით...) გამოყენებას ტექსტის შინაარსთან დაკავშირებით ვარაუდების გამოთქმისას;

შეძლებს მცირე ზომის ტექსტის მოსმენას და / ან წაკითხვას და წაკითხული / მოსმენილი ტექსტის ძირითადი შინაარსის გაგებას;

შეძლებს მაკავშირებელი სიტყვების (ხან, ან, გინდ, თუნდ) ფუნქციურად გამოყენებას;

გრამატიკულ კონსტრუქციებზე დაკვირვებით, შეძლებს მიზეზ-შედეგობრივი ლექსიკის (რატომ? რადგან...) შესწავლას და ფუნქციურ გამოყენებას.

გააცნობიერებს სხვაობას არ / აღარ / ვერ / ვეღარ უარყოფით ნაწილაკებს შორის და ეცდება მათ ფუნქციურად გამოყენებას;

ნიმუშის მიხედვით გაიაზრებს სიტყვათწარმოების წესს და შექმნის კომპოზიტებს (ტანი + წვრილი = ტანწვრილი);

დააკვირდება, როგორ არის გადმოცემული ტექსტში პერსონაჟის გარეგნობა და მონიშნავს სათანადო ლექსიკას.

პერსონაჟის როლის მორგებით, მოსწავლე მონაწილეობას მიიღებს მარტივ დიალოგში ნასწავლ თემაზე სასაუბროდ.

5 სურვილები და ოცნებები

თემა: დავით ჯავახიშვილი - ბიძია სევა გვჩუქნის თოვლს.

მოსწავლე შეძლებს ტექსტის მოსმენას და / ან წაკითხვას; მოსმენილი / წაკითხული ტექსტის ძირითადი შინაარსის გაგებას;

საყრდენების დახმარებით შექმნის მცირე ზომის ზეპირ ან წერილობით მიზნობრივ ტექსტებს;

ნასწავლი ლექსიკის, ენობრივი გამოთქმების, თემატური ფრაზეოლოგიზმებისა და გრამატიკული კონსტრუქციების დახმარებით, შეძლებს ილუსტრაციების აღწერასა და მარტივ დიალოგებში მონაწილეობას;

მოსწავლე შეძლებს თემასთან დაკავშირებულ ლექსიკური ერთეულებისა და ფრაზების გამოყენებას;

კუმშვადი სიტყვების მიზნობრივად გამოყენებას;

გაიაზრებს ზმნის მოქმედი და სამოქმედო პირებს შორის სხვაობას (ვეხმარები, მეხმარება) და ზოგიერთ ზმნისწინთა ფუნქციას (ამო-, ჩა- / ჩამო-); აღმოაჩენს ზმნით გამოხატულ დასრულებულ და დაუსრულებელ მოქმედებებს შორის სხვაობას (დახატა, ხატავდა);

ნიმუშის მიხედვით შეადგენს ორცნებიან კომპოზიტებს (და-ძმა);

კონკრეტული მონაკვეთისა და საყრდენი სიტყვების (ჩემი აზრით, ვფიქრობ, მგონია, რადგან, იმიტომ რომ..., ამ მონაკვეთში ჩანს, რომ...) გამოყენებით იმსჯელებს პერსონაჟის თვისებების შესახებ.

6 ფასეულობები და ღირებულებები

თემა: ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი - პატარა უფლისწული.

მოსწავლე მინიშნებების დახმარებით შეძლებს საყრდენი სიტყვების (ჩემი ვარაუდით, ალბათ, მგონია, ვფიქრობ, ჩემი აზრით...) გამოყენებას ტექსტის შინაარსთან დაკავშირებული ვარაუდების გამოთქმისას;

შეძლებს მცირე ზომის ტექსტის მოსმენას და / ან წაკითხვას და წაკითხული / მოსმენილი ტექსტის ძირითადი შინაარსის გაგებას; საყრდენი ფრაზების გამოყენებით იმსჯელებს პერსონაჟის საქციელის შესახებ;

კონტექსტზე დაკვირვებით ამოიცნობს ფრაზეოლოგიზმებს; შეისწავლის თემატურ ლექსიკას (არ(ა) მცალია = დაკავებული ვარ = საქმე მაქვს) და მისი გამოყენებით შეადგენს დიალოგს;

გაიაზრებს სიტყვებს შორის შინაარსობრივ სხვაობას და მსგავსებას (პატარა, პაწაწინა, პაწაწკინტელა);

დააკვირდება მიგებით ნაწილაკებს, გაიაზრებს მათ შორის სხვაობას და შეძლებს

გამოყენებას (ჰო, კი, დიახ, არა, ვერ);

დააკვირდება შორისდებულებს (აა, ვაი, ეჰ, ოჰ, ფუ) და შეძლებს მათ გამოყენებას;

შეძლებს უარყოფით სიტყვებს შორის სხვაობის გააზრებას და ფუნქციურად გამოყენებას (არ - აღარ, ვერ - ვეღარ, აღარაფერი, ვეღარაფერი), გაიაზრებს ცალმაგი და ორმაგი უარყოფის საკითხს;

შეძლებს რაოდენობითი რიცხვითი სახელების სწორად ჩაწერას;

მოსწავლე დააკვირდება ზმნის ფორმებს (ვვარჯიშობ, ვვარაუდობ) და შეისწავლის I სუბიექტური პირის მართლწერის საკითხს;

შეისწავლის ზოგიერთ ვითარებით ზმნიზედას (ზოგჯერ, იშვიათად, ყოველთვის...) და შეძლებს მათ გამოყენებას ზეპირი და წერილობითი მეტყველების დროს.

საგნობრივი მასალა - ხელოვნება

(საგნობრივი და ენობრივი მიზანი)

1 გარემო ჩვენ ირგვლივ

თემა: პეიზაჟი.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს ისაუბროს და დაახასიათოს სხვადასხვა პეიზაჟის ნიმუშები;

აღწეროს და შეადაროს ისინი ერთმანეთს საგნობრივი ტერმინლოგიის გამოყენებით; დაახასიათებს გარემოს თავისებურებას სხვადასხვა ფერწერულ ნამუშევარში და სხვადასხვა სახვითი ხერხით თავად შექმნის ნამუშევარს.

2 დღესასწაულები

თემა: ყოფითი ჟანრი.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ეცოდინება ყოფითი ჟანრის მახასიათებლები; შეძლებს იმსჯელოს და ამოიცნოს ჟანრული ნამუშევრები;

ეცოდინება სხვადასხვა ეპოქაში ყოფითი ჟანრის ასახვის თავისებურება;

იმსჯელებს, რა ინფორმაციას გვაწვდის ესა თუ ის ფერწერული ნამუშევარი; ეცოდინება აპლიკაციის ტექნიკა.

საუბრის დროს გამოიყენებს საგნობრივ ტერმინოლოგიას.

3 მოგზაურობა

თემა: წყალქვეშა სამყარო.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს მცირე საინფორმაციო ტექსტების გამოყენებით გაეცნოს წყალქვეშა სამყაროს. ისაუბრებს თუ როგორ, რა განსხვავებული ხერხებით ასახავს სხვადასხვა მხატვარი წყლის ბინადრებს. სხვადასხვა ნამუშევარზე დაკვირვებით შეძლებს იმსჯელოს მოცულობით და სიბრტყობრივ ფორმებზე; თავადვე შეძლებს შექმნას ნამუშევარი აღნიშნულ თემაზე. საუბრის დროს მოსწავლე შეძლებს საგნობრივი თემატური ტერმინოლოგიის სწორად გამოყენებას.

4 ბუნება და ადამიანი

თემა: ბუნება და ადამიანი.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ეცოდინება ბუნების როლი და მნიშვნელობა მხატვართა შემოქმედებაში;

იმსჯელებს სხვადასხვა ნამუშევარში ბუნების დანიშნულების შესახებ, აღწერს და დაახასიათებს მას;

შეძლებს იმსჯელოს ცნობილი მხატვრების მიერ ბუნების ასახვის შესახებ;

თავად შექმნის თემასთან დაკავშირებულ ნამუშევარს;

საუბრისას შეძლებს, სწორად გამოიყენოს საგნობრივი ტერმინოლოგია.

5 სურვილები და ოცნებები

თემა: საქართველოს პეიზაჟები.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს იმჯელოს სხვადასხვა მხატვრის მიერ ასახულ სამშობლოს ხედებზე;

შეძლებს შეადაროს სხვადასხვა მხარის არქიტექტურა და და პეიზაჟები;

იმსჯელებს ნამუშევრის გამოსახვის სხვადასხვა ხერხსა და საშუალებაზე;

თავად შეძლებს შექმნას ნამუშევარი აღნიშნულ თემაზე;

ისჯელობისას შეძლებს საგნობრივი ტერმინოლოგიის სწორად გამოყენებას.

6 ფასეულობები და ღირებულებები

თემა: ბავშვთა სახეები ფერწერაში.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ეცოდინება ხელოვნების, როგორც თერაპიის ერთ-ერთი საშუალების შესახებ;

ისაუბრებს სხვადასხვა მხატვრის ნამუშევრებზე, რომლებზეც ბავშვთა პორტრეტებია წარმოდგენილი;

იმსჯელებს გამოსახვის სხვადასხვა საშუალებასა და ხერხზე;

თავად შექმნის ნამუშევარს და პრეზენტაციისას ისაუბრებს საგნობრივი ტერმინოლოგიის გამოყენებით.

საგნობრივი მასალა - ბუნებისმეტყველება

(საგნობრივი და ენობრივი მიზანი)

1 გარემო ჩვენ ირგვლივ

თემა: გარემოში ორიენტირება.

თემის დასრულების შემდგომ მოსწავლეს ეცოდინება ჰორიზონტის ძირითადი და შუალედური მხარეები;

შეძლებს, ადგილობრივი ნიშნების გამოყენებით, გარემოში ორიენტირებას;

ამოიცნობს და აღწერს გარემოში ორიენტირებისათვის საჭირო ხელსაწყოებს;

შეძლებს საგნობრივი ტერმინოლოგიის გამოყენებას.

2 დღესასწაულები

თემა: შემოდგომა

თემის დასრულების შემდგომ მოსწავლე შეძლებს დაახასიათოს წელიწადის სეზონები. აღწეროს შემოდგომისათვის დამახასიათებელი პეიზაჟი;

ჩამოთვალოს საშემოდგომო სამუშაოები და იმსჯელოს მათ თავისებურაბაზე;

იმსჯელოს შემოდგომაზე გარემოს შეფერილობის ცვლილების მიზეზებზე და გამოიყენოს საგნობრივი ტერმინები.

3 მოგზაურობა

თემა: ზღვებისა და ოკეანეების ბინადრები.

თემის დასრულების შემდგომ მოსწავლე შეძლებს ამოიცნოს და დაასახელოს ზღვებისა და ოკეანეების ზოგიერთი ბინადარი;

მცირე საინფორმაციო ტექსტის დამუშავების შემდეგ იმსჯელოს, რა მმნიშვნელობა აქვს პლანქტონს ზღვისა და ოკეანეების ეკოსისტემაში;

შეადარებს მცენარეების როლს დედამიწაზე და წყალში;

შეადარებს წყალში მცხოვრები ძუძუმწოვრების სუნთქვის თავისებურებას დანარჩენი წყალში მცხოვრები ორგანიზმების სუნთქვის პროცესს;

შეძლებს სწორად განმარტოს სიტყვები და გამოიყენოს საგნობრივი ტერმინოლოგია.

4 ბუნება და ადამიანი

თემა: მელიები.

თემის დასრულების შემდგომ მოსწავლე შეძლებს დაახასიათოს ზოგიერთი ცხოველის ქცევა;

იმსჯელოს ცხოველების შეგუებულობაზე საცხოვრებელ გარემოსთან;

აღწეროს ზოგიერთი ცხოველის ნადირობის თავისებურებები;

გააცნობიეროს ეკოსისტემაში კვებითი ჯაჭვის მნიშვნელობა და მისი როლი;

სწორად გამოიყენოს საგნობრივი ტერმინოლოგია.

5 სურვილები და ოცნებები

თემა: კურორტი და მისი მნიშვნელობა.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ეცოდინება, რა არის კურორტი;

შეეძლება ჩამოთვალოს კურორტები კლიმატის მახასიათებლების მიხედვით;

დაახასიათოს კურორტების მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობისა და რეაბილიტაციისათვის;

გამოთვალოს და დაახასიათოს საქართველოს ზოგიერთი კურორტი.

იმსჯელოს, რატომ იყენებენ ზამთრის კურორტებზე ხელოვნურ გათოვლიანებას;

სწორად გამოიყენოს საგნობრივი ტერმინოლოგია.

6 ფასეულობები და ღირებულებები

თემა: პატენტი.

თემის დასრულების შემდგომ მოსწავლეს ეცოდინება, რა არის პატენტი და რა მნიშვნელობა აქვს მას ბიოტექნოლოგიაში.

როგორ შეიძლება პატენტის მფლობელობამ გავლენა მოახდინოს მეცნიერებაზე, საზოგადოებაზე;

იმსჯელოს პატენტის ეთიკურ და ეკონომიკურ მხარეებზე;

იმსჯელოს, რატომ არის მნიშვნელოვანი პატენტების არსებობა ბიოტექნოლოგიაში და რა გავლენა აქვს მას საზოგადოების კეთილდღეობაზე;

მოსწავლე შეძლებს სწორად გამოიყენოს სპეციფიკური და საგნობრივი ტერმინოლოგია.

საგნობრივი მასალა - მათემატიკა

(საგნობრივი და ენობრივი მიზანი)

1 გარემო ჩვენ ირგვლივ

თემა: დადებითი და უარყოფითი რიცხვები.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ეცოდინება რიცხვით სხივზე დადებითი და უარყოფითი რიცხვების გამოსახვა;

აღწერს შეკრება-გამოკლების პროცესს დადებით და უარყოფით რიცხვებზე;

იმსჯელებს რიცხვის აბსოლუტურ მნიშვნელობაზე-მოდულზე და მსჯელობისას გამოიყენებს თემატიკასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას.

2 დღესასწაულები

თემა: წრფივი განტოლება.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს წრფივი განტოლების ამოხსნას;

ეცოდინება განტოლების შედგენა მოცემული ამოცანის შესაბამისად;

ამოიცნობს სიდიდეებს შორის წრფივ დამოკიდებულებას;

იმსჯელებს ორ სიდიდეს შორის შესაბამისობის აგებაზე, გამოსახვასა და გამოკვლევაზე და მსჯელობისას გამოიყენებს თემასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას.

3 მოგზაურობა

თემა: წერტილის კოორდინატები.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე კოორდინატების გამოყენებით აღწერს რუკაზე ორი ან მეტი პუნქტის ურთიერთმდებარეობას სხვადასხვა მიმართულების გამოყენებით;

შეძლებს ორიენტირებას სიბრტყეზე კოორდინატების საშუალებით;

ეცოდინება სიბრტყეზე ორ წერტილს შორის მანძილის გამოთვლა წერტილის კოორდინატების საშუალებით;

იმსჯელებს თემატური ტერმინოლოგიის გამოყენებით.

4 ბუნება და ადამიანი

თემა: სხვადასხვანიშნიანი რიცხვების გამრავლება-გაყოფა.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ეცოდინება დადებითი და უარყოფითი რიცხვების პრაქტიკული შინაარსი;

შეძლებს ერთნაირნიშნიანი და სხვადასხვანიშნიანი რიცხვების გამრავლება-გაყოფას და მათ გამოყენებას პრაქტიკულ ამოცანებში;

იმსჯელებს დადებითი და უარყოფითი რიცხვების გამრავლება-გაყოფის მოქმედებებს შორის დამოკიდებულებაზე;

მსჯელობისას გამოიყენებს თემატურ ტერმინოლოგიას.

5 სურვილები და ოცნებები

თემა: პითაგორას თეორემა.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე აღწერს სამკუთხედების კლასიფიკაციას მისი კუთხეების მიხედვით (ბლაგვკუთხა, მართკუთხა, მახვილკუთხა);

ეცოდინება მართკუთხა სამკუთხედში ორი გვერდის მიხედვით მესამე გვერდის სიგრძის გამოთვლა;

იმსჯელებს არითმეტიკულ კვადრატულ ფესვზე და მსჯელობისას გამოიყენებს თემატურ ტერმინოლოგიას.

6 ფასეულობები და ღირებულებები

თემა: პროცენტი.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს დაამყაროს კავშირი სიდიდის პროცენტსა და ამ სიდიდის ნაწილს შორის;

ეცოდინება რიცხვის პოვნა მისი პროცენტით ან ნაწილით;

იმსჯელებს მოცემული პროცენტის გაზრდით ან შემცირებით მიღებული რიცხვის გამოთვლის შესახებ და მსჯელობისას გამოიყენებს თემასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას.

თავი 1, დონე: 4

საგნობრივი მასალა - ქართული ენა

(საგნობრივი და ენობრივი მიზანი)

1 გარემო ჩვენ ირგვლივ

თემა: გ.პეტრიაშვილი - წვიმის მოყვარული კაცის ამბავი (ნაწყვეტი).

მოსწავლე შეძლებს ვარაუდების გამოთქმას ტექსტის სათაურზე დაყრდნობით;
ტექსტის თემასთან პირადი დამოკიდებულების გადმოცემას;
ტექსტის წაკითხვას და გაგება-გააზრებას;
უცხო სიტყვების მნიშვნელობის ამოცნობას კონტექსტის მიხედვით,
ნიმუშებზე დაყრდნობით;
ნარიანი მრავლობითის ფორმების წარმოებას.
შეძლებს საერთო ძირის მქონე სიტყვების მნიშვნელობის გაგებას და წინადადებაში კონტექსტის მიხედვით ჩასმას;
ბრუნვის ფორმების სწორად გამოყენებას;
მცირე ზომის ტექსტის შექმნას ინსტრუქციის მიხედვით;
შესწავლილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას.

2 დღესასწაულები

თემა: პოლ ოსტერი - ოგი რენის საშობაო ამბავი.

მოსწავლე შეძლებს ილუსტაციების მიხედვით ვარაუდების გამოთქმას;
ტექსტის წაკითხვას და გაგება-გააზრებას;
„ერთი და იგივე“ ნაცვალსახელის სწორად გამოყენებას;
კონტექსტის მიხედვით ფრაზეოლოგიზმების მნიშვნელობის ამოცნობას;
ტექსტის გაგრძელებას და ვარაუდების გამოთქმას;
საკუთარი დამოკიდებულების გადმოცემას;
საყრდენების დახმარებით უხმო კადრების გახმოვანებას (დიალოგების გათამაშებას);
ჩვენებითი ნაცვალსახელების ფუნქციურად გამოყენებას;

მაგრამ / და / თუმცა კავშირების შესაბამის კონტექსტში ჩასმას;

წინადადებების გადაყვანას პირველი პირიდან მესამე პირში, წარსული დროიდან ახლანდელ დროში;

მცირე ზომის ტექსტის შექნას საყრდენების დახმარებით.

3 მოგზაურობა

თემა: ოტია იოსელიანი - წინასიტყვაობასავით, ანუ რას ვაპირებ.

მოსწავლე შეძლებს ვარაუდების გამოთქმას სათაურზე დაყრდნობით; სიტყვათწარმოების წესის გაცნობიერებას და გამოყენებას; „-ვით“ თანდებულის სწორად გამოყენებას;

ფუძეგაორკეცებული კომპოზიტების მართლწერას;

სიტყვების მნიშვნელობის გამოცნობას კონტექსტის მიხედვით;

შესწავლილი სიტყვების გამოყენებას;

ერთცნებიანი და ორცნებიანი კომპოზიტების მართლწერის წესების გააზრებას და გამოყენებას;

ტექსტებზე დაყრდნობით ორი პერსონაჟის შედარებას, მათ შორის მსგავსების აღმოჩენას;

თემატური დიალოგის შედგენას და გათამაშებას;

ნასწავლი სიტყვების გამოყენებით, საყრდენების დახმარებით, მცირე ზომის ტექსტის შექმნას.

4 ბუნება და ადამიანი

თემა: ვაჟა-ფშაველა - ბუნების მგოსნები (ნაწყვეტი).

მოსწავლე შეძლებს ტექსტის წაკითხვას და გაგება-გააზრებას;

საკუთარი შთაბეჭდილების გადმოცემას;

კონტექსტის მიხედვით სიტყვების მნიშვნელობის ამოცნობას;

რთული სიტყვების წარმოებას; მიმართვასთან სასვენი ნიშნის სწორად გამოყენებას;

სხვათა ნათქვამის მანიშნებელი ნაწილაკების (-მეთქი, -ო) გამოყენებას;

ხოლო / ნუთუ /განა ნაწილაკების მნიშვნელობის გაცნობიერებას და მათ გამოყენებას; ნართანიანი მრავლობითის ფორმების წარმოებას და გამოყენებას;

ნიმუშებზე დაყრდნობით, II თურმეობითის ფორმების წარმოებას;

ზმნისწინის დართვით ხოლმეობითის ფორმების წარმოებას;

საყრდენი ფრაზების დახმარებით, მცირე ზომის ტექსტის შექმნას და ხოლმეობითის ფორმების გამოყენებას;

5 სურვილები და ოცნებები

თემა: ირმა მალაციძე - ფრიი! (ნაწყვეტი).

მოსწავლე შეძლებს „ვოცნებობ“ ზმნის სხვადასხვა პირის ფორმაში გამოყენებას;

საკუთარ ოცნებებზე საუბარს; ერთი და იმავე ძირისგან ნაწარმოებ სიტყვებზე დაკვირვებას და მათი მნიშვნელობის გააზრებას;

ტექსტში მოცემული ფრაზეოლოგიზმების მნიშვნელობის გაგებას და გამოყენებას;

პერსონაჟის სიტყვების გარშემო მსჯელობას, საკუთარი დამოკიდებულების გადმოცემას;

ზმნისწინის დართვით მომავალი დროის ფრომების წარმოებას;

სურვილისა და აუცილებლობის გამომხატველი ფორმების ამოცნობას და წინადადებების შედგენას;

ამოიცნობს, რას გამოხატავს რთული ქვეწყობილი წინადადება (ადგილს თუ დროს);

შეძლებს პერსონაჟის დახასიათებას სქემაზე დაყრდნობით;

ტექსტის მოკლე შინაარსის გადმოცემას სქემაზე დაყრდნობით (დასაწყისი, რა მოხდა შემდეგ, დასასრული);

ფილმის შესახებ მოცემული სქემატური ინფორმაციის გაგებას;

მოთხრობისა და ფილმის შინაარსის შედარებას;

საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას;

მცირე ზომის ტექსტის შექმნას საყრდენი ფრაზების დახმარებით.

6 ფასეულობები და ღირებულებები

თემა: რევაზ ინანიშვილი - ჩურჩული ტელეფონში.

მოსწავლე შეძლებს თემასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გაცემას პირადი გამოცდილებიდან;

ვარაუდების გამოთქმას სათაურთან დაკავშირებით;

ტექსტის წაკითხვას და გაგება-გააზრებას;

ავტორის მთავარი სათქმელის გარშემო მსჯელობას;

პერსონაჟის მახასიათებლების ამოცნობას;

მხატვრული ხერხის (შედარების) ფუნქციის გაცნობიერებას;

წინადადებების გავრცობას და სურათის აღწერას გავრცობილი წინადადებების გამოყენებით;

პერსონაჟის როლის მორგებას და ეპიზოდის გათამაშებას შესაბამისი ინტონაციის დაცვით;

პერსონაჟისთვის დასასმელი კითხვების მოფიქრებას მისი შინაგანი სამყაროს - ემოციების / გრძნობების / დამოკიდებულებების წარმოსაჩენად;

პერსონაჟის ხედვის კუთხის გათვალისწინებით, თანაკლასელთა კითხვებზე პასუხის გაცემას ტექსტში არსებულ მინიშნებებზე დაყრდნობით;

ზმნის პირიანობის გააზრებას; ზმნასთან პირების შეწყობას;

მოქმედი და სამოქმედო პირის ამოცნობას; პირის ნიშნებთან დაკავშირებული ზოგიერთი თავისებურების გაგებას (ჰ/ს ნიშნები) და პრაქტიკულად გამოყენებას;

„-მეთქი“ და „-ო“ ნაწილაკების მართლწერის წესის გაცნობიერებას და გამოყენებას; „ხომ“, „ნუ„ „ვერ“, „არ“ ნაწილაკების გამოყენებით წინადადებების შედგენას; თავაზიანი ფორმების გამოყენებით, მიზნობრივი ტექსტის (წერილის) შექმნას.

საგნობრივი მასალა - ხელოვნება

(საგნობრივი და ენობრივი მიზანი)

1 გარემო ჩვენ ირგვლივ

თემა: წვიმის ქალაქი - ბათუმი.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს ისაუბროს ხელოვნების დარგების (არქიტექტურა, ქანდაკება) შესახებ, მათ მახასიათებლებზე;

იმსჯელებს ქალაქის მთავარი ღირშესანიშნაობების შესახებ შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით. სხვადასხვა ხერხითა და საშუალებით თავად შექმნის ნამუშევარს, რომელშიც ასახავს იდეას.

2 დღესასწაულები

თემა: ქრისტეს შობა.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ეცოდინება შობის ისტორია და ამ თემის გამოსახვის იკონოგრაფია;

ისაუბრებს მოზაიკის, ფრესკისა და ვიტრაჟის ტექნიკაში შესრულებულ შობის გამოსახულებებზე;

იმსჯელებს და შეადარებს ამ თემის სხვადასხვა ვარიანტს;

ისაუბრებს თანამედროვე მხატვრების მიერ შექმნილ შობის ვარიანტებსა და შესრულების სტილზე;

საუბრის დროს შეძლებს საგნობრივი ტერმინოლოგიის სწორად გამოყენებას.

3 მოგზაურობა

თემა: მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს ისაუბროს მსოფლიოს სხვადასხვა ღირსშესანიშნაობის შესახებ;

იმსჯელებს სამყაროს მრავალფეროვნების თემაზე;

ისაუბრებს სხვადასხვა არქიტექტურული ძეგლის დამახასიათებელ ნიშნებზე;

ეცოდინება რომის მიღწევები და შეძლებს მათზე მსჯელობას.

საუბრის დროს სწორად გამოიყენებს თემატურ, საგნობრივ ტერმინებს.

4 ბუნება და ადამიანი

თემა: ბუნება თავადაც ხელოვნებაა.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს ისაუბროს ბუნების მრავალფეროვნებისა და სხვადასხვა დროის მხატვართა მიერ მისი ასახვის ტენდენციებზე;

იმსჯელებს პეიზაჟის ასახვის თავისებურებებზე როგორც საერო, ასევე რელიგიურ სიუჟეტებში. ეცოდინება მეოცე საუკუნის მხატვრობის თემასთან დაკავშირებული გამოსახვის თავისებურებები, აღწერს და იმსჯელებს მათზე. საუბრისას გამოიყენებს თემატურ ტერმინოლოგიას.

5 სურვილები და ოცნებები

თემა: ქართული ფილმი.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ეცოდინება ქართული ფილმის მოკლე ისტორია. იმსჯელებს და ისაუბრებს ძველი და თანამედროვე კინოაფიშისა და პოსტერის შესახებ, აღწერს და შეადარებს მათ. თავად შეძლებს ნამუშევრის შექმნას. პრეზეტაციისას ისაუბრებს თემატური ტერმინოლოგიის გამოყენებით.

6 ფასეულობები და ღირებულებები

თემა: ხელოვნება, როგორც კომუნიკაციის ენა.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ეცოდინება თუ როგორ ეხმიანება ხელოვნება მთავარ ღირებულებებს. სხვადასხვა მხატვრის ნამუშევრების მაგალითზე შეძლებს ისაუბროს ავტორის ჩანაფიქრსა და მთავარ სათქმელზე. იმსჯელებს, თუ რა დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს ხელოვნების ნიმუშს, გარდა სილამაზისა და მაღალი ოსტატობისა. თავად შექმნის ნამუშევარს და პრეზენტაციისას ისაუბრებს თემატიკასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიით.

საგნობრივი მასალა - ბუნებისმეტყველება

(საგნობრივი და ენობრივი მიზანი)

1 გარემო ჩვენ ირგვლივ

თემა: ამინდი.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს იმსჯელოს ამინდის რაობის შესახებ;

დაასახელოს ამინდის კომპონენტები;

ამოიცნოს ზოგიერთი მეტეოროლოგიური ხელსაწყო და იმსჯელოს მის მნიშვნელობასა და ფუნქციაზე.

გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენებით დაახასიათოს მოსალოდნელი ამინდი;

შეძლებს ისაუბროს თემატური ტერმინოლოგიის გამოყენებით.

2 დღესასწაულები

თემა:ცოტა რამ ფოტოგრაფიის შესახებ

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს: ახსნას რა არის ფოტოხაფანგი და რატომ იყენებენ მას;

შეადაროს, როგორ მუშაობს ადამიანის თვალში ფოტორეცეპტორები და ფოტოხაფანგი;

იმსჯელოს, რა როლს ასრულებს ფოტორეცეპტორები ფოტოგრაფიაში;

იმსჯელოს, როგორ მოქმედებს ბიოლოგიური მექანიზმები ფოტოგრაფიის განვითარებაზე.

შეძლებს, სწორად გამოიყენოს საგნობრივი ტერმინები და სიტყვები.

3 მოგზაურობა

თემა: მოგზაურობა და ნავიგაცია.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს ამოიცნოს და დაასახელოს სამოგზაურო აღჭურვილობა;

გამოთვალოს ძველ დროში მოგზაურების მიერ გამოყენებული სანავიგაციო ხელსაწყოები;

იმსჯელოს, როგორ შეცვალა ტექნოლოგიების მიღწევებმა სანავიგაციო საშუალებები;

შეადაროს თანამედროვე სანავიგაციო საშუალებების ფუნქციები;

სწორად გამოიყენოს საგნობრივი ტერმინები.

4 ბუნება და ადამიანი

თემა: ფრინველის როლი და მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს: იმსჯელოს, რის საფუძველზე ხდება ფრინველების კლასიფიკაცია;

რა მნიშვნელობა აქვთ ფრინველებს ეკოსისტემისა და ადამიანისთვის;

დაასაბუთოს, რა საფრთხეს უქმნის ფრინველებს საარსებო ჰაბიტატის შემცირება ან განადგურება.

მოსწავლე სწორად გამოიყენებს სპეციფიკურ საგნობრივ ტერმინებს.

5 სურვილები და ოცნებები

თემა: ადამიანის ოცნება და საფრენი აპარატების განვითარება.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს ახსნას,

რა არის აეროდინამიკა და როგორ გამოიყენება ის საფრენი აპარატების დიზაინში; იმსჯელოს

რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს პლანერის ფრენის შენარჩუნებას ჰაერში;

გამოთვალოს პირველი საფრენი აპარატები და მათი მნიშვნელობა ავიაციის განვითარებაში.

სწორად გამოიყენოს საგნობრივი ტერმინოლოგია.

6 ფასეულობები და ღირებულებები

თემა: მედიცინის განვითარება უძველესი დროიდან დღევანდელობამდე.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე შეძლებს აღწეროს მედიცინის განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპები;

ჩამოთვალოს ცნობილი მეცნიერები და მათი აღმოჩენები;

იმსჯელოს ადამიანის ჯანმრთელობაზე და მედიცინის მიღწევების მნიშვნელობაზე ამ მიმართულებით;

შეძლებს განასხვაოს თანამედროვე სხვადასხვა სამედიცინო აპარატის დანიშნულება და ფუნქციები;

შეძლებს სწორად გამოიყენოს საგნობრივი ტერმინები.

საგნობრივი მასალა - მათემატიკა

(საგნობრივი და ენობრივი მიზანი)

1 გარემო ჩვენ ირგვლივ

თემა: კვადრატული განტოლება.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე იმსჯელებს სრული და არასრული კვადრატული განტოლების ამოხსნის ალგორითმზე;

დაასახიათებს პროცედურებს და გამარტივების პროცესს, რომლითაც შესაძლებელია მოცემული განტოლების შეცვლა მისი ტოლფასი განტოლებით;

აღწერს, რა შემთხვევაში შეიძლება, რომ განტოლებას არ ჰქონდეს ამონახსნი;

იმსჯელებს თემატური ტერმინოლოგიის გამოყენებით.

2 დღესასწაულები

თემა: რიცხვის დაყოფა პროპორციულ ნაწილებად.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ეცოდინება სიდიდის მოცემული პროპორციით დაყოფა; შეძლებს, ამოცანის კონტექსტიდან გამომდინარე, საჭირო პროპორციის დადგენას;

იმსჯელებს პრაქტიკულ ამოცანებში პროპორციულ დაყოფაზე და მსჯელობისას გამოიყენებს თემატურ ტერმინოლოგიას.

3 მოგზაურობა

თემა: მოქმედებები სიმრავლეებზე; ვენის დიაგრამა.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ეცოდინება შესაბამისი აღნიშვნები და ოპერაციები სიმრავლეების თანაკვეთასა და გაერთიანებაზე;

აღწერს სასრულ და უსასრულო სიმრავლეებს, ცარიელ სიმრავლეს;

შეძლებს მოცემული სიმრავლიდან ქვესიმრავლის გამოყოფას, სიმრავლეთა თანაკვეთისა და გაერთიანების დიაგრამით გამოსახვას;

იმსჯელებს ვენის დიაგრამის გამოყენებით ამოცანების ამოხსნაზე და მსჯელობისას გამოიყენებს თემატიკის შესაბამის ტერმინოლოგიას.

4 ბუნება და ადამიანი

თემა: მონაცემთა პირველადი დამუშავება.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ეცოდინება საკვლევ თემასთან დაკავშირებით მონაცემთა შეგროვება და მოწესრიგება;

შეძლებს შეგროვილი მონაცემების ორგანიზებას და მათ წარმოდგენას თვალსაჩინო დიაგრამების გამოყენებით; ისაუბრებს მონაცემთა გაფანტულობის საზომზე, გაბნევის დიაპაზონზე;

დაახასიათებს ცენტრალური ტენდენციის საზომს (საშუალო, მედიანა, მოდა) და იმსჯელებს თემატიკასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის გამოყენებით.

5 სურვილები და ოცნებები

თემა: ფუნქცია.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე დაახასიათებს ორ სიმრავლეს შორის დამოკიდებულებას;

ეცოდინება ფუნქციის განსაზღვრის არე და მნიშვნელობათა სიმრავლე, ფუნქციის მოცემის ხერხები;

გამოიყენებს ფუნქციათა თავისებურებებს პრაქტიკული ამოცანების ამოსახსნელად; იმსჯელებს თემატური ტერმინოლოგიის გამოყენებით.

6 ფასეულობები და ღირებულებები

თემა: პირობითი ალბათობა.

თემის დასრულების შემდეგ მოსწავლე ერთმანეთისაგან განასხვავებს აუცილებელ, შემთხვევით და შეუძლებელ ხდომილებებს;

დაახასიათებს მოცემული ხდომილების საწინააღმდეგო ხდომილებას;

ეცოდინება აუცილებელი და შეუძლებელი ხდომილებების ალბათობები;

იმსჯელებს ჯამისა და პირობითი ალბათობის გამოსათვლელ ფორმულებზე და მსჯელობისას გამოიყენებს თემატიკასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას.

თავი 2, დონე 1

თემა 4. ბუნება და ადამიანი („პიკნიკი ბუნებაში“ - ლელა მანგოშვილი)

საკითხი, მიზანი (მისაღწევი შედეგი)

ქართული ენა: წაკითხული ტექსტის გაგება / გააზრება, ბუნებაზე ზრუნვის გაცნობიერება, პირად გამოცდილებასთან დაკავშირება, მიზნის შესაბამისი მცირე ზომის ტექსტის შეთხზვა და ჩაწერა.

ენობრივი მიზნები

ქართული ენა:

მოსწავლემ უნდა შეძლოს სიტყვების განმარტება; წინადადებების შედგენა; სხვადასხვა დონის სააზროვნო კითხვებზე პასუხების გაცემა; ტექსტის მოსმენა, წაკითხვა; ექსპლიციტურად მოცემულ ინფორმაციასა და მინიშნებებზე დაყრდნობით, ტექსტის შინაარსის გააზრება; მახასიათებლის დაკავშირება არგუმენტთან (როგორი? იმიტომ, რომ...); „ში“ და „ზე“ თანდებულიანი ფორმების სწორად გამოყენება; სიტყვების დაბოლოების ცვლაზე დაკვირვება და წინადადებაში სწორი ფორმით ჩასმა; ილუსტრაციების აღწერა, მსჯელობა, რა მოხდება თუ ადამიანები ბუნებას არ გაუფრთხილდებიან; დასკვნის გამოტანა.

ხელოვნება:

მოსწავლემ უნდა გაიაზროს ბუნების მიმართ ადამიანის ჯანსაღი და ჰარმონიული დამოკიდებულების მნიშვნელობის დანახვა. შეძლოს ფერწერულ ნამუშევრებში ხელოვანთა იდეის ამოცნობა და იმსჯელოს ხელოვნების როლის შესახებ ბუნების დაცვის საკითხში.

ბუნებისმეტყველება:

მოსწავლემ გააცნობიეროს ბუნების დაცვის მნიშვნელობა; შეძლოს გამაფრთხილებელი ნიშნების ამოცნობა და აღწერა; იმსჯელოს გარემოს დაცვის, ნარჩენების მართვისა და კომპოსტირების შესახებ.

მათემატიკა:

მოსწავლემ უნდა შეძლოს სიგრძის საზომ ერთეულებს შორის თანაფარდობის დამყარება (მსხვილი საზომი ერთეულების გადაყვანა წვრილ ერთეულებში და პირიქით); შეეცადოს, ამოხსნას საზომი ერთეულების შემცველი ამოცანები; წარმოდგენა უნდა შეექმნას საზომი ერთეულების პრაქტიკაში გამოყენებაზე.

სასწავლო პროცესის დეტალური აღწერა:

მიმართულება: ქართული ენა

აქტივობა 1.1: თემასთან დაკავშირებით წინარე ცოდნის გააქტიურება.

ილუსტრაციაზე დაკვირვება, საუბარი პიკნიკის შესახებ, პირადი გამოცდილების გაზიარება (სავ. 1, 2).

მოსწავლის რესურსი 1: მოსწავლის წიგნი

აქტივობა 1.2: თამაში - „რომელია ზედმეტი“ - მოსწავლეები ილუსტრაციებზე დაკვირვებით ასახელებენ პიკნიკისთვის საჭირო ნივთებს და აღმოაჩენენ ნივთს, რომელსაც პიკნიკზე არ წაიღებენ (სავ. 3).

აქტივობა 1.3: ილუსტრაციებზე დაკვირვებით მოსწავლეები იპოვიან ნივთს, რომლის წაღებაც ბავშვებს დაავიწყდათ პიკნიკზე (სავ. 4).

აქტივობა 1.4: ლექსიკაზე მუშაობა, სიტყვების განმარტება, ილუსტრაციების დაკავშირება სიტყვებთან (სავ. 5,6).

აქტივობა 1.5: ტექსტზე მუშაობა (სავ. 7).

ა) მასწავლებელი ტექსტს კითხულობს პაუზებით, მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს, რა მოხდება შემდეგ.

ბ) ტექსტს გაგრძელებით კითხულობენ მოსწავლეები.

აქტივობა 1.6: უპასუხე კითხვებს (სავ. 8, 9, 10). მოსწავლეები პასუხობენ ფაქტობრივ და სააზროვნო კითხვებს; ტექსტში მოძებნიან ექსპლიციტურად მოცემულ ინფორმაციას და მინიშნებებზე დაყრდნობით უპასუხებენ კითხვებს.

აქტივობა 1.7: მახასიათებლის დაკავშირება არგუმენტთან - (როგორი? იმიტომ, რომ...) (სავ. 11).

აქტივობა 1.8: „ში“ და „ზე“ თანდებულიანი ფორმების სწორად გამოყენება და სიტყვების ჩასმა წინადადებებში (სავ. 12, 13).

აქტივობა 1.9: სახელზმნის დაკავშირება ზმნასთან - ცეკვა - ცეკვავს, სიმღერა-მღერის, ხატვა - ხატავს და ა.შ. (სავ. 14).

აქტივობა 1.10: სიტყვის დაბოლოების ცვლაზე დაკვირვება და სიტყვების სწორად ჩასმა წინადადებებში (სავ. 15, 16).

აქტივობა 1.11: ბუნებაზე ზრუნვის თემასთან დაკავშირებული ილუსტრაციების აღწერა და ფრაზების სურათებთან დაკავშირება (სავ. 17).

აქტივობა 1.12: მსჯელობა - რა მოხდება, თუ ადამიანები ბუნებას არ გაუფრთხილდებიან, პირად გამოცდილებასთან დაკავშირება; დასკვნის გაკეთება მოთხრობის მთავარი სათქმელისა და მნიშვნელოვანი ღირებულების შესახებ (სავ. 18)

აქტივობა 1.13: მცირე მოცულობის წერილობითი ტექსტის შექმნა და ნახატით გაფორმება.

მოსწავლეები გაიხსენებენ პიკნიკს, რომელიც ყველაზე მეტად მოეწონათ და წერილობით გადმოსცემენ პატარა ამბავს, ვისთან ერთად იყვნენ, აღწერენ ადგილს;

რით დაიწყო, როგორ გაგრძელდა და დასრულდა ამბავი; როგორი დრო გაატარეს; რა მოეწონათ ყველაზე მეტად; როგორ იზრუნეს ბუნებაზე.

რეკომენდაცია მასწავლებელს: სასურველია, თემაზე მუშაობა წარიმართოს ბუნებისმეტყველების, ხელოვნებისა და ისტ-ის საგნობრივ მიმართულებებთან ინტეგრირებით, მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით (ილუსტრაციები, პლაკატები, ვიდეობმულები). მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რომ ბუნებას დაცვა და გაფრთხილება სჭირდება და საკუთარი როლი ამ საქმეში. შესაძლებელია, ხელოვნებისა და ისტ-ის გაკვეთილებზე მოსწავლეებმა საკუთარი ხელით შექმნან გამაფრთხილებელი აბრა.

სასწავლო პროცესის დეტალური აღწერა:

მიმართულება: ხელოვნება

მიზანი: მოსწავლემ უნდა გაიაზროს ბუნების მიმართ ადამიანის ჯანსაღი და ჰარმონიული დამოკიდებულების მნიშვნელობა.შეძლოს ფერწერულ ნამუშევრებში ხელოვანთა იდეის ამოცნობა და იმსჯელოს ხელოვნების როლის შესახებ ბუნების დაცვის საკითხში.

აქტივობა 1.1: მასწავლებელი იწყებს წინარე ცოდნის გააქტიურებით. ის სვამს შეკითხვებს ნამუშევრის შესახებ. იწყებენ მის დეტალურ აღწერას, გამოხატავენ თავიანთ მოსაზრებებს. მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს ბუნების მნიშვნელობასა და მისი დაცვის აუცილებლობაზე.

აქტივობა 1.2: მოსწავლეები იწყებენ ტექსტის კითხვას პაუზებით. სასწავლებელი აძლევს საჭიროებისამებრ განმარტებებს. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ამუშავებს ლექსიკონს. მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს, მასწავლებელი კი აძლევს საჭირო დაზუსტებებს

აქტივობა 1.3: ტექსტის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი სვამს შეკითხვებს, რომლებიც ორიენტირებულია ტექსტის გაგებასა და გააზრებაზე. მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს. სასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში, უბრუნდება ტექსტს.

აქტივობა 1.4

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ფერწერულ ნამუშევრებს. მოსწავლეები ინდივიდუალურად ახასიათებენ ფერებს, ნახატის განწყობას, ბუნების ხედებსა და გარემოს. სასწავლებელი მიზანმიმართულად სვამს აღწერა-ანალიზისთვის დამაზუსტებელ შეკითხვებს საგნობრივი ტერმინების გასააქტიურებლად.

აქტივობა 1.5

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ფერთა ბორბალს. ისინი ასახელებენ ფერებს. იხსენებენ და ჩამოთვლიან თბილ და ცივ ფერებს. მასწავლებელი კითხვა-პასუხის რეჟიმში უსვამს დამაზუსტებელ კითხვებს ფერების შესახებ.

აქტივობა 1.6

მასწავლებელი ატარებს მოსწავლეებთან მინი ლექციას ძირითადი და შედგენილი

ფერების შესახებ. სახელმძღვანელოში აჩვენებს ფერების მიღების სქემას. შემდეგ პალიტრაზე აზავებს ფერებს. მოსწავლეებთან ერთად იღებენ სასურველ ფერს. მასწავლებელი აჩვენებს ფერის გამუქების ან გაღიავების კანონზომიერებას.

აქტივობა 1.7

მასალის შეჯამების მიზნით, მასწავლებელი სვამს შეკითხვებს. მოსწავლეები პასუხობენ ინდივიდუალურად. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი უბრუნდება სახელმღვანელოს და აძლევს მოსწავლეებს პოზიტიურ უკუკავშირს.

რეკომენდაცია მასწავლებელს: არჩევითი დავალებებიდან მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა აარჩევინოს მათთვის სასურველი აქტივობა, რომელსაც განახორციელებენ კლასში.

სასწავლო პროცესის დეტალური აღწერა:

თემა - ბუნების მნიშვნელობა და მისი დაცვის აუცილებლობა

მიზანი: მოსწავლემ გააცნობიეროს ბუნების დაცვის მნიშვნელობა; შეძლოს გამაფრთხილებელი ნიშნების ამოცნობა და მისი აღწერა

აქტივობა 1.1: მოსწავლემ ამოიცნოს და დაასახელოს მარტივი პირობითი ნიშნები.

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს რამდენიმე სურათს და ეკითხება, რა არის გამოსახული ამ სურათებზე. მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს. მასწავლებელი საჭიროებისამებრ აწვდის / უხსნის მათ დასახელებას ან განმარტებას.

აქტივობა 1.2: სიტყვების / ტერმინების განმარტება

მასწავლებელი მოსწავლეებს უსახელებს სიტყვებს / ტერმინებს და ეკითხება მოსწავლეებს, ხომ არ სმენიათ ეს სიტყვები. შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აკითხებს სიტყვას / ტერმინს; უხსნის მათ მნიშვნელობას და საჭიროებისამებრ აკეთებს დამატებით კომენტარს

აქტივობა 1.3: ტექსტის წაკითხვა, დამუშავება

მასწავლებელი მოსწავლეებს აკითხებს ტექსტს - „ბუნების მნიშვნელობა და მისი დაცვის აუცილებლობა“ (ნაწ. 1). სასწავლებელი ტექსტზე მუშაობის შემდეგ, მოსწავლეებს უსვამს კითხვებს. მოსწავლეები ინდივიდუალურად პასუხობენ ტექსტის გაგება-გააზრებაზე ორიენტირებულ კითხვებს.

აქტივობა 1.4

მასწავლებელი მოსწავლეებს აკითხებს ტექსტს - “ბუნების მნიშვნელობა და მისი დაცვის აუცილებლობა” (ნაწ. 2 - გარემოს დაცვა). მასწავლებელი ტექსტზე მუშაობის შემდეგ, მოსწავლეებს უსვამს კითხვებს. მოსწავლეები ინდივიდუალურად პასუხობენ ტექსტის გაგება-გააზრებაზე ორიენტირებულ კითხვებს.

აქტივობა 1.5

მასწავლებელი მოსწავლეებს აკითხებს ტექსტს - “ბუნების მნიშვნელობა და მისი დაცვის აუცილებლობა” (ნაწ. 3 - ნარჩენების მართვის პროცესი). სასწავლებელი ტექსტზე მუშაობის შემდეგ, მოსწავლეებს უსვამს კითხვებს. მოსწავლეები ინდივიდუალურად პასუხობენ ტექსტის გაგება-გააზრებაზე ორიენტირებულ კითხვებს.

აქტივობა 1.6

სასწავლებელი მოსწავლეებს აკითხებს ტექსტს - "ბუნების მნიშვნელობა და მისი დაცვის აუცილებლობა" (ნაწ. 4 - კომპოსტირება). მასწავლებელი ტექსტზე მუშაობის შემდეგ, მოსწავლეებს უსვამს კითხვებს. მოსწავლეები ინდივიდუალურად პასუხობენ ტექსტის გაგება-გააზრებაზე ორიენტირებულ კითხვებს.

აქტივობა 1.7

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს შეკითხვით, სად მიაქვთ გამოყენებული პლასტმასის/მინის ბოთლები? მოსწავლეების პასუხების შემდგომ, სთხოვს წაიკითხონ ინფორმაცია - ეს საინტერესოა. მოსწავლეები კითხულობენ ინფორმაციას, მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას, შეკითხვების დახმარებით, მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს.

აქტივობა 1.8

მასალის გაგება-გააზრების შესამოწმებლად მოსწავლეები ასრულებენ ქვიზს. სასწავლებელი კლასთან ერთად განიხილავს დავალებების პასუხებს. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეები უბრუნდებიან ტექსტს პასუხების დასაზუსტებლად.

აქტივობა 1.9

მასალის შეჯამების მიზნით, მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს შეკითხვებს, მოსწავლეები ინდივიდუალურად პასუხობენ; მასწავლებელი საჭიროებისამებრ აზუსტებს პასუხს ან აძლევს მოსწავლეებს პოზიტიურ უკუკავშირს.

რეკომენდაცია მასწავლებელს: 1.საკითხავი ტექსტის მოცულობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ის დაყოთ ოთხ ნაწილად: 1. ბუნების ზოგადი აღწერა; 2. გარემოს დაცვა; 3.ნარჩენების მართვის პროცესი; 4. კომპოსტირება.

2.მასწავლებელმა მოსწავლეებს აუცილებლად უნდა შეასრულებინოს ერთი სახალისო აქტივობა; სურვილისამებრ შეუძლიათ გააკეთონ დანარჩენიც.

- მასწავლებელი მუდმივად მუშაობს ტერმინოლოგიასა და დარგობრივ ლექსიკაზე, ასევე, ფრაზებსა და კონსტრუქციებზე.
- საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელმა უნდა განავითაროს ლექსიკონზე მუშაობის უნარ-ჩვევები.

სასწავლო პროცესის დეტალური აღწერა:

მიმართულება: მათემატიკა

მიზანი: მოსწავლემ უნდა შეძლოს სიგრძის საზომ ერთეულებს შორის თანაფარდობის დამყარება (მსხვილი საზომი ერთეულების გადაყვანა წვრილ ერთეულებში და პირიქით); შეეცდება ამოსხნას საზომი ერთეულების შემცველი ამოცანები, წარმოდგენა უნდა შეექმნას საზომი ერთეულების პრაქტიკაში გამოყენებაზე.

აქტივობა 1.1: წინარე ცოდნის გააქტიურება.

მასწავლებელი, წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, განიხილავს ამოცანას, სადაც ამოხსნისათვის შეეცდება მოსწავლეს გაახსენოს ტერმინები: მაღალი, დაბალი, უფრო მაღალი, უფრო დაბალი. ამასთანავე, შეეცდება გაახსენოს მოსწავლეებს, რა არის ტეხილი, შეკრული ტეხილი, წირი.

აქტივობა 1.2: ახალი მასალის ახსნა.

ახალი მასალის ახსნისას მასწავლებელი სვამს ისეთ კითხვებს, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული სიგრძის საზომ ერთეულებთან. მაგალითად, რა ერთეულებში შეიძლება გავზომოთ ფანქარი, წიგნი, მაგიდის სიგრძე, ხის სიმაღლე. კითხვების შემდგომ მასწავლებელი გააცნობს სიგრძის საზომ ერთეულებს: მილიმეტრს, სანტიმეტრს, დეციმეტრს, მეტრს, კილომეტრს და მათ შორის თანაფარდობას. მასწავლებელი გაკვეთილზე აცნობს საზომი ხელსაწყოების სახაზავისა და რულეტის გამოყენების წესს; მიუთითებს, თუ სად შეიძლება გაზომვისას მოსწავლემ დაუშვას შეცდომა.

აქტივობა 1.3: განმტკიცება.

საკითხის განმტკიცების მიზნით, მასწავლებელი განიხილავს ამოცანას, რომლის ამოსახსნელად საჭიროა სიგრძის საზომი ერთეულების გამოყენება და ამ ამოცანაზე ერთად იმსჯელებენ და ერთად ამოხსნიან.

აქტივობა 1.4 მანძილის თვალის ზომით შეფასება.

მასწავლებელი ჩამოწერს რამდენიმე ისეთი საგნის სახელწოდებას, რომელიც შესაძლებელია ან სახაზავით გაიზომოს ან რულეტით. მოსწავლეებმა დამოუკიდებლად უნდა ჩაწერონ მიახლოებით, თვალის ზომით, ამ საგნის ზომა და როდესაც დავალებას დაასრულებენ, მასწავლებელი დაეხმარება მოსწავლეებს, გაზომონ შესაბამისი ხელსაწყოთი აღნიშნული საგანი. შემდეგ კითხულობენ ხმამაღლა და ამოწმებენ, ვის უფრო რეალობასთან მიახლოებული პასუხი ეწერა.

მოსწავლის რესურსი: საზომი ხელსაწყოები.

აქტივობა 1.5. შეჯამება.

საკითხის განმტკიცების შემდეგ, შეჯამების მიზნით, მასწავლებელი უსვამს კითხვებს მოსწავლეებს ინდივიდუალურად, თუ რომელ საზომ ერთეულებს იყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებაში და რა განსხვავებაა მათ შორის.

აქტივობა 1.6. დამოუკიდებელი სამუშაო.

შესამოწმებლად, თუ როგორ გაიგეს და გაიაზრეს მოსწავლეებმა საკითხი, მასწავლებელი აძლევს მათ დამოუკიდებელ სამუშაოს - ტესტს.

რეკომენდაცია მასწავლებელს:

მასწავლებელი მუდმივად მუშაობს ტერმინოლოგიასა და დარგობრივ ლექსიკაზე, ასევე, ფრაზებსა და კონსტრუქციებზე.

თავი 2, დონე 2

თემა 6. ფასეულობები და ღირებულებები

ქართული ხალხური ზღაპარი, ხელმწიფის შვილის და ხელმწიფის ამბავი

საკითხი, მიზანი (მისაღწევი შედეგი)

ქართული: წაკითხული ტექსტის გაგება / გააზრება;

წაკითხულის შესახებ არგუმენტირებული მსჯელობა.

ინტეგრირება სხვა საგნებთან: ქართული ენა

ენობრივი მიზნები:

ქართული.

მოსწავლემ უნდა შეძლოს: თემასთან დაკავშირებული ტერმინების გაგება / გააზრება; საკითხის ირგვლივ საკუთარი აზრის ჩამოყალიბება / დასაბუთება; ბრძანებითი და თხრობითი წინადადებების გარჩევა; სახელობითი და წოდებითი ბრუნვის ფორმების გარჩევა; წინადადებაში კავშირების სწორად გამოყენება.

ხელოვნება.

მოსწავლემ უნდა შეძლოს: კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა; თემასთან დაკავშირებული ტერმინების შესწავლა და საკუთარი მოსაზრების მკაფიოდ ჩამოყალიბება.

ბუნებისმეტყველება.

მოსწავლემ უნდა შეძლოს: თემასთან დაკავშირებული ტერმინების გაგება/გააზრება; აღწეროს სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი და დააკავშიროს ის გეოგრაფიულ მდებარეობასთან; შეძლოს ბუნებრივი მასალების დასახელება, რომლებიც გამოყენებულია საცხოვრებლის ასაგებად.

მათემატიკა.

მოსწავლემ უნდა შეძლოს: თემასთან დაკავშირებული ტერმინების გაგება/გააზრება; უნდა იცოდეს წრეწირთან დაკავშირებული ცნებები, რადიუსსა და დიამეტრს შორის დამოკიდებულება; ასევე, გამოთვალოს წრეწირის სიგრძე როგორც ფორმულის გამოყენებით, ასევე ფორმულის გამოყენების გარეშე.

სასწავლო პროცესის დეტალური აღწერა:

მიმართულება: ქართული ენა

ამოცანა 1: წინარე ცოდნის გააქტიურება. ახალი ლექსიკის გაცნობა / განმარტება.

აქტივობა 1.1: ლექსიკის გახსენება / ათვისების მიზნით,

სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობა და დაკავშირება შესაბამის ილუსტრაციასთან.

აქტივობა 1.2: ახალი ლექსიკის ათვისების მიზნით სიტყვის დაკავშირება მნიშვნელობასთან.

აქტივობა 1.3: ლექსიკის გაგება / გააზრების მიზნით ტესტური სავარჯიშოები.

ამოცანა 2: ტექსტის წაკითხვა და გაგება. ტექსტში არსებული გრამატიკული მასალის შესაბამის დონეზე დამუშავება.

აქტივობა 2.1: ტექსტის წაკითხვა პაუზებით.

მოსწავლეები ტექსტს კითხულობენ პაუზებით; გამოთქვამენ ვარაუდებს, რა მოხდება შემდეგ.

აქტივობა 2.2: მოსწავლეები პასუხობენ ფაქტობრივ და სააზროვნო კითხვებს. პასუხების მოსაძებნად უბრუნდებიან ტექსტს.

აქტივობა 2.3: კავშირების გამეორება. საკითხავ ტექსტში კავშირიანი წინადადებების პოვნა და შესაბამის გრაფაში ამოწერა.

აქტივობა 2.4: სახელის ბრუნვის გამეორება. წოდებითი ბრუნვის სწორად გამოყენების წესების სწავლება.

აქტივობა 2.5: ცოდნის განმტკიცების მიზნით, მოსწავლე ამუშავებს დავალებას, რომლის მიხედვითაც წინადადებაში სწორად უნდა ჩასვას სახელის ბრუნვის ფორმა - სახელობითი ან წოდებითი.

აქტივობა 2.6: ბრძანებითი წინადადების განხილვა შინაარსის მიხედვით (საკუთრივ ბრძანება, თხოვნა, მიპატიჟება, გაფრთხილება, აკრძალვა, გამხნევება). აკრძალვითი ნაწილაკები: არ, ნუ.

აქტივობა 2.7: სავარჯიშო ბრძანებითი წინადადების შინაარსის გააზრებისთვის. მოსწავლე თავად არკვევს, რას გამოხატავს ბრძანებითი წინადადება და წერს შესაბამის გრაფაში.

აქტივობა 2.8: მას შემდეგ, რაც მოსწავლე ივარჯიშებს ბრძანებითი წინადადების შინაარსის გამორკვევაზე, კიდევ ერთხელ უბრუნდება ტექსტს, პოულობს ბრძანებით წინადადებას და ამოწერს შესაბამის გრაფაში.

აქტივობა 2.9: დავალების მიხედვით, მოსწავლე თავად შეადგენს და წერს 3 ბრძანებით წინადადებას შესაბამის გრაფაში.

აქტივობა 2.10: ცოდნის განმტკიცების მიზნით, სიტყვების გროვიდან მოსწავლე აკავშირებს ორ სიტყვას, შეადგენს თხრობით ან ბრძანებით წინადადებებს და წერს შესაბამის გრაფაში.

ამოცანა 3: მოსწავლე თავად ადგენს ტექსტს.

აქტივობა 3.1: სახალისო აქტივობა. მასწავლებელი პროვოცირებას უწევს მოსწავლეთა ვარაუდების გამოთქმას სურათის მიხედვით, თუ რაზე შეიძლება საუბრობდნენ მასწავლებელი და მოსწავლეები საგაკვეთილო პროცესში. ამის შემდეგ, მეხუთე დავალებაში მოცემული სიტყვების დახმარებით, მოსწავლეები ავსებენ სურათზე მოცემულ დიალოგის გრაფებს.

აქტივობა 3.2: სახალისო აქტივობა. დავალება შედგება 2 ეტაპისგან: მოსწავლეები აღწერენ ილუსტრაციას. ილუსტრაციაზე გამოსახულ ბავშვებს არქმევენ სახელებს და წერენ შესაბამის გრაფაში. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წარმოიდგინონ ტყეში მოგზაურობისას რა თავგადასავალი შეიძლება ჰქონდეთ სურათზე გამოსახულ ბავშვებს. ასევე ახსენებს იმ ცხოველების, ფრინველებისა და მცენარეების სახელებს, რომლებიც შეიძლება ტყეში შეხვდეთ.

მეორე ეტაპზე, შესაბამის ფორმაში ბავშვები წერენ დიალოგის ტექსტს, რითაც განიმტკიცებენ დიალოგის წერის ტექნიკას.

აქტივობა 3.3: მოსწავლე ქმნის ტექსტს, რომელშიც ზღაპრის შინაარსის მიხედვით უნდა დაახასიათოს მამა და შვილი, ასევე შეაფასოს მათი ქცევა. ამ დავალების შედეგად მოსწავლე იხსენებს აღწერისა და დახასიათებისთვის საჭირო ფრაზებს, ივითარებს არგუმენტირებული მსჯელობის უნარს.

საკითხავი მასალა მოსწავლისათვის:

მოსწავლის რესურსი - მოსასმენი მასალა:

მოსწავლის რესურსი:

აქტივობა 1.4

მასწავლებლის რესურსი 1

რეკომენდაცია მასწავლებელს:

სასწავლო პროცესის დეტალური აღწერა:

მიმართულება: ხელოვნება

ამოცანა: მოსწავლემ უნდა შეძლოს კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა. თემასთან დაკავშირებული ტერმინების შესწავლა და საკუთარი მოსაზრების მკაფიოდ ჩამოყალიბება.

აქტივობა 1.1: მასწავლებელი ააქტიურებს წინარე ცოდნას. მოსწავლეები პასუხობენ სახელმძღვანელოში მოცემულ კითხვებს. პედაგოგი აზუსტებს ტერმინთა განმარტებებს. მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს არქიტექტურის შესახებ.

აქტივობა 1.2:

მასწავლებელი, მოცემული ილუსტრაციების მიხედვით, აძლევს ოდა-სახლის განმარტებას და სთხოვს მოსწავლეებს მის აღწერას.

აქტივობა 1.3:

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს ქართული არქიტექტურის შესახებ. ისინი კითხულობენ პაუზებით. მასწავლებელი აძლევს მითითებას, ლექსიკონში იპოვონ ყველა უცხო სიტყვა. კითხვა-პასუხის რეჟიმში მოსწავლეები პასუხობენ ინდივიდუალურად და მასწავლებელი აძლევს დაზუსტებას, ადგენს მოსწავლეთა მიერ ტექსტის გაგება-გააზრების დონეს.

აქტივობა 1.4.

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს ორნამენტის შესახებ, ეცნობიან მის სახეებს და აკვირდებიან სახელმძღვანელოში მოცემულ ილუსტრაციებს. მასწავლებელი სთხოვს, ამოიცნონ ორნამენტის რომელი სახეა გამოსახული ამა თუ იმ სურათზე. მასწავლებელი ატარებს მინი ლექციას ორნამენტის, ჩუქურთმის სხვადასხვა მასალაზე გამოსახვის შესახებ.

აქტივობა 1.5.

მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას დედაბოძის მნიშვნელობისა და მისი შემკულობის შესახებ. სასწავლებელი საჭიროებისამებრ აწვდის განმარტებებს.

აქტივობა 1.6.

მოსწავლეები ასრულებენ ქვიზს. სასწავლებელი აჯამებს ახსნილ მასალას.

საკითხავი მასალა მოსწავლისათვის:

მოსწავლის რესურსი - მოსასმენი მასალა:

მოსწავლის რესურსი

აქტივობა 1.4.

მასწავლებლის რესურსი 1

რეკომენდაცია მასწავლებელს:

სასწავლო პროცესის დეტალური აღწერა:

მიმართულება: ბუნებისმეტყველება

თემა: საცხოვრებელი სახლები

მიზანი:

მოსწავლემ შეძლოს თემასთან დაკავშირებული ტერმინების გაგება/გააზრება; აღწეროს სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი და დააკავშიროს ის გეოგრაფიულ მდებარეობასთან; შეძლოს დაასახელოს ბუნებრივი მასალები, რომლებიც გამოყენებულია საცხოვრებლის ასაგებად.

ამოცანა 1: წინარე ცოდნის გააქტიურება, ახალი ტერმინების გაგება/გააზრება.

აქტივობა 1.1: წინარე ცოდნის გასააქტიურებლად მოსწავლეები ასრულებენ ქვიზს. მასწავლებელი მოსწავლეებთნ ერთად განიხილავს პასუხებს, საჭიროების შემთხვევაში, აზუსტებს და აძლევს რეკომენდაციებს.

აქტივობა 1.2: სიტყვების/ტერმინების გაგება/გააზრება

მასწავლებელი მოსწავლეებს აკითხებს სიტყვებს და ტერმინებს; შემდეგ მოსწავლეებს არეული თანმიმდევრობით უსვამს შეკითხვებს და სთხოვს, საკუთარი სიტყვებით ახსნან სიტყვების/ტერმინების მნიშვნელობა.

აქტივობა 1.3: საკითხავ მასალაზე მუშაობა

მასწავლებელი კითხულობს მინი ლექციას საცხოვრებელი ადგილის მნიშვნელობაზე, ყურადღებას ამახვილებს საცხოვრებელი სახლების ტიპებზე. შემდგომ მოსწავლეებს აძლევს დავალებას, წაიკითხონ საკითხავი მასალის პირველი ნაწილი - სახლების ისტორიული მნიშვნელობა და გახაზონ ის სიტყვები, რომლებიც აღნიშნავს სახლის ტიპებს.

აქტივობა 1.4 საკითხავ მასალაზე მუშაობა

მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს ოთხ ჯგუფად და თითოეულ ჯგუფს აძლევს საცხოვრებელი სახლების აღწერას საქართველოს რეგიონების მიხედვით. მოსწავლეები მუშაობენ, ამზადებენ პრეზენტაციას და ურთიერთსწავლების მეთოდით უზიარებენ ინფორმაციას ერთმანეთს. საბოლოოდ მასწავლებელი აერთიანებს და აჯამებს მასალას.

რეკომენდაცია მასწავლებელს:

- კლასის დონიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, თქვენი შეხედულებისამებრ შეასრულეთ სახალისო აქტივობები.
- მასწავლებელი მუდმივად მუშაობს ტერმინოლოგიასა და დარგობრივ ლექსიკაზე, ასევე, ფრაზებსა და კონსტრუქციებზე.
- საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელმა უნდა განივითაროს ლექსიკონზე მუშაობის უნარ-ჩვევები.

სასწავლო პროცესის დეტალური აღწერა:

მიმართულება: მათემატიკა

მიზანი:

მოსწავლემ უნდა შეძლოს თემასთან დაკავშირებული ტერმინების გაგება-გააზრება; უნდა იცოდეს წრეწირთან დაკავშირებული ცნებები, რადიუსსა და დიამეტრს შორის დამოკიდებულება; ამასთან ერთად, გამოთვალოს წრეწირის სიგრძე როგორც ფორმულის გამოყენებით, ასევე ფორმულის გამოყენების გარეშე.

აქტივობა 1.1: წინარე ცოდნის გააქტიურება

მასწავლებელი, წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, სვამს კითხვებს წრეწირზე და მის ელემენტებზე, რათა მოსწავლეებმა განმარტონ: რას ეწოდება წრეწირი, ცენტრი, ქორდა, რადიუსი, დიამეტრი; რა დამოკიდებულება არსებობს წრეწირის ქორდასა და რადიუსს შორის; როგორ გამოვთვალოთ წრეწირის დიამეტრი, თუ ცნობილია მისი რადიუსი.

აქტივობა 1.2: ახალი მასალის ახსნა.

ახალი მასალის ახსნას მასწავლებელი იწყებს წრისა და მისი ნაწილების გაცნობით - ააგებენ წრის ნახაზს და მის მიხედვით მიმოიხილავენ წრის ელემენტებს. აქვე მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს პი რიცხვს (მათემატიკური მუდმივა) და მის მნიშვნელობას, რომ ნებისმიერი ზომის წრეწირის სიგრძე მის დიამეტრზე 3,14-ჯერ მეტია და სთხოვს მოსწავლეებს, რომ სახლში წრის ფორმის საგანზე ჩაატარონ გაზომვები - გაზომონ ძაფით გარშემოწერილობა, სახაზავით გაზომონ ძაფის სიგრძე, შემდეგ იპოვონ იგივე საგნის დიამეტრი და შეამოწმონ ფარდობა, მიახლოებული უნდა იყოს 3,14-თან, შემდეგ კი მასწავლებელი განმარტავს წრეწირის სიგრძის გამოსათვლელ ფორმულას.

აქტივობა 1.3: განმტკიცება.

საკითხის განმტკიცების მიზნით, მასწავლებელი განიხილავს ამოცანას, რომლის ამოსახსნელად საჭიროა წრეწირის სიგრძის გამოსათვლელი ფორმულის გამოყენება.

აქტივობა 1.4: დამოუკიდებელი სამუშაო

მასწავლებელი შესამოწმებლად მოსწავლეებს აძლევს დამოუკიდებელ სამუშაოს - ტესტს, თუ როგორ გაიგეს და გაიაზრეს მოსწავლეებმა საკითხი.

რეკომენდაცია მასწავლებელს:

მასწავლებელი მუდმივად მუშაობს ტერმინოლოგიასა და დარგობრივ ლექსიკაზე, ასევე ფრაზებსა და კონსტრუქციაზე.

თავი 2, დონე 3

თემა 5. სურვილები და ოცნებები.

„ბიძია სევა გვჩუქნის თოვლს“ - დავით ჯავახიშვილი

საკითხი, მიზანი (მისაღწევი შედეგი)

ქართული: მოსწავლემ უნდა შეძლოს ტექსტის მოსმენა და/ან წაკითხვა; მოსმენილი/წაკითხული ტექსტის ძირითადი შინაარსის გაგება; მიზნობრივი ლექსიკის გამოყენება ილუსტრაციების აღსაწერად და მცირე ზომის ზეპირი ან წერილობითი ტექსტის შექმნა; ნასწავლი ლექსიკის, ენობრივი გამოთქმების, თემატური ფრაზეოლოგიზმებისა და გრამატიკული კონსტრუქციების ამოცნობა და გამოყენება.

ხელოვნება: მოსწავლემ უნდა შეძლოს საქართველოს სხვადასხვა კუთხის ფერწერული პეიზაჟების მაგალითზე მონუმენტური და დაზგური ფერწერის ერთმანეთისგან გარჩევა. ნამუშევრების აღწერა/ანალიზი და მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებზე საუბარი.

ბუნებისმეტყველება: მოსწავლემ უნდა იმსჯელოს კურორტების სახეებზე, აღწეროს კურორტის დანიშნულება და მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობისთვის. უნდა შეძლოს თემასთან დაკავშირებული საგნობრივი ტერმინოლოგიის გაგება და გამოყენება.

მათემატიკა: მოსწავლემ უნდა შეძლოს მართკუთხა სამკუთხედში ორი გვერდის მიხედვით მესამე გვერდის სიგრძის გამოთვლა; გაიგოს, რა დამოკიდებულებაა მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზისა და კათეტის სიგრძეებს შორის; როგორ გამოთვალოს მოცემული სიგრძითა და სიგანით მართკუთხედის დიაგონალი.

ენობრივი მიზნები

ქართული: მოსწავლემ უნდა შეძლოს თემასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულებისა და ფრაზების გაგება და გამოყენება; სახელის კუმშვა და კუმშვადი სიტყვების მიზნობრივად გამოყენება;

ზმნის მოქმედი და სამოქმედო პირებს შორის სხვაობის გააზრება (ვეხმარები, მეხმარება); ზოგიერთ ზმნისწინთა ფუნქციის გააზრება და გამოყენება (ამო- / ჩა- / ჩამო-); ზმნით გამოხატულ დასრულებულ და დაუსრულებელ მოქმედებას შორის სხვაობის გააზრება (დახატა, ხატავდა);

ნიმუშის მიხედვით ორცნებიანი კომპოზიტის შედგენა (და-ძმა);

კონკრეტული მონაკვეთისა და საყრდენი სიტყვების (ჩემი აზრით; ვფიქრობ; მგონია; რადგან; იმიტომ, რომ...; ამ მონაკვეთში ჩანს, რომ...) გამოყენებით, პერსონაჟის თვისებების შესახებ მსჯელობა.

სასწავლო პროცესის დეტალური აღწერა:

მიმართულება: ქართული ენა

ამოცანა 1: სასწავლო თემის შესახებ ინტერესის აღძვრა, შესასწავლი თემის საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირება.

აქტივობა 1.1: თემატური სურათების აღწერა ნიმუშის მიხედვით

მოსწავლეები აკვირდებიან სახელმძღვანელოში მოცემულ თემატურ სურათებს და მასწავლებლის მიერ დასმული დამხმარე შეკითხვების (მაგ.: ვის/რას ხედავთ სურათზე? რას აკეთებენ? სად არიან? როგორ გამოიყურებიან?) მეშვეობით, ჯერ საუბრობენ თუ რას ხედავენ სურათებზე, შემდეგ კი წერილობით გადმოსცემენ ნააზრევს. (სავ. 1)

აქტივობა 1.2: ოცნება და სურვილი

მასწავლებელი შეკითხვებისა და მაგალითების (რა არის ოცნება/სურვილი? მე ვოცნებობ... მე მინდა... შენ რაზე ოცნებობ? შენ რა გინდა?) მეშვეობით ხსნის, რას ნიშნავს ოცნება და სურვილი. მოსწავლეთა პასუხებს წერს დაფაზე და ყურადღებას ამახვილებს ენობრივ კონსტრუქციებზე (მაგ.: ლიკა ოცნებობს სახლზე; მე ვოცნებობ მანქანაზე; მაიას უნდა/სურს ნამცხვარი; მე მინდა/მსურს ვაშლი...).

მოსწავლეები აკვირდებიან სახელმძღვანელოში მოცემულ სურათებს, მასწავლებლის დახმარებით და ნიმუშის მიხედვით, წერენ თუ რაზე ოცნებობს/რა სურს ილუსტრაციაზე გამოსახულ ბიჭს და რაზე ოცნებობენ/რა სურთ თავად მათ. (სავ. 2)

ამოცანა 2: თემასთან დაკავშირებული ლექსიკის / ფრაზების შესწავლა და გამოყენება; ტექსტის წასაკითხად და გასაგებად მზადება.

აქტივობა 1.3: სიტყვის/ფრაზისა და სურათის ერთმანეთთან დაკავშირება

მოსწავლე კითხულობს სავარჯიშოში მოცემულ სიტყვებს/ფრაზებს და მასწავლებლის დახმარებით აკავშირებს ილუსტრაციებთან. (სავ. 3)

აქტივობა 1.4: წინადადებებში გამოტოვებული სიტყვების ჩასმა

მოსწავლეები წინადადებაში სვამენ გამოტოვებულ თემატურ სიტყვებს. (სავ.4)

აქტივობა 1.5: წინადადებებში გამოტოვებული იდიომების ჩასმა

მასწავლებელი დაფაზე აკრავს თვალისა და ხელის სურათს. მოსწავლეები ასახელებენ, რა არის გამოსახული სურათებზე. მასწავლებელი თითოეული სურათის გასწვრივ წერს სიტყვას „შევლება“ და განმარტავს მის მნიშვნელობას. იგი ხსნის, რომ დაუშლელ გამოთქმას, რომლის მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს, იდიომი ჰქვია.

მოსწავლეები, მასწავლებლის დახმარებით, წინადადებებში სვამენ გამოტოვებულ იდიომებს. (სავ. 5)

აქტივობა 1.6: სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობა ილუსტრაციისა და კონტექსტის მეშვეობით მოსწავლეები აკვირდებიან სახელმძღვანელოში მოცემულ ილუსტრაციას. ილუსტრაციის მეშვეობით ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობის გააზრების მიზნით მასწავლებელი სვამს მარტივ შეკითხვებს (რას / ვის ხედავთ? რას აკეთებს უმცროსი

ბიჭი? რას აკეთებს უფროსი?) და კითხულობს პერსონაჟთა სიტყვებს. მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებას, ეხმარება თუ ხელს უშლის პაატა თავის ძმას წიგნის კითხვაში.

მასწავლებელი კითხულობს ნაწყვეტს მოთხრობიდან და სთხოვს მისწავლეებს, დააკავშირონ წაკითხული ტექსტი და ილუსტრაცია ერთმანეთთან. (სავ. 6)

(მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით, მასწავლებელს შეუძლია ახსნას თუ რა ფუნქცია აქვს ამ მონაკვეთში ბრჭყალებს).

აქტივობა 1.7: მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები

მოსწავლეები აკავშირებენ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებს. (სავ.7)

აქტივობა 1.8: უცნობი სიტყვები და ფრაზები

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს უცნობი სიტყვებისა და ფრაზების (ფრაზეოლოგიზმების) მნიშვნელობას, რომლებიც შეხვდებათ ტექსტში. (სავ 8, 9)

ამოცანა 3: ტექსტის კითხვა და გაგება; ტექსტის ენობრივ მხარეზე დაკვირვება

აქტივობა 1.9: ტექსტის კითხვა

მასწავლებელი საჩვენებელი კითხვით უკითხავს მოსწავლეებს ტექსტს. შემდეგ ტექსტს ყოფს მონაკვეთებად და აკითხებს მოსწავლეებს.

აქტივობა 1.10: უპასუხე კითხვებს

მოსწავლეები ინდივიდუალურად პასუხობენ ტექსტის გაგება-გააზრებაზე ორიენტირებულ კითხვებს.

მასწავლებელი კლასთან ერთად განიხილავს ტესტური დავალებების პასუხებს. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეები უბრუნდებიან ტექსტს პასუხების დასაზუსტებლად. (სავ. 11, 12)

აქტივობა 1.11: სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობა კონტექსტის მიხედვით.

მოსწავლეები კითხულობენ წინადადებებს და კონტექსტის მიხედვით ამოიცნობენ სიტყვათა მნიშვნელობებს. (სავ. 13)

ამოცანა 4: ტექსტის ენობრივ მხარეზე დაკვირვება - გრამატიკული კონსტრუქციების დასწავლა და გამოყენება

აქტივობა 1.12: ზმნისწინის შერჩევა

მასწავლებელი ილუსტრაციების დახმარებით ხსნის, რას ნიშნავს ზმნისწინი. მოსწავლეები კითხულობენ წინადადებებს და გამოტოვებულ ადგილას წერენ სათანადო ზმნისწინს. (სავ. 14)

აქტივობა 1.13: ვინ ვის ეხმარება

მოსწავლეები აკვირდებიან სავარჯიშოში მოცემულ სურათებს და მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების დახმარებით აღნიშნავენ, ვინ ვის ეხმარება. (სავ. 15.)

აქტივობა 1.14: წინადადებების შედგენა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს სახელმძღვანელოში მოცემულ ცხრილს და სთხოვს მოცემული ზმნების გამოყენებით შეადგინონ წინადადებები. (სავ. 16)

აქტივობა 1.15: დიალოგების გათამაშება

მოსწავლეები აკვირდებიან სახელმძღვანელოში მოცემულ სურათებს, ირგებენ პერსონაჟთა როლებს და ნიმუშის მიხედვით იგონებენ დიალოგებს. აქტივობის განხორციელებისას სასურველია, მოსწავლეებმა გამოიყენონ სიტყვები: ვეხმარები, მეხმარება. (სავ. 17)

აქტივობა 1.16: ცხრილის შევსება

მასწავლებელი განმარტავს, რომ წარსულ დროში გამოხატული მოქმედება შეიძლება იყოს დასრულებული ან დაუსრულებელი. მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით ავსებენ ცხრილს. (სავ. 18)

აქტივობა 1.17: სიტყვების ჩასმა წინადადებაში

მოსწავლეები ნიმუშის მიხედვით სვამენ სიტყვებს წინადადებაში. (სავ. 19)

აქტივობა 1.18: ცხრილის შევსება

მასწავლებელი განმარტავს, რა არის კუმშვა. მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით ავსებენ ცხრილს. (სავ. 20)

აქტივობა 1.19: სიტყვების ჩასმა წინადადებაში

მოსწავლეები ნიმუშის მიხედვით სვამენ სიტყვებს წინადადებაში. (სავ. 21)

აქტივობა 1.20: სიტყვების შექმნა

მასწავლებელი განმარტავს, რა არის კომპოზიტი და როგორ შეიძლება ორი სიტყვის შეერთებით ერთი სიტყვის მიღება. მოსწავლეები ასრულებენ სავარჯიშოს. (სავ. 22)

აქტივობა 1.21: პერსონაჟის თვისებებზე დაკვირვება და მსჯელობა

მოსწავლეები კითხულობენ სავარჯიშოში მოცემულ ნაწყვეტებს და დამხმარე სიტყვების მეშვეობით მსჯელობენ თუ როგორია ბიძია სევა კონკრეტული ეპიზოდის მიხედვით. (სავ. 23)

აქტივობა 1.22: სურათის აღწერა

მოსწავლეები აკვირდებიან და დამხმარე კითხვების მეშვეობით აღწერენ სავარჯიშოში მოცემულ სურათს. (სავ. 24)

საკითხავი მასალა მოსწავლისათვის:

მოსწავლის რესურსი - მოსასმენი მასალა:

მოსწავლის რესურსი

აქტივობა 1.4

მასწავლებლის რესურსი 1

რეკომენდაცია მასწავლებელს:

სასწავლო პროცესის დეტალური აღწერა:

მიმართულება: ხელოვნება

ამოცანა 1: მოსწავლემ უნდა შეძლოს საქართველოს სხვადასხვა კუთხის ფერწერული პეიზაჟების მაგალითზე მონუმენტური და დაზგური ფერწერის ერთმანეთისგან გარჩევა, ნამუშევრების აღწერა/ანალიზი და მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებზე საუბარი.

აქტივობა 1.1: მასწავლებელი იწყებს წინარე ცოდნის გააქტიურებით - მოსწავლეთა ცოდნის დადგენისთვის სვამს საკითხთან დაკავშირებულ საჭირო შეკითხვებს. მოსწავლეები ინდივიდუალურად პასუხობენ.

აქტივობა 1.2: მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს დავალებას, წერილობით განმარტონ ტერმინები. შემდეგ ამოწმებს პასუხების ვალიდურობას; საჭიროების შემთხვევაში, აზუსტებს მათ.

აქტივობა 1.3:

მასწავლებელი აჩვენებს ნამუშევარს (ე. ახვლედიანი, „აფხაზეთი“) და, კითხვების მეშვეობით, მოსწავლეები იწყებენ დეტალურ აღწერას.

აქტივობა 1.4

მოსწავლეები იწყებენ ტექსტის კითხვას პაუზებით. საგნობრივ ტერმინებთან მასწავლებელი აჩერებს მათ და მიუთითებს, რომ ტერმინის შესაბამისი სიტყვა მოძებნონ ლექსიკონში.

აქტივობა 1.5

მოსწავლეები აკვირდებიან და აღწერენ ნამუშევარს (ა. ციმაკურიძე, პეიზაჟი). მასწავლებელი სვამს შეკითხვებს ნამუშევრის სახვით ხერხებთან დაავშირებით.

აქტივობა 1.6

მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს; ეცნობიან ელენე ახვლედიანის მშობლიურ პეიზაჟებს. ტექსტის დასრულების შემდეგ მასწავლებელი აძლევს მითითებას, დააკავშირონ ტექსტის მთავარი აზრი ნამუშევრებთან. მოსწავლეები ირჩევენ სასურველ პეიზაჟს და იწყებენ მსჯელობას კომპოზიციის, ფერების, განწყობის, სახვითი საშუალებების შესახებ.

აქტივობა 1.7

მასწავლებელი ადარებინებს მოსწავლეებს ბაკურიანის ხედებს სხვადასხვა ნამუშევარში. ამის შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ მოთხრობა ბაკურიანზე. მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ თუ რამდენად შეესაბამება ტექსტი ნამუშევარში ასახულ ულამაზეს მხარეს.

აქტივობა 1.8

მოსწავლეები იწყებენ ტექსტის კითხვას და ეცნობიან დავით კაკაბაძის შემოქმედებას, რომელშიც საქართველოს ლანდშაფტის პეიზაჟებია წარმოდგენილი.

აქტივობა 1.9

მოსწავლეები იწყებენ ილუსტრაციების აღწერას და დახასიათებას. მასწავლებელი ადარებინებს ელენე ახვლედიანისა და დავით კაკაბაძის იმერეთის პეიზაჟებს, სვამს კითხვებს ნამუშევარში სახვითი ხერხებისა და საშუალებების გადმოცემის თავისებურებებზე.

რეკომენდაცია მასწავლებელს: არჩევითი დავალებებიდან მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა აარჩევინოს მათთვის სასურველი აქტივობა, რომელსაც განახორციელებენ კლასში.

სასწავლო პროცესის დეტალური აღწერა:

მიმართულება: ბუნებისმეტყველება

თემა: კურორტი და მისი მნიშვნელობა

მიზანი: მოსწავლემ უნდა იმსჯელოს კურორტების სახეებზე, აღწეროს კურორტის დანიშნულება და მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობისთვის. შეძლოს თემასთან დაკავშირებული საგნობრივი ტერმინოლოგიის გაგება და გამოყენება;

აქტივობა 1.1: სურათების აღწერა

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ფოტოებს, რომლებზეც აღბეჭდილია ზაფხულისა და ზამთრის კურორტისათვის დამახასიათებელი სიუჟეტები. მოსწავლემ უნდა აღწეროს და დაასახელოს ის ნიშნები, რომელთა მიხედვითაც ამოიცნო სურათი.

აქტივობა 1.2: სიტყვებზე/ტერმინებზე მუშაობა

მასწავლებელი მოსწავლეებს უსახელებს სიტყვებს და სთხოვს მოსწავლეებს, საკუთარი სიტყვებით აღწერონ, როგორ ესმით მათი მნიშვნელობა ან გამოთქვან ვარაუდი თუ რას შეიძლება ნიშნავდეს კონკრეტული სიტყვა. მასწავლებელი ისმენს მოსწავლეების განმარტებებს/ვარაუდებს და, საჭიროებისამებრ, დამხმარე კითხვების საშუალებით უხსნის მოსწავლეებს მათ მნიშვნელობას. შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ განმარტებებს.

აქტივობა 1.3: ტექსტის გაგება /გააზრება

მასწავლებელი აბზაცების მიხედვით აკითხებს ტექსტს მოსწავლეებს. თითოეული აბზაცის შემდგომ, დამხმარე კითხვების საშუალებით, მასწავლებელი მოსწავლეებს ამუშავებს საგნობრივი ტერმინების გააზრებაზე; ბოლოს შემაჯამებელი კითხვების საშუალებით აჯამებს წაკითხულს.

მასწავლებლის რესურსი

აქტივობა 1.4 შეჯამება

მასალის შეჯამების მიზნით, მასწავლებელი მოსწავლეებს აკეთებინებს სახალისო აქტივობებს, რომლებითაც კიდევ ერთხელ უბრუნდება ტექსტს და ამოწმებს თუ როგორ გაიგეს მოსწავლეებმა საგნობრივი ტერმინები.

რეკომენდაცია მასწავლებელს:

- მასწავლებელი მუდმივად მუშაობს ტერმინოლოგიასა და დარგობრივ ლექსიკაზე, ასევე, ფრაზებსა და კონსტრუქციებზე.
- საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელმა უნდა განავითაროს ლექსიკონზე მუშაობის უნარ-ჩვევები.

სასწავლო პროცესის დეტალური აღწერა:

მიმართულება: მათემატიკა

მიზანი: მოსწავლემ უნდა შეძლოს მართკუთხა სამკუთხედში ორი გვერდის მიხედვით მესამე გვერდის სიგრძის გამოთვლა; გაიგოს, რა დამოკიდებულებაა მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზისა და კათეტის სიგრძეებს შორის; როგორ გამოთვალოს მოცემული სიგრძითა და სიგანით მართკუთხედის დიაგონალი.

აქტივობა 1.1: წინარე ცოდნის გააქტიურება.

მასწავლებელი, წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, მოსწავლეებს გაახსენებს სამკუთხედების კლასიფიკაციას მისი კუთხეების მიხედვით - როგორი სამკუთხედებია მახვილკუთხა, ბლაგვკუთხა და მართკუთხა; გაახსენებს კვადრატისა და მართკუთხედის ფართობების გამოსათვლელ ფორმულას, კვადრატული და არითმეტიკული ფესვის შინაარს.

აქტივობა 1.2: ახალი მასალის ახსნა

ახალი მასალის ახსნას მასწავლებელი იწყებს პითაგორას თეორემის სიტყვიერი განმარტებით. შემდგომ გააცნობს მოსწავლეებს ისტორიულ ფაქტებს - ვინ იყო პითაგორა და რით არის ეს თეორემა მნიშვნელოვანი. დახაზავს მართკუთხა სამკუთხედს და მის გვერდებზე ააგებს კვადრატებს, გამოათვლევინებს კვადრატების ფართობებს და შეეკითხება მოსწავლეებს, რა დასკვნას გამოიტანენ მართკუთხა სამკუთხედის გვერდებზე აგებული ფართობების შესახებ, რომ კათეტებზე აგებული კვადრატების ფართობების ჯამი ტოლი გამოვიდა ჰიპოტენუზაზე აგებული კვადრატის ფართობისა.

აქტივობა 1.3: განმტკიცება

საკითხის განმტკიცების მიზნით, მასწავლებელი განიხილავს ამოცანას, რომლის ამოსახსნელადაც საჭიროა პითაგორას თეორემის გამოყენება. მასწავლებლის დახმარებით, მოსწავლეები ჯერ ააგებენ ნახაზს და შემდეგ მის მიხედვით ამოხსნიან ამოცანას.

აქტივობა 1.4. შეჯამება

საკითხის განმტკიცების შემდგომ მასწავლებელი შეაჯამებს თემას კითხვების საშუალებით - როგორ განვსაზღვროთ სამკუთხედის სახე მისი გვერდების მიხედვით; უფრო მეტი გაგება-გააზრების მიზნით, მოსწავლეებს ააგებინებს ბლაგვკუთხა და მახვილკუთხა სამკუთხედებს და შემდეგ ერთად შეამოწმებენ, შეიძლება თუ არა იგივე თეორემა გამოვიყენოთ ბლაგვკუთხა და მახვილკუთხა სამკუთხედებზე, ანუ უდიდესი გვერდის კვადრატი შეიძლება თუ არა იყოს ტოლი დანარჩენი გვერდების კვადრატების ჯამისა.

აქტივობა 1.5. დამოუკიდებელი სამუშაო

მასწავლებელი შესამოწმებლად, თუ როგორ გაიგეს და გაიაზრეს მოსწავლეებმა საკითხი, აძლევს მათ დამოუკიდებელ სამუშაოს - ტესტს.

რეკომენდაცია მასწავლებელს:

მასწავლებელი მუდმივად მუშაობს ტერმინოლოგიასა და დარგობრივ ლექსიკაზე, ასევე ფრაზებსა და კონსტრუქციებზე.

თავი 2, დონე 4

თემა 6. ფასეულობები და ღირებულებები.

ქართული: „ჩურჩული ტელეფონში“ - რევაზ ინანიშვილი.

მედიცინის განვითარება უძველესი დროიდან დღემდე

საკითხი, მიზანი (მისაღწევი შედეგი)

ქართული: წაკითხული ტექსტის გაგება/გააზრება; წაკითხულის დაკავშირება პირად გამოცდილებასთან; მიზნის შესაბამისი წერილის შექმნა.

ხელოვნება: მოსწავლემ გაიაზროს ხელოვნების ნიმუშის, როგორც საზოგადოებასა და ხელოვანს შორის კომუნიკაციის ენის მნიშვნელობა. ასევე, როგორ ეხმაურება ხელოვნება მთავარ ღირებულებებსა და ფასეულობებს.

ბუნებისმეტყველება: მოსწავლე გაეცნოს მედიცინის განვითარების ზოგიერთ საკვანძო ეტაპს, ასევე, 21-ე საუკუნის უახლოეს სამედიცინო ტექნოლოგიებს.

მათემატიკა: მოსწავლემ უნდა შეძლოს ფარდობითი სიხშირის გამოთვლა, ამოიცნოს აუცილებელი, შეუძლებელი და შემთხვევითი ხდომილება, საწინააღმდეგო ხდომილება, შეძლოს ელემენტარულ ხდომილებათა რაოდენობის დათვლა, ხდომილების ალბათობისა და პირობითი ალბათობის გამოთვლა.

ენობრივი მიზნები

ქართული: მოსწავლემ შეძლოს თემასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულებისა და ფრაზების გაგება და გამოყენება;

მხატვრული ხერხების გამოყენება და მათი ფუნქციის გაცნობიერება;

წინადადების გავრცობა; სურათის აღწერა გავრცობილი წინადადებების გამოყენებით; თავაზიანი ფორმების გამოყენება;

ზმნასთან პირების შეწყობა (სუბიექტური და ობიექტური პირი);

სხვათა სიტყვის ნაწილაკების (-ო, -მეთქი) მართლწერა; „ხომ, „ნუ“, „ვერ“, „არ“ ნაწილაკების გამოყენება;

მოსწავლემ, საგნობრივი ტერმინოლოგიის გამოყენებით, შეძლოს მოვლენის აღწერა, დახასიათება, მსგავსებისა და განსხვავების შედარება, მსჯელობა.

სასწავლო პროცესის დეტალური აღწერა:

მიმართულება: ქართული ენა

ამოცანა 1: წინარე ცოდნის გააქტიურება, ვარაუდების გამოთქმა სათაურზე დაყრდნობით

აქტივობა 1.1. კითხვა-პასუხი

ტექსტის წაკითხვამდე მოსწავლეები პასუხობენ თემასთან დაკავშირებულ კითხვებს საკუთარი გამოცდილებიდან. (სავ. 1)

აქტივობა 1.2. ძვირფასი სიტყვების ბარათები

მოსწავლეები იხსენებენ მნიშვნელოვან სიტყვებს, რომლებიც მათთვის უთქვამთ და წერენ ბარათებში.

შემდეგ კი საუბრობენ მითითებების მიხედვით. (სავ. 2)

აქტივობა 1.3. ვარაუდების გამოთქმა სათაურთან დაკავშირებით

მოსწავლეები აკავშირებენ სათაურს შესაბამის განმარტებასთან, შემდეგ კი გამოთქვამენ ვარაუდს, თუ რა თემას/თემებს შეიძლება შეეხებოდეს ეს მოთხრობა. (სავ. 3, 4)

აქტივობა 1.4. უცხო სიტყვები და ფრაზები

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს უცხო სიტყვებისა და ფრაზების მნიშვნელობას, რომლებიც შეხვდებათ ტექსტში. (სავ. 5)

აქტივობა 1.5. სურათი და სიტყვა / სურათი და წინადადება

მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით აკავშირებენ სურათებს შესაბამის სიტყვასთან/წინადადებასთან. (სავ. 6, 7)

აქტივობა 1.6. გაიცანი ავტორი

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს რევაზ ინანიშვილის მოკლე ბიოგრაფიას. (სავ.8)

აქტივობა 1.7. სამოდელო კითხვა (კითხვა პაუზებით)

მასწავლებელი კითხულობს ტექსტს პირველ პაუზამდე. მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს, რატომ შეიძლებოდა დაერეკა ქალს რჩევის საკითხავად მაინცდამაინც ამ ადამიანთან (სავარაუდო პასუხები: ეს ადამიანი მისთვის ავტორიტეტი იყო; იცოდა, რომ ბრძენი ადამიანი იყო; ადრეც მიუცია მისთვის რჩევა...)

მასწავლებელი აგრძელებს კითხვას მეორე პაუზამდე და სთხოვს მოსწავლეებს, გამოთქვან ვარაუდი, რა გავლენას მოახდენდა პროფესორის სიტყვები გოგონაზე შემდგომ წლებში. (სავარაუდო პასუხები: გოგონას ეს სიტყვები არასდროს დაავიწყდებოდა, გაახსენდებოდა რთულ სიტუაციებში, სირთულეებს აღარ შეუშინდებოდა, აღარ ინერვიულებდა უმნიშვნელო რამეზე, ყოველთვის მადლიერი იქნებოდა...).

მასწავლებელი აგრძელებს კითხვას შემდეგ პაუზამდე და სთხოვს მოსწავლეებს, დაფიქრდნენ ქალის სიტყვებზე - „არავინ არაფერს იწყებს თავიდან ჩემს ასაკში“. თავიდან რაღაცის დასაწყებად აქვს თუ არა ასაკს მნიშვნელობა?

მაგალითისთვის შესაძლოა მასწავლებელმა გამოიყენოს:

ჩინელი ქალბატონი სკოლაში 102 წლის ასაკში შევიდა.

მასწავლებელი აგრძელებს კითხვას შემდეგ პაუზამდე და სვამს კითხვას: რა რჩევა შეიძლებოდა მიეცა პროფესორს ქალისთვის? რატომ ფიქრობთ ასე?

მასწავლებელი კითხულობს ბოლო აბზაცს და სთხოვს მოსწავლეებს, წარმოიდგინონ, რა გრძნობა დაეუფლებოდა პროფესორს ქალთან საუბრის შემდეგ.

აქტივობა 1.8. კითხვა-პასუხი (სავ. 9)

მოსწავლეები ინდივიდუალურად პასუხობენ ტექსტის გაგება-გააზრებაზე ორიენტირებულ კითხვებს.

მასწავლებელი კლასთან ერთად განიხილავს ტესტური დავალებების პასუხებს. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეები უბრუნდებიან ტექსტს პასუხების დასაზუსტებლად.

აქტივობა 1.9. პერსონაჟის თვისებების ამოცნობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოცემულ ჩამონათვალში შეარჩიონ და გახაზონ პროფესორისთვის დამახასიათებელი თვისებები. შემდეგ კი ახსნან, რატომ გახაზეს ესა თუ ის თვისება. (სავ. 10)

აქტივობა 1.10 ანტონიმებზე მუშაობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკავშირონ ანტონიმური წყვილები და შეადგინონ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით.

აქტივობა 1.11. მხატვრულ ხერხებზე მუშაობა

მასწავლებელი მოსწავლეებს მაგალითზე დაყრდნობით განუმარტავს, რა არის შედარება. მოსწავლეები ასრულებენ სავარჯიშოს, შემოხაზავენ ყველა იმ წინადადებას, რომელშიც არის შედარება. ისაუბრებენ, რომელი მოეწონათ ყველაზე მეტად და რატომ, რა ემოცია გამოიწვია მათში. (სავ. 12)

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოიფიქრონ რამდენიმე წინადადება, რომლებშიც იქნება შედარება (სავ.13). წინადადებებს განიხილავენ კლასში.

აქტივობა 1.12. წინადადების გავრცობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეადარონ ორი წინადადება (გაუვრცობელი და გავრცობილი) და ისაუბრონ, რომელი წინადადება გადმოსცემს უფრო თვალსაჩინოდ სათქმელს და განწყობას. შემდეგ კი ნიმუშის მიხედვით განავრცონ წინადადებები. (სავ. 14, 15)

შემდეგ სთავაზობს მოსწავლეებს, აირჩიონ ორი სურათი და აღწერონ მოცემული სიტყვების დახმარებით, გამოიყენონ გავრცობილი წინადადებები. (სავ. 16)

აქტივობა 1.13. როლური თამაში (სავ. 17)

მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს სამკაციან ჯგუფებად, სთხოვს, მოირგონ

პერსონაჟების როლები და სახელმძღვანელოში მოცემული სცენარის მიხედვით გაითამაშონ ეპიზოდი.

მასწავლებელი ჯგუფებს აძლევს მითითებას, რომ როლური თამაშისას სასვენ ნიშნებზე დაყრდნობით გამოხატონ ის გრძნობა ან განწყობილება, რომლითაც პერსონაჟი წარმოთქვამს სიტყვებს, წინადადებებს;

თამაშის შემდეგ მასწავლებელი ჯგუფის წევრებს უსვამს შეკითხვებს:

- რისი თქმა, რისი გამოკვეთა გინდოდა ამ ინტონაციით?
- რა გრძნობა გადმოეცი კითხვისნიშნიანი / ძახილისნიშნიანი წინადადებით?
- რა მინიშნებები დაგეხმარა პერსონაჟის გრძნობების, მისი გამომეტყველების გადმოცემაში?
- რა გაგახსენა ამ ამბავმა?
- დაგეხმარა თუ არა როლური კითხვა ეპიზოდის უკეთ გაგებაში?

აქტივობა 1.14. პერსონაჟის სკამი (სავ. 18)

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს (სურვილის მიხედვით), მოირგონ ერთ-ერთი პერსონაჟის როლი და უპასუხონ კლასელების შეკითხვებს.

მოსწავლეს, რომელიც ჯდება „ცხელ სკამზე“, მასწავლებელი აძლევს მითითებას, რომ პასუხები უნდა ეფუძნებოდეს ტექსტში მოცემულ მინიშნებებს.

როლის მორგებისას მოსწავლემ უნდა გაითვალისწინოს:

- რას ფიქრობს შერჩეული პერსონაჟი, რას გრძნობს, რას განიცდის, რა სურს...
- რას ფიქრობს იგი სხვა პერსონაჟზე.

მასწავლებელი დანარჩენ მოსწავლეებს სთხოვს, ჯგუფებში მოიფიქრონ რამდენიმე შეკითხვა, რომლებიც დაკავშირებული იქნება პერსონაჟის გრძნობებთან/ფიქრებთან/სურვილებთან/ქმედებებთან.

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს კითხვა-პასუხის ნიმუშებს.

ჯგუფებს აძლევს დროს (5-7 წუთი) იმისათვის, რომ მოიფიქრონ საინტერესო შეკითხვები.

აქტივობა 1.15. მინიდისკუსია

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ისაუბრონ, რა მნიშვნელობა აქვს სიტყვიერ მხარდაჭერას ადამიანის ცხოვრებაში ამ მოთხრობის მიხედვით. მოიყვანონ მაგალითები საკუთარი გამოცდილებიდან, ნანახი ფილმიდან ან წაკითხული წიგნებდან.

აქტივობა 1.15. ზმნის პირიანობაზე მუშაობა

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეუსაბამონ პირის ნაცვალსახელები ზმნებს. (სავ. 21)

მოსწავლეები აკვირდებიან, რომელია მოქმედი პირი და რომელი - სამოქმედო და ასრულებენ სავარჯიშოებს. (სავ. 22, 23, 24)

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს ზმნებს, რომლებიც ყოველთვის დაირთავენ ჰ/ს პირის ნიშანს და ზმნებს, რომლებიც არასდროს დაირთავენ ჰ/ს პირის ნიშანს და მოცემული ცხრილის მიხედვით სთხოვს, აღმოაჩინონ შეცდომები წინადადებებში.

აქტივობა 1.16. სხვათა სიტყვის ნაწილაკები

მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს „-მეთქი“ და „-ო“ ნაწილაკის გამოყენების წესს. მოსწავლეები ასრულებენ სავარჯიშოს. (სავ. 28, 29)

აქტივობა 1.17. ხომ, ნუ, ვერ, არ ნაწილაკების გამოყენება

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ ცხრილს, რომელშიც განმარტებულია, რას გამოხატავს „ხომ, „ნუ“, „ვერ“, „არ“ ნაწილაკები. მოცემული ნიმუშების მიხედვით, მოსწავლეები ადგენენ წინადადებებს.

აქტივობა 1.18. თავაზიანი ფორმები მასწავლებელი სხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ მოცემულ ნაწყვეტში ხაზგასმულ ზმნებს და ამოიცნონ თავაზიანი ფორმები.

აქტივობა 1.19. ჩვენც ვქმნით ტექსტს

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს წერითი დავალების ორ ვარიანტს. მოსწავლეები ირჩევენ ერთ-ერთ დავალებას და ასრულებენ მას ინსტრუქციის მიხედვით.

მოსწავლეები ავსებენ ცხრილს; აჯგუფებენ ჩვეულებრივ და თავაზიან ფორმებს.

საკითხავი მასალა მოსწავლისათვის:

მოსწავლის რესურსი - მოსასმენი მასალა:

მოსწავლის რესურსი

აქტივობა 1.4

მასწავლებლის რესურსი 1

რეკომენდაცია მასწავლებელს:

სასწავლო პროცესის დეტალური აღწერა:

მიმართულება: ხელოვნება

მიზანი: მოსწავლემ გაიაზროს ხელოვნების, როგორც საზოგადოებასა და ხელოვანს შორის კომუნიკაციის ენის მნიშვნელობა. ასევე თუ როგორ ეხმაურება ხელოვნება მთავარ ღირებულებებსა და ფასეულობებს.

აქტივობა 1.1: მასწავლებელი კითხვა-პასუხის რეჟიმში ააქტიურებს წინარე ცოდნას კომუნიკაციის საშუალებებთან დაკავშირებით.

აქტივობა 1.2: მოსწავლეები პაუზებით კითხულობენ ტექსტს. მასწავლებელი ტექსტთან დაკავშირებით აძლევს დამაზუსტებელ განმარტებებს.

აქტივობა 1.3: მასწავლებელი სვამს შეკითხვებს ტექსტიდან გამომდინარე, რათა დააზუსტოს მოსწავლეთა მიერ ტექსტის გაგება-გააზრება.

აქტივობა 1.4: მოსწავლეები აღწერენ ნამუშევარს და ცდილობენ ამოიცნონ ხელოვანის ჩანაფიქრი, იდეა. მასწავლებელი სვამს შეკითხვებს, რომლებიც დაეხმარება მათ სწორი პასუხების პოვნაში.

აქტივობა 1.5: მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და ეცნობიან ფერწერული ტილოს ისტორიას და მხატვრის მთავარ სათქმელს.

აქტივობა 1.6: მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ბრეიგელის ნამუშევარს. მოსწავლეები აღწერენ ფერწერულ ტილოს და ცდილობენ გამოიცნონ მხატვრის მთავარი იდეა, ღირებულება.

მასწავლებელი აკითხებს ტექსტს. მოსწავლეები ადარებენ თავიანთ მოსაზრებებს ავტორისეულ ჩანაფიქრს. კითხვების საშუალებით ახდენს ტექსტის გაგება-გააზრებას.

აქტივობა 1.7: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს პიკასოს ნამუშევარს. მოსწავლეები აღწერენ და გამოთქვამენ მოსაზრებებს თუ რა აზრი გადმოსცა ავტორმა ამ ნამუშევრით. ამის შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და ეცნობიან ფერწერული ტილოს ისტორიულ მნიშვნელობასა და მხატვრულ ღირებულებას. მასწავლებელი კითხვა-პასუხის მეშვეობით ახდენს ტექსტის გაგება-გააზრების დონის დადგენას.

აქტივობა 1.8: მასწავლებელი სვამს გაკვეთილის შემაჯამებელ კითხვებს. მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს ხელოვნებაზე, როგორც კომუნიკაციის საშუალებაზე.

რეკომენდაცია მასწავლებელს:

არჩევითი დავალებებიდან მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა აარჩევინოს მათთვის სასურველი აქტივობა, რომელსაც განახორციელებენ კლასში.

სასწავლო პროცესის დეტალური აღწერა:

მიმართულება: ბუნებისმეტყველება

თემა - მედიცინის განვითარება უძველესი დროიდან დღევანდელობამდე

აქტივობა 1.1: მოსწავლემ ამოიცნოს და დაასახელოს სამედიცინო ატრიბუტები.

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს რამდენიმე სურათს და ეკითხება, რა არის გამოსახული ამ სურათებზე. მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს. მასწავლებელი, საჭიროებისამებრ, აწვდის/უხსნის მათ დასახელებას ან განმარტებას.

აქტივობა 1.2: სიტყვების/ტერმინების განმარტება

მასწავლებელი მოსწავლეებს უსახელებს სიტყვებს/ტერმინებს და სთხოვს მათ, გამოთქვან ვარაუდი თუ რას შეიძლება ნიშნავდეს ესა თუ ის სიტყვა/ტერმინი. მასწავლებელი მოსწავლეების გამოთქმულ ვარაუდებს ჩამოწერს დაფაზე, შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს წაიკითხონ და შეადარონ, დაემთხვა თუ არა მათი ვარაუდები და რეალური განმარტებები. მასწავლებელი, საჭიროებისამებრ, ხსნის ან იძლევა დამატებით კომენტარს.

აქტივობა 1.3: მედიცინის განვითარება უძველესი დროიდან დღევანდელობამდე

მასწავლებელი მოსწავლეებს აკითხებს ტექსტს „მედიცინის განვითარება უძველესი დროიდან დღევანდელობამდე“. ტექსტის წაკითხვის შემდგომ, საჭიროებისამებრ, აკეთებს განმარტებებს. ბოლოს კითხვების გამოყენებით ახდენს წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრების შემოწმებას.

აქტივობა 1.4: 21-ე საუკუნის მედიცინა

მასწავლებელი მოსწავლეებს აკითხებს ტექსტს “21-ე საუკუნის მედიცინა ტექსტის წაკითხვის შემდგომ საჭიროებისამებრ აკეთებს განმარტებებს. ბოლოს კითხვების გამოყენებით ახდენს წაკითხული ტექსტის გაგება გააზრების შემოწმებას.

აქტივობა 1.5: დისკუსია

მასწავლებელი მოსწავლეებს ანაწილებს ჯგუფეფად; ჯგუფებს აძლევს ინსტრუქსიას - მათ უნდა აირჩიონ შესწავლილი მასალიდან ერთ-ერთი სამეცნიერო აღმოჩენა და იმსჯელონ, რატომ მიაჩნიათ ეს აღმოჩენა საინტერესოდ. ჯგუფები წარმოადგენენ საკუთარ მოსაზრებებს და იმართება საკლასო დისკუსია.

მასწავლებლის რესურსი 1

რეკომენდაცია მასწავლებელს:

- მასწავლებელი მუდმივად მუშაობს ტერმინოლოგიასა და დარგობრივ ლექსიკაზე, ასევე, ფრაზებსა და კონსტრუქციებზე.
- საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელმა უნდა განავითაროს ლექსიკონზე მუშაობის უნარ-ჩვევები.
- აქტივობა 1.5. შესრულებისას თვალ-ყური ადევნეთ, რომ ჯგუფებმა არ აირჩიონ ერთი და იგივე აღმოჩენა.
- სურვილისამებრ, შეგიძლიათ ასევე ჩაატაროთ სახალისო აქტივობების #2 და #3 სავარჯიშოები

სასწავლო პროცესის დეტალური აღწერა:

მიმართულება: მათემატიკა

მიზანი: მოსწავლემ უნდა შეძლოს ფარდობითი სიხშირის გამოთვლა; ამოიცნოს აუცილებელი, შეუძლებელი, შემთხვევითი ხდომილება, საწინააღმდეგო ხდომილება, შეძლოს ელემენტარულ ხდომილებათა რაოდენობის დათვლა, ხდომილების ალბათობისა და პირობითი ალბათობის გამოთვლა.

აქტივობა 1.1: წინარე ცოდნის გააქტიურება.

წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით მასწავლებელი სვამს კითხვებს სიმრავლეებზე - რას წარმოადგენს ორი სიმრავლის გაერთიანება, თანაკვეთა; როგორ გამოვთვალოთ ფარდობითი სიხშირე და მოსწავლეები ამოცანის საშუალებით გამოთვლიან ფარდობით სიხშირეს.

აქტივობა 1.2: ახალი მასალის ახსნა.

ახალი მასალის ახსნას მასწავლებელი იწყებს სიტყვა ალბათობის მნიშვნელობის გააზრებაზე და მის გამოყენებაზე ყოველდღიურ ცხოვრებაში. განუმარტავს მოსწავლეებს ხდომილებას, მის საწინააღმდეგო ხდომილებას, გააცნობს აუცილებელ, შემთხვევით და შეუძლებელ ხდომილებას და თითოეულის შემთხვევას ამოცანით წარმოადგენს; უხსნის მოსწავლეებს ალბათობის კლასიკურ განმარტებას - შეუძლებელი, აუცილებელი და შემთხვევითი ხდომილების ალბათობას და პირობითი ალბათობის გამოთვლის ფორმულას.

აქტივობა 1.3: განმტკიცება

საკითხის განმტკიცების მიზნით, მასწავლებელი განიხილავს ამოცანას, რომლის ამოსახსნელად საჭიროა პირობითი ალბათობის გამოსათვლელი ფორმულის გამოყენება.

აქტივობა 1.4. შეჯამება

შესასწავლი საკითხის განმტკიცების შემდეგ, შეჯამების მიზნით, მასწავლებელი განიხილავს ამოცანებს, რომელთა საშუალებითაც ვითვლით ალბათობას იმ შემთხვევისთვის, როცა მოცემულია ხელშემწყობ ელემენტარულ ხდომილებათა რაოდენობა და ელემენტარულ ხდომილებათა საერთო რაოდენობა.

აქტივობა 1.5. დამოუკიდებელი სამუშაო

რამდენად გაიგეს და გაიაზრეს საკითხი მოსწავლეებმა, მასწავლებელი შესამოწმებლად აძლევს დამოუკიდებელ სამუშაოს - ტესტს.

რეკომენდაცია მასწავლებელს:

მასწავლებელი მუდმივად მუშაობს ტერმინოლოგიასა და დარგობრივ ლექსიკაზე, ასევე, ფრაზებსა და კონსტრუქციებზე.

ინტერკულტურული განათლება

თანამედროვე სამყაროში, გლობალიზაციის პირობებში, უფრო და უფრო საჭირო ხდება სხვადასხვა ერს შორის კულტურათაშორისი ურთიერთობების განვითარებაზე ზრუნვა, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს ინტერკულტურულ განათლებას.

ინტერკულტურული განათლება - აღიარებს მრავალფეროვნების არსებობას ადამიანის ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, ხელს უწყობს თანამშრომლობას და თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობების შექმნას, აყალიბებს ღირებულებათა სისტემას, რომლის გარშემოც მიიღწევა თანასწორობა. **ძირითადი ტერმინები** - ჰუმანურობა, სოლიდარობა, ურთიერთგაგება, კულტურათა პატივისცემა, ტოლერანტობა.

ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს შორის ერთ-ერთია „ეთნიკური მრავალფეროვნება და კულტურული მემკვიდრეობა“, რომელიც პირდაპირ კავშირშია ინტერკულტურული განათლების ხელშეწყობასთან. ინტერკულტურული განათლება ენის სწავლებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია, რადგან ენა არის კულტურის მთავარი გამტარი და კომუნიკაციის ძირითადი ინსტრუმენტი. ის ეხმარება მოსწავლეებს, გაიგონ, დააფასონ და პატივისცემით მოეკიდონ სხვა კულტურებს; ამცირებს სტერეოტიპებს და დისკრიმინაციას; ქმნის საფუძველს გლობალური მოქალაქეობის განვითარებისათვის.

ენა არის ადამიანური კულტურის გამოხატვის ერთ-ერთი ყველაზე უნივერსალური და მრავალფეროვანი ფორმა და, შესაძლოა, ყველაზე არსებითიც კი. ენობრივი მრავალფეროვნება კულტურული მრავალფეროვნებაა და გულისხმობს ერთზე მეტი ენის გამოყენებას ყოველდღიურ ცხოვრებაში. ენობრივი კომპეტენციები დემოკრატიულ და პლურალურ საზოგადოებებში ფუნდამენტური საყრდენია პიროვნების განვითარებისა და საზოგადოებაში დამკვიდრებისთვის, რადგან განაპირობებს სკოლაში მოსწავლეთა მიღწევებს, ხელს უწყობს წვდომას განსხვავებულ კულტურებთან და კომუნიკაციას.

ნებისმიერ ქვეყანაში უცხოელისთვის ენის სწავლების სწორად დაგეგმილი პროცესი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რათა შემსწავლელმა წარმატებით მოახერხოს „კულტურული შოკის“ განმუხტვა. უცხოენოვან გარემოში მყოფ მოზარდს „კულტურული შოკის“ 5 საფეხური აქვს დასაძლევი (Wagner, W. (2005). Kulturschock Deutschland. Hamburg: Europäische Verlagsanstalt/Rotbuch Verlag. გვ. 26.). ესენია:

1. **ეიფორია:** უცხო კულტურის დამკვირვებლის /მაყურებლის როლში ყოფნა;
2. **გაუცხოება:** კომუნიკაციური სირთულეები, კომუნიკაციის დეფიციტი...
3. **ესკალაცია:** უცხო კულტურის მიუღებლობა, საკუთარი კულტურით ტკბობა;
4. **გაუგებრობა:** შინაგანი კონფლიქტები - როგორც კულტურულ განსხვავებებზე დაფუძნებული გაუგებრობების შედეგი;
5. **უცხო კულტურის გაგება:** განსხვავებული კულტურის გაგების მცდელობა, შესწავლა.

უცხო ენის შესწავლის პროცესში მიზნობრივი ენის კულტურის ელემენტების აღქმა განსხვავებულია.

ჩვეულებრივ, შეინიშნება სამი ფაზა:

1. **გაოცება და ნეგატიური დამოკიდებულება;**
2. **ნეიტრალური დამოკიდებულება („უცნაურია“);**
3. **გაგება და ნეიტრალური ან პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება.**

განათლება მუდმივცვალებადი სფეროა და კითხვები: **რატომ სწავლობენ მოსწავლეები? ან ინტერესით მოვისმენდი თუ არა ჩემსავე გაკვეთილს, მოსწავლე რომ ვიყო? –** ყოველთვის ყველაზე აქტუალური კითხვებია. მიუხედავად იმისა, რომ წარმატებული სწავლების შესახებ მრავალი პრაქტიკული და სასარგებლო რესურსი არსებობს, არცერთი მათგანი „რეცეპტის“ ფუნქციას არ ასრულებს.

ენის სწავლებაში ინტერკულტურულ განათლებას მნიშვნელოვანი როლი აქვს. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს:

1. გაგებისა და ემპათიის გაღრმავება:

ინტერკულტურული განათლება ეხმარება მოსწავლეებს, უკეთ გაიგონ, გაეცნონ და, შესაბამისად, აღიქვან სხვა კულტურები, ტრადიციები და ღირებულებები. ეს ხელს უწყობს ემპათიის უნარის განვითარებას და პატივისცემის ჩამოყალიბებას განსხვავებული კულტურის ადამიანების მიმართ.

2. ენობრივი კონტექსტის გაუმჯობესება:

ენის სწავლა მხოლოდ გრამატიკისა და ლექსიკის გაგებას არ გულისხმობს. ენის ეფექტიანად გამოყენება მოითხოვს კულტურული კონტექსტის გაგებასაც. ინტერკულტურული განათლება ეხმარება მოსწავლეებს, გაიგონ ენის სოციალური და კულტურული ასპექტები, რაც ხელს უწყობს მათ, უკეთ გაიაზრონ და გამოიყენონ ენა რეალურ სიტუაციებში.

3. საკომუნიკაციო უნარების გაუმჯობესება:

განსხვავებული კულტურების შესახებ სწორი წარმოდგენები ეხმარება მოსწავლეებს კომუნიკაციაში. კომუნიკაციის პროცესში ისინი სწავლობენ, როგორ მიაქციონ ყურადღება განსხვავებული კულტურული ნორმების, ჟესტების, ტონისა და ქცევების მნიშვნელობას.

4. გლობალური მოქალაქეობის განვითარება:

ინტერკულტურული განათლება ხელს უწყობს მოსწავლეების გლობალურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას, რაც მსოფლიოს განსხვავებული კულტურების აღქმის წინაპირობაა და თანასწორობაზე, პატივისცემასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობების საფუძველია.

5. დისკრიმინაციისა და სტერეოტიპების შემცირება:

ინტერკულტურული განათლება ეხმარება მოსწავლეებს სტერეოტიპების დაძლევასა და დისკრიმინაციის უარყოფითი გავლენების სწორად აღქმაში. განსხვავებული კულტურების გაცნობა მოსწავლეებში ზრდის თანაგანცდის, თანასწორობის, სამართლიანობისა და სიტუაციის სწორად შეფასების უნარებს.

6. სწავლების ხარისხის გაუმჯობესება:

ინტერკულტურული განათლება საშუალებას გვაძლევს, გავამდიდროთ სასწავლო პროცესი საინტერესო და მრავალფეროვანი გაკვეთილებით. ასეთი გაკვეთილები მოტივირებულს ხდის მოსწავლეებს, აქტიურად ჩაერთონ სწავლების პროცესში, რაც აუმჯობესებს სწავლების ხარისხს და უკეთესი შედეგების მიღწევაში ეხმარება მათ.

7. შინაარსის გადმოცემის გამარტივება:

ენის სწავლებაში კულტურული კონტექსტის ცოდნა ეხმარება მასწავლებლებს, სწავლების პროცესში უფრო საინტერესო და პრაქტიკული მაგალითები გამოიყენონ. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლეების მიერ ინფორმაციის უკეთ აღქმასა და დამახსოვრებას.

რა მნიშვნელობა აქვს ენის სწავლებას ინტერკულტურული განათლებისთვის**?**

ენის სწავლებაში ინტერკულტურული განათლება არა მხოლოდ აუმჯობესებს მოსწავლეების ენობრივი და კომუნიკაციური უნარების განვითარებას, არამედ ხელს უწყობს შესასწავლ ენასთან დაკავშირებული კულტურული ფენომენის აღქმას და გლობალური მოქალაქეობის ჩამოყალიბებას.

ენის გაკვეთილები შეიძლება მოიცავდეს თემებს, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს გაიგოს და აღიქვას განსხვავებული კულტურის ტრადიციები, კულტურული მიღწევები, გაუადვილდეს ინტეგრირება. ამისთვის მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს ტექსტები, ვიდეოები, მუსიკა, ფილმები და სხვა მასალები, რომლებიც მიმოხილვითი ხასიათის იქნება და საინტერესოდ მიაწვდის ენის შემსწავლელს საჭირო ინფორმაციას.

ენის გაკვეთილები შეიძლება მოიცავდეს პრაქტიკულ აქტივობებს, როგორებიცაა როლური თამაშები, დებატები და დისკუსიები, რომლებიც აახლებს და ამრავალფეროვნებს კომუნიკაციის პროცესს სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში სხვადასხვა ინსტრუმენტითა და აქტივობით:

- **ინტერაქტიური ტექნოლოგიები:**

ინტერნეტის და სხვა ტექნოლოგიების გამოყენება საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, ვირტუალურ გარემოში მოახერხონ განსხვავებული კულტურის გაცნობა. ეს შეიძლება იყოს ონლაინკურსები, ფორუმები, სოციალური მედიაჯგუფები და სხვა პლატფორმები.

- **მასწავლებლის ტრენინგი:**

მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ გავლილი სათანადო ტრენინგი „ინტერკულტურული განათლების საკითხებზე, მის მნიშვნელობასა და ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობებზე. ეს დაეხმარება მათ, სწორად შეარჩიონ საჭირო აქტივობები მოსწავლეების უნარების ამ მიმართულებით განვითარებისთვის.

- **კულტურული ღონისძიებების ორგანიზება:**

სკოლებსა და სასწავლო დაწესებულებებში შეიძლება ჩატარდეს კულტურული ღონისძიებები, ფესტივალები და გამოფენები, რომლებიც ხელს შეუწყობს სხვადასხვა კულტურის წარმოჩენას; ეს დაეხმარება მოსწავლეს, საინტერესო საგანმანათლებლო ღონისძიებებზე მიღებული ინფორმაციით გაიმდიდროს ცოდნა.

ენობრივი მხარდაჭერის პროგრამები:

თუ მოსწავლე ქართულად არ საუბრობს, გაკვეთილები ორიენტირებული უნდა იყოს ენის ცოდნის გაღრმავებასა და გარემოში თანდათანობით ინტეგრაციაზე.

მენტორი/ტუტორი: სპეციალური მენტორი ან ტუტორი, რომელიც ეხმარება მოსწავლეს ენის შესწავლაში, უნდა ფლობდეს განსაკუთრებულ უნარებს - გამოირჩეოდეს ემპათიის გრძნობით, საინტერესო აქტივობების დახმარებით მოახერხოს მოსწავლის დაინტერესება განსხვავებული კულტურით.

ინდივიდუალური მიდგომა:

ინდივიდუალური საუბრები და შეხვედრები: მასწავლებელმა უნდა დაუთმოს გარკვეული დრო მოსწავლეს, გაიგოს სირთულეებისა და პრობლემების მიზეზი და შეიმუშაოს ინდივიდუალური მიდგომა.

ინტერაქტიური აქტივობები: როლური თამაშები, სადაც მოსწავლე განასახიერებს სხვადასხვა სიტუაციას, ეხმარება მას კომუნიკაციური უნარების განვითარებაში.

მრავალფეროვანი სასწავლო მასალები:

სასურველია, რომ სასწავლო მასალები მოიცავდეს მრავალფეროვან აქტივობებს, რომლებიც დატვირთული იქნება კულტურული ასპექტებით. წარმოდგენილი რესურსები უნდა იყოს მდიდარი და მრავალფეროვანი, მოსწავლეებისთვის საინტერესო, რათა სწორი წარმოდგენა შეუქმნას მათ იმ კულტურაზე, რომლის გაცნობაც უწევთ.

სურათები და ვიზუალური მასალები: სურათები, დიაგრამები და ვიზუალური მასალები ეხმარება მოსწავლეს, უკეთ გაიგოს გაკვეთილის შინაარსი.

მულტიმედია რესურსები: ვიდეოები, აუდიოჩანაწერები და სხვა მულტიმედია რესურსები ხელს უწყობს ენის სწავლებას.

მოსწავლეების ჩართულობა:

ჯგუფური სამუშაოები: თუ მოსწავლე სხვადასხვა ტიპის აქტივობებით ჩართულია ჯგუფურ სამუშაოებში, ეს ეხმარება მას კომუნიკაციის უნარების განვითარებაში.

პარტნიორის სისტემა: ასეთი სისტემა ხელს უწყობს მოსწავლეების დაახლოებას. ერთმანეთისთვის აზრისა და გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანია ჯანსაღი კომუნიკაციის ჩამოყალიბებისთვის.

კულტურული ღონისძიებები:

კულტურის დღეები: დაგეგმეთ საინტერესო ღონისძიებები, რომლებიც კულტურული გარემოს წარმოჩენას შეუწყობს ხელს. დაეხმარეთ მოსწავლეებს, წარმოადგინონ და ისაუბრონ საკუთარ კულტურაზე, ტრადიციებსა და ისტორიაზე. ეს დაეხმარება მათ, უკეთ გაიგონ და დააფასონ ერთმანეთის კულტურა, ტრადიციები და ღირებულებები.

ფსიქოლოგიური მხარდაჭერა:

კონსულტაციები: ფსიქოლოგთან შეხვედრები დაეხმარება მოსწავლეებს, დაძლიონ ენობრივი ბარიერით და განსხვავებულ კულტურასთან შეხებით წარმოქმნილი სირთულეები.

ემპათიური გარემო: შექმენით გარემო, სადაც მოსწავლეებს შეეძლებათ თავისუფლად ისაუბრონ წარმოქმნილ პრობლემებზე.

ტექნოლოგიების გამოყენება:

საკლასო აპლიკაციები და პროგრამები: გამოიყენეთ სხვადასხვა ენის სწავლებაზე ორიენტირებული სხვადასხვა აპლიკაცია და პროგრამა, როგორებიცაა: Duolingo, Rosetta Stone და სხვ.

ონლაინ რესურსები: მიეცით მოსწავლეებს წვდომა ონლაინ რესურსებზე, რომლებიც გათვლილია ენის სწავლებაზე.

მშობლებთან კომუნიკაცია:

მშობლებთან რეგულარული შეხვედრები: რეგულარული კომუნიკაცია მშობლებთან დაეხმარება მათ, თვალყური ადევნონ შვილის პროგრესს, დაინახონ პრობლემები და გაიაზრონ ამ პრობლემების მოგვარების აუცილებლობა.

მშობლების ჩართულობა: მშობლების ჩართულობა კულტურულ ღონისძიებებში.

როგორ უნდა მოხდეს ინტერკულტურული საკითხების ინტეგრაცია საგნობრივ პროგრამებში?

ინტერკულტურული განათლების ორიენტირებზე საუბრისას, მნიშვნელოვანია იმ ძირითადი ნიშნულების განსაზღვრა, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს განათლების სფეროს წარმომადგენელმა, რათა შეაფასოს, რამდენად მულტიკულტურულია სკოლა და რა ნაბიჯებია გადასადგმელი გამოვლენილ ხარვეზთა აღმოსაფხვრელად. კვლევა, რომელიც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდისა და საქართველოში მცხოვრები ლტოლვილი მოსწავლეებისთვის სახელმწიფო ენის სწავლებაზე ხელმისაწვდომობის მხარდამჭერი პროექტის ფარგლებში განახორციელა, მიზნად ისახავდა ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების პრობლემების გამოკვეთას; ენის სწავლა-სწავლების საუკეთესო გამოცდილების ოპტიმიზაციით, მოსწავლის სასწავლო მიზნების მიღწევაში დახმარებას;

სკოლებისა და მასწავლებლების ხელშეწყობას სასწავლო პრაქტიკის შემდგომ გაუმჯობესებაში; შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, დამხმარე ეფექტური სასწავლო რესურსის მომზადებას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებისა და პრეფერენციების გათვალისწინებით, რომლის მიზანია ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების შედეგების გაუმჯობესება არაფორმალური განათლების დახმარებით.

კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულ 28 სკოლაში საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი (ჰუმანიტარული სტატუსით, თავშესაფრის მაძიებლის სტატუსით, ლტოლვილის სტატუსით) 155 მოსწავლე სწავლობს.

სკოლის დირექტორთა 86% მიიჩნევს, რომ **სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისთვის** ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც მოსწავლის უცხო ენის შესწავლის დონე, ისე ასაკი და მისი ოჯახის სოციალური მდგომარეობა; ხოლო 14% თვლის, რომ სასწავლო პროცესის დასაგეგმად მნიშვნელოვანია მოსწავლის ენის შესწავლის გამოცდილება.

სკოლის დირექტორთა 86% თვლის, რომ **ლტოლვილ მოსწავლეთა ენის სწავლის პროგრესზე** გავლენას ახდენს როგორც მშობელთა ჩართულობა, ისე დამატებითი პროგრამა/კურსი, პოზიტიური სასწავლო გარემო და რესურსების ხელმისაწვდომობა. დირექტორთა 11% თვლის, რომ მნიშვნელოვანია პოზიტიური სასწავლო გარემო, ხოლო 3% მიიჩვევს, რომ მოსწავლის მიერ ენის შესწავლის პროგრესზე მოქმედი ფაქტორი რესურსების ხელმისაწვდომობაა.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ დირექტორთა 46%-ის თქმით, მათ სკოლებში **ლტოლვილ მოსწავლეთათვის არ არსებობს არაფორმალური განათლების აქტივობები** (ქართული ენის ცოდნის გაუმჯობესების დამატებითი კურსი, ენის შესწავლის არაფორმალური აქტივობები, სხვა პროგრამა/პროექტი/კურსი).

კულტურულად მრავალფეროვანი მოსწავლეების ინტერესებზე სასწავლო გეგმის მორგებისას, მასწავლებელი მოსწავლეების კულტურულ გამოცდილებას იყენებს ერთგვარ **„ცოდნის ფონდად“**, რომელზეც შეიძლება დაეფუძნოს უცხოენოვან მოსწავლეთა ენობრივი კომპეტენციის ამაღლება ქართულში, რათა მათ აკადემიური ცოდნა მიიღონ ქართულ ენაზე და განივითარონ კომუნიკაციის უნარები.

როგორ ვასწავლოთ სხვადასხვა ცოდნის დონის, უნარების და სხვადასხვა ენობრივი კომპეტენციის მქონე მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხი? გამოცდილება აჩვენებს, რომ ის მასწავლებლები, რომლებიც წარმატებით სცემენ პასუხს ამ კითხვას, სწავლების პროცესში ეფექტურად იყენებენ სხვათა დახმარებას. ეს „სხვა“ შეიძლება იყოს: თანაკლასელი, მშობელი, უფროსკლასელი, კოლეგა და სხვა ზრდასრული. ისინი ასევე მიმართავენ მოსწავლეთა დაჯგუფების სხვადასხვა მოდელს, შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს და მოსწავლეთა მუდმივ მონიტორინგს, რაც საშუალებას აძლევთ, თვალყური ადევნონ მოსწავლის მიღწევებს ენობრივი კომპეტენციის განვითარებაში, სწავლის ტემპსა და სხვა პიროვნულ თავისებურებებს და ამის მიხედვით ააგონ სასწავლო გეგმა.

კითხვაზე, თუ რა სახის დამატებითი რესურსი დაეხმარება მოსწავლეებს ენის ცოდნის გაუმჯობესებაში, დირექტორთა პასუხების ანალიზის შედეგად შემდეგი სურათი მივიღეთ:

- ✓ ადაპტირებული მატერიალური რესურსი: სახელმძღვანელოები, ილუსტრირებული კლასგარეშე საკითხავი, კომიქსები, თვალსაჩინოებები, ბარათები, ვიზუალური სქემები, სასაუბროები;
- ✓ მულტიმედია რესურსი და სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება: ელექტრონული სახელმძღვანელოები, მოსასმენი ვიდეო-აუდიო რესურსი, ანიმაციები, ფილმები;
- ✓ არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები: ვიდეო გაკვეთილები, დამატებითი შეხვედრები/კურსი;
- ✓ კვალიფიციური ადამიანური რესურსი: მასწავლებელი, მშობლებთან მომუშავე სპეციალისტი;
- ✓ ტრენინგები: მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების მეთოდიკაში;
- ✓ ფინანსური რესურსი მასწავლებელთა დამატებითი სამუშაოს ასანაზღაურებლად.

გამოკითხულ დირექტორთა და მასწავლებელთაგან არცერთს არ გაუმახვილებია ყურადღება ინტერკულტურული გარემოს შექმნაზე უცხო ენის სწავლების პროცესში.

სკოლის დირექტორები მიიჩნევენ, რომ ლტოლვილ მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩასართავად და ცოდნის გასაუმჯობესებლად შემდეგი სახის ფორმალური და არაფორმალური აქტივობებია საჭირო:

- **ფორმალური აქტივობები:** ფილმების/მულტფილმების ჩვენება და ანალიზი, ილუსტრირებული სახელმძღვანელოების გამოყენება, სწავლა თამაშით, წაკითხულის გააზრება, როლური თამაში, ადაპტირებული მხატვრული ტექსტების გააზრება, შემოქმედებითი აქტივობები, მოსმენის აქტივობები;
- **არაფორმალური აქტივობები:** ენის შესწავლის კურსები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ინდივიდუალური განრიგით დამატებითი მეცადინეობა, გასვლითი გაკვეთილები, ექსკურსიები, სპექტაკლები, ვიქტორინები, კლუბები;
- **სასკოლო პროექტებში ჩართულობა:** სასწავლო და სოციალური პროექტები;
- **თანატოლებთან ცოცხალი კომუნიკაცია;**
- **სპორტული აქტივობები;**
- **სარემედიაციო აქტივობები** (მათ შორის მშობელთათვის);

კითხვაზე, თუ რამდენად აქტიურად არიან ჩართულნი ლტოლვილი მოსწავლეები სკოლის/კლასის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, დირექტორთა 61% და მასწავლებელთა 69% თვლის, რომ მოსწავლეები რეგულარულად მონაწილეობენ სპექტაკლებში, ვიქტორინებსა თუ სასწავლო პროექტებში, ხოლო დირექტორთა 39%-ს და მასწავლებელთა 29%-ს მიაჩნია, რომ მოსწავლეები იშვიათად იღებენ მონაწილეობას აღნიშნულ აქტივობებში. გამოკითხულთა შორის აქტივობების შინაარსზე ხაზგასმისას არ იკვეთებოდა ღონისძიებების ინტერკულტურული ხასიათი.

- მოსწავლეთა ინტეგრაციის ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორებად დირექტორების მიერ დასახელდა **ენობრივი ბარიერი (17.61%)** და **ოჯახური გარემო** - საცხოვრებლის ხშირი ცვლა, ოჯახში მხოლოდ მშობლიურ ენაზე საუბარი, სოციალური ფაქტორი **(6.21%).**
- გამოკითხულ დირექტორთა 1.4% ხელისშემშლელ ფაქტორებად მიიჩნევს:

კულტურულ-ტრადიციულ სხვაობას, ინიციატივის არქონას, სასწავლო პროცესის არასათანადოდ წარმართვას, წინასწარ განწყობებს, რესურსების არქონას.

- დირექტორთა 82% და მასწავლებელთა 72% თვლის, რომ მ**იუხედავად მოსწავლეთა შორის კულტურული სხვაობისა, განსხვავებული კულტურა ნეგატიურ კონტექსტში** არ წარმოჩინდება; გამოკითხულ დირექტორთა 18% და მასწავლებელთა 22% მიიჩნევს, რომ განსხვავებული კულტურა ნაწილობრივ წარმოჩინდება ნეგატიურ კონტექსტში:

- დირექტორთა 43% არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ მოსწავლეები ყურადღებას არ ამახვილებენ/ინტერესს არ ამჟღავნებენ კლასში არსებულ კულტურულ მრავალფეროვნებაზე; ამ დებულებას კატეგორიულად არ ეთანხმება დირექტორთა 18%, ნაწილობრივ ეთანხმება სკოლის მმართველთა 29%, ეთანხმება 7% და სრულიად ეთანხმება 3%. ეს წინააღმდეგობაში მოდის კვლევის შედეგებთან, სადაც აღნიშნული იყო, რომ მოსწავლეთა ინტეგრაციის ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორებად დირექტორების მიერ დასახელდა **ენობრივი ბარიერი (17.61%)** და **ოჯახური გარემო** - საცხოვრებლის ხშირი ცვლა, ოჯახში მხოლოდ მშობლიურ ენაზე საუბარი, სოციალური ფაქტორი **(6.21%).**

- გამოკითხულ დირექტორთა 1.4% ხელისშემშლელ ფაქტორებად მიიჩნევს: კულტურულ-ტრადიციულ სხვაობას, ინიციატივის არქონას, სასწავლო პროცესის არასათანადოდ წარმართვას, წინასწარ განწყობებს, რესურსების არქონას.

- ამავე კითხვაზე მასწავლებელთა პასუხების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა (82%) არ ეთანხმება კლასში არსებული კულტურული მრავალფეროვნების იგნორირებას მოსწავლეების მხრიდან:

დირექტორთა გამოცდილება (დადებითი/უარყოფითი) ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებით.

ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებული გამოცდილების ანალიზის შედეგად გამოვყავით დირექტორთა დადებითი და უარყოფითი პრაქტიკის მაგალითები.

დადებითი გამოცდილება:

- ქართულ სექტორზე სწავლებისას ხელშემწყობი გარემოს შექმნა ქართულის, როგორც უცხო ენის შემსწავლელთათვის;

- ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნა (შებოჭილობის, კომპლექსების, დაცინვის, ქილიკის, შეცდომის დაშვების შიშის მოხსნა);

- პროექტში „მეორე შანსი“ მონაწილეობა;

- სარემედიაციო აქტივობები;

- სასკოლო გარემოს ორიენტირება მოსწავლეთა ენის სწრაფ ათვისებასა და შესწავლაზე;

- მშობლისა და მასწავლებლის ჩართულობა;

- ენის შემსწავლელ მოსწავლეთა მაღალი მოტივაცია;

- უცხოენოვან მოსწავლეთა ურთიერთთანამშრომლობა;
- საკლასო აქტივობებში, ღონისძიებებში, სპორტულ აქტივობებსა და პროექტებში ჩართულობა;
- სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინება;
- მრავალფეროვანი, თანამედროვე მეთოდები და აქტივობები (როლური თამაში, ინტერვიუ);
- საინტერესო რესურსი;
- მოსწავლეთა ენის ფლობის დონის შეფასება და მათთვის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის/სასწავლო გეგმის შემუშავება;
- ურთიერთსწავლების მეთოდის გამოყენება (ქართველი მოსწავლეები ეხმარებიან ლტოლვილ მოსწავლეს ქართული ენის შესწავლაში; ინტერესდებიან უცხოენოვანი კლასელის მშობლიური ენით და სთხოვენ ქართულ ენაზე შესწავლილი ახალი ფრაზის/სიტყვის თარგმნას მათ მშობლიურ ენაზე, რათა ისწავლონ უცხოენოვან მოსწავლეთა ენა.
- ქართული ენის ცოდნის დონის გაუმჯობესების დამატებითი კურსი, რომელსაც ქართული ენის მასწავლებლები უძღვებიან (შედეგად, მოსწავლეებს შეუძლიათ მოსმენა, მოსმენილის გააზრება და ნაწილობრივ ახერხებენ მეტყველებასაც);
- მოსწავლეთა ძლიერი მხარის გათვალისწინება, სასწავლო პროცესში მათ ჩასართავად;
- კითხვის ეფექტური სტრატეგიების გამოყენება, უცნობი სიტყვების ვიზუალური გამოსახულებით/სურათებით განმარტება, ახალი სიტყვებით წინადადებების შედგენა.

უარყოფითი გამოცდილება:

- მასწავლებლებს უჭირთ, საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთათვის, სხვადასხვა საგნის შესასწავლი მასალის ადაპტირება;
- სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა დაბალი ჩართულობა („მშობლების უმრავლესობამ არ იცის ქართული ენა და ვერ ეხმარება საკუთარ შვილს ენის ბარიერის დაძლევაში“);
- გრამატიკული საკითხების შესწავლის სირთულე („უჭირთ გრამატიკის შესწავლა, შედარებით უკეთ გამოსდით ზეპირი მეტყველება“);
- არასაკმარისი სასწავლო მასალა.

მშობლის/მასწავლებლის უკუკავშირის როლი სასწავლო პროცესის დაგეგმვაში.

დირექტორთა აზრით, მშობლის/მასწავლებლის კონსტრუქციული უკუკავშირი ხელს უწყობს:

- სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას;
- მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების/პრობლემების გამოკვეთას;
- უმტკივნეულო ტრანზიციასა და ადაპტაციას;
- სასკოლო/საგნობრივი კურიკულუმის დახვეწას.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დირექტორთა ნაწილის აზრით, მშობელთა სასწავლო პროცესში ჩართვა ენობრივი ბარიერის (ან სამსახურის) გამო შეუძლებელია და მხოლოდ თარჯიმნის დახმარებით ხერხდება.

გამოკითხული 53 მასწავლებლიდან 92% სკოლის მასწავლებელია, ხოლო 8% - პროექტის ფარგლებში მუშაობს ლტოლვილ მოსწავლეებთან.

იმ სკოლებში, რომლებშიც ლტოლვილი მოსწავლეები სწავლობენ, მასწავლებელთა (66%) თქმით, არ არის ქართულის, როგორც უცხო ენის დამატებითი კურსი. მხოლოდ გამოკითხულ მასწავლებელთა 30% ადასტურებს კურსის არსებობას, ხოლო 4% თავს იკავებს კითხვაზე პასუხისგან. სამაგიეროდ, მასწავლებელთა 72% ამბობს, რომ ლტოლვილი მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა პროგრამასა და ენის შესწავლის არაფორმალურ აქტივობაში:

მასწავლებლების თქმით, მოსწავლეთათვის ენის სწავლების გაუმჯობესებაში შემდეგი სახის დამატებითი რესურსი დაეხმარებათ:

- მცირე ზომის ადაპტირებული ტექსტები (მოთხრობები, ზღაპრები, კომიქსები) ილუსტრაციებით;
- თვალსაჩინოებები, პრეზენტაციები, ფოტოები, ტაბულები (სქემები), ნახატები, სიუჟეტური სურათები, ბარათები;
- ციფრული რესურსები (ონლაინლექსიკონები, კომპიუტერული პროგრამები, ელექტრონული სასწავლო თამაშები);
- აუდიო და ვიდეორესურსები;
- ფილმები, მულტფილმები ტიტრებით;
- ლექსიკონები (განმარტებითი ონლაინლექსიკონი, დასურათებული ლექსიკონი);
- გრამატიკული სავარჯიშოები; ტესტური დავალებები;
- მუზეუმები;
- ვიდეოგაკვეთილები (ვიდეომასალა ბგერების, სიტყვების);
- დიალოგები / სასაუბროები;
- ინდივიდუალური მეცადინეობა.

თქვენი აზრით, რა ტიპის აქტივობები დაეხმარება ლტოლვილ მოსწავლეებს ყველაზე მეტად? მასწავლებლების პასუხებიდან შემდეგი აქტივობები გამოიკვეთა:

- შემოქმედებითი, შემეცნებითი თამაშები / აქტივობები;
- პრაქტიკული დავალებები;
- არაფორმალურ გარემოში ჩართვა;
- წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობა;
- გრამატიკული სავარჯიშოები;
- სწავლა კეთებით, პროექტები, ინტერაქტიური აქტივობები;
- მცირე ზომის ადაპტირებული ტექსტების კითხვა/დასწავლა;
- კითხვა-პასუხი; სიტუაციური დიალოგები;
- კონკურსები, სპექტაკლები, დისკუსია, დებატები;
- ტექსტის მიხედვით ანიმაციებისა და დიორამების შექმნა;
- წერის, კითხვის, გააზრების აქტივობები;
- სასწავლო ფილმები;
- კომუნიკაცია თანატოლებთან; როლური თამაშები;
- რემედიაცია;
- დამატებითი ენის კურსები.

მოსწავლეთა ინტეგრაციის ხელისშემშლელ ფაქტორად მასწავლებელთა უმრავლესობა (35 მასწავლებელი / 50%-ზე მეტი) ენობრივ ბარიერს ასახელებს. ენის ცოდნის გარდა, მასწავლებლები საუბრობენ მცირე საგაკვეთილო დროზე, მცირე დროში დიდი მოცულობის (ერთდროულად რამდენიმე კლასის) მასალის დაძლევაზე, არაჯანსაღ საკლასო გარემოზე, მოსწავლეთა მიუღებლობაზე, საზოგადოების არაჯანსაღ დამოკიდებულებაზე, კულტურულ განსხვავებასა და სასწავლო პროცესში (ენის ბარიერის გამო) მშობელთა ნაკლებ ჩართულობაზე, პიროვნულ მახასიათებლებსა და სიმორცხვეზე:

- ენობრივი ბარიერი (სახელმწიფო ენის არცოდნა, არასაკმარისი ლექსიკური მარაგი, კომუნიკაციის ნაკლებობა);
- მცირე საგაკვეთილო დრო;
- არასწორი მოთხოვნა - მცირე დროში დიდი მოცულობის (ერთდროულად რამდენიმე კლასის) მასალის დაძლევა;
- არაჯანსაღი საკლასო გარემო, მოსწავლეების ნაკლები მიმღებლობა;
- საზოგადოების არაჯანსაღი დამოკიდებულება;

- კულტურული განსხვავება და მშობელთა ნაკლები ჩართულობა;
- კომუნიკაციის ნაკლებობა;
- ინიციატივის ნაკლებობა;
- პიროვნული მახასიათებლები;
- მასწავლებელთა დაბალი მოტივაცია და მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობის დასაგეგმად არასაკმარისი დრო;
- შეზღუდული ურთიერთობები;
- მშობლების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა.

კვლევის მონაცემთა ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ:

- სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვაში გასათვალისწინებელია როგორც მოსწავლის უცხო ენის შესწავლის დონე, ისე ასაკი და მისი ოჯახის სოციალური მდგომარეობა;
- მოსწავლეებს უფრო მეტად უჭირთ ლაპარაკი და გაგება, ვიდრე კითხვა, წერა და მოსმენა;
- ლტოლვილ მოსწავლეთა ენის სწავლის პროგრესზე ერთნაირად ახდენს გავლენას როგორც მშობელთა ჩართულობა, ისე პოზიტიური სასწავლო გარემო, რესურსების ხელმისაწვდომობა, დამატებითი პროგრამა/კურსი და სასწავლო მეთოდები;
- ლტოლვილი მოსწავლის ინდივიდუალური მახასიათებლებიდან, საკლასო გარემოში ენის ათვისების პროგრესის ფაქტორად დასახელებულია სწავლის სტილი და მშობლიური ენის/ენების შესწავლის ნებისმიერი წინა გამოცდილება, მოტივაცია და მიზნები;
- სკოლებში ლტოლვილ მოსწავლეთათვის არ არსებობს არაფორმალური განათლების აქტივობები; ქართულის, როგორც უცხო ენის დამატებითი კურსი (ენის შესწავლის არაფორმალური აქტივობები, სხვა პროგრამა/პროექტი/კურსი);
- ლტოლვილი მოსწავლეების ენის ცოდნის დონის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების არსებობა: ადაპტირებული სახელმძღვანელოები, ილუსტრირებული კლასგარეშე საკითხავი, კომიქსები, თვალსაჩინოებები, ბარათები, ვიზუალური სქემები, სასაუბროები, ვიდეოგაკვეთილები, ლექსიკონები, მულტიმედია რესურსები და სხვ.;
- გარდა რესურსებისა, ლტოლვილ მოსწავლეთა ინტეგრაციისათვის და სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად საჭიროა მათი არაფორმალურ აქტივობებში ჩართვა (ენის შესწავლის კურსები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ინდივიდუალური განრიგით დამატებითი მეცადინეობა, გასვლითი გაკვეთილები, ექსკურსიები, სპექტაკლები, ვიქტორინები, კლუბები, პროექტები, სპორტული ღონისძიებები და სხვ.);

- სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და ლტოლვილი მოსწავლის უმტკივნეულო ტრანზიციის პროცესისთვის აუცილებელია მშობლისა და მასწავლებლის კონსტრუქციული უკუკავშირი.
- მოსწავლეთა შორის კულტურული სხვაობის მიუხედავად, განსხვავებული კულტურა ნეგატიურ კონტექსტში არ წარმოჩინდება;
- მოსწავლეები ყურადღებას არ ამახვილებენ/ინტერესს არ ამჟღავნებენ კლასში არსებულ კულტურულ მრავალფეროვნებაზე;

შეფასება

ლტოლვილი მოსწავლისთვის ქართული ენის სწავლების ინტერკულტურული მიდგომის გამოყენებისას, შეფასება SOLO ტაქსონომიის მიხედვით შეიძლება გამოიყურებოდეს შემდეგნაირად:

SOLO ტაქსონომიის დონე	**მოსწავლის ქცევები და მიღწევები**	**„კულტურული შოკის“ ფაზა**	**ინტერკულტურული მიდგომების მაგალითები**
პრესტრუქტურული	მოსწავლე ვერ ხვდება კულტურის მნიშვნელობას და ენის სწავლების საჭიროებას.	ეიფორია	მოსწავლე უფრო მეტად აფასებს საკუთარ კულტურას და ჯერ არ აქვს სრული ინტერესი უცხო კულტურის მიმართ.
უნისტრუქტურული	მოსწავლე იწყებს უცხო კულტურის ელემენტების აღქმას, თუმცა ეს ჯერ კიდევ ზედაპირულია.	გაუცხოება	მოსწავლე გამოხატავს კომუნიკაციურ სირთულეებს და ეჭვებს საკუთარი შესაძლებლობების მიმართ. პედაგოგმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლის მხარდაჭერა და დახმარება ენასა და კულტურაში ადაპტაციისთვის.

მულტისტრუქტურული	მოსწავლე იწყებს კულტურული განსხვავებების აღქმას, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ აკავშირებს ამ ცოდნას სხვა ელემენტებთან.	ესკალაცია	მოსწავლემ შეიძლება იგრძნოს დისკომფორტი და ანტაგონიზმი უცხო კულტურის მიმართ. პედაგოგმა უნდა ჩაატაროს აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის კულტურული აღქმის გაფართოებას.
მიმართებითი	მოსწავლე ახერხებს კულტურული განსხვავებების გააზრებას და შეუძლია ამ კულტურული ელემენტების დაკავშირება და ინტერპრეტაცია.	გაუგებრობა	მოსწავლე იწყებს გააზრებას, რომ კულტურული კონფლიქტები შეიძლება იყოს გაუგებრობების შედეგი. პედაგოგმა უნდა უზრუნველყოს კონსტრუქციული დიალოგი, რომელიც ეხმარება მოსწავლეს კულტურათა განსხვავებების გააზრებაში.
აბსტრაქტული	მოსწავლე კარგად აფასებს და იყენებს კულტურულ ელემენტებს ენაში, შეუძლია ინტერკულტურული კონტექსტების სრულად გაგება.	უცხო კულტურის გაგება	მოსწავლე იწყებს უცხო კულტურის გააზრება-გაგებას. პედაგოგმა უნდა მოახდინოს სწავლის პროცესში კულტურული ელემენტების ინტეგრაცია, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის სრულყოფილ ინტერკულტურულ ადაპტაციას.

ეს ცხრილი ეხმარება მასწავლებელს შეფასების პროცესში, რათა შეძლოს სხვადასხვა დონეზე მოსწავლეების ენობრივი კომპეტენციის პროგრესისა და ინტერკულტურული ადაპტაციის დონის შეფასება.

ქართული ენის ინტერდისციპლინური სწავლების მეთოდებისა და აქტივობების ბანკი; სავარჯიშოთა ნიმუშები. ტიპური შეცდომები და ინტერვეციული აქტივობები

შესავალი

საქართველოში მყოფი ქართული ენის არმცოდნე უცხოელი მოზარდებისთვის ქართულის სწავლებისას, მასწავლებელმა ეფექტიანად უნდა შეარჩიოს სწავლების აქტიური მეთოდები, ხერხები, დიდაქტიკური საშუალებები, რათა მეცნიერულად გამართულ საფუძვლებზე დაყრდნობით წარმართოს ქართული ენის სწავლების პროცესი.

ენის სწავლა-სწავლების მიზანია, მოსწავლეს ჩამოუყალიბდეს/განუვითარდეს:

- ქართულ ენაზე სხვადასხვა ტიპის ზეპირი და წერილობითი ტექსტების გაგებისა და შექმნა-გაზიარების უნარები;
- ენის გამოყენებით ეფექტიანი კომუნიკაციის უნარი;
- ქართული ენის გამოყენების უნარი პრაგმატული თუ საგანმანათლებლო მიზნების განსახორციელებლად;
- ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი;
- კონსტრუქციული თანამშრომლობის უნარი.

საქართველოში ლტოლვილი ბავშვებისთვის შედგენილ ქართული ენის სწავლების კურიკულუმში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სწავლების მეთოდებსა და სავარჯიშოებს. ამ თავში წარმოდგენილი მეთოდები და სავარჯიშოები მიზნად ისახავს ქართული ენის საფუძვლიან და ეფექტურ შესწავლას, რაც ხელს შეუწყობს ბავშვების სოციალურ და სასწავლო ინტეგრაციას.

სწავლების მეთოდები და სავარჯიშოები დაფუძნებულია თანამედროვე პედაგოგიურ პრინციპებზე და ინოვაციურ მიდგომებზე, რომლებიც მორგებულია ლტოლვილი ბავშვების სპეციფიკურ საჭიროებებსა და კულტურულ კონტექსტს. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება ინტერაქტიული მეთოდები, რაც ზრდის ბავშვების ჩართულობას და ინტერესს სწავლისადმი. მაგალითად, თამაშები, როლური თამაშები, სიმულაციები და გუნდური აქტივობები ბავშვებს ეხმარება უკეთ აითვისონ ქართული ენა.

სავარჯიშოები გათვლილია როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ სამუშაოებზე, რაც უზრუნველყოფს სწავლის პროცესის მრავალფეროვნებას. ინდივიდუალური სავარჯიშოები ხელს უწყობს ბავშვების პიროვნულ განვითარებას და ენის შესწავლის უნარების გაუმჯობესებას, მაშინ როცა ჯგუფური აქტივობები აძლიერებს სოციალურ ინტეგრაციას და თანამშრომლობის უნარებს. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვის პიროვნულ საჭიროებებს, რათა თითოეული ბავშვი მაქსიმალურად

ჩაერთოს სწავლის პროცესში და მიიღოს სათანადო მხარდაჭერა.

ამ მეთოდებისა და სავარჯიშოების გამოყენებით, კურიკულუმი ცდილობს ბავშვებს გაუმარტივოს ქართული ენის სწავლა, მისცეს თავდაჯერებულობა კომუნიკაციაში და დაეხმაროს მათ ახალ გარემოსთან ადაპტაციაში.

დიმიტრი უზნაძე თავის ნაშრომში „ბავშვის ფსიქოლოგია“ აღწერს ენის შესწავლის ფსიქოლოგიურ საფუძველს და ენის შესწავლაში გამოყოფს სამ ეტაპს - „ენის შესწავლის საწყის ეტაპზე მოსწავლეები ძირითადად მარტივი წინადადებებით მეტყველებენ (91,4%); **ენის შესწავლის მომდევნო ეტაპზე** უკვე თვალსაჩინო ცვლილება ხდება - ასეთ წინადადებათა მაჩვენებლები 70,5%-ზე ჩამოდის და მათ მეტყველებაში უკვე წინადადების ახალი სახეობები იჩენს თავს; ასევე, წინადადებათა დაკავშირება 100-დან 50 შემთხვევაში „და“ კავშირის საშუალებით ხდება; **ენის შესწავლის შემდგომ ეტაპზე** ასეთ შემთხვევათა რიცხვი საგრძნობლად ეცემა - „და“ კავშირიან შეერთებას მოსწავლეები თავს არიდებენ და იწყებენ რელატიური კავშირების გამოყენებას“. **(დ. უზნაძე, ბავშვის ფსიქოლოგია,** თბ**., 2003).**

ქართული ენის ინტერდისციპლინურად სწავლების მეთოდიკის საფუძვლიანი ცოდნა საშუალებას აძლევს მასწავლებელს, გონივრულად წარმართოს ქართული ენის სწავლება, გეგმაზომიერად გაანაწილოს დროში სასწავლო თემები და პროგრამული საკითხები, დაიცვას საჭირო თანმიმდევრობა მასალათა მიწოდებაში, მეთოდიკურად სწორად ააგოს ქართული ენის გაკვეთილები, მოიმარჯვოს საჭირო მეთოდები და ხერხები.

მეთოდი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ამა თუ იმ საქმეში გარკვეული წესით, ხერხით, სისტემით სარგებლობას. სწავლების პროცესში გამოყენებულ მეთოდთა ერთობლიობა კი მეთოდიკაა. რაც შეეხება თავად ტერმინს - მეთოდიკა - ბოლო დროს ხშირად გამოიყენება: მეთოდოლოგია, ტექნოლოგია, სწავლების სტრატეგიები, საგნის სწავლების დიდაქტიკა.

მეთოდები და აქტივობები ქართული ენის მინიმალურ, საშუალო და მაღალ დონეზე შესწავლისათვის

(ეს სიმბოლურია)

მინიმალური	საშუალო	მაღალი
■ დაკარგული ბგერები ■ დაკარგული სიტყვები ■ სიტყვების დაწყვილება ■ წინადადების შედგენა ■ წინადადების აღდგენა ■ სურათის აღწერა ■ ტექსტის აღდგენა ■ „ვინ“ და „რა“ კითხვები ■ სიტყვები და კითხვები ■ წინადადების შედგენა ■ დახურული შეკითხვა	■ **ჯაჭვური თხრობა** ■ **სიტყვის აღდგენა** ■ **წინადადების აღდგენა** ■ **სურათის აღწერა** ■ **ზმნის შერჩევა** ■ **წინადადების შედგენა** ■ **სიტყვა ჩაანაცვლე სხვა სიტყვით** ■ **T დუიაგრამა და საპირისპირო სიტყვები** ■ **შეცვალე ნაცვალსახელით**	■ **ცნების რუკა** ■ **სკრაიბინგი** ■ **PRES - ფორმულა** ■ **ბისოციაცია** ■ **სურათის აღწერა** ■ **თხზულების შექმნა დასაწყისის (დაბოლოების) მიხედვით** ■ **თხზულება დაბოლოების მიხედვით**
■ ღია შეკითხვა ■ (ალტერნატიული შეკითხვა, სუგესტიური შეკითხვა, კონტრშეკითხვა, დაბრუნებული შეკითხვა, თემის გაგებასთან დაკავშირებული შეკითხვები, პრაქტიკული შეკითხვები, რიტორიკული შეკითხვები / ზეგავლენის მომხდენი შეკითხვები) ■ დიდაქტიკური თამაშები ■ კოგნიტური სქემა	■ **შეცვალე არსებითი სახელით** ■ **პირველიდან-მესამე პირში გადაყვანა** ■ **წარსულ დროში გადაყვანა** ■ შეკითხვები, რომლებიც ეხება თემის მნიშვნელობას / აქტუალობას ■ თემისგან შორს მყოფი შეკითხვები / დევიაციური შეკითხვები ■ მულტიკულტურაზე ორიენტირებული სადისკუსიო კითხვები ■ დიდაქტიკური თამაშები ■ კოგნიტური სქემა	■ დიდაქტიკური თამაშები ■ კოგნიტური სქემა ■ კომიქსი ■ ქარგებით წერა

დიდაქტიკური თამაშები

დიდაქტიკური თამაშები საკმაოდ ხშირად გამოიყენება ენის შესწავლისას დაწყებითი სწავლების ადრეულ საფეხურზე. სასწავლო თამაში არის მსუბუქი შეჯიბრი მოსწავლეთა შორის, რომელთა მოქმედება განსაზღვრულია კონკრეტული პირობით და მიმართულია დასახული მიზნისაკენ. ამ დროს სწავლებაში 4 ეტაპი გამოიყოფა:

1. **ორიენტაცია** (მასწავლებელი წარადგენს შესასწავლ თემას, ხსნის თამაშის წესებს და მიმოიხილავს მის ზოგად მიმდინარეობას)
2. **მომზადება**
3. **თამაშის ჩატარების პროცესი**
4. **თამაშის შედეგების განხილვა**

დიდაქტიკური თამაში არის საგანმანათლებლო თამაში, რომელიც გამოიყენება სწავლების პროცესში, რათა მოსწავლეებმა უკეთესად ისწავლონ, აითვისონ მასალა და გაიუმჯობესონ ენობრივი კომპეტენცია. ეს თამაშები სპეციალურადაა შექმნილი იმისთვის, რომ სწავლა უფრო სახალისო და მიმზიდველი გახადოს და, იმავდროულად, მოსწავლეებს დაეხმაროს კონკრეტული ცოდნისა და უნარების განვითარებაში.

დიდაქტიკური თამაშების როლი ენის შესწავლაში უდიდესია, რადგან ამ დროს იზრდება მოსწავლის ჩართულობა და მოტივაცია; ხდება ენობრივი უნარების განვითარება ისეთ კომპონენტებზე დაყრდნობით, როგორებიცაა: საუბარი, ლექსიკა, გრამატიკის შესწავლა, კონტექსტური სწავლება, მულტიკულტურული უნარები, სოციალური უნარები.

დიდაქტიკური თამაშის მაგალითები:

ფუნქციური ბარათები - მოსწავლეები იღებენ ბარათებს სხვადასხვა სიტყვით ან ფრაზით და მათი შესაბამისი მნიშვნელობის გაანალიზებით ეუფლებიან ლექსიკურ მარაგს.

სიტყვების თამაში (Scrabble): ეხმარება მოსწავლეებს ლექსიკური მარაგის გამდიდრებასა და მართლწერის განვითარებაში.

როლური თამაშები: მოსწავლეები ასრულებენ სხვადასხვა როლს, რაც ააქტიურებს მათ ენობრიც ცოდნას და ხელს უწყობს რეალურ სიტუაციებში ენის გამოყენებას.

ბინგო: ეხმარება მოსწავლეებს ლექსიკური მარაგის განმტკიცებასა და ახალი სიტყვების სწავლაში.

დიდაქტიკური თამაშების გამოყენება უცხო ენის სწავლებაში იძლევა შესაძლებლობას, რომ მოსწავლეებმა უფრო ხალისიანად, ეფექტურად და სწრაფად აითვისონ ახალი ენა.

1. **დიდაქტიკური თამაში მარცვლობანა**

„მარცვლობანა" გამოიყენება ქართულ ენაზე წერა-კითხვის შესწავლის საწყის ეტაპზე. ამ თამაშში გამოიყოფა 4 ეტაპი, რომელიც შემდეგნაირად მიმდინარეობს: **ორიენტაცია** - თამაშის წესების ახსნა; **მომზადება** - თამაშის სცენარის გაცნობა; **თამაში** - მოიცავს საკუთრივ თამაშს შესაბამისი წესების მიხედვით, რომლებზეც შეთანხმდნენ მასწავლებლები და მოსწავლეები; **შეჯამება** - თამაშის შედეგად მიღებული შედეგების პრეზენტაცია.

მაგალითი:

1. **ორიენტაცია** - მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რა არის ეს თამაში - მარცვალზე ახალი მარცვლის მიმატებით უნდა მიიღონ ახალი სიტყვა;
2. **მომზადება** - მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს თამაშის სცენარს, წესებს. მასწავლებელი ასახელებს მხოლოდ პირველ/ბოლო მარცვალს, მომდევნო/წინა მარცვალი უნდა დაასახელოს იმ მოსწავლემ, რომელსაც მასწავლებელი ბურთს გადაუგდებს;
3. **თამაშის ჩატარების პროცესი** - მასწავლებელი ასახელებს პირველ მარცვალს "ქა" და ბურთს გადაუგდებს ერთ-ერთ მოსწავლეს, რომელიც იჭერს ბურთს და ამთავრებს სიტყვას (და, ლი, რი...).
4. **შეჯამება** - აჯამებენ, ვინ მეტი სიტყვა "დაასრულა", ვინ არის გამარჯვებული...

1. **დიდაქტიკური თამაში - წაიკითხე და გამოიცანი**

კითხვის სწავლების საწყის ეტაპზე მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს წასაკითხ წინადადებებს. წინადადების შინაარსი ესადაგება მოცემული რამდენიმე ნახატიდან ერთ-ერთს. მოსწავლემ უნდა ამოიცნოს სურათი, რომელიც შეესაბამება წაკითხულ წინადადებას. უფრო რთული ვარიანტია ერთის ნაცვლად რამდენიმე წინადადების შეთავაზება. რთულ ვარიანტს მივცემთ იმ მოსწავლეებს, რომლებსაც კითხვა უადვილდებათ.

2. **დიდაქტიკური თამაში - წაიკითხე და გააკეთე**

მოსწავლეებს (ან მოსწავლეთა ჯგუფებს) ურიგდებათ სათანადო მასალა. ისინი კითხულობენ რამდენიმე პუნქტად მოცემულ მარტივ ინსტრუქციას და ასრულებენ მას (ეს შეიძლება იყოს მარტივი რეცეპტი /მაგ.: ხილის სალათა, წიგნის სანიშნი, ნაძვის ხის სათამაშო, გვირგვინი, თოჯინა და სხვა). მოსწავლეთა სხვადასხვა ჯგუფს შეიძლება სხვადასხვა ტიპისა და სირთულის ინსტრუქციები შევთავაზოთ. შემდეგ ისინი ერთმანეთს აჩვენებენ ნამუშევრებს და ეცდებიან მეორე ენაზე ახსნან, რა და როგორ გააკეთეს.

3. **დიდაქტიკური თამაში ჯადოსნური ცხრილი**

ცხრილის თითოეულ უჯრაში ისეა განთავსებული ასოები, რომ ჰორიზონტალურად, ვერტიკალურად თუ დიაგონალურად მოსწავლისათვის ნაცნობი სიტყვებია ჩაწერილი. მოზარდმა უნდა იპოვოს იქვე, ცხრილის გვერდით მითითებული სიტყვები. შეიძლება გართულებაც: მოსწავლემ უნდა იპოვოს სიტყვების მითითებული რაოდენობა (სიტყვების სია არ არის მოცემული).

აქაც შეიძლება დიფერენცირება: შეიძლება სხვადასხვა დონის მოსწავლეს სხვადასხვა სირთულის ცხრილი მივცეთ ან - იგივე ცხრილი სხვადასხვა სირთულის დავალებით (მაგ.: „ამოიცანი 3 სიტყვა ჰორიზონტალურ სვეტებში“ და ამოიცანი 7 სიტყვა ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებში“).

4. **დიდაქტიკური თამაში - სიტყვების ფაზლი**

წაიკითხე და იპოვე სწორი თანმიმდევრობა – მოსწავლეებს არეულად მივცემთ სიტყვის შემადგენელ ასოებს ან წინადადების შემადგენელ სიტყვებს და ვთხოვთ, ააწყონ სიტყვა/წინადადება.

5. **დიდაქტიკური თამაში - სიტყვების ჯაჭვი**

მოსწავლეებს გადაბმულად მივცემთ სიტყვებს ან წინადადებას და ვთხოვთ, ხაზით გამოყონ სიტყვები ერთმანეთისგან (მაგ.: მზეანათებსმინდორს - მზე/ანათებს/მინდორს).

6. დიდაქტიკური თამაში **- რომელი** სიტყვაა **ზედმეტი**

მოცემულია სიტყვათა გროვა. მოსწავლემ ამ გროვაში უნდა ამოიცნოს ის სიტყვა, რომელიც განსხვავებულ სემანტიკურ ველს ეკუთვნის. (მაგ.: ატამი, ვაშლი, სანთელი, გარგარი, მსხალი).

7. დიდაქტიკური თამაში **- დაალაგე კომიქსი**

მოსწავლეებს არეული თანმიმდევრობით ვაძლევთ წინადადებებს და მათ შესატყვის სურათებს. მათ ყოველი წინადადებება უნდა დააკავშირონ შესაბამის სურათთან და დაალაგონ კომიქსის სწორი ვერსია.

8. **დიდაქტიკური თამაში - დიალოგის დალაგება**

ერთ სვეტში ერთი თანამოსაუბრის რეპლიკები განლაგდება, მეორე სვეტში – მეორის, ოღონდ არეული თანამიმდევრობით. მოსწავლე ერთმანეთთან დააკავშირებს შესაბამის რეპლიკებს.

9. **ურთიერთსწავლება**

დავაწყვილებთ კითხვაში ძლიერ მოსწავლეს სუსტთან. მივცემთ ტექსტს (ან სიტყვებს, ან წინადადებას, მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით) და ძლიერს ვთხოვთ მოამზადოს თავისი მეწყვილე კონკურსისთვის. დრო განსაზღვრული იქნება, ვთქვათ 5 წთ-ით, და შემდეგ ისევ სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით შევაფასებთ წყვილების მუშაობის შედეგებს.

10. **დიდაქტიკური თამაში - როლების გათამაშება**

მასწავლებელი განუსაზღვრავს მოსწავლეებს კონკრეტულ საკომუნიკაციო სიტუაციას (სად, ვის, რაზე, რა მიზნით), მოსწავლეები მოამზადებენ რეპლიკებს ნასწავლი ნიმუშების გამოყენებით და გაითამაშებენ როლებს. როლების გათამაშება შეიძლება წყვილებშიც მოხდეს და გუნდებშიც. დიალოგის ასაწყობად შეიძლება გამოვიყენოთ სურათი, რომელზეც რაიმე სიტუაცია იქნება ასახული.

11. დიდაქტიკური თამაში - დაფარული სიტყვა

მოსწავლეს ზურგზე მივამაგრებთ ნახატს. მან უნდა დასვას კითხვები და მიმანიშნებელი პასუხების საფუძველზე გამოიცნოს, რა ნახატი აქვს მიმაგრებული ზურგზე. მაგალითად, მოსწავლეს ზურგზე მივამაგრეთ ბურთის ნახატი, ვეუბნებით: - „გამოიცანი, რა არის გამოსახული ზურგზე მიმაგრებულ ნახატზე”? ის სვამს კითხვას: - „სულიერია თუ უსულო?“ ვპასუხობთ: - „უსულო.“ შემდეგ ის გვეკითხება: - „რამე მინიშნება მითხარით.“ ვპასუხობთ: - „მასზე გამოსახულია ის, რაც კლასელებმა მოგიტანეს დაბადების დღეზე“... ამ აქტივობის ჩატარება შესაძლებელია წყვილებში ან გუნდურად.

12. დიდაქტიკური თამაში - გამოკითხვა

მასწავლებელი წინასწარ მოამზადებს კითხვარს (მაგ., ჰორიზონტალურად საჭმელი, ვერტიკალურად – თანაკლასელების სახელები), ბავშვები ერთმანეთს ეკითხებიან, რა უყვართ/არ უყვართ და შესაბამის უჯრაში პლიუსს ან მინუსს ჩაწერენ.

13. **დიდაქტიკური თამაში - ინტერვიუ**

მასწავლებლის მიერ მიცემული თემებიდან მოსწავლეები თავისუფლად ირჩევენ მათთვის სასურველ საკითხს. ისინი წყვილებში ემზადებიან ინტერვიუებისთვის - შეადგენენ კითხვებს და პასუხებს; გაკვეთილზე კი ხდება მომზადებული ინტერვიუების სიმუალაციები.

14. **თამაში - ვინ ვარ მე?**

ერთ-ერთ მოთამაშეს ზურგზე მიკრული აქვს სულიერი ან უსულო საგნის გამოსახულება. იგი სვამს მიმანიშნებელ კითხვებს, რომ სწრაფად გამოიცნოს, რა საგნის გამოსახულება აქვს მიკრული. თამაში ეფექტურია წყვილებში.

15. **დიდაქტიკური თამაში - რა არის ეს?**

მოსწავლეებს ურიგდებათ ბარათები, სადაც წერია რაღაც სიტყვა. თითოეული ბარათის მფლობელმა დასახელების გარეშე უნდა აღწეროს ან დაახასიათოს ბარათზე დაწერილი სიტყვა ისე, რომ დანარჩენები მიხვდნენ, რაზეა საუბარი.

16. **დიდაქტიკური თამში - რადიოგადაცემა**

შერჩეულ დღეს რამდენიმე მოსწავლე მოემზადება გარკვეულ თემაზე მათთვის საინტერესო ამბის მოსაყოლად. ამ ამაში მას თანაკლასელებიც ეხმარებიან - ხდება რადიოს სარედაქციო მუშაობის მსგავსი საქმიანობის იმიტაცია და ასე თანამშრომლობით მზადდება მოსაყოლი ამბავი.

17. **დიდაქტიკური თამაში - აღწერილის ვიზულიზაცია**

მეწყვილეები ერთმანეთთან ზურგშექცევით დასხდებიან. ყოველ მათგანს გადაეცემა სხვადასხვა ნახატი, რომელზეც მათი ცოდნის შესატყვისი ენობრივი მასალა იქნება ასახული. ჯერ ერთი **აღწერს თავის ნახატს და მისი მეწყვილე აღწერის მიხედვით დახატავს, შემდეგ კი როლებს გაცვლიან. ბოლოს შეადარე**ბენ, რამდენად შეესაბამება ნახატები ერთმანეთს.

18. **დახურული შეკითხვა**

დახურულია შეკითხვა თუ მისი პასუხი წინასწარაა განსაზღვრული. დახურულ შეკითხვაზე პასუხს დიდი დრო არ სჭირდება; ჩვეულებრივ, დახურული შეკითხვის შემთხვევაში, ადამიანს უხდება პასუხის შერჩევა და არა შექმნა. დახურული კითხვების გამოყენებისას მასწავლებელი უნდა დაეყრდნოს დიფერენცირებული სწავლების კონცეფციას, რომელიც გაზრდის ყველა შესაძლებლობის მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვის მოტივაციას.

მაგალითად **-** დაასახელე, რა დღეა დღეს? ჩამოთვალე კვირის დღეები; რამდენი წლის ხარ? დაასახელე წელიწადის დროები? რომელი დრო დგება გაზაფხულის შემდეგ?

19. **ღია შეკითხვა**

ღია შეკითხვას წინასწარ განსაზღვრული პასუხები არ აქვს; პასუხები შეიძლება მრავალფეროვანი იყოს. ღია შეკითხვას შესაძლებელია სხვადასხვა მიზანი ჰქონდეს, მაგალითად: პასუხის დაკონკრეტება, პასუხის კიდევ უფრო გავრცობა, ახსნა-განმარტების მიცემა და ა.შ.

შეკითხვის ტიპი	განმარტება	ნიმუში
ალტერნატიული შეკითხვა	ალტერნატიულ შეკითხვაში ასარჩევად შეთავაზებულია ორი ან მეტი ალტერნატივა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის შეკითხვა, რომელშიც ასარჩევად არის მოცემული პასუხის რამდენიმე ვარიანტი.	„რა უფრო გიყვარს, ცურვა თუ თხილამურებით სრიალი?“ დიდ სკოლაში სწავლა უფრო კარგია თუ პატარაში?
სუგესტიური შეკითხვა	ამგვარი შეკითხვისას მანიპულაციით ხდება პარტნიორისგან პასუხის ან თანხმობის მიღება. ამ ტიპის შეკითხვას გარკვეული ხარაჩოს როლის შესრულება შეუძლია ენის სწავლებისას და მასში არის ერთგვარი მინიშნება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აიგოს საპასუხო წინადადების კონსტრუქცია.	„დარწმუნებული ვარ, როგორც ამ საკითხის მცოდნე დამეთანხმები, რომ...“
კონტრშეკითხვა	შეკითხვა მსმენელს პასუხის გაცემისაკენ უბიძგებს. ზოგჯერ ამგვარი ზეწოლის თავიდან აცილებისთვის შეიძლება გამოვიყენოთ ერთ-ერთი მეთოდი - შეკითხვის არეკვლა, ანუ შეკითხვაზე სხვა შეკითხვით პასუხი. ამ ტიპის შეკითხვას გარკვეული როლის შესრულება შეუძლია ენის სწავლებისას. ქართული ენის შემსწავლელისთვის კარგი საშუალებაა დასმული კითხვა უკან დააბრუნოს გარკვეული ინტერპრეტაციით, რაც მას დაეხმარება ენობრივი უნარების დახვეწაში.	შეკითხვა - საქართველოს რომელ კუთხეში გინდა იმოგზაურო? კონტრშეკითხვა - თქვენ საქართველოს რომელ კუთხეში მოგზაურობას მირჩევთ? (თქვენ რას მირჩევთ?)

დაბრუნებული შეკითხვა	ეს არ არის შეკითხვის დამოუკიდებელი ფორმა, არამედ შეკითხვაზე რეაგირების სპეციფიკური სახეა. ამ დროს ხდება შეკითხვის დაბრუნება შეკითხვის ავტორისათვის. ამ ტიპის შეკითხვას გარკვეული ხარაჩოს როლის შესრულება შეუძლია ენის სწავლებისას და არის ერთგვარი მინიშნება პასუხისას, როგორ ააგოს წინადადების კონსტრუქცია.	„საინტერესო შეკითხვაა, თქვენ თვითონ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით? რას ფიქრობენ ჯგუფის დანარჩენი წევრები“?..
თემის გაგებასთან დაკავშირებული შეკითხვები	არ შეიძლება მომდევნო თემის განხილვაზე გადასვლა, თუკი წინა კითხვას პასუხი არ გაეცემა, რადგან მონაწილეები ვერ გაიგებენ თემას ისე, როგორც საჭიროა. პასუხის დეტალურობა სიტუაციაზეა დამოკიდებული. შეკითხვა შეიძლება დავუსვათ ერთ მონაწილეს ან თემის გაგებასთან დაკავშირებული პრობლემის განხილვაში მთელი ჯგუფი ჩავრთოთ. ეს შეიძლება გაკეთდეს შეკითხვის ჯგუფისათვის შებრუნებით და მონაწილეებისათვის მასზე პასუხის გაცემის თხოვნით.	როგორ უნდა დავიცვათ თავი ბაქტერიებისაგან? როგორ უნდა დავიცვათ ჯანსაღი ცხოვრების წესი?
პრაქტიკული შეკითხვები	ასეთი ტიპის შეკითხვები შეიძლება ინტერესის გამომხატველი შეკითხვების სპეციალური ვერსია იყოს. ეს შეკითხვები თემის/საკითხის პრაქტიკული მხარის მიმართ ინტერესის მაჩვენებელია. კონკრეტული მითითებები უნდა გაიცეს დაუყოვნებლივ. თუკი მონაწილეებმა იციან, როგორ გამოადგებათ გარკვეული გამოცდილება თუ ცოდნა მომავალში, მათი მოტივაცია იზრდება.	როგორი შოკოლადი გიყვარს? შენი აზრით, როგორ მზადდება ის? როგორ მზადდება ჩურჩხელა? რა თანმიმდევრობით მზადდება ჩურჩხელა?

თემის აქტუალობის შეკითხვები	ეს შეკითხვები იმის მაჩვენებელია, რომ მონაწილეები ვერ ხედავენ ინფორმაციის მნიშვნელობას (ვერ ხვდებიან, რისთვის არის აუცილებელი), მაგრამ სურთ, რომ დარწმუნებულები იყვნენ თემის აქტუალობაში; წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი მოტივაცია დაეცემა. შეიძლება ამ შეკითხვის შებრუნება ჯგუფისათვის და მათთვის პასუხის გაცემაში დახმარების გაწევა მიმანიშნებელი შეკითხვების გამოყენებით. ამ ტიპის შეკითხვას გარკვეული ხარაჩოს როლის შესრულება შეუძლია ენის სწავლებისას და არის ერთგვარი მინიშნება - პასუხისას როგორ აიგოს წინადადების კონსტრუქცია	„რატომ უნდა გავაკეთოთ ეს?“ ან „რა საჭიროა?“
რიტორიკული შეკითხვები	რიტორიკული შეკითხვა უკვე შეიცავს პასუხს. ეს არის შეკითხვის ფორმა, რომელშიც თავისთავად იგულისხმება „სწორი პასუხი“. შეკითხვის ეს ფორმა გამოიყენება საწინააღმდეგო აზრის ჩასახშობად. ხშირად, რიტორიკული შეკითხვის ფარული მიზანი ჯგუფზე და დისკუსიის პროცესზე ზემოქმედების მოხდენაა. ამ ტიპის შეკითხვას გარკვეული ხარაჩოს როლის შესრულება შეუძლია ენის სწავლებისას და მასში არის ერთგვარი მინიშნება - პასუხისას, როგორ აიგოს წინადადების კონსტრუქცია.	მუზეუმში ხმამაღლა არ უნდა ვისაუბროთ, არა?

ემოციური შეკითხვები	ამ შეკითხვებში მნიშვნელოვანია ემოციური შინაარსი და არა ფაქტები. ისინი შეკითხვის ავტორის ან მთელი ჯგუფის ემოციებსა და გრძნობებზე იძლევა სიგნალს, როცა ისინი გამოხატავენ: უკმაყოფილებას, აგრესიას ან თავის არიდებას. ფასილიტატორმა მხოლოდ ფაქტობრივ შინაარს არ უნდა გასცეს პასუხი; მან ყურადღება უნდა გაამახვილოს ემოციურ მხარეზე, სადისკუსიო ჯგუფში არსებულ ატმოსფეროზე, მონაწილეების განწყობაზე. ამ ტიპის შეკითხვას გარკვეული ხარაჩოს როლის შესრულება შეუძლია ენის სწავლებისას და მასში არის ერთგვარი მინიშნება - პასუხისას, როგორ აიგოს წინადადების კონსტრუქცია.	**რა განცდა გეუფლება, როცა ხედავ რომ სხვას ჩაგრავენ?**
ჰიპოთეზური შეკითხვები	ასეთი შეკითხვები მოსწავლეებს ეხმარება წარმოსახვის უნარის განვითარებაში და მიმართავს მათ გონებას ფიქრისა და განსჯისაკენ. ამ ტიპის შეკითხვას გარკვეული ხარაჩოს როლის შესრულება შეუძლია ენის სწავლებისას და მასში არის ერთგვარი მინიშნება - პასუხისას, როგორ აიგოს წინადადების კონსტრუქცია.	„რას იფიქრებ ან მოიმოქმედებ შენ, თუ...?“
განსჯითი შეკითხვები	განსჯითია შეკითხვა, რომელიც მოსწავლეს საკითხის განსჯისკენ უბიძგებს. ამ ტიპის შეკითხვას გარკვეული ხარაჩოს როლის შესრულება შეუძლია ენის სწავლებისას, რადგან მასში არის გარკვეული ენობრივი კონსტრუქციები, რომლებიც მოსწავლეს პასუხის ჩამოყალიბებაში დაეხმარება.	როგორ შეგვიძლია ჩვენ ხელი შევუწყოთ ამ პრობლემის გადაჭრას?“

წამახალისებელი	წამახალისებელია შეკითხვა, რომელიც მოსწავლეს ეხმარება საკითხზე ფოკუსირებასა და ცოდნის (ენობრივი კონსტრუქციების) მაქსიმალურ მობილიზებაში.	„საინტერესოა, რა მოხდა შემდეგ?“ ეს შეკითხვა მოსწავლეს ეხმარება, შეძლოს თავისი შთაბეჭდილებისა და გამოცდილების გაზიარება.
მასტიმულირებელი	მასტიმულირებელია შეკითხვა, რომლის დახმარებითაც მასწავლებელი აგრძნობინებს მოსწავლეს, რომ მისი აზრი მნიშვნელოვანი და საინტერესოა. ამ ტიპის შეკითხვას გარკვეული ხარაჩოს როლის შესრულება შეუძლია ენის სწავლებისას და მასში არის ერთგვარი მინიშნება - პასუხისას როგორ აიგოს წინადადების კონსტრუქცია.	როგორ ფიქრობ, გამართლებულია თუ არა სხვის საქმეში ჩარევა, რაც არ უნდა ცუდ საქციელს ჩადიოდეს ადამიანი?
კვლევითი შეკითხვა	„რატომ ფიქრობ ასე?“ - ეს შეკითხვა დასმული უნდა იყოს არა აგრესიული ან გამომცდელი ტონით, არამედ უნდა გამოხატავდეს მასწავლებლის ინტერესს; ხელს უწყობდეს ბავშვს, დაუფიქრდეს საკითხს; უვითარებდეს მას ანალიზის, მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.	რატომ ფიქრობ, რომ ყინული წყალში არ იძირება? რატომ ფიქრობ, რომ X=12? რატომ ფიქრობ, რომ ეს ნახატი იმპრესიონისტის დახატულია?
შემათანხმებელი შეკითხვა	ამ შეკითხვამ შესაძლოა კამათის პროვოცირება გამოიწვიოს ან პირიქით, დაასრულოს კამათი. პირველ შემთხვევაში, მასწავლებელი უნდა ეცადოს კონსენსუსის მიღწევას ან, თუ ეს შეუძლებელია, მოახდინოს განსხვავებული აზრის დაფიქსირება და საკითხი დატოვოს ღიად. მეორე შემთხვევაში კი, შეკითხვით - „შეიძლება თუ არა ეს საკითხი გარკვეულად ჩაითვალოს?“ - იგი ამთავრებს ერთ თემას და გადადის შემდეგზე.	მაგალითად: ეთანხმებით თუ არა გამოთქმულ მოსაზრებას?“

შემაჯამებელი შეკითხვა	ეს შეკითხვა გულისხმობს ბავშვების მოსაზრებების შეჯამებას და იმის შემოწმებას, სწორად გაიგო თუ არა მთი ნააზრევი მასწავლებელმა. ამ დროს სხვა მოსწავლეებს კიდევ ერთხელ ეძლევათ საშუალება, გააანალიზონ თავიანთი მეგობრის მოსაზრება; განსაზღვრონ, ეთანხმებიან თუ არა მას. ამ ტიპის შეკითხვას გარკვეული ხარაჩოს როლის შესრულება შეუძლია ენის სწავლებისას და მასში არის ერთგვარი მინიშნება - პასუხისას როგორ აიგოს წინადადების კონსტრუქცია.	მაგალითად: „თუ სწორად გავიგე, შენ ფიქრობ, რომ...“

20. **სტრუქტურულ-თემატური დისკუსია**

სავარჯიშო სივრცე: დისკუსიის მონაწილეები ერთმანეთთან ახლოს უნდა ისხდნენ, ისე, რომ ერთმანეთის სახეებს ხედავდნენ. შესაძლებელია, სკამები „ნალისებურად“, ნახევარწრეზე დავალაგოთ. ამგვარი ცვლილება კლასში ნაკლებად ფორმალურ ატმოსფეროს ქმნის და პასიურ მოსწავლეებსაც კი დისკუსიაში ჩართვას უადვილებს. დაფაზე მასწავლებელი წერს სადისკუსიო თემას და საკითხებს. თუ კამათი მეტისმეტად გაცხარდება და გასცდება პრობლემატიკას, მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს სადისკუსიო თემას. მთავარია, მასწავლებელმა უზრუნველყოს დისკუსიაში ყველა მონაწილის იმგვარი ჩართვა, რომ მათ არ წამოიძახონ საკუთარი აზრი და ერთმანეთს სიტყვა არ შეაწყვეტინონ.

21. **სავარჯიშო „აკვარიუმი“**

მონაწილეები თავიანთ აზრს გამოთქვამენ თანმიმდევრულად, ისე, როგორც სხედან წრეზე, 1-წუთიანი რეგლამენტით. მასწავლებელი წინასწარ აძლევს ინსტრუქციას:

ა) მოძებნეთ ასოციაცია მოცემულ თემაზე;

ბ) კითხვაზე გაეცით მხოლოდ ერთი შესაძლო პასუხი და დაასაბუთეთ;

გ) დაასრულეთ მასწავლებლის მიერ დაწყებული წინადადება.

22. ჯაჭვური თხრობა

ჯაჭვური თხრობა წარმოადგენს განვითარებად, ლოგიკურ, თხრობით ჯაჭვს, რომელიც აგებულია გარკვეული თანმიმდევრობით. ჯაჭვური თხრობა შედგება რამდენიმე

ეპიზოდისაგან. ეპიზოდები ერთმანეთს უკავშირდება საყრდენი კითხვების/თემების საშუალებით. კითხვებს ადგენს მასწავლებელი სასწავლო მიზნის შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამების მოთხოვნების მიხედვით.

ეს არის საშუალება, რომელიც ხელს უწყობს: ცოდნისა და პირადი გამოცდილების გამოყენების, შემოქმედებითი და წარმოსახვითი აზროვნების, საკუთარი აზრის გამოთქმის, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის თანამშრომლობის, ლოგიკური თხრობის უნარ-ჩვევების განვითარებას.

ამ მეთოდის გამოყენების წესი ასეთია:

I ეტაპი - მასწავლებელი სასწავლო მიზნებისა და მოსწავლეების ცოდნის, გამოცდილების, იდეების, ინტერესების გათვალისწინებით არჩევს საწყის თემას.

II ეტაპი - მასწავლებელი საწყის თემაზე ადგენს საყრდენ კითხვებს; ეს არის ერთგვარი სიუჟეტური გეგმა, რომელიც ბავშვებმა უნდა გააცოცხლონ.

III ეტაპი - შერჩეული თემის შესაბამისად, საყრდენი კითხვების გამოყენებით მიმდინარეობს ჯაჭვური თხრობა. ჯაჭვური თხრობის საფუძველს წარმოადგენს აქტიური მეთოდიკა; ამა თუ იმ ისტორიას ახლავს ნახატიც. ასეთ დროს ბავშვებს ეძლევათ საშუალება თავიანთი გრძნობები გამოხატონ ვიზუალურად. ხშირად, სხვადასხვა ისტორიას თვითონ აგრძელებს მოსწავლე.

გთავაზობთ მაგალითს:

თემა: მეგობრის დაბადების დღე

საყრდენი კითხვები:

1. მიიღეთ მოსაწვევი?

2. შეურჩიეთ საჩუქარი?

3. როგორ?

4. დაწერეთ მისალოცი ბარათი?

5. როგორ?

6. ნახა შენი საჩუქარი მეგობარმა?

7. როგორ გაერთე?

8. როდის დაბრუნდით შინ?

23. ცნების რუკა

„ცნების/სიტყვის რუკა“ ეხმარება მოსწავლეს ინფორმაციისა და ცნებების ორგანიზებაში. ამ მეთოდით მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს კლასებსა და კატეგორიებზე, ნიშან - თვისებებსა და მახასიათებლებზე, ნიმუშებსა და მაგალითებზე ფიქრი.

მეთოდის გამოყენება მეტად ეფექტურია ლექსიკური მარაგის გამდიდრებისა და მნიშვნელოვანი ცნებების ათვისებისათვის. „ცნების რუკაზე“ მუშაობა მოითხოვს პასუხების ძიებას ისეთ შეკითხვებზე, როგორებიცაა:

1. რა არის ..... რას ჰგავს იგი?

2. რა მაგალითების მოყვანა შეიძლება მასთან დაკავშირებით?

3. რა არის ..... ის მიზეზი?

4. რა არის ..... ის შედეგი?

ქვემოთ მოცემულია ცნების რუკის გამოყენების მაგალითი თემაზე „გრიპი“.

მეთოდის გამოყენების საფეხურები:

1. წარუდგინეთ კლასს წასაკითხი ტექსტი.

2. კითხვის დაწყებამდე ჰკითხეთ მოსწავლეებს, სმენიათ თუ არა რაიმე დაავადების შესახებ.

3. ტექსტის პირველი მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ დახაზეთ დაფაზე ოვალი და ჩაწერეთ გრიპი. სწორედ ამ ცნების გარშემო ააგებენ მოსწავლეები ცნების რუკას.

4. დახაზეთ მეორე ოვალი და ჩაწერეთ „მიზეზები“. დააკავშირეთ ორი ოვალი

(მაგალითად, ცენტრალური ოვალიდან მიმართული ისრით). შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ ტექსტის პირველი მონაკვეთი აღწერს დაავადების გამომწვევ მიზეზებს.

ცნების რუკის ნიმუში



5. სთხოვეთ მოსწავლეებს, თავადაც დახაზონ ასეთივე რუკა რვეულებში/ფურცლებზე და წყვილებში იმსჯელონ გრიპის გამომწვევი მიზეზების შესახებ, შემდგომ კი ჩამოწერონ ეს მიზეზები მეორე ოვალში (ან გვერდით მიაწერონ მეორე ოვალს).

6. შესთავაზეთ რამდენიმე მსურველს, გაუზიარონ მეწყვილესთან შეჯერებული მოსაზრებები მთელ კლასს. საუბრის პროცესში ჩამოწერეთ გამოთქმული შეხედულებები დაფაზე, მეორე ოვალთან.

7. სთხოვეთ მოსწავლეებს, წაიკითხონ მომდევნო მონაკვეთი.

8. დახაზეთ მესამე ოვალი და ჩაწერეთ „სიმპტომები. დააკავშირეთ ცენტრალური ოვალი მესამე ოვალთან. შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ მეორე მონაკვეთში გრიპის სიმპტომებია აღწერილი.

9. სთხოვეთ მოსწავლეებს, წყვილებში გაიხსენონ ინფორმაცია ტექსტიდან და თავიანთ ფურცლებზე შეავსონ რუკის მესამე ოვალი („სიმპტომები“).

10. კვლავ შესთავაზეთ რამდენიმე მსურველს, გაუზიარონ მეწყვილესთან შეჯერებული მოსაზრებები მთელ კლასს. ჩამოწერეთ გამოთქმული შეხედულებები დაფაზე, მესამე ოვალში (ან მის გვერდით).

11. დახაზეთ მეოთხე, შედარებით მცირე ზომის ოვალი და გახაზეთ ისარი ცენტრალური ოვალიდან ამ მეოთხე ოვალამდე. სთხოვეთ მოსწავლეებს ივარაუდონ, რის შესახებ იქნება მესამე მონაკვეთი. მსჯელობის დასრულების შემდეგ ჩაწერეთ ოვალში „მკურნალობა“. სთხოვეთ მოსწავლეებს, ისაუბრონ გრიპის მკურნალობისა და პრევენციის შესაძლო გზებზე.

12. სთხოვეთ მოსწავლეებს, წაიკითხონ ტექსტის ბოლო მონაკვეთი და ყურადღება გაამახვილონ მსჯელობის დროს გამოთქმულ იდეებზე.

13. სთხოვეთ მოსწავლეებს, წყვილებში შეადარონ საკუთარი ნამუშევრები და თავიანთ

ფურცლებზე შეავსონ რუკის მეოთხე ოვალი.

14. სთხოვეთ რამდენიმე მსურველს, გაუზიარონ მეწყვილესთან შეჯერებული აზრები მთელ კლასს.

15. ჩამოწერეთ გამოთქმული აზრები დაფაზე, მეოთხე ოვალთან.

24. სკრაიბინგი

სკრაიბინგი (ინგლ. ესკიზებისა და ნახატების მონახაზი), ანუ ინფორმაციის გრაფიკული ასახვა - ვიზუალური აზროვნების ინსტრუმენტი და პრეზენტაციის უახლესი ფორმაა. იგი ბრიტანელმა მხატვარმა, ენდრიო პარკმა, შექმნა ორგანიზაციისთვის, რომელიც სამეცნიერო ცოდნის პოპულარიზაციას ეწეოდა. ამ ბრიტანული მეთოდის გამოყენება მოსწავლეებს უვითარებს: ლოგიკური აზროვნების, წარმოსახვითი აზროვნების, კრეატიული და კრიტიკული აზროვნების, გუნდში ეფექტურად მუშაობის, პრაქტიკული გადაწყვეტილებების სწრაფად მიღების უნარს.

სკრაიბინგის გამოყენებისას საჭიროა ოთხი თანმიმდევრული ნაბიჯის განხორციელება:

პირველი ნაბიჯი - სამუშაო გეგმის შედგენა. ჩაიწერეთ ყველაფერი, რისი გაშუქებაც გსურთ; სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია აუდიოჩანაწერის გაკეთებაც.

მეორე ნაბიჯი - ანალიზი. გააანალიზეთ ყველაფერი, რისი თქმაც გსურთ და რომელი ვიზუალური ნახატების გამოყენებასაც აპირებთ თქვენი იდეებისა თუ საგაკვეთილო მასალის პრეზენტაციისას. პრეზენტაცია გასაგები უნდა იყოს არა მხოლოდ თქვენთვის, არამედ სხვებისთვისაც.

მესამე ნაიჯი - ვიზუალიზაცია. ვიზუალიზაციის პროცესში გამოიყენეთ როგორც მარტივი, ისე რთული ნახატები, ასევე აუდიო და ვიდეორგოლები. განსაზღვრეთ მთელი სამუშაოს ხანგრძლივობა.

მეოთხე ნაბიჯი - ძალიან მნიშვნელოვანია **დროის მართვის** (თაიმინგი) ფაქტორი. გახსოვდეთ, რომ თქვენი სიტყვა, მოხსენება გარკვეულ დროში უნდა „ჩაატიოთ“. მოსწავლეები უკეთ აღიქვამენ ინფორმაციას, როცა ის ვიზუალურადაა წარმოდგენილი. გარდა ამისა, ინფორმაციის ვიზუალური ხერხებით გადაცემისას ხდება საგაკვეთილო დროის ეფექტურად გამოყენება და დაზოგვა.

25. PRES - ფორმულა

ეს ინტერაქტიული მეთოდი ეფექტური საშუალებაა სასწავლო მასალის ცოდნის „კონტროლისათვის“. მისი ავტორი არის სამხრეთაფრიკელი სამართლის პროფესორი დევიდ მაკკოიდ-მეისონი. ამ ფორმულის გამოყენება მოსწავლეებს დაეხმარება ზეპირი გამოსვლის ორგანიზებაში, გამოსვლებისა და წერის პროცესში, რადგან ეს სიტყვით მიმართვის ორგანიზების უმარტივესი გზაა.

ამ მეთოდის გამოყენება მოსწავლეებს უვითარებს:

წარმოსახვითი, კრეატიული, კრიტიკული, ლოგიკური აზროვნების, გუნდში ეფექტურად

მუშაობისა და პრაქტიკული გადაწყვეტილებების სწრაფად მიღების უნარებს.

ეს ტექნიკა შეიძლება იყოს შესანიშნავი ინსტრუმენტი დისკუსიის ჩასატარებლად. ის საშუალებას გვაძლევს, მოკლედ და დასაბუთებულად გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნა, რაც იწვევს მოსწავლეთა დაინტერესებას და მათ დისკუსიაში ჩართვას.

PRES - ფორმულის სტრუქტურა შეიცავს 4 მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც დაშიფრულია აბრევიატურაში. ოთხივე კომპონენტი ტექსტის აგების აუცილებელი ელემენტია.

P - პოზიცია - აუცილებელია მოსწავლეებმა გამოთქვან საკუთარი აზრი მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებით. ამ დროს ხშირად უნდა გვესმოდეს ფრაზები: „მე მჯერა, რომ ..., „ჩემი აზრით, ეს პრობლემა იმსახურებს/არ იმსახურებს ყურადღებას“, „ვეთანხმები ...“; „მე ვფიქრობ, რომ...; „მე მჯერა, რომ ...“.

R - დასაბუთება - მოსწავლე არამარტო ხსნის, არამედ ასაბუთებს საკუთარ პოზიციას. აქ უნდა წარმოადგინოს ყველა შესაძლო არგუმენტი მოსაზრების დასამტკიცებლად. პასუხი უნდა იყოს დასაბუთებული. საუბარი უნდა წარიმართოს სასწავლო თემიდან გავლილი ცნებების გამოყენებით. ამ ბლოკში მთავარი კითხვაა - „რატომ ფიქრობთ ასე?“ და ეს ნიშნავს, რომ პასუხი უნდა დაიწყოს სიტყვებით: „იმიტომ...“, „რადგან..“ ან „მას შემდეგ...“.

E - მაგალითი - საკუთარი პოზიციის არსის ახსნისას, მოსწავლეები იყენებენ კონკრეტულ მაგალითებს. მათი სიტყვების გაგების სიცხადისა და დადასტურებისთვის, აუცილებელია ფაქტების ციტირება. ეს პუნქტი გვიჩვენებს მოსწავლეების უნარს, დაადგინონ თავიანთი პოზიციის სისწორე პრაქტიკაში. შეიძლება გამოიყენონ როგორც საკუთარი გამოცდილება, ასევე სხვადასხვა დისციპლინიდან მიღებული ცოდნა ან სოციალური კვლევების შედეგები. მთავარია, რომ იყოს დამაჯერებელი.

ამ ეტაპზე იყენებენ ფრაზებს, როგორებიცაა: „მაგალითად...“, „მე შემიძლია დავამტკიცო ეს მაგალითით...“, „მე ამის დადასტურებისთვის შემიძლია ვთქვა, რომ... “.

S - შედეგი-რეზიუმე (დასკვნა). ეს ბლოკი არის საბოლოო, ის შეიცავს საბოლოო დასკვნებს, რომლებიც დაადასტურებს დასახელებულ პოზიციას. ამ დროს წინადადებები უნდა იწყებოდეს ასე: „ამ გზით ...“, „ასე, რომ “, „მაშასადამე, “, „ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, დავასკვენი, რომ ...“.; „ამის საფუძველზე დავასკვნი, რომ ...“).

26. ბისოციაცია

ტერმინს „ბისოციაცია“ პირველად ვხვდებით 1970-იან წლებში, ფილოსოფოსისა და მწერლის არტურ კოეზლერის შრომაში. მოგვიანებით, ბისოციაცია ყალიბდება როგორც შემოქმედებითი უნარების განვითარების მეთოდი, რომლის ძირითადი იდეაა ლოგიკური კავშირების პოვნა კონცეპტუალურად განსახვავებულ ცნებებს, წარმოდგენებს, მოვლენებსა და სურათებს შორის.

მეთოდის ძირითადი მიზანია: მენტალური რუტინის მსხვრევა; სხვადასხვა პერსპექტივის ძიებით, ახალი იდეების პოვნა; აბსოლუტურად განსხვავებული და ორიგინალური გადაწყვეტილებების მიგნება.

ბისოციაციის მეთოდი წარმატებით შეგვიძლია გამოვიყენოთ: მოსწავლეებში სტერეოტიპების დაძლევის; რიგი მოქალაქეობრივი კომპეტენციების, კრიტიკული

აზროვნების, სიახლის მიმღებლობის, განსხვავებული შეხედულების პატივისცემის გასავითარებლად.

ბისოციაციის დროს მოსწავლე იძულებულია, დაამყაროს კავშირები და იპოვოს ანალოგიები ორ სრულიად განსხვავებულ „გონებრივ განზომილებას“, მოვლენას, ფაქტს, საგანს, პრობლემას შორის. განსხვავებული ელემენტების ერთმანეთთან შეხვედრას კი მოსწავლეები მიჰყავს ურთიერთკავშირების ღრმა და გააზრებულ გაგებამდე.

მეთოდის მიმდინარეობის აღწერა:

პირველი ნაბიჯი - პრობლემის დასმა. მასწავლებელმა მოსწავლეებს გააცნო ქეისი (შემთხვევა), რომელშიც პრობლემა ჩამოყალიბებულია ნათლად და გასაგებად.

მეორე ნაბიჯი - სურათების შერჩევა. შემთხვევითობის პრინციპით, მასწავლებელმა უნდა აირჩიოს სურათები, კატალოგები, საფოსტო ბარათები, გაზეთებიდან ამონაჭრები და მოათავსოს ყუთში. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სურათები პირდაპირ არ უნდა უკავშირდებოდეს ამოსავალ, ძირითად საკითხს. რაც უფრო დიდია განსხვავება ძირითად საკითხსა და შეთავაზებულ ნახატებს, გამოსახულებებს შორის, მით უფრო არატიპური, საინტერესო და ორიგინალური კომბინაციები ყალიბდება. სწორედ ეს წარმოადგენს ამ მეთოდის ხიბლს. ჯგუფი ირჩევს ერთ ფოტოს.

მესამე ნაბიჯი - თავისუფალი ასოციაციები. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, კარგად დააკვირდნენ მათ მიერ არჩეულ სურათს და დაფიქრდნენ, რა ასოციაციები, აზრები და მოგონებები მოსდით თავში. მოსწავლეები ბარათებზე ჩამოწერენ ყველა იმ ასოციაციას, რომელიც სურათზე დაკვირვებამ გამოიწვია.

მეოთხე ნაბიჯი - ანალოგიების შექმნა. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, მათ მიერ დასახელებული ასოციაციები დაუკავშირონ ქეისში დასახელებულ ძირითად პრობლემას. მასწავლებელმა უნდა წაახალისოს მოსწავლეები, რათა არ შეშინდნენ, თუკი აბსურდულად მოეჩვენებათ მათ მიერ ნაპოვნი ანალოგიები.

რაც უფრო არასტანდარტულია გადაწყვეტილება, მით მეტი პოტენციალია მასში ჩადებული.

მეხუთე ნაბიჯი - შეფასება, ტრანსფერი. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეაფასონ თავიანთი მიგნებები.

27. სურათის აღწერა

სურათის აღწერა მწყობრი თხრობის გამომუშავების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად ითვლება. ის ერთდროულად ხელს უწყობს როგორც ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, ისე გადაბმული მეტყველების მართებული სტილის გამომუშავებას. სურათის აღწერის სწორად წარმართვაზე დიდად არის დამოკიდებული ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარებაც. აღწერის პროცესში მოსწავლეებს უნდა გამოუმუშაოთ საგნებისა და მოვლენების ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგების, მოქმედებათა შორის მიზეზისა და კავშირის მიგნება-აღმოჩენის, საგნებს შორის სივრცობრივი ურთიერთობის დადგენის უნარები.

ჩვეულებრივ, გამოყოფენ სურათების აღწერის ორ გზას: მასწავლებლის დამხმარე კითხვებით ან მის გარეშე.

პირველ შემთხვევაში, მასწავლებლის დამხმარე კითხვები ასრულებს თხრობის „გეგმის“

როლს, უადვილებს მოსწავლეებს თხრობას, მაგრამ, ამავე დროს, გარკვეულ ყალიბშიც აქცევს მას.

მეორე შემთხვევაში, მოსწავლე უფრო დამოუკიდებელია და მის აზროვნებასაც შედარებით ფართო გასაქანი ეძლევა. თუმცა სურათის აღწერის ეს ფორმა შედარებით რთულია და მას წინასაანბანო პერიოდში ნაკლებად მივმართავთ. ამ პერიოდში სურათის აღწერა ძირითადად მაინც მასწავლებლის დამხმარე კითხვების საშუალებით ხდება. ამ ეტაპზე, სურათის აღწერას, გარდა გაბმული თხრობის ჩვევის გამომუშავებისა, სხვა მიზნებიც აქვს; კერძოდ:

ა) მოსწავლეთა ლექსიკის გამდიდრება ახალი ლექსიკური ერთეულებით;

ბ) ცალკეულ, ძნელად წარმოსათქმელ ბგერებზე ვარჯიში;

გ) ბგერითი ანალიზისა და სინთეზის ჩვევების გამომუშავება.

28. საყრდენ სიტყვებზე ნარატივის აგება

საყრდენ სიტყვებზე ან ფრაზებზე თხზულების შედგენა ფართოდ არის გავრცელებული სასკოლო პრაქტიკაში. ის ითვლება მოსწავლის მეტყველების განვითარების ერთ-ერთ აქტიურ საშუალებად. მას შეიძლება მივმართოთ სწავლების I საფეხურის ყველა ეტაპზე. საყრდენი სიტყვები (ან ფრაზები) ამ შემთხვევაში ასრულებს ერთგვარი „გეგმის“ როლს, რომელიც მოსწავლის აზროვნებასა და მეტყველებას გარკვეულ ჩარჩოში აქცევს, მაგრამ, ამავე დროს, აძლევს შემოქმედებითი ძალების ფართოდ გამოვლენის საშუალებასაც. მაგალითად:

დავალება 1. მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ პატარა მოთხრობა: ოქროსფერი, ბარაქიანი, ბუნება, რთველი. თითოეული წინადადების ბოლოს დასვით წერტილი.

დავალება 2. მოცემული სიტყვებით შეადგინეთ პატარა მოთხრობა: ბებო, ბოსტანი, კომბოსტო, სტაფილო, მწვანილი.

დავალება 3. ქვემოთ მოცემული ადამიანის აღმნიშვნელი სახელებით შეადგინეთ პატარა ამბავი: დედა, ავადმყოფი, მარო, ექიმი. სათაური თავად შეურჩიეთ.

დავალება 4. შეადგინეთ მოთხრობა ქვემოთ მოცემული ზედსართავი სახელების გამოყენებით: ქათქათა, სუსხიანი, ხანგრძლივი, ცივი, ლოყაწითელი, მხიარული, მშიერი, მოწყენილი. სათაური თავად შეურჩიეთ.

დავალება 5. შეადგინეთ მოთხრობა მოცემული სათაურით ”------”. გამოიყენეთ ყველა ეს სიტყვა /და გამოთქმა: ----------

29. სათაურის მიხედვით თხზულების შედგენა

ამ შემთხვევაში მოსწავლეებს ეძლევათ მხოლოდ თხზულების სათაური, რომელიც გაანალიზდება კლასში. შეიძლება წინასწარ შედგეს თხზულების საორიენტაციო გეგმაც. წერის ეს სახე დიდ სიფრთხილესა და ზომიერებას მოითხოვს. იგი განსაკუთრებით უწყობს ხელს თავისუფალი აზროვნებისა და დამოუკიდებელი მსჯელობის უნარ-ჩვევების განვითარებას. მას სჭირდება თანმიმდევრული და რეგულარული მუშაობა. თანაც აუცილებლად დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ მის ენობრივ მხარეს, რადგან მოსწავლე ჯერ კიდევ ვერ ფლობს წერითი მეტყველებისათვის დამახასიათებელ გამომსახველობით საშუალებებს. მოსწავლეები ამ დავალებას დიდი ინტერესით ასრულებენ. იმისათვის, რომ მოსწავლის ფანტაზიას მეტი გასაქანი მივცეთ, შეიძლება საწერად შევთავაზოთ რამდენიმე თემა და არჩევანის უფლებაც მას მივანიჭოთ. წერის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები ერთმანეთს უკითხავენ თხზულებებს და ხმამაღლა გამოთქვამენ საკუთარ შეხედულებებს.

30. თხზულება დასაწყისის (დაბოლოების) მიხედვით

ასეთ შემთხვევაში, მოსწავლეებს ეძლევათ მხოლოდ თხზულების დასაწყისი ან დაბოლოება, ან ორივე ერთად და ევალებათ, მათ შესაბამისად გამართონ თხრობა. მაგალითად:

დავალება 1. დაასრულე მოთხრობა:

თავგანწირვა

ნანამ და გიამ ტყეში სოკო დაკრიფეს. შინ დაბრუნებისას მოულოდნელად .....

.....

.....

31.კომიქსი

კომიქსი ძალზე ეფექტური საშუალებაა იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ტექსტის გააზრება, თავიანთი შემოქმედებითი უნარების აქტიური გამოყენებით.

მეთოდი ეხმარება მოსწავლეებს: წარმოსახვისა და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში; წაკითხული ტექსტის მიხედვით ილუსტრაციების შექმნაში; კითხვისა და წერის მოტივაციის ამაღლებაში; მოტორიკის განვითარებაში.

მსვლელობა:

პირველი ეტაპი - მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შეარჩევს კომიქსის თემას. ეს შეიძლება იყოს ახლად დამუშავებული ნაწარმოები, მასწავლებლის ან რომელიმე მოსწავლის მიერ მოყოლილი ისტორია, სკოლაში მომხდარი რაიმე ამბავი, კარიკატურა, უბრალოდ, საკითხი, რომელიც მათ აინტერესებთ, აღელვებთ და სხვ.;

მეორე ეტაპი - მასწავლებელი შეკითხვების მეშვეობით შეახსენებს მოსწავლეებს, რომ კომიქსი შედგება გამოსახულებებისა და ტექსტის კომბინაციისაგან. აგრეთვე, ერთად ჩამოთვლიან კომიქსის შექმნის ძირითად პრინციპებს - ტექსტიდან მნიშვნელოვანი / საკვანძო მონაკვეთების გამოყოფა, პერსონაჟებისა და გარემოებების შერჩევა, ფანტაზიის, შემოქმედებითობის, იუმორის გამოყენება და სხვ. (თუკი მოსწავლეები პირველად მონაწილეობენ ამგვარ აქტივობაში, სასურველია, მასწავლებელმა უფრო ხანგრძლივი დრო დაუთმოს კომიქსის დეტალებზე საუბარს და დაფაზეც ჩამოწეროს მისი ძირითადი ელემენტები);

მესამე ეტაპი - თემის შერჩევის შემდეგ მოსწავლეები შეარჩევენ ტექსტის/ამბის საკვანძო ადგილებს კომიქსში ჩასახატად;

მეოთხე ეტაპი - მოსწავლეები მოამზადებენ ჩარჩოს სურათების ჩასახატად (ან მასწავლებელი თავად ურიგებს მათ დახაზულ ფურცლებს);

მეხუთე ეტაპი - მოსწავლეები კომიქსის სურათებს მიაწერენ ტექსტს დიალოგური „წრეების“ ან ტიტრების სახით;

შეჯამება - მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები სხვადასხვა ფორმით წარადგენენ თავიანთ ნამუშევარს კლასის წინაშე (გამოფენა, წიგნად აკინძული კომიქსების პრეზენტაცია, ნახატის გახმოვანება და სხვ.).

32. ასოციაციური კავშირების რუკა

ეს არის საშუალება, რომელიც ეხმარება მოსწავლეს ვიზუალურად დაინახოს და აღიქვას შესასწავლ თემასთან დაკავშირებული სიტყვები, ცნებები, საკითხები. ის ეხმარება მოსწავლეს შემდეგი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში: ყურადღების კონცენტრაცია; ინფორმაციის შეკრება და დაჯგუფება; თემის გააზრება; დასკვნის გაკეთება; ასოციაციების შექმნა; შემოქმედებითი აზროვნება; ლოგიკური აზროვნება.

ასოციაციური კავშირების რუკის შედგენის ეტაპები:

I. **ეტაპი** - სასწავლო მიზნიდან გამომდინარე, დაფის ან ფურცლის ცენტრში იწერება სიტყვა, ფრაზა ან გამოსახულება;

II. **ეტაპი** - მოსწავლეები დაფის ან ფურცლის ცენტრში დაწერილ სიტყვას, ფრაზას ან გამოსახულებას ლოგიკურად უკავშირებენ იმას, რაც მას ასოციაციურად უკავშირდება;

III. **ეტაპი** - მას შემდეგ, რაც სიტყვებს ან ფრაზებს დაწერენ, უნდა აღინიშნოს ბმა ისეთ სიტყვებსა და ფრაზებს შორის, რომლებიც, მათი აზრით, ერთმანეთთანაა დაკავშირებული;

IV. **ეტაპი** - ასოციაციური კავშირების რუკის შედგენა გრძელდება მანამ, სანამ ამ საკითხის გარშემო აზრები ან დრო არ ამოიწურება. ამ მეთოდის გამოყენება შესაძლებელია ინდივიდუალური, წყვილებში და ჯგუფური მუშაობისას.

33. სასწავლო მენიუ

სასწავლო მენიუ მოსწავლეებს სთავაზობს **არჩევანს.** მათ შეუძლიათ აირჩიონ კონკრეტულ სასწავლო მიზანთან დაკავშირებული საკითხის შესწავლის ფორმა, დავალების ტიპი ან ამ დავალების შესასრულებლად საჭირო დრო.

სასწავლო მენიუში სასწავლო ამოცანების დიფერენცირება შესაძლებელია: მოსწავლის მზაობის; ინტერესების; სწავლის სტილის მიხედვით.

სასწავლო მენიუ ხშირად მრავალგანზომილებიანი დიფერენცირების საშუალებას იძლევა. მაგალითად, კარგად ჩამოყალიბებული სასწავლო მენიუ მასწავლებელს საშუალებას მისცემს, დიფერენცირება ერთდროულად მოსწავლეთა მზაობისა და ინტერესების მიხედვით მოახდინოს. მასწავლებელი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის შეიმუშავებს სასწავლო მენიუს და წარუდგენს მას მოსწავლეებს, რომლებიც აირჩევენ დავალებებს და თავად განსაზღვრავენ მათი შესრულების თანამიმდევრობას. სასწავლო მენიუზე მუშაობის დროს ძალიან დიდია მოსწავლეთა ავტონომიურობის ხარისხი. სასწავლო მენიუს აღსაწერად, მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით, სხვადასხვა ლექსიკა გამოიყენება.

34. ქარგები (შაბლონები)

ქარგები (შაბლონები) წერისთვის - მეთოდის/აქტივობის შესახებ ქარგების გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანია წერის საწყის ეტაპზე, ანუ მანამ, სანამ მოსწავლე კარგად გაიწაფება სხვადასხვა ტიპის ტექსტის შექმნაში.

<u>ამ აქტივობის გამოყენება მოსწავლეებს:</u> ხელს უწყობს აზრების მობილიზებაში; აძლევს გარკეულ მინიშნებებს და მიმართულებას უშუალოდ წერის პროცესში; მატებს თავდაჯერებულობას.

<u>მუშაობის ფორმა:</u> ინდივიდუალური.

<u>რესურსი:</u> სამუშაო ფურცელი ქარგით.

<u>მსვლელობა:</u>

1. მასწავლებელი, იმის მიხედვით, თუ რისკენ სურს მიმართოს მოსწავლის აზროვნება წერის პროცესში, წინასწარ შეარჩევს (ან შექმნის) ქარგას;
2. მოსწავლეებს ურიგებს ქარგას და აძლევს გარკვეულ დროს მის შესავსებად;
3. მოსწავლეები განსაზღვრულ დროში ავსებენ ქარგას;
4. დროის გასვლის შემდეგ ისინი წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს კლასის წინაშე

ქარგების ნიმუშები:

1. პრობლემა და მისი გადაჭრა

ნაწარმოების პერსონაჟს აქვს პრობლემა. პრობლემა ისაა, რომ _____. აღნიშნული პრობლემის მიზეზი გახდა _____. მიუხედავად ამისა, პრობლემა მოგვარდა (ან შეიძლება მოგვარდეს). მის გადასაჭრელად საჭირო იყო (ან საჭირო იქნება) _____. პრობლემის ასეთი გადაჭრა, ჩემი აზრით, _____
_____.

2. შედარება

(მსგავსებები და განსხვავებები) _____-სა და _____-ს შორის რამდენიმე მსგავსებაა. ისინი ერთმანეთს ჰგვანან _____-ით. თუმცა აღსანიშნავია განსხვავებაც. _____-საგან განსხვავებით, _____- ს არა აქვს _____. ხოლო _____-საგან განსხვავებით, _____- ს აქვს _____

3. აღწერა

_____-ის აღწერა/დახასიათება. ოდესმე გინახავთ ან გიფიქრიათ _____- ზე? _____-ს ძალიან საინტერესო გარეგნობა აქვს. ის _____. მაგალითად, მას აქვს _____, რომელიც _____. მას აგრეთვე აქვს _____ და _____. ყოველივე ამის გამო, ძალიან _____ გამოიყურება.

4. **პერსონაჟის დახასიათება**

ამ ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი არის _____. იგი არის ძალიან _____. მას სურს _____, მაგრამ _____, ამიტომ მან გადაწყვიტა _____. საბოლოოდ მან შეძლო _____. თუმცა ამის მისაღწევად მას _____.

5. აღწერა-დახასიათება (ცხოველის, საგნის)

ეს არის _____ . იგი არის _____ . _____ ბინადრობს _____ . გარეგნულად არის ძალიან _____ . იგი წააგავს _____ -ს. აქვს _____ და _____ . _____ იკვებება _____ -ით, მაგალითად _____ -ით.

6. თანმიმდევრობა

სანამ _____ , ბევრი რამ მოხდა. ჯერ _____ , შემდეგ _____ , შემდეგ _____ . სულ ბოლოს კი _____ .

7. ინსტრუქცია (სათამაშოს ან კოლაჟის აწყობა)

ფრთხილად გახსენით _____ , რომ შიგ ჩაწყობილი _____ არ დაზიანდეს. ყველა _____ სათითაოდ ამოალაგეთ და _____ დააწყვეთ. აწყობა დაიწყეთ _____ -ით, შემდეგ გაგრძელეთ _____ -ით. კარგად დააკვირდით _____ -ს, რომ ერთნაირი _____ ერთად არ მოხვდეს. რაც უფრო მრავალფეროვანი გამოგივათ _____ , მით უკეთესი _____ .

8. რეკლამა

გინდათ, გქონდეთ ისეთი _____ , როგორზეც ბევრჯერ გიოცნებიათ? მას შეუძლია _____ , _____ და, თქვენ წარმოიდგინეთ _ _____ -ც! შეიძლება ეს _____ მოგეჩვენოთ, მაგრამ როცა _____ , თქვენ თვითონ დარწმუნდებით! თანაც არც ისე _____! იჩქარეთ, რომ _____ ! შენიშვნა ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებისთვის ქარგების დახმარებით წერა გაცილებით უადვილდებათ მეორე/უცხოური ენის შემსწავლელებს.

9. მოთხრობის შეჯამება ერთი პერსონაჟის შესახებ ინფორმაციით

ეს მოთხრობა არის _____ შესახებ.

_____ არის მნიშვნელოვანი გმირი (მოქმედი პირი) იმით, რომ იგი ცდილობს _____ _____ _____ მოთხრობა თავდება, როცა _____ _____ .

10. გაკვეთილის შეჯამება. თემა - წელიწადის დროები

ჩვენი გაკვეთილი არის _____ შესახებ. თითოეული -------- ---------- მოიცავს სამ თვეს. გაზაფხულის თვეებია ---------- ----------; ზაფხულის თვეებია ----------; შემოდგომის თვეებია ---------- ; ზამთრის თვეებია ---------- ----------. მე დავიბადე ---------- . წელიწადის ეს დრო საქართველოში არის ------- ---------- . ჩემს ქვეყანაში ---------- მე ყველაზე ძალიან მიყვარს ---------- რადგან ---------- --------

11.მნიშვნელოვანი იდეა ან პრობლემა

ამ მოთხრობაში პრობლემა იწყება, როცა _____

ამის შემდეგ _____.

მერე _____, შემდეგ _____

პრობლემა საბოლოოდ გადაწყდა, როცა _____.

მოთხრობა თავდება _____.

12.ტექსტში მოთხრობილი ამბის დროისა და ადგილის განსაზღვრა

ამბავი ხდება _____.

მე ეს ვიცი, რადგან ავტორმა გამოიყენა სიტყვები: "_____ _____".

სხვა მინიშნებები, რომლებიც გვიჩვენებს, როდის მოხდა ეს ამბავი, არის _____ _____ _____.

13.პერსონაჟის დახასიათება.

_____ არის მნიშვნელოვანი გმირი ამ მოთხრობაში. _____
მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ _____.

ერთხელ ის _____.

სხვა დროს _____.

მე ვფიქრობ, რომ _____ (გმირის სახელი) _____ არის _____(გმირის

ხასიათის თვისება)_____, რადგან _____ _____.

14.პერსონაჟების შედარება.

_____ და _____ ამ

მოთხრობის ორი გმირია. _____(გმირის სახელი) _____ არის _____ (გმირის ხასიათი/თვისება)_____,

მაშინ, როცა _____(გმირის სახელი) _____ არის _____ (გმირის ხასიათი/თვისება) _____.

მაგალითად, _____(ერთი)_____ ცდილობს _____

_____ .

_____(მეორე)_____ პირიქით: _____ _____
_____.
ორივე არის _____ (საერთო თვისება/თვისებები) _____ _____
_____

სავარჯიშოები

დიდაქტიკური მოთხოვნების გათვალისწინებით, სასურველია ენის სწავლების საფეხურებად დაყოფა, რადგან ენის ცოდნის განსხვავებულ დონეზე მყოფი მოსწავლისათვის დიდაქტიკა სამეტყველო უნარ-ჩვევების სწავლებას სხვადასხვაგვარად ანაწილებს. გთავაზობთ სავარჯიშოებს, რომლებიც შეიძლება ენის შესწავლისას გამოიყენოს მასწავლებელმა მოსწავლის ცოდნის შესაბამისად წერაში, კითხვასა თუ ზეპირმეტყველებაში.

სავარჯიშოები

მინიმალური

1. ასოგამოტოვებული სიტყვების შევსება - **დაკარგული ასო-ბგერები**
2. სიტყვაგამოტოვებული წინადადებების შევსება - დაკარგული სიტყვები
3. მოცემული სიტყვის გამოყენებით ორსიტყვიანი, სამსიტყვიანი, ოთხსიტყვიანი წინადადებების... მიღება - სიტყვების დაწყვილება
4. დეფორმირებული წინადადებების აღდგენა - სიტყვები იმგვარად დაალაგეთ, რომ წინადადებები მიიღოთ - წინადადების აღდგენა
5. დეფორმირებული ტექსტის აღდგენა - დაალაგეთ წინადადებები ისე, რომ მოთხრობა მიიღოთ, მოთხრობას სათაური თავად შეურჩიეთ - ტექსტის აღდგენა
6. წინადადებების გადაწერა და სიტყვების დამარცვლა;
7. დეფორმირებული წინადადებებისა და ტექსტის აღდგენა;
8. მოცემულ ტექსტში დაუსვით სათანადო კითხვები არსებით სახელებს: რომელს დაესმის კითხვა ვინ? რა? - ვინ და რა კითხვები
9. მოცემულ წინადადებებში ყველა სიტყვას დაუსვით კითხვები - სიტყვები და კითხვები
10. შეურჩიეთ ზმნები მოცემულ არსებით სახელებს - ზმნის შერჩევა
11. არსებით სახელს შეურჩიეთ ის ზმნა, რომელიც უფრო ზუსტად აღნიშნავს მის მოქმედებას;
12. ქვემოთ მოცემულ ზმნებს შეურჩიეთ შინაარსით მახლობელი ზმნები:

უყვება

ეხვეწება

უყურებს

მირბის

13. შეადგინეთ წინადადებები არაპირდაპირი მნიშვნელობით გამოყენებული ზმნებით - **წინადადების შედგენა**

მაგ.:

მიფრინავს (ჩიტი, დრო) - მიფრინავს დრო

ღელავს (ზღვა, ადამიანი) -

იცინის (ბავშვი, მზე) -

ღმუის (ცხოველი, ქარი) -

14. მოიფიქრეთ, რომელი ზედსართავი სახელის გამოყენება სჯობს მოცემულ წინადადებებში.

მაგალითები:

- ..... მზე ამოვიდა (მხურვალე, კაშკაშა, მცხუნვარე, თბილი, ცხელი, ბრწყინვალე).

- მაღლა მთიდან ..... წყარო მოჩუხჩუხებს (ანკარა, კამკამა, ცივი, წმინდა, სუფთა).

- წელს ..... მოსავალი მოვიდა (კარგი, ბარაქიანი, უხვი, მდიდარი).

15. მოცემულ წინადადებებში ზედსართავი სახელები შეცვალეთ შინაარსით მახლობელი სიტყვებით - **სხვა სიტყვები**

16. მოცემულ ზედსართავ სახელებს შეურჩიეთ საპირისპირო შინაარსის სიტყვები - **საპირისპირო სიტყვები**

საშუალო

1. წაიკითხეთ ტექსტი და ზოგიერთი არსებითი სახელი, საჭიროებისამებრ, შეცვალეთ ნაცვალსახელით - **შეცვალე ნაცვალსახელით**
2. წაიკითხეთ ტექსტი და საჭიროებისამებრ შეცვალეთ ნაცვალსახელი არსებითი სახელით - **შეცვალე არსებითი სახელით**
3. მოცემულ წინადადებებში მოძებნეთ ზმნები - I პირის ფორმები გადაიყვანეთ III პირში და ისე გადაიწერეთ - **პირველიდან-მესამეში**
4. მოცემული ტექსტი ისე წაიკითხეთ, რომ ყველა ზმნა წარსულ დროში იყოს გამოყენებული - **წარსული დრო**
5. წაიკითხეთ ტექსტი და გაასწორეთ შემჩნეული შეცდომები - **შეცდომის გასწორება**
6. მოცემულ წინადადებებში ზედსართავი სახელები გადააკეთეთ ვითარების

ზმნიზედებად და ისე გადაწერეთ;

7. დაურთეთ „-თან“ თანდებული მოცემულ სიტყვებს და მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები...

8. გამოტოვებული ადგილები შეავსეთ ბრუნვის ნიშნებით; გამოტოვებული ადგილები შეავსეთ პირის ნიშნებით;

9. ტექსტიდან მხოლოდ მითითებული ორთოგრამები ამოწერეთ (გამოკრებითი გადაწერა). მაგ.: მოცემული ტექსტიდან ამოიწერეთ მხოლოდ რთული სიტყვები;

10. ტექსტში მითითებულ ორთოგრამებს ქვეშ ხაზი გაუსვით, მაგ.: წაიკითხეთ ტექსტი; მარტივფუძიან არსებით სახელებს ქვეშ ერთი ხაზი გაუსვით, რთულფუძიანს - ორი;

11. შეადგინეთ და დაწერეთ წინადადებები ორთოგრამებით. მაგ.: მოცემული სიტყვები (ს-ზე დამთავრებული თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელები) გადაიყვანეთ მიცემით ბრუნვაში და მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები...

მაღალი

1. მოცემულ არსებით სახელებს შეურჩიეთ ზმნები სათანადო რიცხვის ფორმით - **შესაბამისი რიცხვი**

2. მიიღეთ ორი წინადადებისგან ერთი, სათანადო კავშირის გამოყენებით - **კავშირები**

3. გამოიყენეთ საჭირო ადგილას -გან/-დან ბოლოსართები (რისგან?/საიდან?) - **ბოლოსართები**

4. დაფაზე იწერება მხოლოდ ორთოგრამები, მოსწავლეებს ევალებათ მათი გამოყენებით წინადადების ან თხზულების შედგენა;

5.მასწავლებელი წერს დაფაზე წინადადებებს, რომლებსაც აკლია შესწავლილი ორთოგრამები. ეს ორთოგრამები მოსწავლეთა საერთო ძალებით შეირჩევა და ჩაიწერება სათანადო ადგილას; შემდეგ ტექსტი იფარება. მასწავლებელი კითხულობს ტექსტს. მოსწავლეები სმენით შთაბეჭდილებას უდარებენ ოპტიკურს, რომელსაც აღიდგენენ გონებაში და იწერენ ამ ორთოგრამებს. როცა კარნახი დასრულდება, მასწავლებელი ხსნის დაფარულ ტექსტს დაფაზე. მოსწავლეები თავად პოულობენ შეცდომებს საკუთარ ნაწერებში და ასწორებენ.

6. მასწავლებელი უკარნახებს კლასს დაუმთავრებელ წინადადებებს. მოსწავლეები იგონებენ სტილისტური თვალსაზრისით საჭირო შინაარსის სიტყვებს, რომელთა მართლწერაც ახლახან შეისწავლეს და სათანადო ფორმით წერენ...



მიმართულება - წერა

წერის სხვადასხვა ტიპის აქტივობები და სავარჯიშოები

გამოტოვებული ასოები - სიტყვებში გამოტოვებული ასოების ჩაწერა.

წინადადებებში გამოტოვებული სიტყვების ჩაწერა - შეავსეთ ცარიელი ადგილები შესაბამისი საპირისპირო სიტყვებით:

1. ზაფხულში ძალიან _____ (ცივი/ცხელი) ამინდებია.
2. ზამთარში ამინდი ძალიან _____ (ცივია/ცხელია).
3. მზიანი _____ (დღე/ღამე) ნათელი და თბილია.
4. ბნელი _____ (დღე/ღამე) მშვიდი და ცივი შეიძლება იყოს.
5. ხე როცა _____ (მაღალია/დაბალია), მას დიდი ჩრდილი აქვს.
6. _____ (მაღალი/დაბალი) ბალახი სახიფათოა და უნდა გაითიბოს.
7. ზამთრის დილას, როდესაც ამინდი ძალიან ----------(ცივი/ცხელი) იყო, (თბილად/გრილად) ჩავიცვი.
8. ზაფხულის შუა დღეს, როდესაც ამინდი ძალიან ----------(ცხელი/ცივი) იყო, ნაყინი შევჭამე.

ნახატების დასათაურება - მას მერე, რაც მოსწავლე ამოიცნობს სიტყვების/წინადადებების შესაბამისობას ნახატებთან, ვთხოვთ მას, მიუწეროს ნახატებს შესაბამისი სიტყვები/სათაურები.

არეული თანმიმდევრობა - მას მერე, რაც მოსწავლე ამოიცნობს სიტყვების/წინადადებების სწორ თანამიმდევრობას, ვთხოვთ მას, რომ დაწეროს ეს სიტყვები/წინადადებები.

წინადადებების აგება - მოცემული სიტყვათა გროვიდან წინადადებების აგება და დაწერა.

კროსვორდი - კროსვორდის შევსება ისეთი სიტყვებით, რომელთა ამოკითხვაშიც ივარჯიშეს.

სიების შედგენა - მოსწავლეს არეულად მივცემთ სხვადასხვა სემანტიკური ველის

სიტყვებს, ვთქვათ, სამოსის, ცხოველების, სათამაშოების სახელებს; ვთხოვთ, რომ ამოიცნოს, რუბრიკების მიხედვით გადაანაწილოს და ჩამოწეროს სიტყვები.

წინადადების დასრულება 1 (არჩევანის გზით) - მოსწავლეს ვაძლევთ დაწყებულ ფრაზას და დასრულების ალტერნატიულ ვარიანტებს. იგი აირჩევს სასურველ ვარიანტს და ფრაზას დაასრულებს (მაგ.: დაბადების დღისთვის მინდა ---------- (მივცემთ სათამაშოების სიას).

წინადადების დასრულება 2 - წინადადებას დაასრულებს წაკითხული ტექსტის საფუძველზე (შინაარსის მიხედვით);

კითხვებზე პასუხების გაცემა წაკითხული ტექსტის შინაარსის მიხედვით.

წინადადების დასრულება ნახატების მიხედვით - წინადადების დასაწყისი და დასასრული მოცემულია ნახატებით (მაგ.: მერაბს უყვარს ---------- (ნახატზე შესაბამისი საჭმელებია გამოსახული); ბოლო ვარიანტი შეიძლება თვითონ ამ მოსწავლეს ან მის მეწყვილეს ეხებოდეს; მოსწავლეები თვითონ დახატავენ და ამ ნახატით დაასრულებენ ფრაზას.

კითხვარის მონაცემების მიხედვით წინადადების შედგენა - მას მერე, რაც ზეპირმეტყველებაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად მოსწავლე შეავსებს კითხვარს (იხ. ზემოთ), მოსწავლე დაწერს წინადადებას (მაგ.: კითხვარის ჰორიზონტალურ სვეტში ჩაწერილია და ჩახატულია სხვადასხვა აქტივობა, ვერტიკალურ სვეტში ჩაწერილია მიყვარს, არ მიყვარს და შესაბამისად ჩახატულია გახარებული და მოწყენილი კაცუნა (ნახატი კითხვის დამხმარე საშუალებაა, აუცილებელი იმისთვის, რომ გამოკითხვის ჩატარებისას მოსწავლე არ დაბრკოლდეს). პასუხების შესაბამისად, მოსწავლე უჯრედებში ჩაწერს პლიუსებს და შემდეგ, მონაცემების მიხედვით, შეადგენს ერთ ან რამდენიმე ფრაზას (მასწავლებლის მითითების მიხედვით). ვთქვათ ასე: არმენს უყვარს ხატვა და ცურვა; არმენს არ უყვარს ცეკვა და ძილი). მსგავსი აქტივობა შეიძლება მოსწავლემ საკუთარ თავზეც შეასრულოს (ჯერ კითხვარს შეავსებს, მერე წინადადებას დაწერს).

პუნქტუაციური სავარჯიშოები

პუნქტუაციური სავარჯიშოები პუნქტუაციური ჩვევის განმტკიცების ყველაზე გავრცელებულ და ერთ-ერთ საუკეთესო ხერხად ითვლება. პუნქტუაციური გარჩევის ნიმუშები მარტივიდან რთულისაკენ:

დავალება 1. წაიკითხეთ წინადადებები, თითოეული თხრობითი წინადადების ბოლოს შეჩერდით. გაარკვიეთ, რამდენი წინადადება წაიკითხეთ. სად შეჩერდით კითხვისას? რატომ?

დავალება 2. გადაწერეთ ტექსტი. კითხვით წინადადებებს ქვეშ ერთი ხაზი გაუსვით.

დავალება 3. გაუსვით ხაზი კითხვით სიტყვებს. წაიკითხეთ წინადადებები სათანადო ინტონაციით.

დავალება 4. მოძებნეთ ლექსში ძახილის წინადადებები; გაარკვიეთ, რა გრძნობას გამოხატავს ისინი და რა ემოციით უნდა წავიკითხოთ.

დავალება 5. გადაწერეთ ტექსტი და გამაერთიანებელ სიტყვებთან დასვით სათანადო სასვენი ნიშნები.

ზეპირმეტყველება

აქტივობები დიალოგური მეტყველების გასავითარებლად

1. მოსწავლეებს დავურიგებთ ბარათებს, რომლებზეც მათი როლის შესაბამისი რეპლიკები იქნება არეულად მოცემული. მოსწავლეები უსმენენ ერთმანეთს, რათა ამოირჩიონ შესაბამისი რეპლიკა დიალოგის გასაგრძელებლად. ეს აქტივობა კარგია ახალ ენობრივ მასალაზე, ახალ კონსტრუქციებზე სავარჯიშოდ.
2. მოსწავლეებს დაურიგდებათ ბარათები, რომლებზეც იქნება ტელეფონზე მოსაუბრის რეპლიკები. მან უნდა მოიფიქროს საპასუხო რეპლიკები და შეავსოს ხარვეზები. შემდეგ მეწყვილესთან ერთად ექსპრესიულად წაიკითხავს შეთხზულ დიალოგს.
3. შეიძლება მოსწავლეებს შევთავაზოთ ფანტასტიკური სიტუაციები, მაგ.: 5 მოსწავლისაგან შემდგარი გუნდი მფრინავი თეფშის გამოჩენის მომსწრე გახდება. ეს მოსწავლეები შეთანხმდებიან თეფშის გამოჩენის გარემოებებზე (სად, როდის, როგორ გამოიყურებოდა, როგორი ამინდი იყო, როგორ მოძრაობდა, რა ტიპის არსებები ისხდნენ შიგნით, ვინ შეესწრო და სხვა); დანარჩენები ინსპექტორების როლს გაითამაშებენ და დასვამენ კითხვებს, რათა მაქსიმალური ინფორმაცია მოიპოვონ ამ მოვლენის შესახებ.
4. შეიძლება გამოვიყენოთ მოსმენილი ან წაკითხული ტექსტი - მოსწავლეები დიალოგში გააგრძელებენ მოქმედ პირთა საუბარს. ამისათვის წინასწარ მოამზადებენ, ვინ რა უნდა თქვას. შეიძლება ერთგვარი როლის პატრონები ერთად დასხდნენ და მოემზადონ.

აქტივობები მონოლოგური მეტყველების გასავითარებლად (აღწერა, თხრობა, საკუთარი აზრის გამართლება)

5. მოსწავლეებს ურიგდებათ ბარათები, რომლებზეც არის ურთიერთშემავსებელი ინფორმაცია. ნაკლული ინფორმაცია უნდა შეავსონ კითხვების დასმით. მაგ.: A და B ფურცლებზე ერთი და იგივე ბინაა დახატული. A ნახატზე ასახულია ის ავეჯი, რომელიც არ ჩანს B ნახატზე და - პირიქით. ის ავეჯი, რომელიც არ არის A ნახატზე, სიის სახით, ნახატის გვერდითაა წარმოდგენილი (მაგ.: კარადა, მაცივარი, თარო და სხვა). A ნახატის პატრონი ეკითხება B ნახატის პატრონს, ვთქვათ, კარადის ადგილმდებარეობის შესახებ და მიღებული პასუხის მიხედვით ნახატში კარადას

ჩახატავს. როცა ამოწურავენ სიას, შეადარებენ ნახატებს ერთმანეთს და ნახავენ, რამდენად ზუსტად გაარკვიეს საგანთა ადგილმდებარეობები. ცხადია, მრავალგვარ თემატიკაზე შეიძლება ამ აქტივობის გამოყენება (მაგ.: რომელიმე ცნობილი პიროვნების ბიოგრაფიული მონაცემები ან სხვადასხვა ცნობილი პიროვნება, რომელთა მონაცემების ერთი ნაწილი A ფურცელზე იქნება ასახული, მეორე ნაწილი - B ფურცელზე).

6. მოსწავლეებს დაურიგდებათ რამდენიმე ნივთის ნახატი ან სურათი. მათ ერთი-ორი წინადადებით უნდა აღწერონ და ახსნან, რისთვის გამოიყენება (ამოცანის გასაადვილებლად, მოსწავლეებს მიეწოდებათ საჭირო გამოთქმები, სტრუქტურები, მაგ.: ამ ნივთს აქვს... მას იყენებენ... ამ ნივთით შეიძლება...)
7. მოსწავლეები დაიყოფიან გუნდებად. გუნდებს დაურიგდებათ თითო გამოცანა. ერთ-ერთი გუნდის წევრი მას ხმამაღლა და გარკვევით წაიკითხვას. სხვები ეცდებიან პასუხის გამოცნობას და საკუთარი პასუხის დასაბუთებას.
   მოსწავლეებს მოეთხოვებათ დაუსრულებელი ამბის, ზღაპრის დასრულება.
8. მოსწავლეებს მიეწოდებათ ფურცლები, რომლებზეც დახატული იქნება სხვადასხვა საგანი, ცხოველი, პერსონაჟი. თითოეული შეარჩევს და შემოხაზავს 7-8 ნახატს. გამოიგონებს მცირე ზომის ზღაპარს, რომელშიც ჩართული იქნება შერჩეული ნახატები (ამოცანის დასაადვილებლად მოსწავლეებს შევახსენებთ დასაწისს - იყო და არა იყო რა, იყო... და თხრობის ასაგებად აუცილებელ ელემენტებს – ერთ მშვენიერ დღეს... ამის მერე... შემდეგ... ბოლოს).
9. მოსწავლეები ირჩევენ ქაღალდებს, რომლებზეც წლებია დაწერილი. იხსენებენ და ყვებიან, რას აკეთებდნენ შესაბამის წელს (წლოვანება, საცხოვრებელი ადგილი, აქტივობები და სხვა).
10. მოსწავლეებს მივცემთ სახუმარო სკეტჩს და ვთხოვთ მის ამბად გადმოცემას.
11. მოსწავლეებს დაურიგდებათ თითო ანდაზა (მაგ.: დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე). მათ მოეთხოვებათ, მოიგონონ და მოყვნენ პატარა ამბავი, ისტორია, რომელიც ანდაზის არსს წარმოაჩენს.
12. მეწყვილეები ზურგშექცევით დასხდებიან. თითოეულ მათგანს დაურიგდება სხვადასხვა ნახატი. ჯერ ერთი აღწერს თავის ნახატს და მისი მეწყვილე აღწერის მიხედვით დახატავს, შემდეგ როლებს შეცვლიან. ბოლოს შეადარებენ, რამდენად შეესაბამება ნახატები ერთმანეთს.
13. მოსწავლეები ყვებიან თავს გადამხდარ ამბავს.
14. „ჩვენი რადიო“ – გარკვეულ დღეს რამდენიმე მოსწავლე მოამზადებს რაიმე გადაცემას (მაგ.: ამინდის პროგნოზი, სენსაციური ამბავი, ქრონიკა, ანეკდოტი და სხვა).

აქტივობები კითხვის უნარის გასავითარებლად:

წაკითხულის შინაარსის გაგება

- **წაიკითხე და განასახიერე**
- **წაიკითხე და დახატე/გააფერადე** ან წაიკითხე და დაასრულე ნახატი.
- **წაიკითხე და გამოიცანი** – წინადადების შინაარსი ესადაგება მოცემული რამდენიმე ნახატიდან ერთ-ერთს. მოსწავლემ უნდა ამოიცნოს სურათი. უფრო რთული ვარიანტია ერთის ნაცვლად რამდენიმე წინადადების შეთავაზება. რთულ ვარიანტს მივცემთ იმ მოსწავლეებს, რომლებსაც კითხვა უადვილდებათ.
- **წაიკითხე და გააკეთე** – მოსწავლეებს (ან მოსწავლეთა ჯგუფებს) ურიგდებათ სათანადო მასალა. ისინი კითხულობენ რამდენიმე პუნქტად მოცემულ მარტივ ინსტრუქციას და ასრულებენ მას (ეს შეიძლება იყოს მარტივი რეცეპტი, მაგ.: ხილის სალათა, წიგნის სანიშნი, ნაძვის ხის სათამაშო, გვირგვინი, თოჯინა და სხვა). მოსწავლეთა სხვადასხვა ჯგუფს შეიძლება სხვადასხვა ტიპისა და სირთულის ინსტრუქციები შევთავაზოთ. შემდეგ ისინი ერთმანეთს აჩვენებენ ნამუშევრებს და ეცდებიან მეორე ენაზე ახსნან, რა და როგორ გააკეთეს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არჩევანი...
- **იდუმალი ცხრილი** – ცხრილის თითოეულ უჯრაში ისეა განთავსებული ასოები, რომ ჰორიზონტალურად, ვერტიკალურად თუ დიაგონალურად მოსწავლისათვის ნაცნობი სიტყვებია ჩაწერილი. მოზარდმა უნდა იპოვოს იქვე, ცხრილის გვერდით მითითებული სიტყვები. შეიძლება გართულებაც: მოსწავლემ უნდა იპოვოს სიტყვების მითითებული რაოდენობა (სიტყვების სია არ არის მოცემული). აქაც შეიძლება დიფერენცირება: შეიძლება სხვადასხვა დონის მოსწავლეს სხვადასხვა სირთულის ცხრილი მივცეთ ან - იგივე ცხრილი სხვადასხვა სირთულის დავალებით (მაგ.: „ამოიცანი 3 სიტყვა ჰორიზონტალურ სვეტებში“ და „ამოიცანი 7 სიტყვა ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებში“)
- **წაიკითხე და იპოვე სწორი თანმიმდევრობა** – მოსწავლეებს არეულად მივცემთ სიტყვის შემადგენელ ასოებს ან წინადადების შემადგენელ სიტყვებს და ვთხოვთ, ააწყონ.
- მოსწავლეებს **გადაბმულად** მივცემთ სიტყვებს ან წინადადებას და ვთხოვთ, რომ გამოყონ სიტყვები ერთმანეთისგან ხაზის ჩამოსმით (მზეანათებსმინდორს).
- **რომელი სიტყვაა ზედმეტი** – მოცემულია სიტყვათა გროვა. მოსწავლემ ამ წყებაში უნდა ამოიცნოს ის სიტყვა, რომელიც განსხვავებულ სემანტიკურ ველს ეკუთვნის (მაგ.: ატამი, ვაშლი, სანთელი, გარგარი, მსხალი).
- **არეული კომიქსი** - მოსწავლეებს არეული თანამიმდევრობით ვაძლევთ წინადადებებს და მათ შესატყვის სურათებს. მათ წინადადებები უნდა დააკავშირონ შესაბამის სურათთან.
- **გახლეჩილი სიტყვები/ფრაზები** – ორ სვეტად დაიყოფა გახლეჩილი სიტყვები/ ფრაზები. მეორე სვეტში თანმიმდევრობა იქნება არეული. მოსწავლეები დააკავშირებენ ერთმანეთთან შესატყვის ნაწილებს.
- **არეული დიალოგი** – ერთ სვეტში ერთი თანამოსაუბრის რეპლიკები განლაგდება, მეორე სვეტში – მეორისა, ოღონდ არეული თანამიმდევრობით. მოსწავლე ერთმანეთთან დააკავშირებს შესაბამის რეპლიკებს.
- **კონკურსების მოწყობა** – არცერთი მოსწავლე რომ არ დაიჩაგროს, მოსწავლეებს შევაფასებთ (ან დავაჯილდოებთ) სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით: ყველაზე

სწრაფი მკითხველი, ყველაზე კარგი გამოთქმის მქონე, უშეცდომოდ მკითხველი, ყველაზე ექსპრესიული, ყველაზე მონდომებული, ყველაზე შესამჩნევი წინსვლის მქონე (ამ პარამეტრით შეიძლება დაჯილდოვდეს ის მოსწავლეც, რომელიც სხვებზე ცუდად კითხულობს, მაგრამ შესამჩნევად გააუმჯობესა კითხვა).

- მოსწავლეებს რიგრიგობით მივცემთ ტექსტებს და ვთხოვთ მოემზადონ, რათა შემდეგ კლასის ერთ ჯგუფს ან მთელ კლასს უკარნახონ ის. **კარნახის** მიზანი შეიძლება იყოს სხვადასხვა: მოსმენილი ტექსტიდან ინფორმაციის ამოცნობა, დახატვა, კარნახით წერა. მოსწავლეებს იმდენად სიამოვნებთ და ეამაყებათ ასეთი ფუნქციის შესრულება, რომ განსაკუთრებული მონდომებით ვარჯიშობენ ტექსტის კითხვით ასათვისებლად. აუცილებელია ასეთი როლი მივცეთ იმ მოსწავლეებსაც, რომლებსაც კითხვა ძალიან უჭირთ. ცხადია, მათთვის შედარებით მარტივ ტექსტს შევარჩევთ და კითხვითი ამოცანის დაძლევაში ინდივიდუალურად დავეხმარებით, რათა წარმატებულად შეასრულონ მოკარნახის როლი. ეს აამაღლებს მათ მოტივაციას და საკუთარი თავის რწმენას განუმტკიცებს.
- **ურთიერთსწავლება:** დავაწყვილებთ კითხვაში ძლიერ თითო მოსწავლეს სუსტთან; მივცემთ ტექსტს (ან სიტყვებს, ან წინადადებას, მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით) და ძლიერს /ანუ მასწავლებელს/ ვთხოვთ მოამზადოს თავისი მოწაფე კონკურსისთვის. დრო განსაზღვრული იქნება, ვთქვათ, 5 წუთი და შემდეგ ისევ სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით შევაფასებთ წყვილების მუშაობის შედეგებს.
- **სკეტჩების, დიალოგური ტექსტების გამომეტყველებით წაკითხვა** – წყვილებში მოემზადებიან და თანაკლასელთა წინაშე გამომეტყველებით წაიკითხავენ ტექსტს.

ენის შესწავლის პროცესში დაშვებული შეცდომები

ენის შესწავლის პროცესში შეცდომები გარდაუვალია. ეს ენის ათვისების თანამდევი მოვლენაა. შესასწავლ ენაზე მეტყველების უნარის განვითარება თავისთავად იწვევს შეცდომებს, რომლებიც სხვადასხვა ფაქტორითაა განპირობებული: რთულია შესასწავლი ენის ფონემატური სტრუქტურის სრულად ათვისება და მისი რეალიზება, საწარმოთქმო აპარატის მორგება ახალი ენის მონაცემებთან; ასევე, ხდება მშობლიური ენის ყალიბის მექანიკური გადატანა ახალ ენობრივ სისტემაში ან ადგილი აქვს კონსტრუქციის არასრულად ათვისებას და მიღებული ცოდნის არასრულფასოვნად გადატანას პრაქტიკაში.

ეს და სხვა მრავალი საკითხი განსაკუთრებულად თვალსაჩინოა საკლასო მუშაობისას.

- როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი?
- რეაგირების გარეშე დატოვოს შეცდომები თუ მეყსეულად მიანიშნოს მასზე მოსწავლეს?
- მხოლოდ გაუსწოროს შეცდომები თუ იმსჯელოს თითოეულ მათგანზე?
- რა დრო დაუთმოს შეცდომების ანალიზს? შემოიტანოს ახალი მასალა თუ ისევ იმუშაოს იმ მასალაზე, რომელიც ჯერ
- კიდევ არ აუთვისებია მოსწავლეს ისე, რომ არ დაუშვას შეცდომა?

- ყველა შეცდომაზე ჰქონდეს რეაქცია მასწავლებელს თუ მხოლოდ ზოგიერთზე ან შერჩევით იმსჯელოს თითოეულზე?
- რა დრო დაუთმოს შეცდომების ანალიზს და როგორ მიაწოდოს ის კლასს?
- ინდივიდუალურად უნდა მოხდეს მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომების ანალიზი თუ ეს საკლასო განხილვის საგანი უნდა გახდეს?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის სრულყოფილად აგებისათვის და საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლის ქმედების სწორად წარმართვისათვის.

თუ მასწავლებელი მოსწავლის ყოველ შეცდომაზე რეაგირებს მოსწავლეს შესაძლოა დაეკარგოს შესასწავლ ენაზე მეტყველების სურვილი.

ამდენად, სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვა გულისხმობს შეცდომებზე სპეციალურ მუშაობას; ამგვარად დაგეგმილი საქმიანობა კი საფუძველი გახდება, ერთი მხრივ, ენის კომუნიკაციური ასპექტის განვითარებისა, ხოლო მეორე მხრივ, იგი განავითარებს და აამაღლებს ენის აკადემიური ფლობის დონეს.

შეცდომებზე მუშაობა ზეპირმეტყველებაში

მასწავლებლის პირველი რიგის ამოცანაა, რომ არ შეაწყვეტინოს მოსწავლეს მეტყველება დაშვებული შეცდომების გამო. მაგრამ ამავე დროს:

- მასწავლებელმა უნდა ჩაინიშნოს შეცდომები;
- მასწავლებელმა უნდა მოახდინოს შეცდომათა კლასიფიკაცია;
- უნდა განისაზღვროს შეცდომათა ტიპები ენის კომპეტენციის მიხედვით, ანუ მოხდეს იმ საკითხების გამოყოფა, რომლებზეც ყურადღების მიქცევა შესაძლებელი იქნება ენის ფლობის კონკრეტული დონისათვის;
- შეიქმნას სპეციალური სავარჯიშოები, ტესტები მოსალოდნელი შეცდომების გამოსასწორებლად;
- ასაკისა და ენის ფლობის დონის მიხედვით დაიგეგმოს სამუშაოები კლასში შესასრულებლად (მასწავლებლის საუბარი, სპეციალური განმარტება, ახსნა, ანალიზი.

მოსწავლეთა მეტყველებაში შემჩნეული სტილური შეცდომები

ტიპური შეცდომები:

- სიტყვათა არაზუსტი მნიშვნელობით ხმარება
- სიტყვათა რიგის დარღვევა წინადადებაში
- სიტყვათა გამეორება
- დროთა შეუთანხმებლობა
- სხვადასხვა პირში თხრობა
- ჩართული სიტყვებისა და გამოთქმების უაზრო ხმარება
- რთული სინტაქსური კონსტრუქციებით მეტყველება

შეცდომების გამომწვევი მიზეზები:

- გადმოსაცემი შინაარსის სუსტი ცოდნა
- ლექსიკური მარაგის სიღარიბე
- გრამატიკის არასაფუძვლიანი ცოდნა
- დამოუკიდებელი აზროვნების შედარებით დაბალი დონე
- წიგნიერების დაბალი დონე...

სარეკომენდაციო სავარჯიშოები ინტერვენციებისთვის:

1. სიტყვათა რიგის დაცვა წინადადებაში
2. ვინ? და რა? კითხვების მიხედვით სიტყვათა დაჯგუფება
3. მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრება ცალკეული მეტყველების ნაწილთა სწავლებასთან დაკავშირებით
4. მესამე პირში თხრობა
5. ნაცვალსახელის გამოყენება არსებითი სახელის მაგიერ და პირუკუ
6. სიტყვების ხმარება პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით
7. დროთა თანმიმდევრობის დაცვა
8. სხვათა სიტყვის გამომხატველი ნაწილაკების -მეთქი, -თქო, -ო მართებულად გამოყენება...

შეცდომებზე მუშაობა წარმოთქმაში

საწარმოთქმო პრობლემები თავს იჩენს ენის სწავლების პირველივე დღიდან, მაგრამ მათი გამოსწორება მცირე დროში არ მოხდება, რაც არ უნდა გაძლიერებული და ინტენსიური მუშაობა ჩატარდეს ამ მხრივ. ენის ცოდნის დონის ამაღლებასთან ერთად საწარმოთქმო პრობლემებიც მცირდება, მაგრამ იგი ყოველთვის შეიძლება დარჩეს აქცენტის სახით, ანუ სრულყოფილად სწორი წარმოთქმა ვერასოდეს განხორციელდეს.

რამდენადაც ეს შეიძლება განვიხილოთ მკვეთრად ინდივიდუალური თვისებებისა და უნარების გამოვლენად, იმდენად მისი სრულად დაძლევა მხოლოდ ინდივიდის შესაძლებლობებს შეიძლება მივანდოთ. ზოგიერთი ინდივიდი ბუნებრივი სმენისა და სხვა უნარ-ჩვევების შედეგად ენის ათვისების პარალელურად ახერხებს საწარმოთქმო აპარატის სრულყოფას და უაქცენტო მეტყველებას, ზოგისთვის კი ეს მუდმივ მახასიათებლად რჩება, თუმცა შესაძლოა, მისი ენობრივი კომპეტენცია მაღალიც კი იყოს.

ამდენად, საწარმოთქმო პრობლემების ანალიზისას უნდა მოხდეს მხოლოდ ძირითად პრობლემებზე აქცენტირება. როგორც ცნობილია, ბგერის უმთავრესი მახასიათებელი მისი სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქციაა - ბგერათა ჩანაცვლებით შეიძლება მივიღოთ სრულიად განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვა. ამიტომ ენის შემსწავლელთან განსაკუთრებულად უნდა მიექცეს ყურადღება ამგვარ პრობლემებს და მათზე სპეციალურად შეიქმნას სავარჯიშოები, რათა საწარმოთქმო პრობლემა არ გადაიზარდოს ენობრივ პრობლემაში.

ამისათვის:

- **სპეციალურად დამუშავდეს** შესასწავლი ენის ფონემატური სტრუქტურა ენის შემსწავლელის მშობლიურ ენასთან მიმართებით და გამოიყოს განსხვავებული ბგერები; ამ ბგერათა გამოყენებით შეიქმნას წინადადებები და მცირე ზომის მარტივი, არაავთენტური ტექსტები, რომლებსაც გამოვიყენებთ როგორც საწარმოთქმო მიზნების, ისე კარნახისა და წერისათვის.
- **ყოველი ნაციონალური ჯგუფისათვის უნდა განისაზღვროს** შეცდომათა მოსალოდნელი ტიპები. მაგალითად, თურქულ და აზერბაიჯანულენოვან მოსწავლეებს, აგრეთვე, ევროპული ენების უმრავლეს წარმომადგენლებს უძნელდებათ ქართული ენის ყრუ მკვეთრ თანხმოვანთა წარმოთქმა, როგორებიცაა: პ, ტ, კ; რუსულენოვან ენის შემსწავლელს გაუჭირდება ყრუ ფშვინვიერების წარმოთქმა: ფ, თ, ქ. ასევე რთულია აფრიკატების (ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ) წარმოთქმა ზემოთ ჩამოთვლილი ენების წარმომადგენლებისთვის, მაგრამ სომხურენოვანი მოსწავლისთვის ეს არ წარმოადგენს განსაკუთრებულ პრობლემას. ქართულისთვის სპეციფიკურია ენისძირისმიერი ყ თანხმოვანი და მისი სწორად წარმოთქმა ხანგრძლივ, შესაძლოა დაუძლეველ პრობლემადაც კი დარჩეს ქართული ენის შემსწავლელისათვის.
- **გამოიყოს ისეთი ბგერები,** რომელთა არასწორი გამოყენება გამოიწვევს სიტყვის მნიშვნელობის ცვლას. ქართულისათვის ასეთია: პ - ფ: პაპა - ფაფა, პირი - ფირი, პური - ფური, პონი - ფონი, პაქტი - ფაქტი; თ - ტ: თარი - ტარი, თარო - ტარო,

თუში - ტუში; ქ - კ: ქუდი - კუდი, ქარი - კარი, ქერა - კერა, ქულა - კულა; ც - წ: ცელი - წელი, ცურავს - წურავს; ჩ - ჭ: ჩირი - ჭირი, ჩალა - ჭალა; გ - ღ: გორი - ღორი, გვარი - ღვარი, გომი - ღომი, გონიერი - ღონიერი; ღ - ყ: ღია - ყია, ღელე - ყელი. სასურველია, ენის შემსწავლელს საკითხავ და საწარმოთქმო მასალად წინასწარ მივაწოდოთ ასეთი სიტყვები, რათა მან, ერთი მხრივ, ყურადღება გაამახვილოს მათ სწორად წარმოთქმაზე და მეორე მხრივ, თავად იცოდეს მოსალოდნელი შეცდომის არსებობა. ამ სიტყვების გამოყენებით სასურველია, შეიქმნას წინადადებები ან მცირე მოცულობის ტექსტები, რომელთა გამოყენება შეიძლება საკითხავად, სმენისა და გაგების უნარის გასაუმჯობესებლად, კარნახით წერისათვის. ასევე მიზანშეწონილი იქნება ჩასასმელი სავარჯიშოების მიწოდებაც, რომლებშიც თავად უნდა განსაზღვროს სიტყვის კონტექსტური მნიშვნელობა და თავად უნდა შეარჩიოს მოცემულ სიტყვათაგან ერთ-ერთი.

- **მოიძებნოს მასალა** (ლექსები, სიმღერები...), რომლებიც გამოსადეგი იქნება საწარმოთქმო დანიშნულებით. ასევე დიდი მნიშვნელობა ექნება მულტიპლიკაციური და მხატვრული ფილმების ნახვას სპეციალური დავალებებით (მაგალითად, კითხვა-პასუხი: რა თქვა ამ გმირმა? რა უპასუხა მეორემ?...).

- **სწავლების პროცესში სასურველია მასწავლებელმა** ჩაინიშნოს ის შეცდომები, რომლებსაც წარმოთქმისას უშვებენ მოსწავლეები და შემდგომ შექმნას სპეციალური სავარჯიშოები მათთვის. ამგვარი სავარჯიშოების შესაძლო ტიპებია: თვალსაჩინოება, რომელზეც მოხდება სწორი და არასწორი ფორმების გამიჯვნა (რა არის გამოხატული სურათზე: ქარი თუ კარი? რომელია წიგნი და რომელი ციგა?), დემონსტრირებაზე დაყრდნობით გამეორება, სიმღერის ან ლექსის აუდიოჩანაწერის მოსმენა და შემდგომ მოსწავლეების მიერ იმავე ტექსტის გამეორება... ეს უკანასკნელი შესაძლოა ხშირად თავად მასწავლებელმა შეასრულოს: მის მიერ წაკითხულ ან წარმოთქმულ ტექსტს იმეორებენ მოსწავლეები.

- **მომზადდეს სპეციალური სავარჯიშოები** საწარმოთქმო აპარატის დასახვეწად. ამისათვის შეიძლება მისაღები იყოს "ენის გასატეხებიც," მაგრამ აქ უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ენის გასატეხის ყველა სიტყვა ადვილად ასახსნელი და გასაგები უნდა იყოს ენის შემსწავლელისათვის.

გრამატიკულ შეცდომებზე მუშაობა

გრამატიკული შეცდომების გამოსწორება მეტად ხანგრძლივი პროცესია და ის

განსაკუთრებულ მუშაობას მოითხოვს როგორც მასწავლებლის, ისე ენის შემსწავლელის მხრიდან.

როგორ უნდა ვიმუშაოთ გრამატიკულ შეცდომებზე?

- პირველ რიგში, უნდა მოხდეს **შეცდომათა კლასიფიკაცია**, მაგალითად: შეცდომები პირის ფორმათა სწორად გამოყენების საკითხში, ზმნის დროთა ფორმების წარმოებაში, შეცდომები ზმნურ კონსტრუქციებში, ანუ ზმნასთან დაკავშირებულ სახელთა ფორმების სწორად გამოყენებაში, რთული წინადადებების კონსტრუქციების შედგენა თუ სხვა...

- სასურველია შეიქმნას **თვალსაჩინოება** - სქემები, ცხრილები... რომლებიც ასახავს შესასწავლი ენის თავისებურებებს და ასევე მოახდენს მოსალოდნელ შეცდომათა საპირისპიროდ სწორი ფორმების გააქტიურებას;
- უნდა შეიქმნას **სპეციალური სავარჯიშოები** თითოეული საკითხისათვის: ჩასმა, სწორი ფორმის შერჩევა, არეული თანმიმდევრობის დალაგება, ზმნის, წინადადების, ტექსტის გადაყვანა სხვა დროის/პირის ფორმაში, კითხვა-პასუხი პირთა ფორმების გააქტიურებით, მინიდიალოგის შედგენა მოცემული ფორმების გამოყენებით, სიტუაციური თამაშები შესასწავლი ფორმების გამოყენებით, გამონაკლისებზე სპეციალური მუშაობა და ასე შემდეგ...
- მოცემული ფორმების გამოყენებით წინადადებების ან ტექსტის შედგენა;
- ინფორმაციის გამეორება და ახალი წინადადების/ინფორმაციის დამატება;
- დიალოგის შედგენა მოცემული ან განსახილველი ფორმების გამოყენებით (წყვილებში მუშაობა)... გრამატიკულ შეცდომებზე მუშაობის ერთ-ერთი ეფექტური გზაა ფუნქციური გრამატიკის საკითხების მიწოდება ენის შემსწავლელთათვის. იგი განსაკუთრებულად ავლენს გრამატიკის პრაქტიკულ დანიშნულებას და, ამავე დროს, ავითარებს ენობრივ კომპეტენციებს კომუნიკაციური სიტუაციების მიხედვით.

შეცდომებზე მუშაობა წერის მიმართულებით

წერითი დავალებები მეტად მნიშვნელოვანია როგორც უშუალოდ წერის უნარ-ჩვევის, ისე ზოგადად ენობრივი კომპეტენციის განვითარებისათვის. წერის პროცესი მეტყველებასთან შედარებით ნელა და პასიური ცოდნის გააქტიურებით მიმდინარეობს, რამდენადაც ენის შემსწავლელს/მოსწავლეს საკმარისი დრო აქვს, აზრის გადმოსაცემად მის მიერ ათვისებული მასალიდან გააზრებულად შეარჩიოს ფორმები. ამდენად, წერისას დაშვებული შეცდომები საუკეთესო ინდიკატორია გააზრებული ცოდნის დონეზე არსებულ პრობლემათა გამოსავლენად.

მეტად ეფექტური საშუალებაა, მოსწავლეთა მიერ შეცდომების გასწორება. ამისათვის რვეულში უნდა გამოიყოს ადგილი შეცდომების გასწორებისათვის, სადაც მოსწავლე თავადვე დაწერს შეცდომის სანაცვლოდ სწორ, გამართულ ვარიანტს.

შეცდომების ანალიზი წერის მიმართულებით ამგვარად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

- კარნახი და მისი ანალიზი;
- წერითი დავალება და მისი ანალიზი;
- ნაწერის გასწორებისას მიენიშნოს ყველა შეცდომა სწორი ფორმის მითითებით;
- გამოიყოს სპეციალური ადგილი შეცდომების გასწორებისათვის;
- შეიქმნას სპეციალური დავალებები, ტექსტები ტიპურ შეცდომათა გაანალიზებისათვის.

ამდენად, შეცდომები რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს, მაგრამ თითოეულ მათგანზე დაუყოვნებლივი რეაგირება შეაფერხებს მოსწავლის მეტყველების პროცესს. ამიტომ სასურველია, მასწავლებელმა ჩაინიშნოს შეცდომები, მოახდინოს მათი კლასიფიკაცია და შემდგომ გააანალიზოს ისინი

წერით ნამუშევრებში დაშვებული ტიპობრივი შეცდომები

კალიგრაფიული - კალიგრაფიული შეცდომაა ასოთა წერის წესების დარღვევის შემთხვევები: ქართულ ასოებს შენარჩუნებული არ აქვს დამახასიათებელი სისწორე და სიმრგვალე, ხელი გადახრილია მარჯვნივ ან მარცხნივ; ხაზქვევით დასაწერი ასოები მოთავსებული არაა ხაზქვევით; ასოს ცალკეული ნაწილები ხელოვნურად გაგანიერებულია ან გაგრძელებული, ანდა შემოკლებული; სასვენი ნიშნები და ციფრები სათანადო ფორმით არაა წარმოდგენილი, მსგავსი მოხაზულობის ასოებს ურევს ერთმანეთში (ძ//ხ, შ//წ), ტოვებს ასოებს (ან ზედმეტად იყენებს) და სხვ.

ფონეტიკურ-ორთოგრაფიული - სიტყვის ისე დაწერა, როგორც ის წარმოთქმაში ზოგჯერ მცდარი ფორმით ისმის („მხატრული“ - ნაცვლად „მხატვრული“, „თბილიში“ - ნაცვლად „თბილისში“...) სიტყვის გადატანის წესების დარღვევა (ხე-რხავს, მილ-ის, გამ-ობ-რძმე-დილი - ნაცვლად ასეთი დაყოფისა: ხერ-ხავს, მი-დის, გა-მო-ბრძმე-დი-ლი...)

მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული - მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომა იქნება, როცა სიტყვის

შემადგენლობა - სიტყვის ფუძე, თავსართი და ბოლოსართი - არამართებული ფორმითაა წარმოდგენილი.

მაგალითები:

„ხთება“ (უნდა „ხდება“),

„ექიმა“ (უნდა „ექიმმა’’),

„ვარჯიშობ“ მე (უნდა „ვვარჯიშობ“),

„ვაშენეფ’’ (უნდა „ვაშენებ“),

ინტერკულტურული განათლების ქეისები

1. ლექსიკური მარაგის სიმწირე (მარიას ქეისი)

სიტუაცია - 10 წლის ლტოლვილი მოსწავლე **მარია** ცხოვრობს საშუალო სოციალური შესაძლებლობის ოჯახში. ის ახლადჩამოსულია და ქართულად საუბარი და წერა ძალიან უჭირს, **ლექსიკური მარაგის უკიდურესი სიმწირის გამო.**

გამოწვევა - მარია არის ყურადღებიანი, მონდომებული და მეგობრული, თუმცა ენობრივი ბარიერის გამო ვერ ახერხებს თანატოლებთან აქტიურ კომუნიკაციას. ლექსიკური მარაგის უკიდურესი სიმწირე მნიშვნელოვნად უშლის ხელს როგორც ზეპირ, ასევე წერით კომუნიკაციას.

ანალიზი - მას შეუძლია მარტივი ტექსტების წაკითხვა, თუმცა მათი გაგება და დამუშავება უჭირს. წერისას და ზეპირი მეტყველებისას ხშირად უშვებს შეცდომებს და უჭირს აზრების გამართულად გადმოცემა. მისი მთავარი პრობლემა არის ლექსიკური მარაგის სიმწირე, რაც აფერხებს ენის სწავლებას და კომუნიკაციის უნარების განვითარებას.

რეკომენდაციები - მასთან მუშაობისას მნიშვნელოვანია:

- პირადი ლექსიკონის შექმნა და მისი გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვიზუალური და აუდიო მასალების დახმარებით;
- განმეორებადი ლექსიკური სავარჯიშოები, რომლებიც მოიცავს სიტყვების სწორად გამოთქმას, წერა-კითხვის სავარჯიშოებს და სხვადასხვა კონტექსტში სიტყვების გამოყენებას;
- სასურველია, შექმნათ ახალი სიტყვების კლუბი, სადაც მოსწავლეებს ექნებათ საშუალება წარადგინონ იმ დღის სასწავლო თემის მნიშვნელოვანი სიტყვები;
- ყოველდღიური დღიურის წერა, სადაც მოსწავლე მოკლე წინადადებებს დაწერს და გამოიყენებს ახლადშესწავლილ სიტყვებს;
- თემატური დიალოგები და როლური თამაშები, რომლებიც ასწავლის სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებას;
- სიუჟეტური სურათების აღწერა და მოკლე ისტორიების დაწერა, რაც ხელს შეუწყობს სიტყვათა მარაგის გამდიდრებას და კომუნიკაციის უნარების განვითარებას;
- ენის სწავლების მხარდამჭერი ტექნოლოგიების, აპლიკაციებისა და თამაშების გამოყენება, რაც მოსწავლეს მეტ მოტივაციას და დაინტერესებას მისცემს.

2. წინადადებებისა და ფრაზების კონსტრუქციის სწორად აგება (ორჰანის ქეისი)

სიტუაცია - 12 წლის ლტოლვილი თურქი ბიჭი ორჰანი ახლახან გადმოსახლდა საქართველოში. მას ძალიან უჭირს ქართულად წერა და საუბარი, რადგან **წინადადებებისა და ფრაზების კონსტრუქციის სწორად აგება არ შეუძლია.**

გამოწვევა - ბიჭი არის ყურადღებიანი, მონდომებული და მეგობრული, თუმცა ენობრივი ბარიერის გამო ვერ ახერხებს თანატოლებთან აქტიურ კომუნიკაციას. განსაკუთრებით უჭირს **წინადადებებისა და ფრაზების სწორად აგება,** რაც ხელს უშლის მის კომუნიკაციას.

ანალიზი - მას შეუძლია მარტივი სიტყვების გაგება, მაგრამ წინადადებების შედგენისას ხშირად უშვებს შეცდომებს. იგი ვერ ახერხებს აზრების გამართულად გადმოცემას როგორც ზეპირად, ასევე წერილობით. მისი მთავარი პრობლემა არის წინადადებებისა და ფრაზების კონსტრუქციის სწორი გამოყენება.

რეკომენდაციები - მასთან მუშაობისას მნიშვნელოვანია:

- მარტივი წინადადებების აგების პრაქტიკული სავარჯიშოები, რომლებიც დაეხმარება მას სწორი წინადადების სტრუქტურის ჩამოყალიბებაში;
- ვიზუალური და აუდიო მასალების გამოყენება, სადაც ნათლად იქნება ნაჩვენები წინადადებების აგების წესები;
- სიტყვის ბარათების გამოყენება ფრაზისა და წინადადების ასაგებად - სიტყვების ფაზლი, რომელიც დაეხმარება მას ახალი სიტყვების სწორად გამოყენების სწავლაში;
- აქტივობისას კლასში შეიქმნას კულტურული რუკა, რომელშიც თითოეული მოსწავლე დაამატებს სწორად კონსტრუირებულ წინადადებას ინფორმაციით თავისი ქვეყნისა და კულტურის შესახებ;
- ყოველდღიური ჩანაწერების გაკეთება, სადაც მოკლე წინადადებებს დაწერს და გამოიყენებს ახლადშესწავლილ სიტყვებსა და კონსტრუქციებს;
- როლური თამაშები და თემატური დიალოგები, რომლებიც მას უფრო მეტად ჩართავს აქტიურ კომუნიკაციაში და დაეხმარება სწორი ფრაზების გამოყენებაში;
- სიუჟეტური სურათების აღწერა და მოკლე ისტორიების შედგენა, რაც ხელს შეუწყობს წინადადებების სწორად აგების სწავლას და კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესებას;
- ენის სწავლების მხარდამჭერი ტექნოლოგიების, აპლიკაციებისა და თამაშების გამოყენება, რაც მოსწავლეს მეტ მოტივაციასა და დაინტერესებას მისცემს.

3. ნაცვალსახელების სწორად გამოყენება (აბოს ქეისი)

„ქარმა ხეს ტოტი მოგლიჯა“ (უნდა „მოჰგლიჯა“)...

რთული სიტყვები არამართებულადაა დაწერილი: „ქინძის-თავი'' დეფისითაა დაწერილი, ...

სიტუაცია - ...ის ლტოლვილი სუდანელი ბიჭი აბო ცხოვრობს საშუალო ...ში. ...ს ...ში ...ს ...ში ...ს ...ში

4. საპირისპირო სიტყვების არაადეკვატურად გამოყენება (ფერიდეს ქეისი)

სიტუაცია - ფერიდე 12 წლისაა. მისი ოჯახი არის საშუალო სოციალური შესაძლებლობის; ახლახან გადმოვიდა საქართველოში. ფერიდე მეექვსეკლასელია; აქვს მწირი ლექსიკური მარაგი. განსაკუთრებით თვალშისაცემია, რომ **საპირისპირო სიტყვებს არაადეკვატურად იყენებს**. ენობრივი ბარიერის გამო უჭირს მეგობრებთან კომუნიკაცია.

გამოწვევა - გოგონა არის ყურადღებიანი, მონდომებული, მეგობრული, თუმცა ვერ ახერხებს თანატოლებთან აქტიურ კომუნიკაციას.

ანალიზი - ფერიდეს შეუძლია მარტივი ტექსტების წაკითხვა და გაგება, თუმცა უჭირს ზეპირი მეტყველება. მისი მთავარი პრობლემა არის შესწავლილი ლექსიკური ერთეულების პრაქტიკაში სწორად გამოყენება.

სარეკომენდაციო აქტივობები:

- ფერიდესთან მუშაობისას მნიშვნელოვანია:
- საპირისპირო სიტყვების წინადადებებში სწორად ჩასმა;
- წინადადებაში საპირისპირო სიტყვების წყვილიდან ერთ-ერთის ან ორივეს გამოყენება;
- დაკარგული სიტყვების აქტივობის გამოყენება;
- მიზანმიმართული თემატური დიალოგები საპირისპირო სიტყვების გამოყენებით;
- სიუჟეტური სურათების მიხედვით თხრობა.

5. ზეპირმეტყველების პრობლემები (ალის ქეისი)

სიტუაცია - ალი არის 12 წლის, საშუალო სოციალური შესაძლებლობის ოჯახიდან; ის კლასელია; აქვს მწირი ლექსიკური მარაგი. **ზეპირმეტყველების აქტივობებში არ ერთვება და** ენობრივი ბარიერის გამო უჭირს მეგობრებთან კომუნიკაცია.

გამოწვევა - მოსწავლე არის ყურადღებიანი, მეგობრული, თუმცა ვერ ახერხებს თანატოლებთან აქტიურ კომუნიკაციას.

ანალიზი - ალის შეუძლია მარტივი ტექსტების წაკითხვა და გაგება, თუმცა უჭირს

ზეპირმეტყველება. მისი მთავარი პრობლემა არის შესწავლილი ლექსიკური ერთეულების პრაქტიკაში გამოყენება.

სარეკომენდაციო აქტივობები - მასთან მუშაობისას მნიშვნელოვანია:

- ილუსტრაციაზე აღბეჭდილი ობიექტების სახელების წერა-წარმოთქმა და ილუსტრაციის აღწერა ქართველ მეწყვილესთან ერთად;
- სიტყვობანა (ილუსტრაციაზე, სიტყვის მოსმენა, დაწერა, წარმოთქმა);
- თემატური დიალოგები;
- სიტუაციების გათამაშება;
- შეკითხვების დახმარებით საკუთარ თავზე საუბარი;
- როლური თამაში;
- სიუჟეტური სურათების მიხედვით თხრობა.

6. სიტყვების გამოთქმის პრობლემები (ისლამის ქეისი)

*სიტუაცი**ა** - ისლამი 10 წლისაა, საშუალო სოციალური შესაძლებლობის ოჯახიდან; ის მეოთხეკლასელია; აქვს მწირი ლექსიკური მარაგი. განსაკუთრებით თვალშისაცემია, რომ **უჭირს ქართული სიტყვების გამოთქმა**, რის გამოც უჭირს მეგობრებთან კომუნიკაცია.*

გამოწვევა *- ისლამი არის მონდომებული, მეგობრული, თუმცა ვერ ახერხებს თანატოლებთან აქტიურ კომუნიკაციას.*

ანალიზი - მას შეუძლია სიტყვებისა და *მარტივი წინადადებების წაკითხვა, თუმცა უჭირს ზეპირი მეტყველება და გამოთქმები. მისი მთავარი პრობლემა არის შესწავლილი ლექსიკური ერთეულების პრაქტიკაში მიზანმიმართულად გამოყენება და სწორად წარმოთქმა.*

სარეკომენდაციო აქტივობები *- მასთან მუშაობისას მნიშვნელოვანია:*

- *სიტყვათა მარაგის გამდიდრება;*
- *ქართველ მეწყვილესთან ერთად სიტყვის მოსმენისა და გახმოვანების აქტივობა;*
- *სიტყვის წინადადებებში სწორად წარმოთქმა;*
- *სახალისო სავარჯიშოების - სიტყვის ბარათების გამოყენება;*

- *„სიტყვის კედელი“;*
- *„სიტყვების ყულაბა“;*
- *„დაკარგული სიტყვების“ აქტივობა;*
- *მიზანმიმართული სავარჯიშოები სიტყვების სწორად წარმოთქმაზე.*

7. ზმნის შესაბამის დროში გამოყენება (ფატმანის ქეისი)

სიტუაცია: ფატმანი მეექვსე კლასის მოსწავლეა. ის 12 წლისაა. საქართველოში მისი ოჯახი რამდენიმე თვის ჩამოსულია. მართალია, მას აქვს გარკვეული ლექსიკური მარაგი, მაგრამ თავს იკავებს ქართულად საუბრისგან. განსაკუთრებით თვალშისაცემია, რომ ზმნის შესაბამის დროში გამოყენების პრობლემა აქვს, **რაც მის საუბარს გაუგებარს ხდის და ხშირად ღიმილისმომგვრელია.**

გამოწვევა: ფატმანი არის მონდომებული და შრომისმოყვარე, თუმცა, ზმნის დროების არასწორი გამოყენების გამო, მისი საუბარი ხშირად გაუგებარია. თანაკლასელებს უჭირთ მისი ნაამბობიდან აზრის გამოტანა, რაც მის კომუნიკაციას მნიშვნელოვნად ართულებს და ამის გამო მას ნაკლები მოტივაცია აქვს, ისაუბროს ქართულად.

ანალიზი: ფატმანს შეუძლია მარტივი ტექსტების წაკითხვა და გაგება, თუმცა უჭირს სწორად მეტყველება. მისი მთავარი პრობლემა არის ზმნის დროების სწორად გამოყენება, რაც გაუგებრობას ქმნის საუბრისას. მნიშვნელოვანია, სწორად გამოიყენოს ზმნის დრო და მარტივად გაეცნოს წესებს, რაც მის საუბარს უფრო გასაგებსა და თანმიმდევრულს გახდის.

სარეკომენდაციო აქტივობები: - *მასთან მუშაობისას მნიშვნელოვანია:*

- დიდაქტიკური თამაში - როდის მოხდა? - ფატმანი ისმენს მცირე ამბავს და ასახელებს დროს, როდის მოხდა ეს ამბავი;
- წყვილში კითხვა ნიშანთა სისტემით - შერჩეული ტექსტის კითხვისას წყვილი მონიშნავს ახლანდელ დროს ერთი ხაზით, წარსულ დროს ორი ხაზით, მომავალ დროს წყვეტილი ხაზით;
- წყვილში მუშაობა - ფატმანი ეწევა სარედაქციო საქმიანობას მეწყვილესთან ერთად და ისინი ერთმანეთს ეხმარებიან, რომ მიცემულ ტექსტში ზმნები სწორად იყოს გამოყენებული მითითებულ დროში;

- წერითი დავალება აწმყოდან მომავალში - ფატმანს ეძლევა ტექსტი ახლანდელ დროში დაწერილი. იგი, მეწყვილესთან ერთად, ცვლის ზმნებს და გადაჰყავს მომავალ დროში;
- ბარათები „შეარჩიე დრო“ - ბარათებზე წერია ზმნები სხვადასხვა დროში. მოსწავლემ უნდა აირჩიოს სწორი ბარათი წინადადებისთვის.
- ტექსტის რედაქტორი - ფატმანი მუშაობს ტექსტზე, რომელიც მოიცავს წინადადებებს დროთა არასწორი გამოყენებით. მისი ამოცანაა, შეასწოროს ყველა ზმნა და დაწეროს სწორ დროში;
- დიალოგი ზმნის დროს გამოყენებით - მოსწავლე ქმნის ცხოვრებისეული კონტექსტის მქონე დიალოგს ქართველ მეწყვილესთან.

8. განსხვავებული კულტურული და ენობრივი ფონი. სწორი გამოთქმები (მეხუთე კლასის ქეისი)

სიტუაცია: მეხუთე კლასში რამდენიმე მოსწავლე სხვადასხვა ქვეყნიდანაა და თითოეულს აქვს განსხვავებული კულტურული და ენობრივი ფონი. მიუხედავად მათი მონდომებისა, მოსწავლეები ხშირად განიცდიან სირთულეებს ქართული ენის სწავლის პროცესში, **განსაკუთრებით სწორად გამოთქმისა და კულტურული თავისებურებების გაგებისას.**

გამოწვევა: მასწავლებლის ამოცანაა, შექმნას გარემო, რომელშიც მოსწავლეები შეძლებენ არა მხოლოდ ენის ათვისებას, არამედ ერთმანეთის კულტურების გაცნობასა და პატივისცემას.

ანალიზი: ახალი ენის სწავლა და კულტურათაშორისი კომპეტენციების გაუმჯობესება რთული პროცესია, რომელიც მოითხოვს მრავალმხრივ მიდგომას. მოსწავლეებს სჭირდებათ: ენასთან ახლო ურთიერთობა და პრაქტიკა; კულტურული კონტექსტების გაცნობა და გაგება; მეგობრული და მხარდამჭერი გარემო, სადაც ისინი შეძლებენ, გამოთქვან აზრები და ემოციები ახალ ენაზე.

აქტივობები: *მუშაობისას მნიშვნელოვანია:*

- ანიმაციური ფილმი და ფილმის სიტყვების კედელი - მოსწავლეები უყურებენ ანიმაციურ ფილმებს სხვადასხვა კულტურაზე; კლასში განიხილავენ მათ შინაარსს და ქმნიან ამ ფილმში გამოყენებული სიტყვების კედელს.

- დიორამების შექმნა - მოსწავლეები ქმნიან დიორამებს, რომლებიც ასახავს ამბავს, ღირებულებას, ტრადიციას შესასწავლ თემაზე. ამის შემდეგ ისინი წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს და ხსნიან თითოეულ ელემენტს ქართულად.
- კულტურათა გაცვლის დღე - თითოეული მოსწავლე თანაკლასელებს გააცნობს თავის კულტურას და ენას. ეს შეიძლება მოიცავდეს სამზარეულოს, ტრადიციებს, მუსიკას და სხვა. მოსწავლეები ისწავლიან ახალ ტერმინებს და ნახავენ, როგორ გამოიყენება ისინი სხვადასხვა კონტექსტში.
- ენობრივი თამაშები - «სიტყვების გამოცნობა», «თარგმნა შეჯიბრით" და "კულტურული ქვიზი" დაეხმარება მოსწავლეებს სიტყვებისა და ფრაზების ათვისებასა და პრაქტიკულ გამოყენებაში.
- დიალოგების წერა და დადგმა - მოსწავლეები წყვილებში ან ჯგუფებში წერენ და დგამენ დიალოგებს, სადაც ისინი იყენებენ ახალ სიტყვებს და ფრაზებს. ეს დაეხმარება მათ არა მხოლოდ ენაში, არამედ კულტურათა ურთიერთგაგებაშიც.
- ინტერაქტიული აპლიკაციები და ონლაინ პლატფორმები - სხვადასხვა ინტერნეტრესურსის გამოყენება, როგორებიცაა ენის სწავლის აპლიკაციები და ონლაინ თამაშები, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ მრავალფეროვანი და ინტერაქტიული გამოცდილება.

9. ენობრივი კომპეტენციის პრობლემა (მეექვსე კლასის ქეისი)

სიტუაცია: მეექვსე კლასში ორი ლტოლვილი მოსწავლეა, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნიდან არიან. მათ აქვთ ენობრივი კომპეტენციის პრობლემები და მწირი ლექსიკური მარაგი. საგაკვეთილო პროცესში უჭირთ პერსონაჟის, ობიექტის და მოვლენის აღწერა, რადგან სწორად ვერ აგებენ წინადადების კონსტრუქციებს. ეს ართულებს მათ კომუნიკაციას მასწავლებელთან და თანატოლებთან.

გამოწვევა: ლტოლვილ მოზარდებს აქვთ გარკვეული ლექსიკური მარაგი. აუცილებელია, რომ მასწავლებელმა შექმნას გარემო, სადაც მოსწავლეები შეძლებენ კომფორტულად, სტრესის გარეშე, ხარაჩოების გამოყენებით ივარჯიშონ **წინადადების კონსტრუქციების სწორად აგებაზე.**

ანალიზი: მოსწავლეების ენობრივი კომპეტენციის პრობლემები გამოწვეულია ლექსიკური მარაგის სიმცირით და წინადადების აგების სირთულეებით. ენის სწავლისას მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ შესაფერისი გარემო, სადაც შეძლებენ ახალი სიტყვებისა და ფრაზების ათვისებას და მათ პრაქტიკულ გამოყენებას. გარდა ამისა, მათ სჭირდებათ მხარდაჭერა, მაგალითად, წინადადების აგების სქემებისა და ნიმუშების მიწოდება, რათა **შეძლონ წინადადებების სწორად კონსტრუირება.**

სარეკომენდაციო აქტივობები: *მუშაობისას მნიშვნელოვანია:*

- ვიზუალური სქემები - მოსწავლეები წინადადების აგების სქემებისა და ვიზუალური დიაგრამების გამოყენებით აგებენ წინადადებებს.
- ქარგები - წინადადების ქარგების გამოყენება ისეთ ნაცნობ თემაზე, როგორიცაა, მაგალითად, ჰარი პოტერი, სადაც მოსწავლე ივარჯიშებს ჯერ მარტივი წინადადების ქარგის შევსებაზე, შემდეგ შერწყმული წინადადების ქარგის შევსებაზე.
- დიალოგები - ქარგების დახმარებით, შედგენილი წინადადებებისგან დიალოგების აგება.
- პერსონაჟის სქემა - მაგალითად, შეადგინონ ჰარი პოტერის პერსონაჟის სქემა, რათა მარტივად, ანუ ნაცნობ კონტექსტში ისწავლოს წინადადებების სწორად აგება.
- ენობრივი ხარაჩოები - რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის სტრუქტურულ მხარდაჭერას წინადადების აგებისას.
- სიტყვების ბარათები - თითოეულ ბარათზე ერთი სიტყვაა და მოსწავლეები ამ ბარათებით აგებენ წინადადებებს.
- დღიური - მიეცით მოსწავლეებს პერსონალური დღიური, რომელშიც ყოველდღიურად გააკეთებენ მოკლე ჩანაწერებს - როგორ იგრძნეს თავი, რას აკეთებდნენ და რა სიახლეები ისწავლეს.

10. ლტოლვილი მოსწავლეები და ეპითეტების სწავლის პროცესი (მეშვიდე კლასის ქეისი)

სიტუაცია: ერთ-ერთ სკოლაში, მეშვიდე კლასში, რამდენიმე ლტოლვილი მოსწავლეა. მათ აქვთ გარკვეული ლექსიკური მარაგი და მასწავლებლის ან თანაკლასელების დახმარებით შეუძლიათ მარტივი წინადადებების შედგენა. თუმცა უჭირთ ეპითეტების სწორად შერჩევა, რაც იწვევს გარკვეულ უხერხულობას კომუნიკაციისას.

ანალიზი: ლტოლვილი მოსწავლეების ენობრივი კომპეტენციის გაუმჯობესება მოითხოვს მეტ ყურადღებას და განსხვავებულ მიდგომას. მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ ლექსიკური მარაგი და შეუძლიათ მარტივი წინადადებების შედგენა, ეპითეტების სწორი გამოყენება რთული ამოცანაა. ეპითეტები მნიშვნელოვანი ნაწილია ენაში, რადგან ეპითეტის გამოყენება ამდიდრებს ტექსტს და ეხმარება ადამიანს ემოციების გამოხატვაში.

გამოწვევა: მოსწავლეების უმრავლესობას უჭირს ეპითეტების სწორად შერჩევა და გამოყენება წინადადებაში, რაც კომუნიკაციისას იწვევს უხერხულობას - ართულდებს აზრის გადმოცემას და ტექსტის გამართულად წარმოთქმას. საჭირო არის ისეთი გარემო, სადაც მოსწავლეებს ექნებათ შესაძლებლობა, ივარჯიშონ ეპითეტების სწორად შერჩევასა და გამოყენებაში სტრესის გარეშე, მასწავლებლისა და თანაკლასელების მხარდაჭერით.

სარეკომენდაციო აქტივობები: *მუშაობისას მნიშვნელოვანია:*

- ეპითეტების გამოყენება - მოსწავლეებს აჩვენეთ კონკრეტული ფოტოები და სთხოვეთ გამოიყენონ ეპითეტი მაგ.: გრძელთმიანი გოგო, მოხუცი კაცი, კეთილი მოხუცი, ლამაზი ზღვა.
- თამაში „ შეუსაბამე ეპითეტი“ - მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში ან მცირე ჯგუფებში, ერთი მხარე ამბობს სიტყვას და მეორე მხარემ უნდა შეუსაბამოს ეპითეტი. შემდეგ როლები იცვლება.
- ლიტერატურული გმირების აღწერა ეპითეტებით - გაიხსენეთ ცნობილი ლიტერატურული გმირები, ცნობილი ადამიანები და სთხოვეთ მოსწავლეებს, სწორად შეურჩიონ მათ ეპითეტები.
- ეპითეტის როლი ტექსტში - წაიკითხეთ მოკლე ტექსტი ან მოთხრობა, სადაც გამოყენებულია ბევრი ეპითეტი. მოსწავლეებს სთხოვეთ, იპოვონ ეპითეტები, შემდეგ კი განიხილონ, როგორ ცვლიან ისინი ტექსტის ემოციურ მხარეს.
- ინტერაქტიული დაფა - გამოიყენეთ ინტერაქტიული დაფა ან კომპიუტერული პროგრამები, რათა მოსწავლეებმა იმუშაონ ეპითეტების ათვისებისა და გამოყენების თამაშებზე.
- ეპითეტების ციფრული სია - შექმენით ეპითეტების ციფრული სია, რომლიდანაც მოსწავლეებს შეეძლებათ აირჩიონ შესაბამისი ეპითეტები მოცემული წინადადებებისთვის.

11. სხვადასხვა პირში თხრობა (ანას ქეისი)

სიტუაცია: ანა 10 წლის მოსწავლეა, რომელიც ჩინეთიდან საქართველოში ცოტა ხნის წინ გადმოვიდა. ის მეოთხე კლასში სწავლობს. ანა კომუნიკაბელურია და სწრაფად სწავლობს ახალ ენას, თუმცა მას ახასიათებს ზეპირი მეტყველებისას სხვადასხვა პირში თხრობა. მაგალითად, ის ხშირად ამბობს „მე გუშინ წავიდა“ ან “ის დავწერე

დავალება“. ასეთი შეცდომები ართულებს მისი აზრის მკაფიოდ გადმოცემას და იწვევს გაუგებრობას.

გამოწვევა: ანა მოტივირებულია და აქტიურად ცდილობს გაიუმჯობესოს ქართული ენის ცოდნა, თუმცა სხვადასხვა პირში ზმნის სწორად გამოყენება მისთვის სირთულეს წარმოადგენს. ეს პრობლემა დამოკიდებულია ხანგრძლივ პრაქტიკასა და სწავლებაში სისტემატურობასა და კონცენტრირებულ ყურადღებაზე. ანასთვის მნიშვნელოვანია ენის სწავლის პროცესში მუდმივი მხარდაჭერა, რათა მან შეძლოს სხვადასხვა პირში ზმნის სწორი ფორმის გამოყენება კომუნიკაციისას.

ანალიზი: ანას შეუძლია მარტივი ტექსტების წაკითხვა და გაგება, თუმცა საუბრისას ხშირად უშვებს შეცდომებს, განსაკუთრებით ზმნის პირის ფორმების გამოყენებისას. მისი სიტყვათა მარაგი იზრდება, თუმცა ფლობს ძირითადად მარტივ სტრუქტურებს, რაც მის მეტყველებას ზოგჯერ გაუგებარს ხდის. ანას უჭირს ზმნის ფორმების სხვადასხვა პირში გამოყენება, რაც ხშირად იწვევს კომუნიკაციის სირთულეს და აზრის ნათლად გადმოცემას.

რეკომენდაციები - ანასთან მუშაობისას მიზანშეწონილია შემდეგი მიდგომების გამოყენება:

- სიტყვის ბარათების გამოყენება - შექმენით სიტყვის ბარათები, რომლებზეც წერია - მე, შენ, ის, ჩვენ, თქვენ, ისინი. დაავალეთ ანას, რომ სწორად შეარჩიოს ბარათი სხვადასხვა წინადადებისთვის.
- დიალოგები - ანა და მისი მეწყვილე ერთმანეთს უსვამენ კითხვებს და პასუხობენ სხვადასხვა პირში.
- როლური თამაშები - სიტუაციები, რომლებშიც ანას მოუწევს სხვადასხვა პერსონაჟის როლის შესრულება და მათი სახელით საუბარი.
- წინადადებების დასრულება - მიეცით ანას წინადადების დასაწყისი და დაავალეთ, რომ დაასრულოს. მაგალითად, „მე დავწერე დავალება, შენ ...?“
- ენობრივი თამაშები - თამაშებში, როგორიცაა მაგალითად, „გახსოვს, რა ვთქვი?“, მოთამაშეებს მოუწევთ გაიმეორონ წინადადებები სხვადასხვა პირში.
- ფუნქციური დიალოგები - ყოველდღიური ცხოვრებისეული სიტუაციები (მაგ.: მაღაზიაში შესვლა, მეგობართან საუბარი) და დისკუსიები, რომლებშიც მოსწავლეებს მოუწევთ ისაუბრონ სხვადასხვა პირში.
- სმენითი სავარჯიშოები - აუდიოჩანაწერების მოსმენა, რომლებშიც გამოიყენება ზმნები სხვადასხვა პირში და ამ ჩანაწერების მიხედვით კითხვებზე პასუხის გაცემა.
- ტექნოლოგიური მხარდაჭერა - ენის სწავლების მხარდამჭერი აპლიკაციები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს მეტყველების დახვეწაში.

12. დიალოგური მეტყველების პრობლემა (დარინას ქეისი)

სიტუაცია: დარინა 11 წლისაა. ის უკრაინიდან ცოტა ხნის წინ გადმოვიდა საქართველოში. მეხუთე კლასშია, მოტივირებულია და ენთუზიაზმით ეკიდება ახალი ენის შესწავლას. თუმცა, მას განსაკუთრებით უჭირს დიალოგური მეტყველება და კომუნიკაციისას ვერ ახერხებს დიალოგის ბუნებრივად და გამართულად წარმართვას. საუბრისას ხშირად იყენებს სიტყვათა არასწორ წყობას, რის შედეგადაც მისი კომუნიკაცია ზოგჯერ გაუგებარი ხდება.

გამოწვევა: დარინა აქტიურად ცდილობს კომუნიკაციას თანაკლასელებთან და მასწავლებლებთან, მაგრამ დიალოგი მისთვის სირთულეს წარმოადგენს. მას უჭირს დიალოგური ფორმების - შეკითხვების სწორად დასმა, პასუხების კონტექსტის მიხედვით სწორად არჩევა და, ზოგადად, დიალოგის გამართულად წარმართვა. ეს პრობლემა გამოწვეულია ახალი ენის სირთულეებით.

ანალიზი: დარინას აქვს ენის შესწავლის საფუძვლები, ის კარგად კითხულობს და ძირითადი ტექსტების გაგება შეუძლია. თუმცა, საუბრისას, განსაკუთრებით დიალოგებში, არ ჰყოფნის ენის ცოდნა და გამოცდილება, რათა სწორად გამოიყენოს დიალოგური ფორმები. ეს იწვევს კომუნიკაციისას გაუგებრობას და დაბნეულობას. მისი დიალოგური მეტყველების განვითარება საჭიროებს მიზანმიმართულ და სტრუქტურირებულ სავარჯიშოებს, რაც დაეხმარება მას დიალოგის წარმართვის უნარების გაუმჯობესებაში.

რეკომენდაციები: *მუშაობისას მნიშვნელოვანია:*

- **დიალოგური სცენარები -** დარინასთვის უნდა შეიქმნას დიალოგური სცენარები, რომლებშიც მოცემული იქნება სხვადასხვა სიტუაცია.
- **როლური თამაშები -** დარინას შეუძლია მონაწილეობის მიღება როლურ თამაშებში, რომლებშიც მას დაევალება სხვადასხვა პერსონაჟის როლის შესრულება და მათი სახელით დიალოგის წარმართვა. ეს ხელს შეუწყობს მისი დიალოგური უნარების გაუმჯობესებას.
- **შეკითხვების დასმა და პასუხების გაცემა -** დარინას უნდა მიეცეს დავალებები, რომლებშიც მას მოუწევს შეკითხვების დასმა და პასუხების ჩამოყალიბება. მაგალითად, წყვილებში მუშაობა, როდესაც ერთი მოსწავლე სვამს კითხვას, ხოლო დარინა პასუხობს, შემდეგ პირიქით.
- **ჯგუფური განხილვები -** დარინას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს ჯგუფურ მუშაობაში - ის და სხვა მოსწავლეები განიხილავენ სხვადასხვა თემას. ეს დაეხმარება დარინას, გაიუმჯობესოს დიალოგური უნარები.
- **ენის სწავლის აპლიკაციები -** გამოიყენეთ ენის სწავლის მხარდამჭერი აპლიკაციები, რომლებიც სპეციფიკურად ორიენტირებულია დიალოგური უნარების გაუმჯობესებაზე.

- **სმენითი სავარჯიშოები -** დარინასთვის მოეწყოს აუდიო მასალების მოსმენისა და დიალოგების გადმოცემის სავარჯიშოები, რათა მას გაუმარტივდეს დიალოგური ფორმების სწორად გამოყენება.
- **ვიდეო და აუდიო მაგალითები -** დარინასთვის გამოდგება ვიდეო და აუდიო მაგალითები, რომლებშიც კარგადაა ნაჩვენები დიალოგის წარმართვის ნიმუშები. ამის შემდეგ დარინამ უნდა სცადოს იმავე დიალოგების გამეორება, ანუ მსგავს სიტუაციებში მოქმედება.

13. კომუნიკაციური დაბნეულობა (მარკის ქეისი)

სიტუაცია: მარკი 11 წლის ლტოლვილი ბიჭია; ახლახან ჩამოვიდა საქართველოში. იგი მეხუთე კლასში სწავლობს. მარკი საკმაოდ მოტივირებულია და ცდილობს, რაც შეიძლება სწრაფად შეისწავლოს ქართული ენა. თუმცა რთულ კომუნიკაციურ სიტუაციებში, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას არასტანდარტული ან მოულოდნელი შეკითხვებით მიმართავენ, იბნევა და უჭირს თავისი აზრების მკაფიოდ და გამართულად გადმოცემა. ეს დაბნეულობა ხშირად იწვევს მისი ნათქვამის გაუგებრობას და ზოგჯერ კომუნიკაციის შეწყვეტასაც.

გამოწვევა: მარკი აქტიურად ცდილობს ენის სწავლას, მაგრამ რთულ სიტუაციებში კომუნიკაციისას ხშირად იბნევა და არ იცის, როგორ გადმოსცეს თავისი აზრები მკაფიოდ. ეს დაბნეულობა ხელს უშლის მის კომუნიკაციას თანაკლასელებთან და მასწავლებლებთან, რაც იწვევს მისი თვითშეფასების დაქვეითებასაც. მას სჭირდება დახმარება, რომ გაუმკლავდეს კომუნიკაციურ დაბნეულობას და შეძლოს რთულ სიტუაციებში თავისი აზრების გამოხატვა.

ანალიზი: მარკს შეუძლია გაუმკლავდეს მარტივ კომუნიკაციას, მაგრამ რთულ სიტუაციებში, სადაც მეტი სირთულე ან უცნობი კონტექსტია ჩართული, ის იბნევა და ვერ ახერხებს აზრის მკაფიოდ გადმოცემას. ეს გამოწვეულია ენის ცოდნის სიმწირით. მისი ლექსიკური მარაგი არ არის საკმარისად მდიდარი და მრავალფეროვანი, რომ წარმატებით გაართვას თავი რთულ დიალოგებს.

რეკომენდაციები: *მუშაობისას მნიშვნელოვანია:*

- **სიმულაციური დიალოგები -** მარკთან ერთად კარგი იქნება სიმულაციური დიალოგები, რომლებშიც განიხილება რთული კომუნიკაციური სიტუაციები.
- **ენობრივი მხარდაჭერა -** მარკს უნდა მიეცეს დამატებითი ენობრივი მხარდაჭერა, რაც გულისხმობს სპეციალურად მისთვის განკუთვნილი ლექსიკონის მომზადებას და გამოთქმების სწავლებას, რომლებიც მას ხშირად სჭირდება რთულ სიტუაციებში.
- **დიალოგური თამაშები -** მარკთან ერთად კარგი იქნება სხვადასხვა კომუნიკაციური სიტუაციის გათამაშება, რათა ის მიხვდეს, როგორ გაართვას თავი რთულ

დიალოგებს. ეს შეიძლება იყოს როლური თამაშები, სადაც მას მოუწევს სხვადასხვა სახის კითხვებზე პასუხის გაცემა.

- **პრაქტიკული სავარჯიშოები -** მარკისთვის მოაწყვეთ რეგულარული სავარჯიშოები, რათა მას მოუწიოს რთულ კომუნიკაციურ სიტუაციებში თავისი აზრების გამოთქმა. ეს სავარჯიშოები დაეხმარება, რომ თანდათანობით შეიძინოს უნარები, იპოვოს საჭირო სიტყვები და გამოთქმები საჭირო დროს.
- **სწავლაში პარტნიორი -** მარკს შეუძლია მიიღოს დახმარება მისივე ასაკის მოსწავლეებისგან, რომლებიც იქნებიან მისი პარტნიორები. ეს დაეხმარება მას, შეიძინოს მეტი თავდაჯერებულობა და გაიუმჯობესოს კომუნიკაციის უნარები.
- **ზეპირი საუბრის მხარდაჭერა -** მარკს შეუძლია გამოიყენოს ტექნოლოგიური აპლიკაციები, რომლებიც განკუთვნილია ენის სწავლა-სწავლებისთვის და, კონკრეტულად, სასაუბრო უნარების გაუმჯობესებისთვის.

14. ნაცვალსახელების არასწორი გამოყენება (ტედის ქეისი)

სიტუაცია: ტედი 10 წლისაა. საქართველოში ცოტა ხნის წინ გადმოვიდა. ის მეოთხე კლასში სწავლობს. ტედი მეგობრული და კომუნიკაბელურია, თუმცა აქვს პრობლემა, რომელიც გამოიხატება ნაცვალსახელების არასწორ გამოყენებაში. კერძოდ, ტედი ხშირად ცვლის ნაცვალსახელებს არსებითი სახელებით და პირიქით. მაგალითად, ის შეიძლება თქვას ის წიგნი მომეცი ნაცვლად „მომეცი წიგნი“ ან „გუშინ ბავშვი ვიყავი პარკში“ ნაცვლად „გუშინ ის იყო პარკში.“

გამოწვევა: ტედი ცდილობს, კარგად ისწავლოს ქართული, თუმცა ენის სწავლის პროცესში, განსაკუთრებით ზეპირი მეტყველებისას, ხშირად არასწორად იყენებს ნაცვალსახელებს. ასეთი შეცდომები ართულებს მის კომუნიკაციას თანაკლასელებთან და მასწავლებლებთან, რის გამოც ხშირად გაუგებრობას აწყდება. პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა მიზანმიმართული მუშაობა და შესაბამისი სავარჯიშოების გამოყენება.

ანალიზი: ტედის სიტყვათა მარაგი იზრდება, თუმცა ის ჯერ კიდევ ეჩვევა ქართული ენის გრამატიკულ სტრუქტურას. ნაცვალსახელების არასწორად გამოყენება ხშირად გამოწვეულია ენის სტრუქტურაში გაურკვევლობით და ყურადღების ნაკლებობით. მისი მეტყველება ზოგჯერ გაუგებარი ხდება.

რეკომენდაციები: ტედთან *მუშაობისას მნიშვნელოვანია:*

- **წინადადების ფაზლები ნაცვალსახელებით -** მიეცით ტედს სპეციალური სავარჯიშოები, რომლებშიც მას მოუწევს ნაცვალსახელების სწორად გამოყენება. მაგალითად, „ვინ მივიდა სკოლაში?“ - „ის მივიდა სკოლაში.“

- **სიტყვის ბარათები -** გამოიყენეთ სიტყვის ბარათები, რომელთა ერთ გვერდზე მითითებულია არსებითი სახელი, ხოლო მეორეზე - შესაბამისი ნაცვალსახელი. ტედს შეუძლია ამ ბარათებით ისწავლოს სწორი შესაბამისობები.
- **დიალოგური თამაშები -** მოაწყვეთ როლური თამაშები, რომლებშიც ტედს მოუწევს სხვადასხვა სიტუაციაში მონაწილეობა და ნაცვალსახელების სწორად გამოყენება. ეს დაეხმარება მას, დაიხვეწოს თავისი კომუნიკაციური უნარები.
- **წინადადებების დასრულება -** მიეცით ტედს წინადადების დასაწყისი, რომელსაც დაასრულებს სწორად შერჩეული ნაცვალსახელით.
- **ენობრივი თამაშები -** როგორიცაა «ვინ რას აკეთებს?». ტედს მოუწევს მოიფიქროს და სწორად გამოიყენოს ნაცვალსახელები კონკრეტული პერსონაჟების ან ობიექტების აღნიშვნისას.
- **თხრობითი სავარჯიშოები -** მიეცით მოსწავლეს დავალება, მოიგონოს და მოყვეს პატარა მოთხრობა, რომელშიც ყურადღებას გაამახვილებს ნაცვალსახელების სწორ გამოყენებაზე. შემდეგ შეგიძლიათ განიხილოთ მისი შეცდომები და შესთავაზოთ გამოსასწორებელი სავარჯიშოები.
- სმენითი სავარჯიშოები - მოსწავლეს შეუძლია მოუსმინოს ჩანაწერებს, რომლებშიც სხვადასხვა ნაცვალსახელი სწორად გამოიყენება და შემდეგ გადმოსცეს მოსმენილი თავისი სიტყვებით.

15. სინტაქსურ-ორთოგრაფიული შეცდომები (მეკოს ქეისი)

სიტუაცია: მეკო 11 წლის გოგონაა, რომელიც მეხუთე კლასში სწავლობს. მას აქვს შესამჩნევი პრობლემა სინტაქსური შეთანხმების საკითხებში. წერისა და ზეპირი მეტყველებისას იგი ხშირად უშვებს სინტაქსურ შეცდომებს, განსაკუთრებით ქვემდებარისა და შემასმენლის, მსაზღვრელისა და საზღვრულის, რიცხვისა და ბრუნვის შეთანხმებაში.

გამოწვევა: მეკო მოტივირებულია, მაგრამ მისთვის რთულია გრამატიკული სტრუქტურების სწორად აგება, რაც განსაკუთრებით გამოიხატება რიცხვისა და ბრუნვის შეთანხმებაში. ეს შეცდომები ართულებს მეკოს წერილობით და ზეპირ კომუნიკაციას და იწვევს გაუგებრობას, რაც ხელს უშლის მის აკადემიურ წარმატებას და სოციალურ ურთიერთობებს.

ანალიზი: მეკოს შეუძლია მარტივი ტექსტების წაკითხვა და გაგება, თუმცა გრამატიკული სტრუქტურების აგებისას ხშირად უშვებს შეცდომებს. მისი მეტყველება ხანდახან გაუგებარი ხდება სინტაქსური დარღვევების გამო, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს გრამატიკული წესების არასათანადო ცოდნით ან ყურადღების ნაკლებობით.

რეკომენდაციები: მასთან *მუშაობისას მნიშვნელოვანია:*

- გრამატიკული სავარჯიშოები - სპეციალური სავარჯიშოები, რომლებშიც მოსწავლეს მოუწევს სხვადასხვა ბრუნვისა და რიცხვის ფორმებში სიტყვების შეთანხმება. მაგალითად, „ჩასვი სწორი ფორმა“: მრავალი ---------- (ლექსი/ლექსები).
- წერითი სავარჯიშოები - მეკოს შეუძლია მიიღოს დავალება: ის დაწერს რამდენიმე წინადადებას, რომლებშიც ყურადღებას გაამახვილებს ქვემდებარისა და შემასმენლის, ასევე მსაზღვრელისა და საზღვრულის სწორ შეთანხმებაზე. ამის შემდეგ უნდა განიხილოთ მისი შეცდომები და შესთავაზოთ გამოსასწორებელი სავარჯიშოები.
- გრამატიკული თამაშები - რომლებშიც მოთამაშეებს მოუწევთ, სწორად დაალაგონ სიტყვები წინადადებაში და იპოვონ შეცდომები. ეს დაეხმარება მოსწავლეს გაიუმჯობესოს გრამატიკული უნარები.
- თხრობითი დავალებები: მიეცით დავალება, მოყვეს ან დაწეროს მოთხრობა, რომელშიც განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს ქვემდებარისა და შემასმენლის, ასევე მსაზღვრელისა და საზღვრულის სწორ შეთანხმებაზე.
- ტექნოლოგიური მხარდაჭერა - გამოიყენეთ გრამატიკის სწავლის მხარდამჭერი აპლიკაციები და ონლაინ პლატფორმები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეს გაასწოროს გრამატიკული შეცდომები და განივითაროს სინტაქსური უნარები.

16. ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმება (სანდრას ქეისი)

სიტუაცია: სანდრა ლტოლვილია. ის მეხუთე კლასში სწავლობს. ქართულში აქვს გარკვეული სირთულეები. კერძოდ, სანდრა ხშირად უშვებს შეცდომებს ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმებისას. მაგალითად, ის წერს: „მერცხლები მოფრინდა“, „ბავშვებმა თამაში დაიწყო“.

გამოწვევა: სანდრას პრობლემაა წერისა და საუბრის დროს რიცხვში შეთანხმებისას დაშვებული შეცდომებია, რაც ართულებს მისი კომუნიკაციის პროცესს. ეს შეცდომები შესაძლოა დაკავშირებული იყოს გრამატიკული წესების არცოდნასთან ან უყურადღებობასთან.

ანალიზი: სანდრას აქვს უნარი, სწორად გაიგოს და გაიმეოროს მარტივი ტექსტები, თუმცა მისი სინტაქსური უნარები გასაუმჯობესებელია. ქვემდებარისა და შემასმენლის არამართებული შეთანხმება რიცხვში შეიძლება გამოწვეული იყოს გრამატიკული წესების არცოდნით ან არასაკმარისი პრაქტიკით. ამან შესაძლოა ხელი შეუშალოს სანდრას აკადემიურ და სოციალურ განვითარებას, რადგან მისი ნაწერი და საუბარი ხანდახან გაუგებარია.

რეკომენდაციები: მასთან *მუშაობისას მნიშვნელოვანია:*

- გრამატიკული სავარჯიშოები - მიზანშეწონილია შეიქმნას სპეციალური სავარჯიშოები, რომლებიც მოიცავს ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმებას რიცხვში. მაგალითად, დაავალეთ მას შეავსოს წინადადებები, როგორიცაა: „სასწავლო დღეები ---------- (დამთავრდა/დამთავრდნენ)“ და ახსნას თავისი არჩევანი.
- წერითი სავარჯიშოები - სანდრამ დაწეროს რამდენიმე წინადადება, რომლებშიც ყურადღებას გაამახვილებს ქვემდებარისა და შემასმენლის სწორ შეთანხმებაზე. ამის შემდეგ განიხილეთ მისი შეცდომები და შესთავაზეთ გამოსასწორებელი სავარჯიშოები.
- დიალოგები - სანდრა უნდა ჩაერთოს დიალოგებში. მას მოუწევს სხვადასხვა რიცხვში ზმნების გამოყენება, რაც დაეხმარება თავისი გრამატიკული უნარების გაუმჯობესებაში.
- სმენითი სავარჯიშოები - მოუსმინოს ტექსტებს, რომლებშიც სწორად არის შეთანხმებული ქვემდებარე და შემასმენელი, შემდეგ კი გააკეთოს მათზე კომენტარები ან შეავსოს გრამატიკული სავარჯიშოები.
- ტექნოლოგიური მხარდაჭერა - შეუძლია გამოიყენოს აპლიკაციები, რომლებიც სწავლის პროცესში ეხმარება მოსწავლეებს. ეს აპლიკაციები უზრუნველყოფს ინტერაქტიულ და განმეორებით სავარჯიშოებს, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეს გრამატიკული წესების უკეთ გააზრებასა და პრაქტიკაში გამოყენებაში.
- კონსულტაციები - რეგულარული კონსულტაციები მასწავლებელთან და მშობლებთან. განხილული იქნება პროგრესი და სამომავლო გეგმა, რომელიც დაეხმარება ბავშვს სინტაქსური და ორთოგრაფიული უნარების განვითარებაში.
- დამატებითი პრაქტიკული სავარჯიშოები - სასურველია სპეციალურად შექმნილი ან არსებული „პრაქტიკული სავარჯიშოების“ დამატებით მიწოდება.

17. პირის ფორმების სწორად გამოყენება (ლის ქეისი)

სიტუაცია: ლი 10 წლის მოსწავლეა, რომელიც ჩინეთიდან საქართველოში ცოტა ხნის წინ გადმოვიდა. ის მეოთხე კლასში სწავლობს; კომუნიკაბელურია და სწრაფად ითვისებს ახალ ენას, თუმცა ახასიათებს ზეპირი მეტყველებისას პირის ფორმების აღრევა. მაგალითად, ის ხშირად ამბობს „მე გუშინ წავიდა“ ან „ის დავწერე დავალება“. ასეთი შეცდომები ართულებს მისი აზრის მკაფიოდ გადმოცემას და იწვევს გაუგებრობას.

გამოწვევა - ლი მოტივირებულია და აქტიურად ცდილობს გაიუმჯობესოს ქართული ენის ცოდნა, თუმცა სხვადასხვა პირში ზმნის სწორად გამოყენება მისთვის სირთულეს წარმოადგენს. ეს პრობლემა დამოკიდებულია ხანგრძლივ პრაქტიკაზე, სწავლების სისტემატურობაზე და მოსწავლის ყურადღებაზე. ლისთვის მნიშვნელოვანია ენის სწავლის პროცესში მუდმივი მხარდაჭერა, რათა კომუნიკაციისას შეძლოს სხვადასხვა პირში ზმნის სწორი ფორმის გამოყენება.

ანალიზი - ლის შეუძლია მარტივი ტექსტების წაკითხვა და გაგება, თუმცა ზეპირი მეტყველებისას ხშირად უშვებს შეცდომებს, განსაკუთრებით, ზმნის პირის ფორმების გამოყენებისას. მისი სიტყვათა მარაგი იზრდება, თუმცა ფლობს ძირითადად მარტივ სტრუქტურებს, რაც მის მეტყველებას ზოგჯერ გაუგებარს ხდის. ლის უჭირს ზმნის ფორმების სხვადასხვა პირში ხმარება, რაც ხშირად იწვევს კომუნიკაციის სირთულეებს და პრობლემას უქმნის აზრის ნათლად გადმოცემას.

რეკომენდაციები - ლისთან მუშაობისას მიზანშეწონილია შემდეგი მიდგომების გამოყენება:

- სიტყვის ბარათები - შექმენით სიტყვის ბარათები, რომლებზეც დაწერილი იქნება - მე, შენ, ის, ჩვენ, თქვენ, ისინი. დაავალეთ ლის, რომ წინადადებისთვის, რომელშიც გამოტოვებულია სიტყვები, სწორად შეარჩიოს ბარათი, აზრის გამართულად გადმოსაცემად.
- დიალოგების შექმნა - ლი და მისი მეწყვილე ერთმანეთს უსვამენ კითხვებს და პასუხობენ სხვადასხვა პირში. ასევე კარგი იქნება: ჯაჭვური დიალოგი; დიალოგის ტექსტად ქცევა; ტექსტის დიალოგად გადაკეთება და ა.შ..
- როლური თამაშები - სიტუაციები, რომლებშიც ლის მოუწევს სხვადასხვა პერსონაჟის როლის შესრულება და მათი სახელით საუბარი.
- დაბრუნებული კითხვები - მიეცით ლის წინადადების დასაწყისი და დაავალეთ, რომ დაასრულოს ის. მაგალითად, „მე დავწერე დავალება, შენ ...?"
- ენობრივი თამაშები - თამაშები, რომლებშიც მოთამაშეებს მოუწევთ გაიმეორონ წინადადება სხვადასხვა პირში. მაგალითად, თამაში „გახსოვს, რა ვთქვი?"
- ფუნქციური დიალოგები - ყოველდღიური ცხოვრებისეული სიტუაციები (მაგ.: მაღაზიაში შესვლა, მეგობართან საუბარი) და დისკუსიები, რომლებშიც მოსწავლეებს მოუწევთ სხვადასხვა პირში საუბარი.
- სმენითი სავარჯიშოები - აუდიო ჩანაწერების მოსმენა, რომლებშიც გამოიყენება ზმნები სხვადასხვა პირში და ამ ჩანაწერების მიხედვით კითხვებზე პასუხის გაცემა.
- ტექნოლოგიური მხარდაჭერა - readin.ge რესურსების გამოყენება; ასევე, შესაბამისი ინტერვიუს მოსმენა და თხრობა.

- დამატებითი პრაქტიკული სავარჯიშოები - სასურველია სპეციალურად შექმნილი ან არსებული „პრაქტიკული სავარჯიშოების“ დამატებით მიწოდება.

18. კითხვითი წინადადების სწორად ფორმირება (სოფიას ქეისი)

სიტუაცია: სოფია 11 წლისაა. ის უკრაინიდან ცოტა ხნის წინ გადმოვიდა საქართველოში. მეხუთე კლასშია, მოტივირებულია და ენთუზიაზმით ეკიდება ახალი ენის შესწავლას. თუმცა მას განსაკუთრებით უჭირს დიალოგური მეტყველება და კომუნიკაციისას ვერ ახერხებს დიალოგის ბუნებრივად და გამართულად წარმართვას. საუბრისას ხშირად იყენებს სიტყვათა არასწორ წყობას, რის შედეგადაც მისი კომუნიკაცია ზოგჯერ გაუგებარი ხდება.

გამოწვევა: სოფია აქტიურად ცდილობს კომუნიკაციას თანაკლასელებთან და მასწავლებლებთან, მაგრამ დიალოგი მისთვის სირთულეს წარმოადგენს; უჭირს დიალოგური ფორმები: შეკითხვების სწორად დასმა, პასუხების კონტექსტის მიხედვით სწორად არჩევა და, ზოგადად, დიალოგის გამართულად წარმართვა. ეს პრობლემა გამოწვეულია ახალი ენის სირთულეებით.

ანალიზი: სოფიას აქვს ენის შესწავლის საფუძვლები, ის კარგად კითხულობს და ძირითადი ტექსტების გაგება შეუძლია. თუმცა საუბრისას, განსაკუთრებით დიალოგებში, არ ჰყოფნის ენის ცოდნა და გამოცდილება, რათა სწორად ააგოს კითხვითი წინადადება. გამოიყენოს დიალოგური ფორმები. ეს იწვევს კომუნიკაციისას გაუგებრობას და დაბნეულობას. მისი მეტყველების განვითარება საჭიროებს მიზანმიმართულ და სტრუქტურირებულ სავარჯიშოებს (კერძოდ: კითხვითი სიტყვების სწორად გამოყენება; კითხვითი წინადადების სიტყვათა რიგის დაცვა (კითხვითი სიტყვა + ზმნა), რომლებიც დაეხმარება დიალოგის უნარების გაუმჯობესებაში.

რეკომენდაციები: *მუშაობისას მნიშვნელოვანია:*

- **დიალოგური სცენარები -** სოფიასთვის უნდა შეიქმნას დიალოგური სცენარები, რომლებშიც მოცემული იქნება სხვადასხვა სიტუაცია, სიტუაციური დიალოგები; არეული დიალოგის დალაგება; შეკითხვების მიხედვით პასუხების შექმნა და პასუხების მიხედვით შეკითხვის ფორმულირება - შესავსები დიალოგები; ტექსტის დიალოგად ქცევა.
- **როლური თამაშები -** სოფიას შეუძლია მონაწილეობის მიღება როლურ თამაშებში, სადაც მას დაევალება სხვადასხვა პერსონაჟის როლის შესრულება და მათი სახელით დიალოგის წარმართვა. ეს ხელს შეუწყობს მის დიალოგურ უნარებს.

- **შეკითხვების დასმა და პასუხის გაცემა -** სოფიას უნდა მიეცეს დავალებები, სადაც მას მოუწევს სწორად შეკითხვების დასმა და პასუხების ჩამოყალიბება. მაგალითად, წყვილებში მუშაობა, როდესაც ერთი მოსწავლე სვამს კითხვას, ხოლო სოფია პასუხობს, შემდეგ პირიქით.
- **ჯგუფური განხილვები** - სოფიას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ჩაერთოს ჯგუფებში, რომლებშიც მოსწავლეები განიხილავენ სხვადასხვა შინაარსის თემებს. ეს დაეხმარება სოფიას, გაიუმჯობესოს დიალოგური უნარები.
- **ენის სწავლის აპლიკაციები -** გამოიყენეთ ენის სწავლის მხარდამჭერი აპლიკაციები, რომლებიც სპეციფიკურად ორიენტირებულია დიალოგური უნარების გაუმჯობესებაზე.
- **სმენითი სავარჯიშოები -** სოფიასთვის მოეწყოს აუდიო მასალების მოსმენისა და დიალოგების გადმოცემის სავარჯიშოები, რათა მას გაუმარტივდეს დიალოგური ფორმების სწორად გამოყენება საუბრისას.
- **ვიდეო და აუდიო მაგალითები -** სოფიასთვის გამოდგება ვიდეო და აუდიო მაგალითების, მცირე ზომის ინტერვიუების მოსმენა-გამოყენება, რომლებშიც კარგად ჩანს დიალოგის წარმართვა. ამის შემდეგ, სოფიამ უნდა სცადოს იმავე დიალოგების გამეორება ან მსგავს სიტუაციებში მოქმედება.

19. კომუნიკაციური დაბნეულობა (კირილეს ქეისი)

სიტუაცია: კირილი 11 წლის ლტოლვილია, ახლახან ჩამოვიდა საქართველოში. იგი მეხუთე კლასში სწავლობს. კირილი საკმაოდ მოტივირებულია და ცდილობს, რაც შეიძლება სწრაფად შეისწავლოს ქართული ენა. თუმცა, რთულ კომუნიკაციურ სიტუაციებში, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას არასტანდარტული ან მოულოდნელი შეკითხვებით მიმართავენ, ის იბნევა და უჭირს თავისი აზრების მკაფიოდ და გამართულად გადმოცემა. ეს დაბნეულობა ხშირად იწვევს მის მიერ ნათქვამის გაუგებრობას და ზოგჯერ კომუნიკაციის შეწყვეტასაც კი.

გამოწვევა: კირილი აქტიურად ცდილობს ენის სწავლას, მაგრამ რთულ სიტუაციებში კომუნიკაციისას ხშირად იბნევა და არ იცის, როგორ გადმოსცეს თავისი აზრები მკაფიოდ. ეს დაბნეულობა ხელს უშლის მის კომუნიკაციას თანაკლასელებთან და მასწავლებლებთან, რაც იწვევს მისი თვითშეფასების დაქვეითებასაც. მას სჭირდება დახმარება, რომ გაუმკლავდეს კომუნიკაციურ დაბნეულობას და შეძლოს რთულ სიტუაციებში თავისი აზრების გამოხატვა.

ანალიზი: კირილს შეუძლია გაუმკლავდეს მარტივ კომუნიკაციას, მაგრამ რთულ სიტუაციებში, როდესაც მეტი სირთულე ან უცნობი კონტექსტი ხვდება, ის იბნევა და ვერ ახერხებს აზრის მკაფიოდ გადმოცემას. ეს გამოწვეულია ენის ცოდნის სიმცირით. მისი ლექსიკური მარაგი არ

არის საკმარისად მდიდარი და მრავალფეროვანი, რაც ართულებს, რომ წარმატებით გაართვას თავი რთულ დიალოგებს. საჭიროა მიზანმიმართული მუშაობა და სპეციალური სავარჯიშოების შესრულება.

რეკომენდაციები: *მუშაობისას მნიშვნელოვანია:*

- **სიმულაციური დიალოგები -** კირილთან ერთად საჭირო იქნება სიმულაციური დიალოგები, რომლებშიც განიხილება რთული კომუნიკაციური სიტუაციები.
- **ენობრივი მხარდაჭერა -** კირილს უნდა მიეცეს დამატებითი ენობრივი მხარდაჭერა, რაც გულისხმობს მისთვის სპეციალურად განკუთვნილი ლექსიკონისა და გამოთქმების სწავლას, რომლებიც მას ხშირად სჭირდება რთულ სიტუაციებში. **დამხმარე შეკითხვებისა და ფრაზების გამოყენება -** *თუ შეიძლება გაიმეორეთ, ვერ გავიგე...*
- **დიალოგური თამაშები -** კირილთან ერთად კარგი იქნება სხვადასხვა კომუნიკაციური სიტუაციის გათამაშება, რათა ის მიხვდეს, როგორ გაართვას თავი რთულ დიალოგებს. ეს შეიძლება იყოს როლური თამაშები, სადაც მას მოუწევს სხვადასხვა სახის კითხვებზე პასუხის გაცემა.
- **პრაქტიკული სავარჯიშოები -** კირილისთვის მოაწყვეთ რეგულარული სიმულაციური სავარჯიშოები, სადაც მას მოუწევს რთულ კომუნიკაციურ სიტუაციებში თავისი აზრების გამოთქმა. ეს სავარჯიშოები დაეხმარება მას, თანდათანობით შეიძინოს საჭირო სიტყვებისა და გამოთქმების პოვნის უნარი რთულ სიტუაციებში.
- **სწავლაში პარტნიორი -** კირილს შეუძლია მიიღოს დახმარება მისივე ასაკის მოსწავლეებისგან, რომლებიც იქნებიან მისი პარტნიორები. ეს დაეხმარება მას შეიძინოს მეტი თავდაჯერებულობა და გაიუმჯობესოს კომუნიკაციის უნარები.

20. სინტაქსური შეცდომები (მეკოს ქეისი)

სიტუაცია: მეკო 11 წლის მოსწავლეა, რომელიც მეხუთე კლასში სწავლობს. მას აქვს შესამჩნევი პრობლემა სინტაქსური შეთანხმების საკითხებში. მისი წერილობითი და ზეპირი მეტყველება ხშირად შეიცავს სინტაქსურ შეცდომებს, განსაკუთრებით ქვემდებარისა და შემასმენლის, მსაზღვრელისა და საზღვრულის რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმებისას.

გამოწვევა: მეკო მოტივირებულია, თუმცა მისთვის რთულია სწორი გრამატიკული სტრუქტურების შექმნა, რაც განსაკუთრებით გამოხატულია რიცხვისა და ბრუნვის შეთანხმებაში. ეს შეცდომები ართულებს მის წერილობით და ზეპირ კომუნიკაციას და იწვევს გაუგებრობას, რაც ხელს უშლის მის აკადემიურ წარმატებას და სოციალურ ურთიერთობებს.

ანალიზი: მეკოს შეუძლია მარტივი ტექსტების წაკითხვა და გაგება, თუმცა გრამატიკული სტრუქტურების შერჩევისას ხშირად უშვებს შეცდომებს. მისი მეტყველება ხანდახან გაუგებარი ხდება სინტაქსური შეცდომების გამო, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს გრამატიკული წესების არასათანადო ცოდნით ან ყურადღების ნაკლებობით.

რეკომენდაციები: მასთან *მუშაობისას მნიშვნელოვანია:*

- გრამატიკული სავარჯიშოები - სპეციალური სავარჯიშოები, სადაც მოსწავლეს მოუწევს სხვადასხვა ბრუნვისა და რიცხვის ფორმებში სიტყვების შეთანხმება. მაგალითად, შეავსე წინადადება სწორად: „მრავალი ---------- (ლექსი/ლექსები)“.
- სპეციალური სავარჯიშოები - მაგალითად წინადადებების შექმნა, სადაც მეკო ყურადღებას გაამახვილებს ქვემდებარისა და შემასმენლის, ასევე მსაზღვრელისა და საზღვრულის სწორ შეთანხმებაზე. ამის შემდეგ უნდა განიხილოთ მისი შეცდომები და შესთავაზოთ გამოსასწორებელი სავარჯიშოები.
- გრამატიკული თამაშები - სადაც მოთამაშეებს მოუწევთ სწორად დაალაგონ სიტყვები წინადადებაში და იპოვონ შეცდომები. ეს დაეხმარება მოსწავლეს, გაიუმჯობესოს გრამატიკული უნარები.
- თხრობითი დავალებები: მიეცით დავალება, მოყვეს ან დაწეროს მოთხრობა, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს ქვემდებარისა და შემასმენლის, ასევე მსაზღვრელისა და საზღვრულის სწორ შეთანხმებაზე.
- ტექნოლოგიური მხარდაჭერა - გამოიყენეთ გრამატიკის სწავლის მხარდამჭერი აპლიკაციები და ონლაინ პლატფორმები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეს, გაასწოროს გრამატიკული შეცდომები და განავითაროს სინტაქსური უნარები.
- შეასრულოს სავარჯიშოები დამხმარე სახელმძღვანელოდან:

21. ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმება (ვალერიას ქეისი)

სიტუაცია: ვალერია ლტოლვილია. ის მეხუთე კლასში სწავლობს. ქართულში აქვს გარკვეული სირთულეები. კერძოდ, ვალერია ხშირად უშვებს შეცდომებს, ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმებისას. მაგალითად, ის წერს: „მერცხლები მოფრინდა“ , „ბავშვებმა თამაში დაიწყო“.

გამოწვევა: ვალერიას პრობლემაა წერისა და საუბრისას რიცხვში შეთანხმებისას დაშვებული შეცდომები, რომლებიც ართულებს წერისა და საუბრის პროცესს. ეს შეცდომები შესაძლოა დაკავშირებული იყოს გრამატიკული წესების არცოდნასთან ან უყურადღებობასთან.

ანალიზი: ვალერიას აქვს უნარი, სწორად გაიგოს და გაიმეოროს მარტივი ტექსტები, თუმცა მისი სინტაქსური უნარები გასაუმჯობესებელია. ქვემდებარისა და შემასმენლის არამართებული შეთანხმება რიცხვში შეიძლება გამოწვეული იყოს გრამატიკული წესების არცოდნით ან არასაკმარისი პრაქტიკით. ამან შესაძლოა ხელი შეუშალოს ვალერიას აკადემიურ და სოციალურ განვითარებას, რადგან მისი ნაწერი და საუბარი ხანდახან გაუგებარია.

რეკომენდაციები: *მუშაობისას მნიშვნელოვანია:*

- გრამატიკული სავარჯიშოები - მიზანშეწონილია სპეციალურად შექმნილი სავარჯიშოები, რომლებიც მოიცავს ქვემდებარისა და შემასმენლის შეთანხმებას რიცხვში. მაგალითად, დაავალეთ მას შეავსოს წინადადებები, როგორიცაა: «სასწავლო დღეები ---------- (დამთავრდა/დამთავრდნენ)» და ახსნას თავისი არჩევანი.
- წერითი სავარჯიშოები - დაწეროს რამდენიმე წინადადება, რომლებშიც ყურადღებას გაამახვილებს ქვემდებარისა და შემასმენლის სწორ შეთანხმებაზე. ამის შემდეგ განიხილეთ მისი შეცდომები და შესთავაზეთ გამოსასწორებელი სავარჯიშოები.
- დიალოგები - ჩაერთოს დიალოგებში, სადაც მოუწევს სხვადასხვა რიცხვში ზმნების გამოყენება, რაც დაეხმარება მას გაიუმჯობესოს თავისი გრამატიკული უნარები.
- მოსმენის სავარჯიშოები - მოუსმინოს ტექსტებს, რომლებშიც სწორად არის შეთანხმებული ქვემდებარე და შემასმენელი, შემდეგ კი გააკეთოს მათზე კომენტარები ან შეავსოს მსგავსი ტიპის გრამატიკული სავარჯიშოები.
- კონსულტაციები - რეგულარული კონსულტაციები მასწავლებელთან და მშობლებთან, სადაც განხილული იქნება პროგრესი და სამომავლო გეგმა, რომელიც დაეხმარება მას სინტაქსური და ორთოგრაფიული უნარების განვითარებაში.
- შეასრულოს სავარჯიშოები დამხმარე სახელმძღვანელოდან:

22. ინსტრუქციების გაგების პრობლემა (თემურის ქეისი)

სიტუაცია - 8 წლის თემური, ლტოლვილი რუსეთის ფედერაციიდან. სწავლობს თბილისის საჯარო სკოლაში. არის მეორე კლასში; არის მოწესრიგებული, აქტიური. გამოირჩევა პასუხისმგებლობით, მართალია ენას კარგად არ ფლობს, მაგრამ იყენებს ყველა უნარს, რათა ენობრივი კომპეტენციები გაიუმჯობესოს. ცნობს ყველა ასო-ბგერას, კითხვის ტექნიკა კარგად აქვს განვითარებული. მიუხედავად იმისა, რომ ქართული სიტყვები მეტ-ნაკლებად ესმის, უჭირს ინსტრუქციების გაგება, რის გამოც მისი დამოუკიდებლად მუშაობის ხარისხი დაბალია.

გამოწვევა - თემური მონდომებულია. ქართული სიტყვები მეტ-ნაკლებად ესმის, კითხვისას ცნობს ასო-ბგერებს. ნელი ტემპით კითხულობს ქართულად, იაზრებს ამოკითხული ცალკეული სიტყვების მნიშვნელობას, თუმცა უჭირს ინსტრუქციის გააზრება და ამის გამო დავალების დამოუკიდებლად შესრულება.

ანალიზი - თემური მონდომებული, მოტივირებული მოსწავლეა. შეუძლია ცალკეული სიტყვების ამოკითხვა, მაგრამ უჭირს ინსტრუქციის გაგება-გააზრება, ამ პრობლემის გამო საკლასო თუ საშინაო დავალების დამოუკიდებლად შესრულება.

რეკომენდაციები - თემურთან მუშაობისას მნიშვნელოვანია:

- ინსტრუქციების გამარტივება/შემცირება - ინსტრუქციის რამდენჯერმე მშვიდად გამეორება;
- ინსტრუქციის გაგების შემოწმება - შემოწმება იმისა, რამდენად გაიგო ინსტრუქცია; სთხოვეთ მოსწავლეს, გაიმეოროს ინსტრუქცია საკუთარი სიტყვებით; მასწავლებელთან ერთად დავალების შესრულება, შემდეგ ანალოგიური დავალების დამოუკიდებლად შესრულება; მიზანმიმართული, კონკრეტული ამოცანით განსაზღვრული სავარჯიშოების შესრულება;
- სიტყვების დაკავშირება ილუსტრაციებთან, შემდეგ ამ სიტყვებით წინადადებების შედგენა;
- ახალი სიტყვების შესწავლა და მათი ხმარება ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვიზუალური და აუდიო მასალების გამოყენებით;
- კლასის დახმარება - თანაკლასელმა ახსნას ინსტრუქცია მარტივი ენით;
- სასწავლო თამაშები - მაგალითად, შესთავაზეთ ბავშვს აგყვეთ თამაშში, სადაც აუცილებელია ყველა სიტყვა თუ ფრაზა, რომელსაც თქვენ შესთავაზებთ, თავადაც გამოთქმით და გარკვევით წარმოთქვას (რამდენადაც ეს მისთვისაა შესაძლებელი).
- ენის სწავლების მხარდამჭერი ტექნოლოგიების, აპლიკაციებისა და თამაშების გამოყენება;

23. მშობლის ზედმეტი ჩართულობა (ალინას ქეისი)

სიტუაცია -ალინა 7 წლის ლტოლვილია უკრაინიდან. არის პირველ კლასში; ქართულად ცუდად საუბრობს და აკლია გამბედაობა, ეშინია შეცდომების დაშვების. ონლაინ მეცადინეობის დროს მუდმივად უზის დედა, რომელსაც კარგად ესმის ქართული და ეხმარება ალინას სავარჯიშოების შესრულებაში. ალინა მუდმივად დედას უყურებს და ელოდება დახმარებას; მშობელი ცდილობს სწრაფად დაეხმაროს, ამით ბავშვს არ აძლევს დაფიქრების საშუალებას და დროს, რაც იწვევს გაკვეთილზე ბავშვის პასიურობას.

გამოწვევა - ალინას ქართული სიტყვების მწირი მარაგი აქვს. კითხვისას ცნობს ასო-ბგერებს, შეუძლია მარცვლის ამოკითხვა. ის სწავლა-სწავლების პროცესში არ არის გაბედული. დედა მუდმივად ბავშვის გვერდით ზის. ის ბავშვს არ აძლევს დაფიქრებისა და დამოუკიდებლად მუშაობის საშუალებას. მასწავლებლის შეკითხვაზე პასუხის გაცემისას ან სავარჯიშოების შესრულებისას მყისიერად ერთვება და ეხმარება.

ანალიზი: ალინას შეუძლია ასოების, მარცვლების ამოკითხვა, მაგრამ უჭირს ქართულად მეტყველება. იმის გამო, რომ დედა მუდმივად ჩართულია საგაკვეთილო პროცესში, არ არის საკუთარ თავში დარწმუნებული, არ აქტიურობს, ურჩევნია ჩუმად იყოს, თავი შეიკავოს აზრის გამოთქმისაგან ან ყველა პასუხი შეუთანხმოს დედას.

რეკომენდაციები - ალინასთან მუშაობისას მნიშვნელოვანია:

- დიალოგი მშობელთან - მშობლის მზრუნველობის დადებითად შეფასება და იმის ახსნა, რამდენად მნიშვნელოვანია დამოუკიდებლობის ხელშეწყობა სასწავლო პროცესში;
- მშობლისთვის ონლაინსწავლების წესების შეხსენება: საგაკვეთილო პროცესში მშობლის მინიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა;
- გაკვეთილის შემდეგ მშობლისთვის სწავლების მეთოდოლოგიების შესახებ რეკომენდაციების მიცემა, ბავშვისთვის მშვიდი სამუშაო სივრცის უზრუნველყოფის მიზნით;
- მოსწავლის დამოუკიდებლად მუშაობის მცდელობის წახალისება - მოსწავლისათვის მოკლე/მარტივი დავალებების, ინსტრუქციების მიცემა;
- დავალებების ეტაპობრივად გართულება, მხოლოდ იმის შემდეგ, რაც წინა დაძლეულია;
- თემების შერჩევა (მაგ: ოჯახი, სკოლა, ხილი და ბოსტნეული, სოფელი, საყიდლებზე და ა. შ.) ამ თემებთან დაკავშირებული სიტყვების შესწავლა და წინადადებაში გამოყენება;
- მასწავლებლის მიერ პასუხის განვრცობა უფრო გრძელი ფრაზით;
- სიტყვის/ნახატიანი ბარათებით ვარჯიში.

24. ანბანის დაუფლების სირთულეები (კითხვის პრობლემა) (მილას ქეისი)

სიტუაცია - 8 წლის ლტოლვილი მილა ორი წელია საქართველოში ცხოვრობს. ქართულად მარტივი წინადადებებით საუბრობს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მეორე წელია ქართულ სკოლაში სწავლობს, აქვს ზოგიერთი ასოს ამოცნობის, ანბანის დაუფლების სირთულეები. ეშლება ზოგიერთი ასოს თავისებურების, დეტალების გარჩევა და გარკვეულ ბგერასთან დაკავშირება. როცა ახერხებს ცალკეული ასოს ცნობას/ამოკითხვას, უჭირს ასოების გაერთიანება, მარცვალ-მარცვალ კითხვა და სიტყვის ამოკითხვა.

გამოწვევა: მილა კომუნიკაბელური, მეგობრული გოგონაა, ქართულად მარტივი ფრაზებით საუბრობს, მაგრამ აქვს ანბანის დაუფლების მარცვლების სიტყვებად გამთლიანების სირთულეები, რაც დროში გახანგრძლივებულია. მილას ავიწყდება, რომელი იყო სიტყვის პირველი ამოკითხული ბგერა, რათა ის შემდგომ ამოკითხულ ბგერასთან გააერთიანოს და ბოლოს განსაზღვროს, რა სიტყვა / ფრაზა / წინადადება წაიკითხა.

ანალიზი - მილას აღენიშნება კითხვის დაუფლების ნელი ტემპი და ასოების ჯერ მარცვლებად, შემდეგ სიტყვებად გამთლიანების სირთულე. დადგინდა, რომ პრობლემები გამოწვეულია ვიზუალურ-სივრცითი უნარებისა და ფონემური სინთეზის სირთულით.

რეკომენდაციები - მილასთან მუშაობისას მნიშვნელოვანია:

- მულტისენსორული მეთოდი - კითხვის დასასწავლად სხვადასხვა სენსორული არხის გამოყენება - შეხებითი, სმენითი, მხედველობითი (მაგ.: კონტრასტულ ზედაპირზე ფქვილის/მანის დაყრა და თითით ასოების შემოხაზვა, ასოების გამოძერწვა, ასოების ტრაფარეტის დამზადება და ჯერ თითით, შემდეგ კალმით შემოხაზვა და ა.შ.);
- პლასტილინების/თიხის გამოყენებით ასოების გამოძერწვა, ასოს ხმამაღლა დასახელება, შემდეგ სიტყვის აწყობა;
- ილუსტრირებული ლექსიკონი - მოსწავლის ნაცნობი ლექსიკური მარაგის შესაბამისი სურათები და ფურცელზე დაწერილი სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირება;
- **აქტივობა: „დაფიქრდი წარმოიდგინე და დახატე“ - მასწავლებელი დაასახელებს სიტყვას,**
- **მოსწავლე დაფიქრდება და დახატავს, მასწავლებლის დახმარებით დააწერს სახელს;**
- ასოზე ნადირობა - ბარათზე დაწერილ ასოებში შერჩეული ასო-ბგერის მოძებნა და ასო-ბგერების დასახელება;
- ხატვა/წერა კარნახით - მასწავლებლის მიერ მარტივად დასახატი სურათის/სიტყვის კარნახის მოსმენა/დახატვა/დაწერა;

- მუშაობა წყვილებში - ერთი მოსწავლე კარნახობს დასახატ საგანს/სიტყვას ისე, რომ ერთმანეთის ნამუშევრებს ვერ ხედავენ, მეორე ყურადღებით უსმენს და ხატავს, შემდეგ ცვლიან როლებს, საუბრობენ ნამუშევრებზე;
- ასოების გახაზვა ბგერების წარმოთქმისას;
- ტაშის აყოლებით დამარცვლით სახელების დასახელება;
- ელექტრონული რესურსები ასოების ამოცნობის, ბგერების წარმოთქმისა და სიტყვებად გაერთიანების, მართლწერის განვითარების ხელშესაწყობად.

25. კითხვისას ინტონაციის პრობლემები (ანასის ქეისი)

სიტუაცია: ანასი არის იძულებით გადაადგილებული სირიიდან; საქართველოში ოჯახთან ერთად ცხოვრობს სამი წელია, სწავლობს თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში. ანასი არის მოწესრიგებული, აქტიური, გამოირჩევა პასუხისმგებლობით. ქართულად შეუძლია საუბარი, მაგრამ კითხვისას და საუბრისას მოსწავლე სიტყვებსა და წინადადებებში არასწორად სვამს ინტონაციებს, არ აკეთებს პაუზას წინადადების დასრულებისას, რაც გავლენას ახდენს აზრის გამოტანის სიცხადესა და მნიშვნელობაზე.

გამოწვევა: ანასი აქტიური, კომუნიკაბელური გოგონაა. ქართულად კითხულობს და საუბრობს, მაგრამ კითხვისას და ნაწილობრივ საუბრისასაც აქვს ინტონაციის პრობლემები, კერძოდ, კითხვისას არ აკეთებს პაუზას სიტყვებს შორის ან შეუსაბამო ადგილას ჩერდება, არ სვამს ლოგიკურ მახვილებს, რაც არღვევს მეტყველების ბუნებრივ რიტმს და სიცხადეს. კითხვისას არ ჩანს ინტონაციის შესაბამისობა კონტექსტთან ან ემოციასთან (მაგ.: მხიარული, მხიარული ტონის გამოყენება და ა.შ.), ეს კი ართულებს წაკითხულის გაგებას როგორც მოსწავლისათვის, ისე მსმენელისთვის.

ანალიზი: ანასის აღენიშნება ინტონაციური კითხვის სირთულე, რაც გავლენას ახდენს წაკითხულის გააზრებასა და სწორად მეტყველებაზე.

რეკომენდაციები - ანასისთან მუშაობისას მნიშვნელოვანია:

- ვიზუალური მინიშნებების გამოყენება: ქაღალდზე ან დაფაზე ინტონაციის ნიშნების დახატვა, რომლებიც მიუთითებს ინტიონაციის აწევაზე ან დაწევაზე;
- აუდიო მასალის მოსმენა და მიზანმიმართულად გამეორება;
- დიალოგის შემცვლელი ტექსტების კითხვა ქართველ მეწყვილესთან ერთად;
- დადებითი განმტკიცება: მოსწავლის შექება, პროგრესის აღნიშვნა სწორი ინტონაციის დროს. ინტონაციური შეცდომის დაშვებისას მასწავლებლის სწრაფი განმავითარებელი უკუკავშირი;
- მოსწავლის წახალისება საკუთარი საუბრის ჩაწერისა და შეფასებისათვის;
- ელექტრონული რესურსები ინტონაციის განვითარების ხელშესაწყობად;

- ინტონაციის ცვლა - თხრობითი წინადადების გადაკეთება კითხვითად, ბრძანებითად, წაკითხვისას ინტონაციის ცვლა;
- სასვენი ნიშნების დასმა - სხვადასხვა ტიპის წინადადებების (თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი) წაკითხვა და სასვენი ნიშნების სწორად შერჩევა.

26. მშობლიური ენიდან სიტყვების პირდაპირ თარგმნა და გრამატიკული და სინტაქსური შეცდომები (ობენის ქეისი)

სიტუაცია: ობენი არის იძულებით გადაადგილებული ერაყიდან. ორი წელია საქართველოში ცხოვრობს. ქართულად კითხვა ისწავლა. აქვს მწირი ლექსიკური მარაგი და მეტყველებისას პირდაპირი თარგმნის სიტყვებს მშობლიური ენიდან, რის გამოც უშვებს გრამატიკულ და სინტაქსურ შეცდომებს.

გამოწვევა: ობენი აქტიური და კომუნიკაბელურია, თუმცა პრობლემას ქმნის ის, რომ პირდაპირ თარგმნის სიტყვებს მშობლიური ენიდან, რის გამოც მეტყველებისას წინადადებიდან აზრის გამოტანა გართულებულია. ამ პრობლემის გამო მის მიერ წარმოთქმულ წინადადებას გარკვეულწილად ეცვლება მნიშვნელობა, ეკარგება სიცხადე და აზრის გამოსატანად საჭიროებს დამატებით შეკითხვებს.

ანალიზი: ობენი მშობლიური ენიდან პირდაპირ თარგმნის სიტყვებს; მიზეზი ლექსიკური მარაგის სიმწირე და გრამატიკული/სინტაქსური შეცდომებია.

რეკომენდაციები - ობენთან მუშაობისას მნიშვნელოვანია:

- **უკუკავშირი - მასწავლებლის მიერ განმეორებითი, მყისიერი განმავითარებელი უკუკავშირი;**
- **პასუხის მოდელირება - მასწავლებლის მიერ მოსწავლის ნათქვამის სწორად პერიფრაზირება;**
- ახსნა-განმარტება - ახსნა იმისა, თუ როგორ მოქმედებს კულტურა ენაზე, როგორ განსხვავდება ერთი და იგივე სიტყვა ან ფრაზა სხვადასხვა ენაში;
- კონტექსტის სწავლება;
- ელექტრონული რესურსების გამოყენება სიტყვათა მნიშვნელობის გაგების ხელშესაწყობად;
- ინტერაქტიული თამაშები და აქტივობები ლექსიკური მარაგის განვითარების ხელშესაწყობად;
- ლექსიკონების გამოყენება - ორენოვანი ლექსიკონებისა და აპლიკაციების გამოყენება სიტყვის მნიშვნელობისა და მისი სწორი გამოყენების ხელშესაწყობად;
- პრაქტიკული სავარჯიშოები კონკრეტული იდიომებისა და გამონათქვამების სწავლისათვის.

27. სინტაქსის პრობლემა (ასლანის ქეისი)

სიტუაცია: 12 წლის ლტოლვილი ასლანი, წარმოშობით ირანელია. მისი მშობლიური ენა სპარსულია. ოჯახის წევრები სწავლაში ვერ ეხმარებიან, რადგან ქართული არ იციან. მიუხედავად იმისა, რომ ორი წელია საქართველოში ცხოვრობს, საგრძნობლად ჩამორჩება თანაკლასელებს სწავლაში, რადგან აქვს მწირი ლექსიკური მარაგი, უჭირს წინადადების აგება, არ იცის სიტყვათა შეკავშირების წესები (სინტაქსი); ამის გამო მორცხვობს და ნაკლებად კომუნიკაბელურია.

გამოწვევა: ასლანს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა აქვს. გაკვეთილებს რეგულარულად ესწრება. გაცდენის შემთხვევაში მეცადინეობს. მაგრამ იმის გამო, რომ უჭირს საკუთარი აზრის წინადადებად ჩამოყალიბება, ნასწავლი ლექსიკური ერთეულების პრაქტიკაში გამოყენება, მარტივი კომუნიკაციის აგება, დაბნეულია, რაც თვითშეფასებაზეც მოქმედებს. სიმორცხვის გამო აქვს კომუნიკაციის პრობლემა, აქტივობებში ჩართვაზეც არ გამოხატავს ინიციატივას.

ანალიზი: ასლანს შეუძლია მარტივი ტექსტების წაკითხვა, ძირითადად ესმის სიტყვების მნიშვნელობები, თუმცა ზეპირი და წერითი მეტყველებისას ხშირად უშვებს შეცდომებს და აზრს გამართულად ვერ გადმოსცემს. მიუხედავად იმისა, რომ აქვს ლექსიკური მარაგი, უჭირს წინადადების აგება, არ იცის სიტყვათა შეკავშირების წესები (სინტაქსი) ამის გამო მორცხვობს და ნაკლებად კომუნიკაბელურია. სიმორცხვე ხელს უშლის ნასწავლი ლექსიკური ერთეულების პრაქტიკაში გამოყენებას; ზოგადად, ცდილობს გაკვეთილზე ნაკლებად იაქტიუროს.

რეკომენდაციები - ასლანთან მუშაობისას მნიშვნელოვანია:

- არეული თანმიმდევრობის დალაგება - არეული თანმიმდევრობის სიტყვების / ფრაზების წინადადებად / ტექსტად / დიალოგად დალაგება;
- სავარჯიშოები კავშირებზე - ორი წინადადების დაკავშირება და შესაბამისი კავშირის გამოყენება; სიტყვის პირამიდა - ორი ერთეულით შექმნილი მარტივი წინადადების თანდათანობითი გართულება წევრების დამატებით;
- პოზიტიური განმტკიცება - პოზიტიური, მხარდამჭერი გარემოს შექმნა. შექება ბავშვის მეტყველების მცდელობისას ძალისხმევისა და წარმატებების გამო;
- პერიფრაზი - მასწავლებლის მიერ პასუხის განვრცობა უფრო გრძელი ფრაზით;
- ამბის გადმოცემა - მოცემული სიტყვებით ამბის აწყობა;
- ჩასმის სავარჯიშოები - გამოტოვებულ სიტყვებიან ტექსტში სიტყვების ჩასმა;
- თემატური დიალოგები და როლური თამაშები, სიტყვებისა და ფრაზების გამოყენების მიზნით;
- პრეზენტაცია - მინიპრეზენტაციის გამართვა თემაზე, მაგალითად, ,,ჩემი საყვარელი დღესასწაული“;
- წყვილებში მუშაობა - გამოკითხვა წყვილებში;

- ინდივიდუალური ლექსიკონის შექმნის პრინციპების გაცნობა და წარმოება;
- როლური თამაში - დიალოგი ქართველ მეწყვილესთან ერთად;
- დისკუსია - მარტივ დისკუსიებში მონაწილეობა;
- მსჯელობა გეგმის მიხედვით - სამსჯელო საკითხის ან თხრობის გეგმის შედგენა;
- ენის სწავლების მხარდამჭერი ტექნოლოგიების, აპლიკაციებისა და თამაშების გამოყენება.

28. ბულინგის გამო ქცევითი, ემოციური და სასწავლო პრობლემები (აბდულას ქეისი)

სიტუაცია: 13 წლის ლტოლვილი აბდულა, წარმოშობით ჩეჩენია. ოჯახი საქართველოში ოთხი წლის წინ გადმოვიდა. აბდულა ქართულად გამართულად საუბრობს, მაგრამ ბოლო ექვსი თვეა გაკვეთილზე ნაკლებად აქტიურობს, შეამცირა სწავლა. კითხვაზე პასუხისათვის ინიციატივას არ გამოხატავს. პასუხის დროს ნერვიულობს, შფოთავს, თვალები თანაკლასელებისაკენ გაურბის, თითქოს მათ რეაქციას ელოდება. ხშირად აცდენს ან აგვიანებს გაკვეთილზე. არ ერთვება კლასის/სკოლის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში.

გამოწვევა: დადგინდა, რომ მოსწავლის აკადემიური მოსწრება ყველა საგანში გაუარესდა. მშობელმა აღნიშნა, რომ სკოლაში სიარული აღარ მოსწონს, ნაკლებ კომუნიკაბელური გახდა. განსაკუთრებით ერიდება ურთიერთობას რამდენიმე თანაკლასელთან. ქართულის გაკვეთილები ადრე მოსწონდა, ახლა დაკარგა სასწავლო მოტივაცია. წერით დავალებებს შედარებით გულმოდგინედ ასრულებს, მაგრამ თხრობის ან კითხვებზე პასუხის დროს თავს არიდებს პასუხს იმ შემთხვევაშიც, როცა მასალა მისთვის ადვილად დასაძლევია.

ანალიზი: აბდულას შეუძლია ჰქონდეს კარგი აკადემიური მოსწრება, მაგრამ ფსიქოლოგიური ფაქტორების გამო მოხდა ქცევისა და სწავლის გაუარესება. მიზეზი თანაკლასელების მხრიდან დაცინვა აღმოჩნდა, სოციალურ ქსელებშიც ხშირად იყო განხილვის საგანი. დაცინვის მიზეზი იყო ხან აბდულას ჩაცმულობა, ხან საუბრის მანერა. მის მიმართ თანაკლასელები ახორციელებდნენ პირდაპირ (დასცინოდნენ, რამდენჯერმე მსუბუქად დაარტყეს კიდეც) და ფარულ ბულინგს (მაგ.: როცა კითხვას სვამდა, პასუხს არ სცემდნენ, არ ესალმებოდნენ, თამაშში ჩართვის უფლებას არ აძლევდნენ). მას ბულინგის გამო აღენიშნება ქცევითი, ემოციური და სასწავლო პრობლემები.

რეკომენდაციები - მუშაობისას მნიშვნელოვანია:

- მოსწავლეებთან ერთად მკაფიო წესებისა და მოლოდინების ჩამოყალიბება: ერთობლივად ისეთი საკლასო ნორმების, საკლასო წესების სის შექმნა, რომელიც ხაზს უსვამს პატივისცემას, სიკეთესა და ინკლუზიურობას;
- მოკლე ვიდეო მასალის შეთავაზება ბულინგზე და ვარაუდების გამოთქმა ნანახის ირგვლივ;
- ლექსიკური ერთეულებით (თანაგრძნობა, ძალადობა, ჩაგვრა, წყენა, ბრაზი, მეგობრობა, ემპათია...) წინადადებების შედგენა; სიტყვის რუკით ლექსიკური ერთულების დამუშავება;
- ვენის დიაგრამის შედგენა ბულინგისა და სიცელქის მსგავსებასა განმასხვავებელ ნიშნებზე;
- საერთაშორისო დღეების აღნიშვნა. ხაზგასმა მრავალფეროვანი კულტურისა და პერსპექტივების ღირებულების დაფასებაზე. ჩართეთ მულტიკულტურული შინაარსი თქვენს გაკვეთილებში, რათა ხელი შეუწყოთ პიროვნების გაგებას და დაფასებას;
- პატივისცემითი კომუნიკაციის წახალისება, საუბარი საკუთარ გამოცდილებასა და გრძნობებზე, ერთმანეთის აზრის მოსმენისა და დაფასების მნიშვნელობაზე; პრობლემის შემთხვევაში, უფროსებთან კომუნიკაციის აუცილებლობაზე;
- გაკვეთილების ინტეგრირება ბულინგის, თანაგრძნობისა და კონფლიქტების მოგვარების თაობაზე. სწავლება ბულინგის გავლენის შესახებ და როგორ აღუდგეს მას პიროვნება;
- მშობლების ჩართულობა, საუბარი მშობლებთან ბულინგის პრევენციის პოლიტიკის შესახებ და როგორ შეუძლიათ მათ შვილების მხარდაჭერა;
- რეგულარული მონიტორინგი და შეფასება;
- მოსწავლეთა ურთიერთობის მონიტორინგი პოტენციური პრობლემების ადრეულად გამოვლენისათვის;
- ბულინგის, კონფლიქტისა და გამძლეობის თემებზე ლიტერატურის წაკითხვა, შსჯელობა;
- კითხვების დასმა ისეთ თემებზე, რომლებიც მოსწავლეებს უბიძგებს, დაფიქრდნენ პერსონაჟების გამოცდილებაზე ბულინგის დროს (მაგალითად, რა განსხვავებაა ბულინგსა და სიცელქეს შორის? როგორ რეაგირებენ გმირები ბულინგზე? რა განაპირობებს მოძალადის ქცევას? როგორ მოქმედებს ბულინგი მსხვერპლზე და დამკვირვებლებზე?)
- ლიტერატურული პერსონაჟების ანალიზი: ბულინგის მონაწილე პერსონაჟების გაანალიზება, მათი მოტივების, ქმედებების, ქცევის შედეგების განხილვა;
- მორალურ და ეთიკურ მოსაზრებებზე საუბარი: პერსონაჟების ქმედებების, მორალური და ეთიკური შედეგების განხილვა (სთხოვეთ მოსწავლეებს, განიხილონ თუ რას გააკეთებდნენ ისინი მსგავს სიტუაციებში);
- თემატური დისკუსიები ბულინგის თემებზე, კავშირის დამყარება ლიტერატურასა და რეალურ გამოცდილებას შორის;

- როლური თამაში სხვადასხვა პერსონაჟის ემოციების გასაგებად;
- მოთხრობის/სიტუაციის ალტერნატიული დასასრული, რომელშიც ბულინგის სიტუაცია სხვაგვარად მოგვარდება.

29. ნათესაობითი ბრუნვის ფორმის სწორად გამოყენების პრობლემა (მუსტაფას ქეისი)

სიტუაცია: 14 წლის ლტოლვილი მუსტაფა ერაყიდანაა. ცხოვრობს საქართველოში, ქვემო ქართლის რეგიონში. არის მეცხრე კლასში; უჭირს და ვერ ახერხებს სიტყვის ფორმის ფუნქციურად გამოყენებას, კონკრეტულად, ნათესაობითი ბრუნვის ფორმის გამოყენებას კომუნიკაციის დროს. განსაკუთრებით უჭირს კუთვნილების გამომხატველი სიტყვების სწორად წარმოთქმა (ამბობს: ბიჭი წიგნი, ჩემი ძმა სახელია საადონ);

გამოწვევა: მუსტაფა აქტიური და კომუნიკაბელურია, თუმცა პრობლემას ქმნის არასწორად, შეცდომით დამახსოვრებული ნათესაობითი ბრუნვის ფორმები. განსაკუთრებით უჭირს კუთვნილების გამომხატველი სიტყვების სწორად წარმოთქმა. პრობლემის გამოსწორება დამოკიდებულია ხანგრძლივ ვარჯიშზე, სიტუაციური სავარჯიშოების ხშირ გამოყენებაზე;

ანალიზი: მუსტაფას *შეუძლია მარტივი ტექსტების წაკითხვა და გაგება, თუმცა უჭირს სწორად მეტყველება. მოსწავლის ენა ღარიბია, ნახატების დახმარებით პასუხობს კითხვებს, თუმცა ვერ იყენებს ფუნქციურ ფორმებს სათანადოდ*, კონკრეტულად, ***ნათესაობითი ბრუნვის ფორმას.*** ამის გამო მისი მეტყველება ნაკლებად მკაფიო და ძნელად გასაგებია.

რეკომენდაციები: მუსტაფასთან მუშაობისას მნიშვნელოვანია:

- მიზანმიმართული, კონკრეტული ამოცანით განსაზღვრული სავარჯიშოების შესრულება;
- კითხვებზე პასუხის გაცემა ნახატის მიხედვით (მაგ.: ვისია წიგნი? რისი ყვავილია?);
- სურათის მიხედვით წინადადების შედგენა;
- დიალოგის გამართვა ქართველ მეწყვილესთან ერთად;
- ნიმუშის მიხედვით სიტყვების ნათესაობითი ბრუნვის ფორმაში ჩასმა;
- ფოტოების მიხედვით წინადადებების შედგენა - სიტყვების ნათესაობით ბრუნვაში გამოყენების ფორმით;
- ფრჩხილებში მოცემული არსებითი სახელის წინადადებაში ჩასმა ნათესაობითი ბრუნვის ფორმით;

- ჩანაწერის მოსმენა და კითხვებზე პასუხის გაცემა;
- მოცემული ფორმებიდან სწორი ფორმის შერჩევა;
- ნიმუშის მიხედვით ფრჩხილებში მოცემული სიტყვების წინადადებაში სწორი ფორმით ჩასმა;
- ენის სწავლების მხარდამჭერი ტექნოლოგიების, აპლიკაციებისა და თამაშების გამოყენება.

30. ყურადღების კონცენტრირებისა და ჰიპერაქტიულობის პრობლემა (ალისას ქეისი)

სიტუაცია: 9 წლის რუსეთიდან ლტოლვილი ალისა ორი წელია საქართველოში ცხოვრობს. ქართულად საუბრობს; კომუნიკაბელურია; გაკვეთილებს რეგულარულად ესწრება. ალისა ძალიან მოუსვენარია. არ შეუძლია ერთ ადგილას დიდხანს მშვიდად ჯდომა, შეუძლია წამოხტეს ნებართვის გარეშე და დაიწყოს სიარული. შეკითხვებს პასუხობს დაუფიქრებლად, ამასთან, ბოლომდე არ ისმენს, რას ეკითხებიან, უბრალოდ წამოიყვირებს პასუხს.

გამოწვევა: ალისა კომუნიკაბელურია, თუმცა ის ზედმეტად აქტიურია, უჭირს ყურადღების კონცენტრირება. ბევრს მოძრაობს, გაკვეთილს ნაწილობრივ უსმენს, ყურადღება გადააქვს მის ირგვლივ არსებულ საგნებზე. უყურადღებობის გამო უჭირს მითითებების მიყოლა, ახალი სიტყვების დამახსოვრება. ტექსტის კითხვისას ყურადღების შენარჩუნება. კითხვის შემდგომი აქტივობის დროს არ იცავს რიგს, შეკითხვებს დაუფიქრებლად პასუხობს, ხშირად არასწორად და ამის გამო პრობლემები აქვს ტექსტის გააზრებაში. არ ახსოვს დავალება.

ანალიზი: ალისას აღენიშნება თანატოლებთან შედარებით ყურადღების კონცენტირაციის ხანგრძლივობის სიმცირე, ყურადღების შერჩევითობისა და ფოკუსირების დარღვევა. პრობლემის გამო უჭირს გაკვეთილზე ჩართულობა: ინსტრუქციების გაგება-გააზრება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე მითითება ერთადაა; ტექსტის მოსმენა და დაფიქრებული პასუხების გაცემა.

რეკომენდაციები - ალისასთან მუშაობისას მნიშვნელოვანია:

- გაკვეთილის დასაწყისში გეგმისა და აქტივობების გაცნობა;
- ახალი სიტყვების ახსნის დროს ვიზუალური მასალის გამოყენება;
- როლური თამაშებისა და გუნდური მუშაობის წახალისება;
- გრძელი მითითებების შემოკლება, განმარტება, ინსტრუქციის რამდენჯერმე მშვიდად გამეორება;

- სიტყვათა მარაგზე დაფუძნებული სავარჯიშოები: წაკითხულის გაგება - ჭეშმარიტია/ მცდარია, ზედმეტი სიტყვის გამორჩევა, მოცემული სიტყვის ან სიტყვების განმარტება;
- ლექსიკონზე მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარება ganmarteba.ge;
- დიფერენცირება - ერთი გაკვეთილის განმავლობაში სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოებით დაკავება;
- საშინაო დავალების მცირე დავალებებად დაყოფა;
- ინდივიდუალური ლექსიკონის შექმნის პრინციპების წარმოება.

31. თანდებულების სწორად გამოყენების პრობლემა (სადონის ქეისი)

სიტუაცია: 14 წლის სადონი ერაყიდან ლტოლვილია. ცხოვრობს საქართველოში, ქვემო ქართლის რეგიონში. არის მეცხრე კლასში; უჭირს და ვერ ახერხებს სიტყვის ფორმის ფუნქციურად გამოყენებას, კონკრეტულად, თანდებულების სათანადოდ, სწორად გამოყენებას კომუნიკაციის დროს (კერძოდ, -დან, -ზე, -ში, -მდე, -თვის...).

გამოწვევა: სადონი კომუნიკაბელურია, თუმცა მეტყველებისას პრობლემას ქმნის არასწორად დამახსოვრებული თანდებულიანი სიტყვის ფორმები, რის გამოც უმართებულოდ იყენებს მათ (მაგ.: კითხვაზე - საიდან ხარ? პასუხობს - გარდაბანში).

ანალიზი: მიუხედავად მონდომებისა, სადონი მეტყველებისას უშვებს შეცდომებს, კერძოდ, თანდებულიანი სიტყვების ფორმებს წინადადებაში არასწორად სვამს და ხშირად აზრი გაუგებარია.

რეკომენდაციები - სადონთან მუშაობისას მნიშვნელოვანია:

- მიზანმიმართული, კონკრეტული ამოცანით განსაზღვრული სავარჯიშოების შესრულება;
- გამოტოვებული თანდებულების ჩასმა ან მათი გამოყენებით წინადადებების შედგენა;
- ადგილების სახელების დასწავლა (ლექსიკური მარაგის გამდიდრებისთვის);
- სურათის მიხედვით წინადადების შედგენა (მაგ.: მე ვარ კინო-ში);
- მინიდიალოგების შედგენა მოცემული ფორმების გამოყენებით, წაკითხვა და საუბარი ქართველ მეწყვილესთან ერთად;
- ნიმუშის მიხედვით ფრჩხილებში მოცემული სიტყვების წინადადებაში სწორი ფორმით ჩასმა;

- სიტუაციური თამაშები შესასწავლი ფორმების გამოყენებით;
- თანდებულიან წინადადებებში შეცდომების გასწორება;
- სავარჯიშოები:
- ა) დააკვირდი სურათებს და დაასრულე სიტყვები ნიმუშის მიხედვით;
- ბ) თანდებულების გამოყენებით დაასრულე სიტყვები;
- იმ ლექსების, სიმღერების გამოყენება, რომლებიც გამოსადეგი იქნება საწარმოთქმო დანიშნულებით;
- მხატვრული ფილმების ნახვა სპეციალური დანიშნულებით (მაგალითად, სად იყო ეს გმირი? საიდან წამოვიდა?...)
- თვალსაჩინოებების, ცხრილების, სქემების შექმნა, რომლებიც ასახავს როგორც ქართული ენის თავისებურებას, ასევე მოახდენს მოსალოდნელ შეცდომათა საპირისპიროდ სწორი ფორმების გააქტიურებას.

32. ენის არათანაბარი ცოდნა (მერვე კლასის ქეისი)

სიტუაცია: მერვე კლასში ხუთი ლტოლვილი ბავშვია. ორი მათგანი პირველი კლასიდან სწავლობს, დანარჩენები შემდეგ წლებში დაემატნენ, რის გამოც მოსწავლეებში ქართული ენის ცოდნის დონე არათანაბარია. მოსწავლეები, რომლებიც ნაკლებ ცოდნას ფლობენ, უჭირთ ახალი მასალის აღქმა და გაგება. ეს პრობლემა ართულებს მოსწავლეების კომუნიკაციას, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს ჯგუფური მუშაობისა და დისკუსიებში მონაწილეობის შესაძლებლობას.

გამოწვევა: კლასში ენის ცოდნის არათანაბარი დონეა, რის გამოც ქართული ენის მცოდნე მოსწავლეები სწრაფად და მარტივად ითვისებენ მასალას; რამდენიმე მოსწავლეს უჭირს მასალის გაგება. ამასთან, ჯგუფურ დავალებებში, კომუნიკაციის დონის განსხვავებები ართულებს თანამშრომლობას - ძლიერი მოსწავლეები იკავებენ ლიდერის პოზიციას.

ანალიზი: კლასში ენის დონე არათანაბარია, რაც გამოწვევებს ქმნის როგორც სწავლების პროცესში, ასევე მოსწავლეების სოციალურ და აკადემიურ განვითარებაში.

რეკომენდაციები - კლასთან მუშაობისას მნიშვნელოვანია დიფერენცირებული მიდგომა.

- დავალებების მომზადება როგორც მაღალი, ასევე ენის ცოდნის დაბალი დონის მოსწავლეებისათვის;
- საერთო შინაარსის დავალებების მომზადება მთელი კლასისათვის. სუსტი მოსწავლეებისათვის ისეთი დამხმარე მასალის შეთავაზება, რომელიც სამუშაოს

გაუადვილებს (საყრდენი სქემები, ცხრილები, ნიმუშები და ა.შ.);

- საერთო შინაარსის დავალებების მომზადება მთელი კლასისათვის, მაგრამ ძლიერი მოსწავლეებისათვის დავალების მოცულობის გაზრდა;
- მასალის განმტკიცების ხშირი გამოყენება;
- მოსწავლეების მიერ დავალებების თვად არჩევა;
- სხვადასხვა სირთულის როლური თამაშების, ვიზუალური მასალების, ელექტრონული რესურსების გამოყენება;
- თითოეული მოსწავლისათვის ინდივიდუალური მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა;
- ჯგუფური მუშაობის დროს სხვადასხვა დონის მოსწავლეების გაერთიანება;
- სამომავლო გეგმების დასახვის მიზნით, შედეგების შემოწმება და ანალიზი;
- **პრაქტიკული სავარჯიშოები -** სასურველია „პრაქტიკული სავარჯიშოების“ დამატებით მიწოდება.

33. სასწავლო მოტივაციის ნაკლებობა (დანიელის ქეისი)

სიტუაცია: დანიელი 8 წლის ლტოლვილია უკრაინიდან. არის მეხუთე კლასში; ერთი წელია საქართველოში ცხოვრობს და დადის ქართულ სკოლაში. ის ესწრება გაკვეთილებს, მაგრამ ქართულის შესწავლის ინტერესს არ გამოხატავს. იცის გარკვეული სიტყვები, მაგრამ არ საუბრობს, რადგან თვლის, რომ ენის სწავლა რთულია, რომ ქართულ ენაში გრამატიკა, სიტყვის წყობა და გამოთქმა ძალიან განსხვავდება მშობლიური ენისაგან.

გამოწვევა: დანიელი ერთი წელია თბილისის საჯარო სკოლაში სწავლობს. მას არ აქვს საკმარისი სურვილი, ინტერესი ქართული ენის სწავლა-სწავლების პროცესში აქტიური მონაწილეობის მისაღებად; ფიქრობს, რომ ენა რთულია და ეს აფერხებს ენის შესწავლის პროგრესს.

ანალიზი: დანიელი ერთი წელია ქართულ სკოლაში დადის. აქვს მწირი ლექსიკური მარაგი, თვლის, რომ ენა რთულია, არ გრძნობს თავს წარმატებულად სწავლა-სწავლების პროცესში და აღენიშნება ქართული ენის შესწავლის მოტივაციის ნაკლებობა.

რეკომენდაციები - დანიელთან მუშაობისას მნიშვნელოვანია:

- პოზიტიური გარემოს შექმნა (პოზიტიური უკუკავშირი), ყურადღების გამახვილება მოსწავლის წარმატებაზე;
- სასწავლო მასალის დაყოფა მცირე მოცულობის დავალებებად;
- მულტისენსორული მეთოდი - სწავლის სხვადასხვა სენსორული არხების გამოყენება -შეხებითი, სმენითი, მხედველობითი;
- სასწავლო თამაშების, სიმღერების, ანიმაციების, ვიზუალური მასალების გამოყენება ენის შესწავლისას;
- სასწავლო თემების რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირება, რათა მოსწავლემ დაინახოს როგორ შეიძლება ენის გამოყენება ყოველდღიურ სიტუაციებში;
- მოსწავლისათვის არჩევანის უფლების მინიჭება (ამით სწავლის პროცესში თანამონაწილეობისა და ჩართულობის შეგრძნებას გავუღვივებთ);
- მხარდაჭერაზე დაფუძნებული ურთიერთობა;
- პირადი მიზნების დასახვა; დახმარება კონკრეტული და რეალისტური მიზნების განსაზღვრაში (მაგ.: წაიკითხოს მარტივი წიგნი, უყუროს ფილმს ქართულ ენაზე, გაიგოს საყვარელი სიმღერის ტექსტი და ა.შ.);
- განსხვავებული სირთულის დავალებების გამოყენება;
- ერთსა და იმავე თემაზე სხვადასხვა სირთულის დავალებებისა და აქტივობების გამოყენება;
- შეცდომებზე სწავლა - კლასში ისეთი გარემოს შექმნა, რომელშიც მოსწავლეებს ნეგატიური შეფასების, კრიტიკისა და შეცდომის დაშვების შიში არ ექნებათ.
- შეასრულოს სავარჯიშოები დამხმარე სახელმძღვანელოდან: